

# ADR YEARBOOK



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელიწდეული 2021

სპეციალური გამოცემა

Special Edition

მთავარი რედაქტორი **პროფ. ირაკლი ბურდული**

Editor-in-Chief **Prof. Dr. Irakli Burduli**



# წ ე ლ ი ნ ღ ე უ ლ ი

2021

სპეციალური გამოცემა

**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**  
**NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION**

# **Alternative Dispute Resolution**

**Y e a r b o o k**

**2021**

**SPECIAL EDITION**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელიწადი

2021

სპეციალური გამოცემა



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

### **მთავარი რედაქტორი**

ირაკლი ბურდული (პროფ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **მმართველი რედაქტორი**

ნათია ჩიტაშვილი (ასოც. პროფ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **სარედაქციო კოლეგია:**

ქეთრინ გ. ბარნეთი (პროფ., ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ჯეიმს ჯ. ალფინი (პროფ., ემერიტუს დეკანი, ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ელიზაბეთ ა. დენისი (პროფ., ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ირაკლი ყანდაშვილი (პროფ., გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)

აკაკი განურელია (პროფ. ასისტენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ირაკლი ადეიშვილი (სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დემეტრე ეგნატაშვილი (პროფ. ასისტენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **ტექნიკური რედაქტორი:**

ირაკლი ლეონიძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **Editor-in-Chief**

Irakli Burduli (Prof., Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

### **Managing Editor**

Natia Chitashvili (Assoc. Prof., Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

### **Editorial Board:**

Catherine G. Burnett (Prof., South Texas College of Law Houston, USA)

James J. Alfini (Prof., Dean Emeritus, South Texas College of Law Houston, USA)

Elizabeth A. Dennis (Prof., South Texas College of Law Houston, USA)

Irakli Kandashvili (Prof., Grigol Robakhidze University)

Akaki Gatsrelia (Prof. Assistant, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

Irakli Adeishvili (Doctor of Law, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

Demetre Egnatashvili (Prof. Assistant, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

### **Technical Editor:**

Irakli Leonidze (Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

*გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით*

*Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

P-ISSN 1987-9199

E-ISSN: 2720-7854

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## **ანა გურიელი**

მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება,  
კონცეპტუალური მახასიათებლები და მოსამართლე,  
როგორც მედიაციის პროცესის წარმმართველი ..... 7

## **დავით კაკოიშვილი**

ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობის  
ეთიკური საფუძვლები მედიაციის პროცესში..... 25

## **თამარ აკობია**

კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების  
საკანონმდებლო გარანტიები ევროკავშირის წევრი  
სახელმწიფოებისა და საქართველოს კანონმდებლობის  
შედარების მაგალითზე ..... 85

## **გურამ ბარნაბიშვილი**

სამედიაციო მორიგების აღსრულებადობისა და  
მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური  
სტანდარტების ურთიერთკავშირი **Error! Bookmark not defined.**

## **ირაკლი ლეონიძე**

მედიაციის მნიშვნელობა მემკვიდრეობის მიღების  
ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის  
საპროცესო თავისებურებების გარკვევის საკითხისთვის ..... 191

## **თამაზ მშვილდაძე**

მედიატორის დისციპლინური პასუხისმგებლობა  
საქართველოში ..... 248



## ანა გურიელი\*

### მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, კონცეპტუალური მახასიათებლები და მოსამართლე, როგორც მედიაციის პროცესის წარმმართველი

კვლევის მიზანია, დადგინდეს, სამოქალაქოსამაჩთებრივი დავების სასამართლო მედიაციის საშუალებით გადაწყვეტის მნიშვნელობა. აგეთვე, გაიჩვენებს, მოსამართლის ხოლთან და მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული მოქნილი სამაჩთებრივი მექანიზმი, ხამდენად უზუნვედყოფს მედიაციის ფუძემდებრივი პრინციპებისა და ახსობრივი მახასიათებლების განხორციელების შესაძლებლობას. საკითხი აქტუალურია, ხამდენადაც, სასამართლო მედიაციის სამომავლო განვითარება, სამაჩთის სუბიექტთა ინტეგრირების დაკმაყოფილებისა და დავის გადაწყვეტის ადგიხნატიური საშუალებების მდგხადი განვითარების ერთ-ერთი წინაპიხობაა.

სტატიასში წაჩმოჩენილია, მოსამართლის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხები სამოქალაქოსამაჩთებრივი დავების სასამართლო მედიაციით გადაწყვეტის პიხოცესში, ხომედიც მოსამართლისთვის მედიაციის პიხოცესის წაჩმაჩთვის უფლებამოსილების გადაცემის თვარსაზიხისით, გაჩკვეუდ საკანონმდებლო გადასინჯვასა და ანადიზს საჭიხობებს. საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ხეკომენდიხებულია, მოსამართლის ხოლის მეცნიეხური ანადიზი, ხათა სამოქალაქოსამაჩთებრივი დავების გადაწყვეტა სასამართლო მედიაციის პიხოცესში, ეფუძნებოდეს, ხოგოხც საეხთაშოხისოსამაჩთებრივი ინსტიტუტების კვლევას, ასევე, მედიაციის ინსტიტუტის სპეციფიკის გათვარისწინებით, მისი ახსებითი მახასიათებლების განსაზღვხას.

**საკვანძო სიგყვები:** სასამართლო მედიაცია, მედიაციის პიხოცესი, მედიაციის, მოსამართლე, სამოქალაქო დავა, საკანონმდებლო ცვლილება.

## 1. შესავალი

სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ელემენტია, არა მხოლოდ დემოკრატიული ლეგი-

---

\* სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აფელირებული ასისტენტი.



ტიმაცია, არამედ – „მოქალაქეებთან სიახლოვე“ და „მოქალაქეებზე ორიენტირებულობა“.<sup>1</sup> თანამედროვე სამართალს კი ათწლეულებია უკვე, რაც შეეხო ცვლილებების ეტაპი და ამ ცვლილებებს შორის დომინირებს მედიაცია,<sup>2</sup> რომლის წარმატებული ინსტიტუციონალიზაცია სასამართლო სისტემაში, სწორედ მითითებული ღირებულებების განხორციელების შესაძლებლობებს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ მედიაციის, დღესდღეობით გავრცელებული, ძირითადი ფორმების თვალსაზრისით დამკვიდრებულია: სასამართლო (სავალდებულო) და სასამართლოს გარე (კერძო) მედიაცია, რომელიც ნებაყოფლობითი მედიაციის სახელწოდებითაც მოიხსენიება. არსობრივად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, თავის მხრივ, სასამართლო მედიაცია ორგვარია:

1. სასამართლოსთან არსებული მედიაცია (*Court-annexed Mediation*),<sup>3</sup> რომელიც ინსტიტუციურად კოორდინაციაში სასამართლოსთან, თუმცა, პროცედურულად დამოუკიდებელია, როგორც ცალკე მდგომი სამართლებრივი ინსტიტუცია.<sup>4</sup>

2. სასამართლო მედიაცია (*Judicial Mediation*),<sup>5</sup> რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან შენობისა და პერსონალის კუთხით. ამ შემთხვევაში, მედიატორი შეიძლება იყოს მოქმედი მოსამართლე,<sup>6</sup> მოსამართლეს შესაძლებელია მიე-

---

<sup>1</sup> ხუბუა გ., ყაღიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბ., 2018, 174.

<sup>2</sup> Goyder B., Mediation and the Law, University of Durham, Student Law Journal, Issue 5, 1996, 35.

<sup>3</sup> Steffek F., Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Basedow J., Hopt J. K., Zimmermann R., Stier A. (eds.), Oxford University Press, Oxford, Vol. II, 2012, 1163.

<sup>4</sup> Lindblom P. H., Progressive Procedure, Iustus, Uppsala, 2017, 422.

<sup>5</sup> Brunet E., Judicial Mediation and Signaling, Nevada Law Journal, Issue 2, 2002, 232.

<sup>6</sup> Steffek F., Mediation und Güterichterverfahren, Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP), N<sup>o</sup>3, Verlag C.H.Beck, München, 2013, 538. იხ. ციტირება: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასა-

ნიჭოს მედიატორი-მოსამართლის სტატუსი, თუკი ის დააკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო რეგულირება არ ითვალისწინებს მოსამართლის მიერ მედიაციის წარმოების შესაძლებლობას. შესაბამისად, სასამართლო მედიაციის სხვაგვარი ფორმა ყურადღების მიღმაა დარჩენილი, თუმცა, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პირობებში, რის შესაძლებლობასაც ადასტურებს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, მნიშვნელოვნად მიიჩნევა მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების კვლევა, მისი კონცეპტუალური მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული, მნიშვნელოვანია მოსამართლის ფუნქციისა და დანიშნულების სწორი განმარტებისთვის, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაციის შემთხვევაში, მოსამართლისთვის მედიაციის წარმართვის შესაძლებლობის მინიჭებით, რომ ჩამოყალიბდეს მოსამართლე-მედიატორის ცნება და პრინციპები.

შესაძლო ცვლილების შემთხვევაში, მოსამართლის სტატუსისა და საქმიანობის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, უნდა დაეფუძნოს სწორედ ინსტიტუტის სამართლებრივი ხასიათისა და კონცეპტუალური მახასიათებლების სისტემურ ანალიზს, რაც მის როლს განასხვავებს სტანდარტული სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში უფლებამოსილების გამოვლენისგან. ასევე, ვინაიდან, მედიაცია საქართველოში, მიუხედავად „მედიაციის შესახებ“ კანონის მიღებისა, ჯერ კიდევ ახალ ინსტიტუტად განიხილება, ქართული სამართლებრივი სივრცე გარკვეული თვალსაზრისით განიცდის სამეცნიერო კვლევების სიმწირეს კომპლექსური მიმართულებით, რაც ადასტურებს რიგი საკითხების კვლევის საჭიროებას, რასაც არსებითად დაეფუძნება მიღებული შედეგები და მედიაცია,

---

მართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 184.

რომელიც ტერმინის ზოგადი დასახელებიდან გარდაიქმნება ერთმანეთისგან განსხვავებულ - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმა-საშუალებებად. ფორმა-საშუალებების მრავალფეროვნება კი დღის წესრიგში აყენებს მედიაციის განმახორციელებელი - უფლებამოსილი პირების სტატუსის განსაზღვრას.

კვლევაში გამოყენებულია, როგორც მეცნიერული, ისტორიული, აგრეთვე, ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

## 2. მედიაციის ცნება-ნიშნები, მიზნები და ამოცანები

ალბერტ აინშტაინი მიუთითებდა: „ინტელექტის გამოვლინების ნამდვიდ ნიშანს წახმოადგენს წახმოსახვის უნახი და ახა ცოდნა“.<sup>7</sup> ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლებელია შეფასდეს წარმოსახვის უნარის არსებობა, არის დავის გადაწყვეტის გზების მოძიების შესაძლებლობა უფლებამოსილი პირის მიერ. სამართლის თანამედროვე განვითარების ტენდენციებისა და მზარდი უნიფიკაციის პირობებში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა დავის გადაწყვეტისას შეარჩიონ: სასამართლო სამართალწარმოება, არბიტრაჟი, მედიაცია, მოლაპარაკება, ექსპერტის შეფასების საფუძველზე გადანყვეტილების მიღება ან სხვა,<sup>8</sup> თუმცა მხარეთა ინტერესის თანაბარ-მნიშვნელოვანი შესწავლისა და წარმოჩენის ეფექტურ საშუალებად, მედიაცია განიხილება.

მედიაცია მოლაპარაკების მცდელობაა, სადაც ნეიტრალური პირი – მედიატორი – დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში. მედიატორი შეთან-

---

<sup>7</sup> Viereck S., What Life Means to Einstein, The Saturday Evening Post Journal, 1929.

<sup>8</sup> Benzidi S., Med-Arb: How to Mitigate the Risk of Setting Aside or Refusal of Recognition and Enforcement of a Med-Arb Award, American Journal of Mediation, Vol. 10, 2017, 2.

ხმების პირობებზე გავლენას არ ახდენს, მხოლოდ და მხოლოდ, მედიაციის პროცესს უძღვება და მონაწილე მხარეებს ეხმარება შეთანხმებას მიაღწიონ უფრო სწრაფად, ვიდრე ისინი ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ.

მედიატორი წარმოადგენს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ პირს, რომელიც მხარეებს ეხმარება კონსენსუსის მიღწევაში. მედიაციის მთავარი არსი და დანიშნულება, რაც მისი გამოვლინების ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში დომინირებს, არის ის, რომ აღდგეს და შენარჩუნდეს ის ურთიერთობები მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე და იმ ფორმით, რაც ორივე მხარისთვის მისაღებია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის ერთ-ერთი მიზანი სოციალური ხასიათისაა და წარმოადგენს უპირატესად ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებას.<sup>9</sup> მედიაციაში, როგორც წესი მთავარია კონკრეტულ ინტერესებზე აქცენტირება და მხარეების კონცენტრაცია აღნიშნული მიმართულებით.<sup>10</sup>

მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიულ საშუალებაზე საუბრისას, ეფექტიანობის დასაბუთების მიზნით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ის დავები, რომელთა გადაწყვეტასაც მისი საშუალებით ცდილობენ, მხოლოდ ორიდან ათ პროცენტამდე აგრძელებენ გზას სასამართლო სისტემაში.<sup>11</sup>

მედიაციის არსებითი ნიშანია ისიც, რომ მისი წარმატებული დასრულება ნიშნავს ორივე მოდავე მხარის „მოგებულ პოზიციას“ მაშინ, როდესაც დავის ტრადიციული გადაწყვეტის

---

<sup>9</sup> ცეხცვაძე გ. (ხედ.), ახევაძე მ., ვასაძე ე., თვაუჩი ხ., ივანიძე გ., მახაუჩი პ., ჟიჟიაშვილი თ., გააკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბღაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 11.

<sup>10</sup> Fisher R., Ury W., Getting To Yes: Negotiating Agreement without Giving In, Printed in the United States of America, 1993, 59.

<sup>11</sup> Pepper R., Mandatory Mediation: Ontario's Unfortunate Experiment in Court-Annexed ADR, Advocates' Quarterly, Issue 4, 1998, 410.

საშუალებები ეფუძნება პრინციპს „მოგება-წაგება“, რაც ერთ-ერთი მხარის არახელსაყრელ მდგომარეობაში უპირობო აღ-მოჩენას ითვალისწინებს.<sup>12</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მედიაცია არ დასრულდება შეთანხმებით, პროცესის მართებულმა განვითარებამ შესაძლებელია ზეგავლენა იქონიოს დამკვიდრებული ატმოსფეროს შეცვლასა და შემდგომი საპროცესო მოქმედებების მეტად ხელსაყრელ მსვლელობაზე.<sup>13</sup> ამასთან, მედიაციის პოპულარობა არსებითად განსაზღვრა მოლაპარაკების ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ პროცესად ფორმირებამ,<sup>14</sup> რაც შესაძლებელია გახდეს საზოგადოების ნდობის ზრდის საფუძველი, მისი, როგორც საკანონმდებლო დონეზე მხარდაჭერილი ინსტიტუტის მიმართ.

გერმანიის ბილგფელდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ნიკლას ლუმანი<sup>15</sup> (1927-1998) განმარტავს, რომ ადამიანს არ შეუძლია შეიმეცნოს სამყარო მთელი თავისი სირთულით. ადამიანი განწირულია ამ სირთულის რედუქციისათვის (შემცირებისათვის).<sup>16</sup> სწორედ სამყაროს სირთულის შემცირების ერთ-ერთ მცდელობად შეიძლება შეფასდეს ადამიანების სურვილი, განახორციელონ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც რიგ კრიტიკოსთა აზრით, მედიაციის კულტურის დამკვიდრების პროცესში სასამართლო მედიაცია უკან გადადგმული ნაბიჯია, რაციონალის-

---

<sup>12</sup> *Bannink F.*, Solution Focused Mediation, *Trial Excellence Journal*, Issue 3, 2008, 13.

<sup>13</sup> *Hughes P.*, Mandatory Mediation: Opportunity or Subversion, *Windsor Yearbook of Access to Justice*, Vol. 19, 2001, 177.

<sup>14</sup> *Sherill J.*, Ethics for Lawyers Representing Clients in Mediation, *Americal Journal for Mediation*, Vol. 6, 2012, 29.

<sup>15</sup> დაიბადა 1927 წელს ლუნებურგში (გერმანია). იურისპუდენციას სწავლობდა ფრაიბურგში, ხოლო მოგვიანებით ჰარვარდში. 1968 წლიდან იყო სოციოლოგიის პროფესორი ბილგფელდის (გერმანია) უნივერსიტეტში.

<sup>16</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 187.

ტებს მიაჩნიათ, რომ მედიაციის პროცესის არაფორმალური ხასიათისა და მხარეთა მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებიდან გამომდინარე, (რაც ერთმნიშვნელოვნად არ იზღუდება სასამართლო მედიაციის წარმოებისას), პროცესში სავალდებულო მონაწილეობის დაწესება ვერ მოახდენს გავლენას მის ნებაყოფლობით ბუნებაზე იმდენად, რომ ხაზი გადაესვას იმ მიზნებს, რომელთა მიღწევაც მისი დახმარებით შეიძლება.<sup>17</sup>

მედიაციის ზემოაღნიშნული მახასიათებლებისა და რიგი სამართლებრივი ინსტრუმენტების მიმოხილვის გათვალისწინებით დგინდება, რომ სამართლებრივი ინსტიტუტის იმგვარი პოპულარობა, რაც დღესდღეობით არსებობს, განაპირობა მისმა შემდეგმა არსებითმა ნიშნებმა:

1. მედიაცია ინტერსებზე და არა უფლებებზე დამყარებული პროცესია;
2. მედიატორის შეთავაზება მხარეთათვის არამბოჭავია;
3. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია;
4. მედიაციის პროცესში შეთანხმება ნებაყოფლობითია.<sup>18</sup>

### **3. მედიაციის გამოვლენის ფორმები საერთაშორისო-სამართლებრივ სივრცეში**

მედიაციის ძირითადი ფორმების თვალსაზრისით, დომინირებს: სასამართლო (სავალდებულო) და სასამართლოს გარე (კერძო) მედიაცია, რომელიც ნებაყოფლობითი მედიაციის სახელწოდებითაც მოიხსენიება. ნაშრომის მიზნებისათვის კი არსობრივად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, თავის მხრივ, სასამართლო მედიაცია ორგვარია: 1. სასამართლოს-

---

<sup>17</sup> Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, *Rabels-Zeitschrift für Ausländisches und Internationales Privatrecht (the Rabel Journal)*, №4, 2010, 745.

<sup>18</sup> შუაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 13.

თან არსებული მედიაცია (*Court-annexed Mediation*<sup>19</sup>), რომელიც ინსტიტუციურად არის კოორდინაციაში სასამართლოსთან, თუმცა, პროცედურულად აბსოლუტურად დამოუკიდებელია სასამართლოსგან, როგორც ცალკე მდგომი ინსტიტუცია.<sup>20</sup> 2. სასამართლო მედიაცია (*Judicial Mediation*)<sup>21</sup>, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან შენობისა და პერსონალის კუთხით. მედიაციის მსგავსი ფორმის დროს, მედიატორი შეიძლება იყოს მოქმედი მოსამართლე.<sup>22</sup>

მედიაციის გავრცელებული ფორმების ილუსტრაციისა და საუკეთესო პრაქტიკის მითითების მიზნით, გასათვალისწინებელია სამართლის შესაბამის დარგში წარმატებულ სახელმწიფოთა გამოცდილება.

კანადის მასშტაბით მიღებულია ორივე ფორმის სასამართლო მედიაციის წარმოება – გამოიყენება როგორც სასამართლოსთან არსებული (*Court-annexed Mediation*), ასევე სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია (*Judicial Mediation/Dispute Resolution*)<sup>23</sup>, ე.ი. მიდგომა, რომლის შესაბამისად, მოსამართლეები თავად ითავსებენ მედიატორის როლს მედიაციის პროცესში.<sup>24</sup>

---

<sup>19</sup> Steffek F., Mediation, in *The Max Planck Encyclopedia of European Private Law*, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A. (eds.), Oxford University Press, Oxford, Vol. II, 2012, 1163. იხ. ციტირება: *ყანდაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 9.

<sup>20</sup> Lindblom P. H., *Progressive Procedure*, Iustus, 2017, Uppsala, 422.

<sup>21</sup> Brunet E., *Judicial Mediation and Signaling*, Nevada Law Journal, Issue 2, 2002, 232.

<sup>22</sup> Steffek F., *Mediation und Güterichterverfahren*, Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP), №3, Verlag C.H.Beck, München, 2013, 538. იხ. ციტირება: *ყანდაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 184.

<sup>23</sup> Richler J., *Court-Based Mediation in Canada*, Judges' Journal, Issue 3, 2011, 14.

<sup>24</sup> იქვე, 16.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ალტერნატივა რეგულირების არცერთ ეტაპზე, არცერთი მნიშვნელობით არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს, დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო მეტი მოსამართლე საკუთარი ინიციატივით ჩაერთო ამ პროცესში. ისინი იწყებდნენ მედიაციის შეთავაზებას საერთო სასამართლოების განსჯად საქმეებზე. ამ თვალსაზრისით, მოსამართლეთა გააქტიურება ონტარიოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდანაც აღინიშნა, თუმცა, საკითხის აქტუალობა მხოლოდ მოსამართლეთა ინტერესით არ შემოიფარგლება – ჩართულობა ეტაპობრივად გაიზარდა მხარეთა მხრიდანაც.

მითითებული ტენდენციის გამომწვევ მიზეზად სახელდება უშუალოდ მედიაციის, როგორც ინსტიტუტის, თანმდევნი, დადებითი შედეგები და ის გარემოება, რომ მოლაპარაკების-/მედიაციის პროცესში, მოსამართლის მონაწილეობა ატარებს ავტორიტეტულ და დამარწმუნებელ ხასიათს, რაც, თავის მხრივ, არსებითად განსაზღვრავს მედიაციის ეფექტიანობას. შესაბამისად, მიმდინარე დროისათვის, კანადის ალბერტას პროვინციაში აღნიშნული მექანიზმისათვის მიმართვა დასაშვებია სასამართლო საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. არსებობს მოსაზრება, რომ ამ პროცესმა, შესაძლებელია, მიიღოს მცირე მასშტაბის სასამართლოს ფორმა.<sup>25</sup> ამის გათვალისწინებით, კანადაში, სასამართლოსმიერი მედიაციის ფორმას, მხარეები, უმეტეს შემთხვევაში, აფასებენ პოზიტიურ გამოცდილებად მორიგების ფაქტის დადგომისა და მისი საერთო შედეგების მიუხედავად.<sup>26</sup> ამ შემთხვევაში, მედიაციის პროცესის პრინციპები შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული იდეოლოგიის გამოხატულებად, რადგან ის ქმნის საუბრის შესაძლებლობას და ალბათობას, მიღწეულ იქნეს იმგვარი შედეგები, რომელიც ვერ განხორციელდებოდა სხვა პროცესის

---

<sup>25</sup> *Richler J.*, Court-Based Mediation in Canada, *Judges' Journal*, Issue 3, 2011, 17.

<sup>26</sup> *Landerkin H., Pirie, A.*, What's the Issue: Judicial Dispute Resolution in Canada, *Law in Context: A Socio-Legal Journal*, Issue 1, 2004, 28.



წარმოებისას. სწორედაც – მედიაციის ფუნდამენტური ღირებულებებია:

1. მხარეთა წახალისება, მონაწილეობა მიიღონ მედიაციის პროცესში;

2. მედიაცია წარმოადგენს მხარეთა თვითპასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ პროცესს;

3. ამ ფორმით ხორციელდება მშვიდობის ხელშეწყობა, რომელიც ეხმარება ფუნდამენტურ უფლებებსა და ღირებულებებს.<sup>27</sup>

აღსანიშნავია გერმანიის გამოცდილებაც, კერძოდ, გერმანული სამართლის მიმართ კვლევის ინტერესი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ გერმანული დოქტრინა, მე-19 საუკუნიდან დღემდე, იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ იგი თეორიული სწავლების პრაქტიკული წყარო გახდა არა მარტო გერმანული კანონმდებლობისათვის, არამედ სხვა სახელმწიფოებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. ამ დოქტრინისთვის დამახასიათებელი აბსტრაქტული აზროვნების სტილი კარგად მოერგო ქართულ ცნობიერებას.<sup>28</sup>

მედიაციის ფორმების თვალსაზრისით, გერმანიაში დამკვიდრებულია მედიაციის გამოვლინების სამივე განხილული ფორმის ალტერნატივა: ა) სასამართლოსთან არსებული მედიაცია (*Court-Annexed Mediation*), ბ) სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია (*Judicial Mediation*), რომელიც, თავის მხრივ, გარდაიქმნა გ) სასამართლოს გარე/კერძო მედიაციად (*Private Mediation*).

გერმანიაში საქმის განმხილველ მოსამართლე-მედიატორს მოდავე მხარეთა თანხმობის გარეშე გერმანიის სამო-

---

<sup>27</sup> Landerkin H., Pirie, A., What's the Issue: Judicial Dispute Resolution in Canada, *Law in Context: A Socio-Legal Journal*, Issue 1, 2004, 31.

<sup>28</sup> სუხგუდაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002. მითითებულია: ჩიგაშვიდი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, 27.

ქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდგომში (EGZPO) 278-ე მუხლის შესაბამისად შეუძლია დანიშნოს მომრიგებელ მოსამართლესთან შეხვედრა, ხოლო, მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლია საქმის მასალების სამართლებრივი ასპექტების შეფასება, მოდავე მხარეებისათვის მედიაციის პროცესზე პირადად გამოცხადების მოთხოვნა და თუ მხარე არ შეასრულებს მომრიგებელი მოსამართლის მოთხოვნებს, მას შეუძლია დაატყაროს კიდევ იგი.<sup>29</sup> ე.ი. სასამართლოსთან არსებული მედიაციის საპირისპიროდ, ადმინისტრაციულ დონეზე პოპულარულია სასამართლო მედიაციის ფორმა, რომლის დროსაც მოსამართლეს თავად აქვს უფლება, თუ ჩათვლის საქმეს სამედიაციო მიზნებისთვის შესაფერის დავად, საქმე გადასცეს თავის კოლეგა მოსამართლეს, რომელსაც მედიატორის ფუნქცია ექნება და შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ამ დავასთან, როგორც დავის განმხილველ მოსამართლეს, არ ექნება შემხებლობა.<sup>30</sup>

მრავალი მოსამართლე მედიაციაში ფასიან კურსებს გადის, რათა შეასრულოს მეტად საპატიო მედიატორის ფუნქცია სასამართლო მედიაციის პროცესში. თუმცა, ამ კატეგორიის მედიატორებს, სხვა ტერმინით მოიხსენიებს კანონმდებელი (*Guterichter*)<sup>31</sup> და მათ მიჰნავს კერძო მედიატორებისგან, რათა

---

<sup>29</sup> Hopt J. K., Steffek F., *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 550. მითითებულია: წერაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 56.

<sup>30</sup> Greger R., *Gerichtsinterne Mediation*, *The Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Max-Planck-Institute für Ausländisches und Internationales Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 793. იხ. ციტირება: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 206.

<sup>31</sup> Moltmann-Willisch A., *Der Richter als Mediator-das Erweiterte Guterichtermodell in der Zivilgerichtsbarkeit in Haft F., Schlieffen K.G., Handbuch Mediation*, C.H.Beck, München, 3 Auf., 2016, 1199-1200.

კერძო მედიაციის ცენტრებს ხელი არ შეეშალოთ მედიაციის დანერგვასა და განვითარებაში.<sup>32</sup>

#### **4. მოსამართლის როლის განსხვავება ტრადიციული სასამართლო საქმისწარმოებისა და სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესებს შორის**

მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, მოსამართლეთა წარმატებული მონაწილეობის მაგალითები, ბადებს კითხვას: რა ფორმით უნდა გამოვლინდეს მოსამართლის როლი სასამართლო მედიაციის წარმოების შემთხვევაში? მედიაციასა და სასამართლო წარმოებას შორის არსებულ განსხვავებებზე მსჯელობისას, სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, ყურადღება, არსებითად, შემდეგ მახასიათებლებზე გამახვილდება:

მედიაციის წარმოების შემთხვევაში პროცესის მონაწილეები (მათ შორის მოსამართლეები, სასამართლოსმიერი მედიაციის წარმოებისას) ერთიანდებიან დასმული საკითხების გადაჭრის მეთოდების მოძიების თვალსაზრისით. პროცესის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტის საუკეთესო გზების მიგნება. ამასთან, იქმნება შესაძლებლობა, მორიგების პირობები შეედაროს სასამართლოს გზით დავის გადაწყვეტის შემთხვევაში მიღებულ შედეგებს. სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით, ხდება არა მხოლოდ დასმული საკითხების მოკვლევა, არამედ შესაძლებელია კონფლიქტის განმაპირობებელი ფარული მიზეზების აღმოფხვრა. მედიაცია მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოონ პირდაპირი მოლაპარაკება, რაც ზრდის ოპონენტის პოზიციის აღქმისა და ანალიზის ალბათობას. იქმნება ემოციური ბარიერების დაძლევის შესაძლებლობაც.<sup>33</sup>

---

<sup>32</sup> *ყანგაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 206.

<sup>33</sup> *Weil R.*, *Mediation in a Litigation Culture: The Surprising Growth of Mediation in New York*, 2011, 9.

რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია დაისვას კითხვები სასამართლოსმიერ მორიგებასა და მედიაციის კონცეპტუალურ მსგავსებასთან დაკავშირებით. სასამართლოსმიერი მორიგების შემუშავების პროცესში შესაძლოა მოსამართლეს ჩაერთოს – როგორც შუამავალი, კანონის მცოდნე, დამხმარე პირი, რომელიც დაინტერესებულია, რომ დავა მორიგებით დასრულდეს.

მოსამართლის, როგორც პროფესიონალის, ჩართულობა მოლაპარაკებების პროცესში აისახება მოლაპარაკებით მიღწეულ შედეგებზე.<sup>34</sup> ასეთი „ჩართვა“ არა მხოლოდ თავად სასამართლოს ინიციატივით, არამედ, უფრო ხშირად, მხარეებისა და, მათ შორის, ადვოკატების სურვილიცაა.<sup>35</sup> თუმცა, რეალურად, სასამართლო მედიაცია მისი არსითა და პროცესში ჩართული მედიატორის როლით სასამართლოსმიერი მორიგებისგან არსობრივად განსხვავდება. სასამართლო საქმისწარმოებისას მხარეები შესაძლებელია კონკრეტული ნორმების გავლენის ქვეშ მოექცნენ, პროცესი არ იძლევა საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც მედიაციის პროცესში სამართლის როლი და მნიშვნელობა არ ბოჭავთ მხარეებს.

მედიაციის დროს ორივე მხარე შეუზღუდავია მიდგომებში, მიაღწიონ შეთანხმებას იმაზე, რაც მათ ინტერესში თავსდება. რა დროსაც, მნიშვნელოვანი მხოლოდ ისაა, რომ ეს ინტერესი ორივე მხარისთვის იყოს მისაღები, მედიაციაში რაზეც იხარჯება კიდევ რესურსი.<sup>36</sup>

---

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის №ას-790-747-2015 განჩინება.

<sup>35</sup> *მამაიაშვიდი თ.*, მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017, 85.

<sup>36</sup> *Trams K.*, Die Mediationsvereinbarung-eine Vertragsrechtliche Analyse, Tectum Verlag, 2008, 13. იხ. ციტირება: *ყანდაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 36.

შესაბამისად, განსხვავება ძალზედ თვალშისაცემია, რადგან მოსამართლე საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია მაშინ, როდესაც მედიატორს მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია.<sup>37</sup> მედიაციის პროცესში მხარეებს უადვილდებათ ნეიტრალური მესამე პირის წინაშე მათი რეალური ინტერესების და პოზიციების დაფიქსირება, ესმით რა, რომ ეს კონფიდენციალური პროცესია და რომ ის ვერ იღებს საქმეზე რაიმე სახის მბოჭავ გადაწყვეტილებას მაშინ, როდესაც სასამართლოსმიერი მორიგების პროცესში, მოსამართლის წინაშე მხარეებს უწევთ პოზიციების დაფიქსირება, რაც შესაძლებელია ერთგვარ დისკომფორტსაც კი უქმნიდეთ მათ. ისინი ანალიზებენ იმ გარემოებას, რომ შეუთანხმებლობის შემთხვევაში, იგივე მოსამართლე, რომელსაც ექნება ინფორმაცია მხარეების მორიგების მიზნით დაფიქსირებული პოზიციებისა და მათი წინაპირობების შესახებ, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირს. მოსამართლის შინაგანი რწმენა შესაძლოა გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს, როდესაც მორიგების მიზნით მოისმენს მხარეთა გულწრფელ მოსაზრებებს.<sup>38</sup>

ყოველივე აღნიშნული, რაც ერთგვარად განსაზღვრავს მედიაციის სუბსტანციას და მის განსხვავებას სასამართლოსგან - ასახავს კონცეფციას მოსამართლის გამორჩეული როლის მიმართ იმ სახელმწიფოთა მასშტაბით, სადაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლის მიერ მედიაციის წარმართვის შესაძლებლობას. რამეთუ, მოსამართლის მიერ წარმართული მედიაცია არის სტანდარტული მედიაცია, რა დროსაც ადგილი აქვს პროცესის ჩვეულებრივ მიმდინარე-

---

<sup>37</sup> Hopt J. K., Steffek F., *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 16.

<sup>38</sup> Eidenmüller H., *Verhandlungsmanagement Durch Mediation*, in Henssler L. K (Hrsg) *Mediation in der Anwaltspraxis*, Deutscher Anwaltverlag, 2. Aufl., 2004, 62. იხ. ციტირება: ყანდაშვიდი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 35.

ობას, რაზეც მედიაციის პრინციპები ვრცელდება. არსობრივი განსხვავება კი ერთადერთია და მხოლოდ მედიატორის სტატუსში მდგომარეობს.<sup>39</sup>

## 5. დასკვნა

მოსამართლის როლის მეცნიერული ანალიზი სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში უნდა ეფუძნებოდეს მედიაციის ინსტიტუტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი არსებითი მახასიათებლების განსაზღვრას, რადგან მედიაციის ფუძემდებლური მახასიათებლების კვლევის გარეშე შეუძლებლად ჩაითვლება მოსამართლის როლის გამოვლენა აღნიშნულ პროცესში.

მნიშვნელოვნად მიიჩნევა, მედიაციის არსისა და მისი ძირითადი ნიშნების მეცნიერული კვლევა, რაც, თავის მხრივ, სასამართლო მედიაციის პროცესში მოსამართლის როლის განმსაზღვრელ წინაპირობებად უნდა შეფასდეს. ამასთან, ქართულ მეცნიერულ სივრცეში, აქტუალურია, მედიაციის ორი ძირითადი ფორმის – სასამართლო/სავალდებულო და სასამართლოს გარე/კერძო მედიაციის გამიჯვნის საკითხი, რომლებიც მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ერთმანეთს რიგი ფუძემდებლური სახელმძღვანელო პრინციპებით, მაგრამ განსხვავდებიან როგორც არსობრივი თვალსაზრისით, აგრეთვე – თანმდევი სამართლებრივი შედეგებით.

მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, საკანონმდებლო დონეზე, სასურველია განისაზღვროს სასამართლო მედიაციის ორი შესაძლო ფორმა – სასამართლოსთან არსებული და სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის სახით, რომელთაგან საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა მიმდინარე დროისთვის, მხოლოდ სასამართლოსთან არსებული მედიაციის კონცეფციას იცნობს. ამავე დროს, ვინაიდან

---

<sup>39</sup> Brunet E., Judicial Mediation and Signaling, Nevada Law Journal, Issue 2, 2002, 232-233.

მედიაცია ინტერდისციპლინურ სფეროსთან დაკავშირებული კატეგორიაა, უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ მასზე სამოსამართლო სტანდარტების ავტომატური გავრცელება არ იქნება გამართლებული, რადგან მოსამართლის როლი მედიაციის პროცესში უნდა დაეფუძნოს შესაბამისი ინსტიტუტის არსებითი მახასიათებლების განსაზღვრას.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997.
2. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
3. მამაიაშვიდი თ., მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017, 85.
4. სუხგუდაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002.
5. ყანდაშვიდი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 184.
6. ჩიგაშვიდი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, 27.
7. ცეხცვაძე გ. (იდე.), ახევაძე მ., ვასაძე ე., თვაუჩი ხ., ივანიძე გ., მახაუჩი პ., ჟიჟიაშვიდი თ., გაკაშვიდი ს., ხუჭუა თ., ჯიბდაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 11.
8. წუდაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 56.
9. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 187.

10. ხუბუა გ., ყაღრიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბ., 2018, 174.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის №ას-790-747-2015 განჩინება.
12. *Alexander N.*, Four Mediation Stories from Across the Globe, *Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Vol. 74, №4, 2010, 745.
13. *Benzidi S.*, Med-Arb: How to Mitigate the Risk of Setting aside or Refusal of Recognition and Enforcement of a Med-Arb Award, *American Journal of Mediation*, Vol. 10, 2017, 2.
14. *Bannink F.*, Solution Focused Mediation, *Trial Excellence Journal*, Issue 3, 2008, 13.
15. *Brunet E.*, Judicial Mediation and Signaling, *Nevada Law Journal*, Issue 2, 2002, 232-233.
16. *Eidenmüller H.*, Verhandlungsmanagement durch Mediation, in *Henssler L.K (Hrsg) Mediation in der Anwaltspraxis*, Deutscher Anwaltverlag, 2 Auf., 2004, 62.
17. *Fisher R., Ury W.*, Getting to Yes: Negotiating Agreement Without Giving In, Printed in the United States of America, 1993, 59.
18. *Greger R.*, Gerichtsinterne Mediation, *The Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Max –Planck-Institute fur ausländisches und internationales Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 793.
19. *Goyder B.*, Mediation and the Law, *University of Durham, Student Law Journal*, Issue 5, 1996, 35.
20. *Haft F., Schlieffen K. G.*, Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3 Auf., 2016, 1199-1200.
21. *Hopt J. K., Steffek F.*, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 16, 550.
22. *Hughes P.*, Mandatory Mediation: Opportunity or Subversion, *Windsor Yearbook of Access to Justice*, Vol. 19, 2001, 177.
23. *Landerkin H., Pirie A.*, What's the Issue: Judicial Dispute Resolution in Canada, *Law in Context: A Socio-Legal Journal*, Issue 1, 2004, 28, 31.



24. *Lindblom P. H.*, Progressive Procedure, *Iustus*, Uppsala, 2017, 422.
25. *Pepper R.*, Mandatory Mediation: Ontario's Unfortunate Experiment in Court-Annexed ADR, *Advocates' Quarterly*, Issue 4, 1998, 410.
26. *Richler J.*, Court-Based Mediation in Canada, *Judges' Journal*, 2011, 14, 16-17.
27. *Steffek F.*, Mediation, in *The Max Planck Encyclopedia of European Private Law*, *Basedow J.*, *Hopt J. K.*, *Zimmermann R.*, *Stier A.* (eds.), Oxford University Press, Oxford, Vol. II, 2012, 1163.
28. *Steffek F.*, Mediation und Güterichterverfahren, *Zeitschrift für Europäisches Privatrecht*, (ZEuP), №3, Verlag C.H.Beck, München, 2013, 538.
29. *Sherill J.*, Ethics for Lawyers Representing Clients in Mediation, *American Journal for Mediation*, Vol. 6, 2012, 29.
30. *Trams K.*, *Die Mediationsvereinbarung-eine Vertragsrechtliche Analyse*, Tectum Verlag, 2008, 13.
31. *Weil R.*, *Mediation in a Litigation Culture: The Surprising Growth of Mediation in New York*, 2011, 9.

## დავით კაკოიშვილი\*

### ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობის ეთიკური საფუძვლები მედიაციის პროცესში

მედიაციის პროცესი ობიექტივობაზეა მბაჰეთა შეთანხმებაზე, ხის გამოც მოდაპაჰაკების ძიხითადი ფუნქცია მბაჰეებს ენიჭებათ, ჰომდე-ბიც ხშირად მედიაციის პროცესში ადვოკატი წაჰმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობენ. ადვოკატ წაჰმომადგენლებს აკისრიათ გაჰკვეუდი ეთიკური ვადლებულები მედიაციაში მონაწილე მბაჰეთა მიმაჰთ.

სტატიის მიზანია, გაანადიზოს ადვოკატების, ჰოგოხც წაჰმომადგენელთა ჰორი მედიაციის პროცესში და ამის საფუძველზე გამოიკვიდოს თუ ჰა ეთიკური ვადლებულები აკისრიათ მათ და ვის მიმაჰთ. საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუადუხია ვინადან საქაჰთვე-ლოში ცოტა ხნის წინ მიიღეს „მედიაციის შესახებ“ კანონი და რამო-ყადიბდა საქაჰთველოს მედიატოხთა ასოციაცია. შესაბამისად, დღის წესიგში დადგა მედიაციაში მბაჰეთა წაჰმომადგენლებისთვის ეთიკის კოდექსის მიღების საკითხი. ამჟამად, აღნიშნულ საკითხზე მიმდინაჰე-ობს მუშაობა. წინამდებაჰე სტატია კი ხედს შეუწყობს ამ პროცესს, მი-მოიხიდავს ჰა თუ ჰომედი ეთიკური ვადლებულები უნდა დაეკისროს მბაჰეთა ადვოკატ წაჰმომადგენლებს და ვადლებულების ეფექტიანად აღსჰუდებისთვის ჰა ცვლილები უნდა შევიდეს მოქმედ კანონმდებლო-ბაში.

**საკვანძო სიგყვები:** მედიაცია, მედიაციის პროცესი, ადვოკატი, ად-ვოკატი წაჰმომადგენელი, ეთიკური ვადლებულები, კეთილსინდისიეჰე-ბა, კონფიდენციალობა, აღსჰუდება, კდიენტის საუკეთესო ინტეჰესები, ჰრევის მიცემა.

## 1. შესავალი

„კონფიდეტი ადამიანთა უჰთიეჰობების განუყოფედი ნა-წიდი და ბუნებხივი კომპონენცია. ჰოგოხი მოწესიგებუდიც აჰ უნდა იყოს საზოგადოებხივი ყოფა და ჰოგოხი გამაჰთუდაც აჰ

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

უნდა მუშაობდნენ სამახთლებივი ინსტიტუტები, სოციალური კონფლიქტებს თავიდან ვეხ ავიცილებთ, ხადგან ის ადამიანთა უხითეხითობის თანმდევი მოვდენაა.“<sup>1</sup>

მედიაცია მხარეებს უნიკალურ შესაძლებლობას ანიჭებს, მათ შორის წარმოშობილი დავა განიხილონ მოლაპარაკებით სასამართლო დარბაზის გარეთ. ის მხარეებს, ასევე, საშუალებას აძლევს დისკუსია გამართონ მნიშვნელოვან საკითხებზე მიუკერძოებელი მედიატორის თანდასწრებით, რომელიც ცდილობს ხელი შეუწყოს მორიგების პროცესს. შესაბამისად, დავის მოგვარების ეს მეთოდი მხარეებს უტოვებს შესაძლებლობას დავა იმგვარი გზებით გადაწყვიტონ, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის სასამართლო პროცესების ან დავის გადაწყვეტის სხვა საშუალების დროს.<sup>2</sup> ბოლო პერიოდში მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მშვიდობიანი გზის ცნობადობა და დაინტერესება იზრდება.<sup>3</sup>

მედიაცია წარმოადგენს საკმაოდ კომპლექსურ და რთულ პროცესს, რომელშიც ჩართულია რამდენიმე სუბიექტი, პროცესის განმავლობაში მათ თავიანთი ფუნქცია და როლი გააჩნიათ. როგორც წესი, მედიაციის პროცესში ჩართულები არიან მედიატორი და მხარეები (ორი ან რამდენიმე), თუმცა აღიარებულია, რომ მედიაციის პროცესში მხარეებს შესაძლოა ჰყავდეთ წარმომადგენლები და აგრეთვე, პროცესში ჩართულნი იყვნენ მესამე პირები<sup>4</sup> ან სამედიაციო ცენტრები.<sup>5</sup> მედიაციის პროცესში ჩართულ პირებს თავისი უფლება-მოვალეობები აქვთ.

---

<sup>1</sup> წუდაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, თბ., 2017, 30.

<sup>2</sup> Newman G. Z., Kim Y., The Increasing Popularity and Utility of Mediation. American Bar Association's Section of Litigation Newsletter, 2012.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იხ. ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 168.

<sup>5</sup> იქვე, 112-170.

მედიაციის პოპულარობის, კომპლექსურობის და მასში მონაწილე სუბიექტების მატებასთან ერთად იზრდება საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც პრობლემური შესაძლოა იყოს უშუალოდ მედიაციის პროცესში. ერთ-ერთი ამგვარი საკითხი არის მხარეთა წარმომადგენლების ეთიკური ვალდებულებების და ქცევის სტანდარტის საკითხი. როგორც წესი, მედიაციის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის სამართლის აქტები არ ზღუდავენ თუ ვინ შეიძლება იყოს მხარის წარმომადგენელი მედიაციის პროცესში.<sup>6</sup> თუმცა, ვინაიდან მედიაცია მხარეებს შორის წარმოშობილი დავების მოგვარებისკენაა მიმართული, როგორც წესი, მხარეებს ამ პროცესში წარმომადგენენ ადვოკატები<sup>7</sup> და ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს. მით უფრო, თუ დავა ეხება დიდ თანხებს, მოსალოდნელია, რომ მედიაციაში მონაწილე ყველა მხარე პროცესზე წარმოდგენილი იყოს ადვოკატის სახით.<sup>8</sup>

ტრადიციულად, ადვოკატის როლი პირველ ყოვლისა იყო კლიენტების წარმოდგენა სასამართლოს წინაშე.<sup>9</sup> მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებული შეჯიბრებითი პროცესის

---

<sup>6</sup> იხ. მაგ.: UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2018; Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 2008; German Mediation Act, 2012; საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.

<sup>7</sup> იხ. *ყანჩაშვილი ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვისა და თვითგამორკვევის პრინციპთა ურთიერთმიმართება, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 183-184.

<sup>8</sup> *Sternlight Jean R.*, Lawyers' Representation of Clients in Mediation: Using Economics and Psychology to Structure Advocacy in a Nonadversarial Setting, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 14, №2, 1999, 269-270.

<sup>9</sup> *Corbin L., Baron P., Gutman J.*, ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between: Lawyers in Mediations, *UNSW Law Journal*, Vol. 38, №2, Berlin, 2015, 498.

პირობებში, ადვოკატები თამაშობენ დომინანტ როლს დავების გადაწყვეტაში.

წარმომადგენლობა ნიშნავს კლიენტის სასარგებლოდ მგზნებარე ადვოკატირებას.<sup>10</sup> სასამართლოში ან არბიტრაჟში შეჯიბრებითი პროცესისგან განსხვავებით მედიაციის დროს, მასში მონაწილე ორივე მხარე უნდა ეცადოს კომპრომისის მიღწევას და არა უპირატესობის მოპოვებას პროცესის მიმდინარეობისას.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, რადგანაც მედიაციის პროცესი განსხვავებულია შეჯიბრებითი პროცესისგან, ნათელია, რომ წარმომადგენლის ქცევაც უნდა იყოს განსხვავებული და მორგებული ამ პროცესს. ხოლო ის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ ქცევას მედიაციის პროცესს არ არგებენ გამოდის, რომ „ძველ ღვინოს ახალ ტიკში ასხამენ“, რამაც შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.<sup>12</sup>

იმისათვის, რომ წარმომადგენლებმა თავიანთი ქმედება მედიაციის პროცესს მოარგონ, მათ თავიანთი ქცევა გარკვეულ სტანდარტებს უნდა დაუქვემდებარონ. აღნიშნული სტანდარტები, როგორც წესი, ცნობილია როგორც მედიაციის პროცესში წარმომადგენლების ქცევის ეთიკური პრინციპები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეთიკა, მისი არსის გათვალისწინებით, მოკლებულია ზუსტი განსაზღვრების შესაძლებლობას. ზოგადად, ის შეიძლება განიმარტოს, როგორც გარკვეული პროფესიული ჯგუფისთვის აღიარებული ქცევის წესების ერთობლიობა. ეთიკურად ითვლება დამკვიდრებული პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისი ქცევა. მისი შესწავლა კი გულისხმობს მორალური გადაწყვეტილებების კვლევას, მათი ავკარგიანო-

---

<sup>10</sup> Nolan-Haley J., *Lawyers, Clients, and Mediation*, Notre Dame Law Review, Vol. 73, №5, 1997, 1372.

<sup>11</sup> Furlan F., Blumstein E., Hofstein D. N., *Ethical Guidelines for Attorney-Mediators: Are Attorneys Bound by Ethical Codes for Lawyers When Acting as Mediators?*, Ethical Guidelines, Vol. 14, 1997, 3.

<sup>12</sup> Nolan-Haley J., *Lawyers, Clients, and Mediation*, Notre Dame Law Review, Vol. 73, №5, 1997, 1373.

ბის განსაზღვრას მორალური ვალდებულებების თვალთახედვით.<sup>13</sup>

მედიაში წარმომადგენლობის ეთიკური საფუძვლების შესწავლის და ბუნდოვანებებში სიცხადის შეტანის მიზნით, სტატიაში განხილული იქნება შემდეგი: წარმომადგენს თუ არა მედიაციის პროცესი „სამართლის განხორციელების“ პროცესს და რა არის წარმომადგენლის (ადვოკატის) დანიშნულება, როლი და ფუნქცია მედიაციის დროს. ამასთან, იმისათვის, რომ უკეთესად იქნეს გაგებული ეთიკური საფუძვლები, მიმოხილული იქნება თუ რა ძირითადი ეთიკური ვალდებულებები აქვს ადვოკატ წარმომადგენელს მედიაციის პროცესში ჩართული მხარეების მიმართ. აღნიშნული საკითხების მიმოხილვის შემდეგ, პასუხი გაეცემა კითხვას თუ რა სამართლებრივ შედეგს იწვევს წარმომადგენელთა მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევა და შემოთავაზებული იქნება რეკომენდაციები.

კვლევის მიზანია მედიაციაში ადვოკატის მონაწილეობის მნიშვნელობასა და პრინციპებს შორის კავშირის ჩვენება და ამ კონტექსტში ძირითადი წესების და პრინციპების მიმოხილვა, ისევე როგორც რეკომენდაციების შემოთავაზება, რაც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და პრაქტიკის სწორი მიმართულებით განვითარებას.

## **2. ახორციელებს თუ არა სამართალს ადვოკატი წარმომადგენელი მედიაციის პროცესის დროს**

ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები და სტანდარტები, როგორც წესი, იწყება ე.წ. „ზოგადი“ წესებით და ვალდებულებებით, რომელიც სავალდებულოა ადვოკატებისთვის მათი პროფესიული ცხოვრების ყველა ასპექტში და პირად

---

<sup>13</sup> ჩიგაშვიდი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 25.

ცხოვრებაშიც კი. ეს მოიცავს ვალდებულებებს თავი შეიკავონ იმგვარი ქმედების განხორციელებისგან, რომელმაც შეიძლება შელახოს იურიდიული პროფესიის რეპუტაცია, იმოქმედონ კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, იყვნენ კეთილსინდისიერი და პირნათელი მათი პრაქტიკის განხორციელების დროს.<sup>14</sup> ზოგიერთი ქვეყნის იურისდიქციაში კი არსებობს სპეციალური წესები, რომლებიც შექმნილია იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც მედიაციის პროცესში მონაწილეობენ, როგორც წარმომადგენლები,<sup>15</sup> თუმცა უმეტესწილად, ამგვარი კონკრეტული სტანდარტები არ არსებობს და მედიაციაში ადვოკატთა წარმომადგენლობის დროს მათი ქცევის შეფასება უნდა მოხდეს ადვოკატთა ეთიკის კოდექსების და წესების მიხედვით.

ზოგადი წესების გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ კონკრეტული საქმე ხვდებოდეს აღნიშნული კოდექსების თუ წესების გამოყენების სფეროში. ვინაიდან მსგავსი წესები ვრცელდება ადვოკატებზე თუ ისინი „სამართლის განხორციელებაში“ არიან ჩართულნი,<sup>16</sup> ისმის კითხვა, როდესაც ადვოკატი მხარის წარმომადგენლად მონაწილეობს მედიაციის პროცესში, ახორციელებს თუ არა იგი სამართალს ანუ მის პროფესიულ საქმიანობას? ეს არის უმნიშვნელოვანესი კითხვა იმის განსასაზღვრად, უნდა გავრცელდეს თუ არა მედიაციაში მონაწილე ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმები და შესაბამისი ქცევის ვალდებულებები.<sup>17</sup>

---

<sup>14</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, 2015, 12.

<sup>15</sup> იქვე. იხ. Guidelines for Lawyers in Mediations by Law Council of Australia, 2011.

<sup>16</sup> იხ. Model Rules of Professional Conduct by ABA, 2002. შეად. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, რომელიც განმარტავს, რომ მასში მითითებული პრინციპები გამოიყენება ადვოკატის მიერ მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს.

<sup>17</sup> *Furlan F., Blumstein E., Hofstein D.N.*, Ethical Guidelines for Attorney-Mediators: Are Attorneys Bound by Ethical Codes for Lawyers When Acting as Mediators?, Ethical Guidelines, Vol. 14, 1997, 6.

კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განიმარტოს - რას წარმოადგენს ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობა, რადგან „სამართლის განხორციელების“ ფუნდამენტი მოიცავს სწორედ ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობას. ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობა არის სამართლებრივი ურთიერთობა მხარეებს შორის, რომელიც დამყარებულია ორ წინაპირობაზე, პირველი, კლიენტის რწმენაზე, რომ ის იღებს სამართლებრივ დახმარებას, და მეორე, ადვოკატის მიერ იმავს მინოდებაზე.<sup>18</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მოუწია მსჯელობა ამ საკითხზე, რის შედეგად რამდენიმე საქმეზე დადგინდა ტესტი თუ რა ითვლება „სამართლის განხორციელებად“. აღნიშნული ტესტი მოიცავს ადვოკატის მიერ სამართლებრივ საკითხზე ქმედებების განხორციელებას და კლიენტის მიერ ადვოკატზე დაყრდნობას.<sup>19</sup> ამასთან, ქმედების განხორციელების შეფასებისას სასამართლოები ინტერესდებიან იყო თუ არა ინდივიდუალური გარემოებების მისადაგება სამართალთან - ადვოკატის მიერ, დაიხარჯა თუ არა დრო სამართლებრივ საკითხებზე და რა იყო „სამართლებრივი მომსახურების“ კონცეფცია.<sup>20</sup>

აღნიშნული ტესტის მიხედვით ნათელია, რომ მედიაციის პროცესში მონაწილეობა წარმოადგენს ადვოკატის მიერ „სამართლის განხორციელებას“, რადგან მედიაციის პროცესში განიხილება სამართლებრივი დავის მოგვარება, რა დროსაც ადვოკატები ახდენენ კონკრეტული გარემოებების და სამართლებრივი საკითხების იდენტიფიკაციას, აფასებენ რისკებს, შესაძლო სამართლებრივ განვითარებებს და ა.შ. აღნიშნულს კი ანდომებენ დროს. ამავდროულად, კლიენტები იღებენ და ითვალისწინებენ ან უარყოფენ ადვოკატთა რჩევას.

---

<sup>18</sup> Furlan F., Blumstein E., Hofstein D.N., Ethical Guidelines for Attorney-Mediators: Are Attorneys Bound by Ethical Codes for Lawyers When Acting as Mediators?, Ethical Guidelines, Vol. 14, 1997, 6.

<sup>19</sup> იქვე, 15.

<sup>20</sup> იქვე.



„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მედიაციის პროცესში ადვოკატის მიერ მხარისთვის წარმომადგენლობის განწვევა უნდა ჩაითვალოს ადვოკატის პროფესიულ საქმიანობად (საადვოკატო საქმიანობა), რადგან იგი ამ პროცესში რჩევას აძლევს კლიენტს.<sup>21</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენელთა ქმედების ეთიკური საფუძვლების შეფასების დროს გამოყენებული იყოს ადვოკატთა ქცევის კოდექსები/რეგულაციები, რომლებიც, ადგენენ ადვოკატის ქცევის ზოგად წესებს.

ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ სახელმწიფოებს, სამედიაციო ინსტიტუციებს/ასოციაციებს ან თავად მედიაციის მონაწილე მხარეებს არ შეუძლიათ შექმნან უფრო კონკრეტული და მედიაციის პროცესზე მორგებული ეთიკის სტანდარტები, რომლებშიც მითითებული იქნება თუ კონკრეტულად რა სტანდარტებით და პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ მედიაციაში მონაწილე ადვოკატ წარმომადგენლებმა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადვოკატთა ეთიკის ზოგადი წესების გამოყენების და მისი მედიაციის პროცესში მისადაგების შემთხვევაში, ამ წესების გამოყენება და განმარტება უნდა მოხდეს არა ისე, როგორც ეს ხდება სასამართლოში ან არბიტრაჟში ადვოკატის მონაწილეობის შემთხვევაში, არამედ მედიაციის პროცესის და ამ პროცესში ადვოკატ წარმომადგენლის განსხვავებული როლის და ფუნქციის მიხედვლობაში მიღებით. შესაბამისად, აღნიშნულისთვის აუცილებელია სწორად იქნეს გაგებული ადვოკატის როლი და ფუნქცია მედიაციის პროცესში.

---

<sup>21</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-2 მუხლი. იხ. ასევე, ჩანგღაძე ხ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდუელი 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 235-236.

### 3. ადვოკატ წარმომადგენლის როლი და ფუნქცია მედიაციის პროცესში

მედიაციაში ადვოკატთა მონაწილეობის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ადვოკატების მონაწილეობა მედიაციის პროცესში კარგია, რადგან ადვოკატები ეხმარებიან მხარეებს მათი რეალური სურვილებისა და ინტერესების გამოკვეთაში,<sup>22</sup> თუმცა, მეორე მხრივ, მედიაციის დროს შეჭიბრებითობის პრინციპის განუხრელი დაცვის შემთხვევაში ადვოკატი დიდი ალბათობით განიცდის წარუმატებლობას, რადგან მედიაციის პროცესში კრეატიულობა, მეორე მხარის ინტერესებზე ფოკუსირება და საკითხების განზოგადება (და არა დავინროება) შეიძლება იყოს უფრო ფასეული.<sup>23</sup>

მედიაციის პროცესში, შესაძლებელია, რამდენიმე ტიპის ადვოკატის გამოყოფა, მათ შორის, ადვოკატი როგორც: მრჩეველი, მომლაპარაკებელი, შემფასებელი და პრობლემის გადამჭრელი.<sup>24</sup> თუმცა ყველა ამ ტიპის ადვოკატმა უნდა შეძლოს დაივიწყოს ის ფუნქცია, რომელიც მას აქვს სასამართლო დარბაზში და მხედველობაში მიიღოს მედიაციის პროცესის სპეციფიკა.

#### 3.1. მრჩევლის როლი

აღსანიშნავია, რომ ადვოკატი, პირველ რიგში, ირგებს მრჩევლის ფუნქციას და კლიენტს აწვდის მისთვის კანონით

---

<sup>22</sup> ცეხცვაძე გ., მედიაცია, თბ., 2010. 232. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Doneff A., Ordover A., Alternatives to Litigation: Mediation, Arbitration, and the Art of Dispute Resolution*, third edition, Boulder, 2014, 99-100.

<sup>23</sup> *Menkel-Meadow C., Ethics in Alternative Dispute Resolution: New Issues, No Answers from the Adversary Conception of Lawyers' Responsibilities*, *South Texas Law Review*, Vol. 38, №407, 427.

<sup>24</sup> *ხაზმაძე ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 7.*

მინიჭებული უფლებების და მოვალეობების შესახებ ინფორმაციას, განუმარტავს მას მედიაციის პროცესის პრაქტიკულ შედეგებს.<sup>25</sup> შესაბამისად, ეს ფუნქცია არის დომინანტი ფუნქცია მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის დროს.<sup>26</sup> კლიენტისთვის კონსულტაციის განვევისას ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს და შეაფასოს თუ რამდენად შესაბამისია მედიაცია კლიენტის მოთხოვნებთან. თუ კლიენტი გადანყვეტს ჩაერთოს მედიაციაში, ადვოკატის მრჩევლის ფუნქცია ამ დროს მოიცავს არაერთ დაგეგმვით და მონაწილეობისთვის აუცილებელ სხვა გადანყვეტილებას - მხარესთან შეთანხმებით.<sup>27</sup>

მხარეები მედიაციის პროცესში თავიანთ ისტორიებს მედიატორს, ადვოკატებსა და მონაწილეებს უყვებიან. გრძნობები და ემოციები ასეთ დროს ღირებულია. მედიაციის პროცესში კლიენტის ისტორიის მოსმენისას ადვოკატებს შეუძლიათ გამოხატონ თანაგრძნობა, რაც მათ კლიენტებთან თანამშრომლობასა და პრობლემების გადაჭრაში უფრო მეტად დაეხმარებათ.<sup>28</sup>

იმისათვის, რომ ადვოკატმა სათანადოდ შეასრულოს ეს ფუნქცია, აუცილებელია, მან პირველ რიგში გამოიკვლიოს კლიენტის პოზიცია - ფაქტები და კლიენტის ემოციური მდგომარეობა.<sup>29</sup> გამოკვლევის პროცესის შინაარსმა შეიძლება მოიცვას: ეკონომიკური, სოციალური, ფილოსოფიური, ლოგიკური, მორალური, პოლიტიკური და რელიგიური საკითხები.<sup>30</sup> მე-

---

<sup>25</sup> *ხაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 7.

<sup>26</sup> იხ. *Golann D.*, *Mediating Legal Disputes: Effective Strategies for Lawyers and Mediators*, Little, Brown, 1996, 125-126.

<sup>27</sup> *Nolan-Haley J.*, *Lawyers, Clients, and Mediation*, *Notre Dame Law Review*, Vol. 73, №5, 1997, 1376.

<sup>28</sup> *ხაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 13-14.

<sup>29</sup> იხ. *Binder D. A.*, *Price S. C.*, *Legal Interviewing and Counseling: A Client-centered Approach*, West Publishing Company, 1977, 52-68

<sup>30</sup> *Nolan-Haley J.*, *Lawyers, Clients, and Mediation*, *Notre Dame Law Review*, Vol. 73, №5, 1997, 1384.

ორე რიგში, ადვოკატი უნდა შეეცადოს გაიგოს კლიენტის წინასწარი მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკების დროს შეიძლება ეს მიზნები შეიცვალოს, ადვოკატმა პატივი უნდა სცეს კლიენტის უპირატესობებს მათი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, რომ კლიენტს აქვს ზოგადი აღქმა იმის შესახებ თუ რა მოხდება მედიაციის პროცესში. ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მიზანი აქვს კონსულტაციის განევას, როგორც კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობისთვის, ისე მედიაციის პროცესისთვის. აგრეთვე ადვოკატმა უნდა მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა როლი ექნება მედიაციის პროცესში მას და რა - ადვოკატს.<sup>31</sup> კლიენტებმა უნდა იცოდნენ, თუ რით განსხვავდება მედიაციის პროცესი სასამართლოში საქმის წარმოებისგან.<sup>32</sup>

მრჩევლის როლი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტს მისცეს ზოგადი განმარტება იმ სამართლის შესახებ, რომელიც გამოსაყენებელია მის საქმეში, რათა მოლაპარაკების დროს, მათ შეეძლოთ გაცნობიერებულად შეაფასონ ალტერნატიული სამართლებრივი ქმედებები.<sup>33</sup>

### 3.2. მომლაპარაკებლის როლი

ადვოკატი, როგორც მომლაპარაკებელი, ცდილობს კლიენტისთვის ხელსაყრელი და სასურველი შედეგის მიღწევას.<sup>34</sup>

---

<sup>31</sup> Nolan-Haley J., *Lawyers, Clients, and Mediation*, Notre Dame Law Review, Vol. 73, №5, 1997, 1384.

<sup>32</sup> იქვე. აღნიშნული კუთხით ადვოკატის როლის შესახებ იხ. Douglas K., *Batagol B.*, *The Role of Lawyers in Mediation: Insights from Mediators at Victoria's Civil and Administrative Tribunal*, Monash University Law Review, Vol. 40, №3, 2014, 762.

<sup>33</sup> Nolan-Haley J., *Lawyers, Clients, and Mediation*, Notre Dame Law Review, Vol. 73, №5, 1997, 1385.

<sup>34</sup> *ხაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 7.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა თავის სასარგებლოდ უნდა ილაპარაკონ, ადვოკატებიც არიან ნებადართულნი კლიენტის სასარგებლოდ მოილაპარაკონ მედიაციის პროცესში.<sup>35</sup>

თუმცა, მომლაპარაკებლის როლი არ მოიცავს მხოლოდ მოლაპარაკების შესაძლებლობას მოწინააღმდეგე მხარესთან. აღნიშნული ასევე მოიცავს მოლაპარაკებას კლიენტთან, რაც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს შეთანხმების მიღწევის პროცესში, ვიდრე მეორე მხარესთან კლიენტის ინტერესების გაჟღერება და კლიენტის პოზიციის ადვოკატირება.

კლიენტთან მოლაპარაკების მთავარი ფაქტორი კი არის ადვოკატსა და კლიენტს შორის იდეების გაცვლა და დებატი შედეგებსა და საშუალებებზე, მიზნებსა და სტრატეგიებზე.<sup>36</sup> მოთათბირება კლიენტსა და ადვოკატს შორის ხდება მაშინ, როდესაც სახეზეა ეჭვები ან აზრთა სხვადასხვაობა. მსგავსი მოლაპარაკების/თათბირის დროს კლიენტის მიზნები შეიძლება შეიცვალოს, რათა მან დაინახოს „პრობლემის ყველა კუთხე“ და „განავითაროს ახალი ხედვა, იდეები და პერსპექტივები“.<sup>37</sup> საბოლოოდ, მოლაპარაკების გზით, კლიენტის მიერ ცალმხრივი პერსპექტივის დაძლევა საწინდარი შეიძლება იყოს მეორე მხარესთან შეთანხმების მისაღწევად.<sup>38</sup>

### 3.3. შემფასებლის როლი

ადამიანები ადვოკატთან მიდიან რადგან მათ სჭირდებათ, ან ფიქრობენ რომ სჭირდებათ სამართლებრივი შეფასებები და წვდომა სამართლის სისტემაზე, რომელიც მათთვის

---

<sup>35</sup> Nolan-Haley J., *Lawyers, Clients, and Mediation*, Notre Dame Law Review, Vol. 73, №5, 1997, 1376-1377.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> მედიაციის პროცესში ადვოკატის, როგორც მომლაპარაკებლის როლის პრობლემემატიკის შესახებ იხ. Clark B., *Lawyers and Mediation*, Springer, 2012, 106-108.

სხვაგვარად არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ადვოკატებისთვის ნებადართული ქმედებაა, რომ მათ კლიენტებს წარუდგინონ მათი მოსაზრებები და შეფასებები მედიაციის პროცესის ფარგლებში.<sup>39</sup>

კერძოდ, შემფასებლის როლში ადვოკატი შეისწავლის კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს და ამის შემდგომ წარუდგენს მის მოსაზრებებს კლიენტსა და პროცესის სხვა მონაწილეებს.<sup>40</sup> ამასთან, ადვოკატმა შეიძლება მიმოიხილოს მედიაციის პროცესში გაჟღერებული არგუმენტები კლიენტის წინაშე და საბოლოოდ შეაფასოს სამედიაციო შეთანხმება. შეფასება არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქცია ადვოკატისათვის.<sup>41</sup>

აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატმა მიიღოს გადაწყვეტილება, არამედ მან, უნდა შეაფასოს ფაქტები, სამართლებრივი საკითხები, პოტენციური რისკები და შესაძლებლობები, ამ მიმართულებით გაზარდოს კლიენტის ცოდნა და დაეხმაროს მას გარემოების უკეთ აღქმაში.

### 3.4. „პრობლემის გადამჭრელის“ როლი

ზოგადად ადვოკატის როლს ყველაზე კარგად შეესაბამება ტერმინი „პრობლემის გადამჭრელი“. კერძოდ, ადვოკატირება ნიშნავს პრობლემის მოგვარებას. შესაბამისად, ადვოკატებს აქვთ უნარები დაეხმარონ კლიენტებს, როგორც სასამართლო სამართალწარმოების, ისე დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების დროს, მაგრამ,

---

<sup>39</sup> *Nolan-Haley J., Lawyers, Clients, and Mediation, Notre Dame Law Review, Vol. 73, №5, 1997, 1388*

<sup>40</sup> *Corbin L., Baron P., Gutman J., ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between: Lawyers in Mediations, UNSW Law Journal, Vol. 38, №2, Berlin, 2015, 499.*

<sup>41</sup> *Nolan-Haley J., Lawyers, Clients, and Mediation, Notre Dame Law Review, Vol. 73, №5, 1997, 1376-1377.*

პრობლემის გადაჭრა სასამართლოს კონტექსტში ნიშნავს ადვოკატირების და წესების ინტერპრეტირების უნარების გამოყენებას საქმის მოგების მიზნით, მაშინ როდესაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის კონტექსტში პრობლემის გადაჭრა მოითხოვს დიალოგს და მოლაპარაკებას.<sup>42</sup>

პრობლემის გადამჭრელ ადვოკატს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მედიაციაში: ხშირად მხარეებს აქვთ არათანაბარი ცოდნა, ფინანსური შესაძლებლობები და გამოცდილება და ადვოკატის მონაწილეობამ შეუძლია გამოასწოროს ეს. თუ ადვოკატები არ არიან წარმოდგენილი პროცესზე, მაშინ, როგორც წესი, მედიატორი ადგენს სამედიაციო შეთანხმებას, რომელიც მხარეებმა უნდა გააცნონ თავიანთ ადვოკატებს, რათა დაეთანხმონ მას ან უარყონ. ეს კი იწვევს მხარეების საბოლოო შეთანხმების მიღწევის გადავადებას და ზრდის შესაძლებლობას, რომ ერთ-ერთი მხარე გადაიფიქრებს და უარყოფს ფაქტობრივად უკვე მიღწეულ შეთანხმებას.<sup>43</sup>

როგორც პრობლემის გადამჭრელი, ადვოკატი უმალ და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაეხმარება მხარეებს გაიგონ ერთმანეთის შეხედულებები და მიაღწიონ დავის გადაწყვეტას/შეთანხმებას, რომელიც მისაღები იქნება მათთვის და შეესაბამება მათ საჭიროებებს.<sup>44</sup>

#### **4. ადვოკატ წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში**

მედიაციის პროცესში წარმომადგენლების გარდა ჩართულნი არიან სხვა პირებიც. კერძოდ, როგორც შესავალში

---

<sup>42</sup> Corbin L., Baron P., Gutman J., ADR Zealots, Adjudicative Romanticism and Everything Between: Lawyers in Mediations, UNSW Law Journal, Vol. 38, №2, Berlin, 2015, 499.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> Ardagh A., Cumes G., Lawyers and Mediation: Beyond the Adversarial System?, Australian Dispute Resolution Journal, Vol. 9, 1998, 73.

აღნიშნა მედიაციის პროცესში მონაწილეობენ უშუალოდ მხარეები და მედიატორი. ამასთან, პროცესში შესაძლოა ჩართულნი იყვნენ მესამე პირები და სამედიაციო დაწესებულებები. ადვოკატ წარმომადგენლებს ეთიკური ვალდებულებები აქვთ, პირველ რიგში, თავიანთი კლიენტების მიმართ, ასევე, მედიატორისა და სხვა მონაწილეთა მიმართ, ისევე როგორც ზოგადად სამართლებრივი სისტემის მიმართ.

აღნიშნული ვალდებულებები, რომლებიც ადვოკატებს აკისრიათ და გადმოცემულია შესაბამის წესებში, როგორც წესი, საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და მათში არსებობს ხვრელები, რადგან შეუძლებელია ყველა იმ გარემოების წინასწარ განჭვრეტა, რაც, შესაძლოა, მედიაციის პროცესში წარმოიშვას.<sup>45</sup> მაგალითისთვის, წესებით მოთხოვნილია, რომ ადვოკატმა იმოქმედოს კლიენტის „საუკეთესო ინტერესებისთვის“, მაგრამ იგივე წესები არ მოიცავს აღწერას, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული შედეგი, რომელიც კლიენტის საუკეთესო ინტერესშია. შესაბამისად, ადვოკატებს აქვთ დისკრეტია ინტერპრეტაცია გაუკეთონ ამ სტანდარტებს და ეთიკურ წესებს, რათა შეავსონ ხვრელები,<sup>46</sup> თუმცა აღნიშნულის დროს მათ მხედველობაში უნდა ჰქონდეთ გარკვეული გარემოებები, რადგან, მიუხედავად ეთიკის მრავალწახნაგოვნების და განუსაზღვრელობისა, მაინც არსებობს გარკვეული პრინციპები, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებულია და რომლებიც, როგორც წესი, მხედველობაშია მიღებული როდესაც ადვოკატ წარმომადგენლის ქმედების ეთიკური საფუძვლები მონშდება.

შემდგომ ქვეთავებში მიმოხილული იქნება თუ როგორ უნდა იქნეს ადვოკატის ეთიკის ზოგადი პრინციპები და წესები გამოყენებული და მისადაგებული მედიაციის პროცესისთვის.

---

<sup>45</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, *University of New South Wales Law Journal*, 2015, 12.

<sup>46</sup> იქვე.



## 4.1. ადვოკატ წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები კლიენტის მიმართ

### 4.1.1. კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვით მოქმედება

ადვოკატები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.<sup>47</sup> თუმცა ის წესები, რომლებშიც აღნიშნული პრინციპია გადმოცემული შექმნილია შეჯიბრებითი პროცესისთვის.<sup>48</sup> ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესებში მოქმედება, ეწინააღმდეგება მედიაციის არსს და, შესაძლოა, გარკვეულწილად უსამართლო შედეგის გამოწვევიც იყოს. კლიენტისადმი ერთგულება და მიმდევრობა (შეასრულოს მისი ყოველი მითითება) ეწინააღმდეგება და საფუძველს უთხრის ნდობის, კრეატიულობის, გახსნილობის, პრობლემის გადაწყვეტის საერთო მეთოდს, რომელიც მედიაციის საძირკველს წარმოადგენს.<sup>49</sup>

ამასთან, ზოგჯერ კლიენტის საუკეთესო ინტერესი, შესაძლოა, მიღწეულ იქნეს სამედიაციო შეთანხმების გაფორმებით, სხვა შემთხვევაში კი იგი შესაძლებელია სასამართლო პროცესის გზით.<sup>50</sup>

---

<sup>47</sup> კვაჭაძე მ., გასიგაშვიდი ე., ბოჭორიშვიდი კ., კობახიძე ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2011, 18.

<sup>48</sup> კიბუხიძე კ. კ., ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ქურჭელს (ტიკი, რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან): იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 144.

<sup>49</sup> ჩაბმაცხე ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 17.

<sup>50</sup> ხაჩევაძე გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 115.

შესაბამისად, იმისათვის, რომ ადვოკატმა კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს და სწორი რჩევა მისცეს, პირველ რიგში, აუცილებელია მან განსაზღვროს თუ რა არის კლიენტის საუკეთესო ინტერესი.<sup>51</sup> ამისთვის საჭიროა, ადვოკატმა მიიღოს ინფორმაცია, რა დამოკიდებულება აქვს კლიენტს დავის გადაწყვეტის პროცესებთან მიმართებით. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი კლიენტისთვის მისი ინტერესების შესატყვისი დავის გადაწყვეტის გზების შეთავაზება.<sup>52</sup>

თუმცა, ამ კონტექსტში კიდევ უფრო საინტერესოა სავალდებულო მედიაციის შემთხვევა, როდესაც მხარეებს სასამართლო ავალდებულებს სასამართლოში დავამდე სცადონ დავა მედიაციით გადაწყვიტონ. სავალდებულო მედიაციის შემთხვევაში, შესაძლოა კლიენტის საუკეთესო ინტერესს მეორე მხარესთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩენა წარმოადგენდეს. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში ადვოკატმა? თუნდაც გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ კონფრონტაცია ძირს უთხრის მედიაციის პროცესს?

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ადვოკატი უნდა შეეცადოს მონახოს „ოქროს შუალედი“, რომ ერთი მხრივ, იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები, ხოლო მეორე მხრივ, ეს ისე გააკეთოს, რომ აზრი არ დაუკარგოს მედიაციის პროცესს და მხედველობაში ჰქონდეს მისი მიზნები, რადგან, რაც არ უნდა იყოს კლიენტის პირველადი ინტერესი, ყოველთვის არსებობს შანსი იმისა, რომ მხარეები შეთანხმდებიან.

---

<sup>51</sup> იმის შესახებ კლიენტის ინტერესთა თუ რა სახეები და კატეგორიები არსებობს დანვრილებით იხ. *ყანდაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018; ასევე, *გუჩიედი ა.*, ადვოკატის როლი სამოქალაქო სასამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადულის 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 133.

<sup>52</sup> იქვე.

კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულებას ადვოკატისთვის ითვალისწინებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ ხოლო „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ თანახმად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.<sup>53</sup>

აღნიშნულ ნორმათა სიტყვასიტყვითი განმარტებით ნათელია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს კლიენტის ინტერესის პრიორიტეტულობის მოთხოვნას. ამ ღია სივრცეს ავსებს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, რომლის პირველივე მუხლი პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად გამოყოფს კლიენტის ინტერესის პრიორიტეტულობას, ხოლო მე-5 მუხლში მას ცალკე განმარტავს. გარდა ამისა, კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს, რომ „...კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს..... დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა“.<sup>54</sup> ეს კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვის და ასევე, მედიაციის განვითარების მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანი ჩანაწერია, რამდენადაც ადვოკატის ვალდებულებაში შედის, რომ მან გააანალიზოს, როგორ და რა საშუალებით შეიძლება იქნეს კლიენტის მიზნები და საჭიროებები უკეთესად დაცული და რეალიზებული.<sup>55</sup>

---

<sup>53</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, მე-5 მუხლი.

<sup>54</sup> იქვე. მე-8 მუხლის მე-11 ნაწილი.

<sup>55</sup> ყანჩაშვიდი ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვისა და თვითგამორკვევის პრინციპთა

ამასთან, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი, საუბრობს რა ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესებში მოქმედებაზე, აკეთებს დათქმას, რომ „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“ აღნიშნული ჩანაწერი ნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესების გათვალისწინება უპირობოდ არ უნდა მოხდეს და ამ პროცესში ადვოკატმა უნდა დაიცვას კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები. ბუნებრივია, როდესაც საქმე ეხება მედიაციას, ეს ნიშნავს, რომ ადვოკატ წარმომადგენელმა მისი კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვასთან ერთად უნდა დაიცვას „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები და ის პრინციპები, რომელიც აღნიშნულ აქტშია მოცემული.

#### 4.1.2. კომპეტენცია და გულმოდგინება

ადვოკატთა ქცევის ეთიკური სტანდარტები, როგორც წესი ადვოკატებისგან მოითხოვენ, მათ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს გამოიჩინონ სათანადო კომპეტენცია და გულმოდგინება.

მედიაციის ფარგლებში ადვოკატ წარმომადგენლის კომპეტენცია ნიშნავს იმას, რომ ადვოკატს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ცოდნა, უნარები და გამჭრიახობა. მან ეს ყველაფერი უნდა გამოიყენოს მედიაციის პროცესში, ისევე როგორც საქმის გონივრულად მოსამზადებლად თავად პროცესისთვის.<sup>56</sup> თუმცა, ნათელია, რომ აღნიშნული მტკიცება საკმაოდ ზოგადია. ამასთან, განსხვავებით მედიატორებისგან, რომლებსაც სხვადასხვა წესების მიხედვით ხშირად დადგენილი აქვთ კომპეტენ-

---

ურთიერთმიმართება, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 194.

<sup>56</sup> იხ. Moore L. W., *Lawyer Mediators: Meeting the Ethical Challenges*, *Family Law Quarterly* Vol. 30, №3, 1996, 684.

ციის მოთხოვნები,<sup>57</sup> ადვოკატ წარმომადგენლებისათვის კონკრეტულად არ არის დადგენილი კომპეტენტურობის კრიტერიუმები. შესაბამისად, ისმის კითხვა, კონკრეტულად რა კვალიფიკაციის და უნარების ქონა მოეთხოვება ადვოკატ წარმომადგენელს? ანუ რა არის ის მინიმალური კომპეტენცია, რასაც ადვოკატი წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს?

ადვოკატ წარმომადგენელი ჩაითვლება მინიმალური კომპეტენციის მქონედ, თუ მას აქვს სამი საბაზისო კომპონენტი: (ა) საბაზისო შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და აღიქვას კომუნიკაცია (მაგალითად არ მოუვიდეს ინფორმაციით ინტოქსიკაცია); (ბ) შეუძლია მისი როლის, პროცესის და როლთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების ცოდნა და გაცნობიერება; და (გ) აქვს უნარები, რომლებიც საჭიროა ამ როლის შესასრულებლად.<sup>58</sup>

ამ შემთხვევაში შესაბამის ცოდნაში იგულისხმება, რომ ადვოკატმა უნდა იცოდეს და მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს: (ა) დავის არსი და მისი გავლენა მხარეებზე; ბ) კომუნიკაციის, მოლაპარაკების და დარწმუნების თეორიები, მათ შორის მოლაპარაკების დროს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ადამიანების კომუნიკაციაში დახმარება და კომუნიკაციის დროს წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევა; (გ) მედიაციის ბუნება და მისი ეტაპები; (დ) მედიატორის და წარმომადგენლის როლები და მათთან დაკავშირებული ეთიკური და სამართლებრივი მოვალეობები; (ე) შესაძლებლობები, რომ სამართალმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მედიაციის

---

<sup>57</sup> მაგ. ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილია რომ მათ ჰქონდეთ გავლილი ტრენინგი, ქონდეთ მინიმუმ რამდენიმე წლის გამოცდილება და ა.შ. იხ. *Shapira O., A Theory of Mediators' Ethics: Foundations, Rationale and Application, Cambridge, 2016, 163-164.*

<sup>58</sup> შენიშვნა: ვფიქრობ ამ შემთხვევაში კომპეტენციის შეფასების სტანდარტად გამოდგება მედიატორის კომპეტენციის შეფასების სტანდარტის მცირედი ცვლილებებით. შეად. იქვე, 168.

მხარეების უფლებებზე და მნიშვნელობა, მხარეები იყვნენ ინფორმირებული ამგვარ სამართლებრივ შედეგებზე.<sup>59</sup>

ამასთან, ადვოკატ წარმომადგენელს საბაზისო უნარები აქვს თუ ის: (ა) აფასებს საქმის და მხარეების ვარგისიანობას მედიაციის პროცესისადმი; (ბ) კომუნიკაცია აქვს მხარეებთან, მედიატორთან, მოლაპარაკებებს აწარმოებს მათთან და ეხმარება მათ რათა მათ შეძლონ ერთმანეთთან კომუნიკაცია და მოლაპარაკება. ამგვარი უნარები მოიცავს მოსმენის, კითხვების დასმის, აზრის სხვა სიტყვებით გამოთქმის, შეჯამების გაკეთების უნარებს, ასევე წვლილი შეიტანოს მედიატორის მცდელობაში აღმოფხვრას კომუნიკაციის და მოლაპარაკების დროს წამოჭრილი წინააღობები.<sup>60</sup>

ამასთან, ადვოკატ წარმომადგენელი უნდა იჩენდეს სათანადო გულმოდგინებას, რაც ნიშნავს, რომ მან სათანადო ყურადღება უნდა გამოიჩინოს მედიაციის პროცესის მიმართ, ხელი უნდა შეუწყოს მედიაციის პროცესის დროულად გამართვას და თავიდან უნდა აიცილოს ამ მიმართულებით წარმოშობილი შესაძლო დაბრკოლებები.<sup>61</sup>

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ აკმაყოფილებს მინიმალური კომპეტენციის სტანდარტს ან მას არ შეუძლია სათანადო გულმოდგინებით მიიღოს მონაწილეობა მედიაციაში, მათ შორის მედიაციაში მონაწილეობისთვის გამოყოს სათანადო დრო, მან არ უნდა აიღოს საქმე და უარი უნდა თქვას მედიაციაში წარმომადგენლობაზე.

საქართველოში, ადვოკატ წარმომადგენლისთვის კომპეტენტურობის ვალდებულება, როგორც ასეთი, პირდაპირ ვალისწინებული არ არის. თუმცა, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, საადვოკატო

---

<sup>59</sup> შენიშვნა: ვფიქრობ ამ შემთხვევაში კომპეტენციის შეფასების სტანდარტად გამოდგება მედიატორის კომპეტენციის შეფასების სტანდარტის მცირედი ცვლილებებით. შეად. იქვე, 168.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> შეად. ჩიგაშვიდი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 39-40.

საქმიანობის პრინციპებში „პროფესიული კომპეტენტურობის“ პრინციპიც შედის.

აღნიშნული პრინციპი სხვადასხვანაირად უნდა განიმარტოს, როდესაც საქმე ეხება ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას სასამართლოს წინაშე, ხოლო სხვაგვარად, როდესაც იგი კლიენტს წარმომადგენლობას უწევს მედიაციის პროცესში. ვფიქრობ, მედიაციის პროცესში აღნიშნული პრინციპი ზემოთ მითითებული ფაქტორების შუქზე უნდა განიმარტოს, რადგან იგი მორგებულია მედიაციის მახასიათებლებს. ადვოკატის კომპეტენციის და გულმოდგინების სტანდარტის ერთი და იმავე სტანდარტით შეფასება, როგორც სასამართლოს, ისე მედიაციის პირობებში გაუმართლებელია, რადგან, მაგალითისთვის სასამართლოში წარმომადგენლობის შემთხვევაში ადვოკატის მიერ სამართლებრივი ნორმების მიუთითებლობა, შესაძლოა ჩაითვალოს მის მიერ კომპეტენტურობის და გულმოდგინების პრინციპების დარღვევად, მაშინ, როდესაც მედიაციის დროს ადვოკატ წარმომადგენელს არათუ არ მოეთხოვება სამართლებრივი ნორმების და არგუმენტების მოშველიება, არამედ, როგორც წესი, ეს არაფორმალურად ეკრძალება კიდევ.

#### **4.1.3. კლიენტის თვითგამორკვევისთვის ხელშეწყობა**

კლიენტის საუკეთესო ინტერესის დადგენის მიზნით, აუცილებელია, ასევე, ადვოკატმა ხელი შეუწყოს კლიენტის თვითგამორკვევას. მხარეთა თვითგამორკვევა არის მედიაციის ფუნდამენტური საფუძველი. თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით, მედიაციის მხარეები არიან პასუხისმგებელნი იდენტიფიცირება გაუკეთონ საკითხებს, ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, ალტერნატივები და მიიღონ გადაწყვეტილებები.<sup>62</sup>

---

<sup>62</sup> იხ. კოვაკი კ., ადვოკატთა ეთიკა მედიაციაში: კეთილსინდისიერების საჭიროება (კეთილსინდისიერების მოთხოვნის დრო), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდელი 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 180.

შესაბამისად, დავის გადაწყვეტის შესახებ პასუხისმგებლობა აქვთ მედიაციის მონაწილეებს და არა მედიატორს, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება რომელიმე მონაწილის სახელით/ნაცვლად.<sup>63</sup>

ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არამხოლოდ თვითგამორკვევას საბოლოო/შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხის გადაწყვეტისას მედიაციის პროცესში, არამედ იგი ვრცელდება, როგორც მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე, ისე უშუალოდ მედიაციის პროცესის ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე.<sup>64</sup>

შესაბამისად, ადვოკატ წარმომადგენლის როლი ამ შემთხვევაში არის მხარის დახმარება, რათა მან მიიღოს მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება. აღნიშნულისათვის, არსებითია ადვოკატმა შეაგროვოს/მოიძიოს ინფორმაცია კლიენტის ისტორიისა და საქმის შესახებ.<sup>65</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია მან მოუსმინოს კლიენტს.

ამავდროულად, აღნიშნული ვალდებულება ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს კლიენტის უფლებასთან მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, რის უზრუნველსაყოფად, ადვოკატის კიდევ ერთი ვალდებულებაა შესაბამისი რჩევა მისცეს კლიენტს. მითითებულ პრინციპებს შორის ბალანსი იმგვარად უნდა იქნეს მიღწეული, რომ ადვოკატმა, სრული და ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს კლიენტს, მისი დასკვნების თავზე მოხვევის გარეშე, რათა კლიენტს დარჩეს თავისუფლება მისი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილებები.

---

<sup>63</sup> Noone M. A., Ojelabi L. A., Ethical Challenges for Mediators around the Globe: An Australian Perspective, Washington University Journal of Law and Policy, Vol. 45, 2014, 165.

<sup>64</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 115. მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპის მედიაციის ყველა ეტაპზე დაცვის მნიშვნელობის შესახებ იხ. Watkins M. T., Principles of Persuasion, Negotiation Journal, Negotiation Journal, 2001, 129.

<sup>65</sup> იქვე.



ეს პრინციპი პირდაპირ არ არის მოცემული „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში და „პროფესიული ეთიკის“ კოდექსში, თუმცა, პირველი მათგანი ითვალისწინებს ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემისა და დაცვის პრინციპს,<sup>66</sup> ხოლო „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მედიაცია ეფუძნება მათ შორის მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპს.<sup>67</sup> აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ადვოკატს აღნიშნული ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობითაც აკისრია.

#### 4.1.4. რჩევის მიცემა

როდესაც ადვოკატი ურთიერთობას ამყარებს კლიენტთან, ამ უკანასკნელისთვის რჩევის მიცემა ადვოკატის ფუნდამენტურ ვალდებულებად ყალიბდება, რადგან კლიენტები ადვოკატებთან უმეტესად სწორედ აღნიშნულისთვის მიდიან. ამ ვალდებულებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიაციის კონტექსტში, სადაც მხარეთა ინფორმირებული თანხმობა და ნების გამოვლენა პროცესის ღერძს წარმოადგენს.<sup>68</sup>

როგორც ავსტრალიის სამართლის საბჭოს მიერ, მედიაციაში მონაწილე ადვოკატებისთვის შემუშავებულ გაიდლაინში არის მითითებული,<sup>69</sup> „მედიაციის პროცესში ადვოკატის როლია დაეხმაროს კლიენტებს, მისცეს მათ პრაქტიკული და სამართლებრივი რჩევები პროცესთან, ამ პროცესში წამოჭ-

---

<sup>66</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>67</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-3 მუხლი.

<sup>68</sup> მხარეთა ინფორმირებული თანხმობის შესახებ იხ. *Colatrella M. T. Jr.*, Informed Consent in Mediation: Promoting Pro Se Parties' Informed Settlement Choice While Honoring the Mediator's Ethical Duties, University of the Pacific Scholarly Commons, McGeorge School of Law Scholarly Articles, Vol. 15, 2014.

<sup>69</sup> Law Council of Australia, Guidelines for Lawyers in Mediations (2011).

რილ საკითხებთან და გაკეთებულ შეთავაზებებთან დაკავშირებით [...]“

საქართველოს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს“. ადვოკატის ეს ვალდებულება საკმაოდ ზოგადად არის დეკლარირებული და თავად ამ დოკუმენტში არაა მითითებული თუ რა შინაარსის მატარებელია აღნიშნული ჩანაწერი. ვფიქრობ, მედიაციის კონტექსტში ეს ვალდებულება უნდა იქნას განმარტებული საერთაშორისო დონეზე აღნიშნულ საკითხზე არსებული პრაქტიკის შესაბამისად. კერძოდ, აღიარებულია, რომ მითითებული ვალდებულება თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოიცავს რამდენიმე ქვევალდებულებას, რომელიც ადვოკატმა უნდა შეასრულოს და რომელთა განხორციელებასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დასადგენად იყო თუ არა კლიენტის უფლებები სრულყოფილად დაცული მედიაციის პროცესში.

#### **4.1.4.1. დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ფორმის შესახებ ინფორმირება**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხშირია შემთხვევები, როდესაც კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით და დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, კლიენტისთვის უკეთესია თუ მიმართავს დავის გადაწყვეტის შეჯობრებით ფორმებს, როგორცაა სასამართლო ან არბიტრაჟი, ან პირიქით, დავის გადასაწყვეტად გამოყენებული იქნება მოლაპარაკების გზა და მედიაცია.<sup>70</sup>

სასამართლოს, არბიტრაჟს თუ მედიაციას თავისი მახასიათებლები გააჩნიათ და აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყო-

---

<sup>70</sup> დავის გადაწყვეტის სწორი მეთოდის არჩევის შესახებ იხ. *Amburmenil P., Mediation & Arbitration for Lawyers*, London, 1997, 79-80.

ფიტი მხარეები.<sup>71</sup> როგორც წესი, ეს მახასიათებლები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საქმის განხილვის პროცედურები, ხარჯები, მონაწილე პირთა წრე და სხვა.

ადვოკატი ვალდებულია მხარეს მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია იმ ალტერნატივების შესახებ, რომელიც მას კონკრეტული დავის გადაწყვეტის დროს აქვს და ამავე დროს, ურჩიოს, რომელი გზა შეიძლება იყოს მისთვის უფრო ხელსაყრელი და რატომ.

თუ კლიენტის მიერ უკვე არჩეულია მედიაცია ან სახეზეა სავალდებულო მედიაციის შემთხვევა, ადვოკატმა კლიენტს მედიაციის პროცესის დაწყებამდე უნდა აუხსნას მედიაციის ბუნება, მათ შორის მედიატორის როლი, კონფიდენციალურობის ვალდებულების შესახებ, რომ მედიაციის პროცესში გამჟღავნებული ინფორმაცია და მტკიცებულებები ვერ იქნება გამოყენებული სასამართლო ან არბიტრაჟის დროს.<sup>72</sup> რჩევა აგრეთვე უნდა მოიცავდეს იმის აღწერას თუ როგორ მუშაობს მედიაციის პროცესი და რჩევას, თუ რა უფლებებით არის აღჭურვილი კლიენტი, მათ შორის, მედიაციის შეწყვეტის უფლების შესახებ.<sup>73</sup>

საქართველოს კანონმდებლობაც განამტკიცებს ადვოკატის ამ მოვალეობას. კერძოდ, „ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-11 ნაწილი მიუთითებს, რომ „საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა.“ აღნიშნული ჩანაწერი არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად რომ ადვოკატს აქვს ვალდებულება კლი-

---

<sup>71</sup> სასამართლოს და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების მიმართების შესახებ დაწვრილებით იხ. *Fiadjoe A., Alternative Dispute Resolution: A Developing World Perspective*, Cavendish Publishing, 2004.

<sup>72</sup> მედიაციის ე.წ. *“without prejudice”* ბუნება.

<sup>73</sup> *Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers*, CCH Australia Limited, 2010, 213.

ენტს განუმართოს დავის გადაწყვეტის ალტერნატივების არსებობის შესახებ, არამედ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მას აქვს ვალდებულება კლიენტს განუცხადოს დავის გადაწყვეტის თითოეული ხერხის მახასიათებლები, ხოლო, როდესაც საქმე ეხება უშუალოდ მედიაციას, მიაწოდოს პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მისცეს რჩევები.

#### 4.1.4.2. სამართლებრივი რჩევა

ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, რომ კლიენტს ესმის სამართლებრივი საკითხები და მისი შესაძლო უფლებები და ვალდებულებები. აღნიშნული ნიშნავს, რომ ადვოკატმა კლიენტს უნდა მისცეს სამართლებრივი რჩევა, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ კლიენტმა ადვოკატს მისცეს შესაბამისი ინსტრუქციები.<sup>74</sup>

კლიენტმა შესაძლოა არჩიოს, დათანხმდეს შედეგს, რომელიც უფრო ნაკლებ ხელსაყრელად გამოიყურება ადვოკატისთვის, მაგრამ ადვოკატები არ უნდა შეეწინააღმდეგონ კლიენტის სრულად ინფორმირებულ სურვილს, რომ კონკრეტულ საკითხზე შეთანხმდეს.<sup>75</sup>

მედიაციის პროცესში ადვოკატის მოვალეობა კლიენტს მისცეს საჭირო რჩევა შეიძლება მოიცავდეს რაღაც დოზით დამარწმუნებელ „წნეხს“ კლიენტის მიმართ შემოთავაზებულ მორიგებასთან დაკავშირებით. თუმცა, ადვოკატმა არასდროს არ უნდა აიძულოს კლიენტი თანხმობა გამოთქვას მორიგებაზე, რომელიც მისი სურვილის საწინააღმდეგოა, რადგან სწორედ კლიენტი და არა ადვოკატი არის ის პირი, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ნავიდეს კომპრომისზე თუ მართოს სასამართლოს.<sup>76</sup>

---

<sup>74</sup> Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 213.

<sup>75</sup> იქვე, 214.

<sup>76</sup> იქვე.

ერთ-ერთ საქმეში, სარჩელი იქნა აღძრული ადვოკატის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ პროფესიული სტანდარტების დარღვევის ორი საფუძვლით. პირველი, მან არასათანადო ზეწოლა მოახდინა კლიენტზე რათა ეს უკანასკნელი დათანხმებოდა მედიაციის პროცესში შემოთავაზებულ მორიგებას. მეორე, ადვოკატმა არ მოახდინა მის ხელთ არსებული საქმის სათანადო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც კლიენტი მორიგდა არახელსაყრელი პირობებით.<sup>77</sup> სასამართლომ ჩათვალა, რომ ადვოკატის რჩევა, რომ კლიენტი მორიგებულიყო იყო შესაბამისი და არ წარმოადგენდა არასათანადო ზეწოლას, რა დროსაც დაეყრდნო რამდენიმე გარემოებას, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო შემდეგი: ა) კლიენტის საქმე იყო ძალიან რთული; ბ) ადვოკატების მიერ შეფასებულ იქნა კლიენტის საქმის მედიაციაში წარმართვის სირთულეები და ეს ასახულ იქნა მის რჩევაში; გ) ადვოკატმა გამოიჩინა ყურადღება კლიენტისთვის აუხსნა სამართლებრივი კონცეფციები მარტივ და გასაგებ ენაზე და კლიენტთან ის საუბრობდა გერმანულად, რაც კლიენტის მშობლიურ ენას წარმოადგენდა; თ) ადვოკატმა შეაფასა კლიენტის და სხვა მოწმეების სანდოობა; ი) ადვოკატმა კლიენტს აუხსნა სასამართლო პროცესის სავარაუდო ხარჯები და ხარჯები იმ შემთხვევაში თუ წააგებდა სასამართლო პროცესს.<sup>78</sup>

#### 4.1.4.3. არასამართლებრივი გარემოებების გათვალისწინება

თითქმის ყველა საქმეში, მაგრამ განსაკუთრებით იმ საქმეებში, სადაც მედიაციის გამართვა სავარაუდოა, მნიშვნელოვანია ადვოკატმა მხედველობაში მიიღოს კლიენტის მდგომარეობის არასამართლებრივი ასპექტები.<sup>79</sup> როგორც ავ-

---

<sup>77</sup> Studer v. Boettcher [2000] NSWCA 263.

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 214.

სტრალიის სამართლის საბჭოს მიერ, მედიაციაში მონაწილე ადვოკატებისთვის შემუშავებულ გაიდლაინში არის მითითებული,<sup>80</sup> „ადვოკატმა უნდა გაიხედოს სამართლებრივი საკითხების მიღმა და განიხილოს დავა ფართო, პრაქტიკულ და კომერციულ კონტექსტში.“

აღნიშნული გაიდლაინის კომენტარში მითითებულია, რომ ადვოკატმა სამართლებრივი საკითხების შეფასების გარდა, საქმე უნდა განიხილოს კლიენტის ბიზნესის, პერსონალური თუ კომერციული საჭიროებების გათვალისწინებით და შესთავაზოს დავის მოგვარების სხვადასხვა პრაქტიკული ვარიანტი.<sup>81</sup> მსგავსად ამისა, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესებში<sup>82</sup> მითითებულია, რომ კლიენტისთვის რჩევის მიცემის დროს ადვოკატებმა უნდა მიუთითონ არა მხოლოდ სამართალზე, არამედ სხვა გარემოებებზე, როგორცაა მორალური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, რაც შეიძლება რელევანტური იყოს კლიენტის საქმისთვის.

შესაბამისად, ნათელია, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესები შეიძლება მოიცავდეს არასამართლებრივი საკითხების ფართო წყებას, რომლებიც ადვოკატებს შეუძლიათ და უნდა მიიღონ მხედველობაში. არასაკმარისია მხოლოდ ვიწრო სამართლებრივი ხედვის ქონა კლიენტის ინტერესების ფართო სურათით შეფასების გარეშე.<sup>83</sup>

#### 4.1.4.4. რჩევა შეთანხმებაზე

ადვოკატებმა კლიენტებს უნდა მისცენ რჩევა შეთავაზებული შეთანხმების შესახებ. სამართლის მკვლევარები ვერ

---

<sup>80</sup> Guidelines for Lawyers in Mediations by Law Council of Australia, 2011, Art. 5.

<sup>81</sup> Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 215.

<sup>82</sup> Model Rules of Professional Conduct by ABA, 2002, Art. 1.2.(b).

<sup>83</sup> Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 215.

თანხმდებიან საკითხზე, საწინააღმდეგოს შესახებ ცხადი ინსტრუქციის არარსებობის პირობებში, ადვოკატს აქვს თუ არა ნაგულისხმევი უფლებამოსილება შეათანხმოს ისეთი პირობები, რომლებსაც ის კლიენტისთვის საუკეთესოდ მიიჩნევს.<sup>84</sup> თუმცა, ამგვარი ნაგულისხმევი უფლებამოსილება მოძველებულად და პატერნალისტურად არის მიჩნეული. გონიერი ადვოკატი ყოველთვის მოიპოვებს ცხად ინსტრუქციას კლიენტისგან მანამ, სანამ შეთანხმებას დაასრულებს. მსგავსად ამისა, ადვოკატი უნდა იყოს ფრთხილად, რომ კლიენტის დასწრების გარეშე მიღწეული შეთანხმება არ სცდებოდეს მისთვის კლიენტის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას. შესაბამისად, კლიენტის დასწრება პროცესზე, წარმოადგენს პრაქტიკულ დაცვას რათა გაადვილდეს შეთანხმებაზე მყისიერი დასტური და ადვოკატის უფლებამოსილება, შეთანხმდეს კლიენტის სახელით.<sup>85</sup>

სხვადასხვა ქვეყანაში არსებული წესები, ადვოკატებს ავალდებულებს, რომ შეთანხმების მიღწევამდე, კლიენტს მისცენ რჩევა კლიენტის მიერ გასაღები ხარჯების და მისაღები თანხის შესახებ იმ შემთხვევაში თუ საქმე მორიგებით გადაწყდება.<sup>86</sup>

#### 4.1.5. ერთგულება და ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია

ადვოკატებს კლიენტების მიმართ აქვთ ერთგულების ვალდებულება.<sup>87</sup> აღნიშნული გულისხმობს ადვოკატის მიერ მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის მხარდაჭერას. ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს თავის ინტერესებსა და კლიენტის

---

<sup>84</sup> იხ. მაგალითად *Dal Pont G.*, *Lawyers' professional responsibility*, Thomson Reuters (Professional) Australia Limited, 2010.

<sup>85</sup> *Harby S., Rundle O.*, *Mediation for Lawyers*, CCH Australia Limited, 2010, 215.

<sup>86</sup> იხ. მაგალითად *Legal Profession Act 2006 of Australia*, Art. 273

<sup>87</sup> *Spencer D., Brogan M.*, *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, 2006, 204.

ინტერესებს შორის კონფლიქტი. ასევე ადვოკატს აქვს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება კლიენტის მიმართ.<sup>88</sup>

ამ ვალდებულების ფარგლებში ადვოკატებს აქვთ ვალდებულებები თავიდან აირიდონ ინტერესთა კონფლიქტები მათსა და კლიენტებს და ერთ ან რამდენიმე კლიენტს შორის.<sup>89</sup> მოლაპარაკების და მედიაციის კონტექსტში სამი დამატებითი გარემოებას აქვს მნიშვნელობა:

1. ორი ან მეტი მხარის წარმომადგენლობა. ადვოკატმა უნდა წარმოადგინოს არაუმეტეს ერთი მხარე მოლაპარაკების პროცესში მიღწეული შეთანხმების განხილვის და რჩევის გაცემის დროს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მხარეები შეიძლება თანხმდებოდნენ მორიგების დადებაზე, პოტენციური სამომავლო კონფლიქტი მაინც არსებობს.

2. მედიატორის გამოსვლა მხარის წარმომადგენლად. ადვოკატს არ შეუძლია გამოვიდეს როგორც ერთი ან რამდენიმე მხარის წარმომადგენელი იმავე დავაში, რომელშიც ის მანამ მონაწილეობდა როგორც მედიატორი.

3. ადვოკატის გამოსვლა მედიატორად. ზოგადი წესის მიხედვით, მედიატორს არ უნდა ჰქონდეს წარსული ურთიერთობა მხარეებთან. მხარეთა წარმომადგენლებს არ შეუძლიათ შემდგომ შეასრულონ მედიატორის ფუნქცია იმავე დავაში. ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელს არ შეუძლია ასევე მიიღოს მონაწილეობა როგორც მედიატორმა იმავე მხარეთა შორის გამართულ მედიაციაზე, რომელიც სხვა დავებს შეეხება.<sup>90</sup>

ადვოკატები, ამასთან ერთად, ერთგულების მოვალეობის ფარგლებში ვალდებულები არიან კლიენტის სასარგებლოდ განახორციელონ „კანონიერი, სათანადო და კომპეტენტური“

---

<sup>88</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 116.

<sup>89</sup> *Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, 2006, 204.

<sup>90</sup> იქვე.



მოქმედებები და გააგრძელონ კლიენტის ინტერესების დაცვა საკითხის გადაწყვეტამდე.<sup>91</sup>

ადვოკატის ერთგულების და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულება დეკლარირებულია საქართველოს კანონმდებლობაშიც. კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზეც მან უკვე განახორციელა მედიატორის უფლებამოსილება“.<sup>92</sup>

აღნიშნული რეგულაცია კიდევ უფრო დაკონკრეტებულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში“, რომლის მე-6 მუხლი ჩამოთვლის შემთხვევებს, რაც ითვლება ინტერესთა კონფლიქტად ადვოკატისთვის. ამ მუხლის თანახმად, ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაინანაღმდეგო ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ბ) კლი-

---

<sup>91</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 116.

<sup>92</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-8 მუხლი. მსგავსი ჩანაწერი გათვალისწინებულია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლითაც.

ენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

იმ შემთხვევაში თუ ადვოკატს აქვს ზემოაღნიშნული ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ კლიენტს<sup>93</sup> და რის შედეგადაც წყდება კლიენტის ყველა საქმის წარმოება რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა.<sup>94</sup>

#### **4.2. სასამართლოს და მართლმსაჯულების სისტემის წინაშე არსებული ვალდებულებები**

ზოგადი მოვალეობა, რომელიც ადვოკატებს მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის წინაშე გააჩნიათ არის ის რომ მათ პატივი უნდა სცენ და დაემორჩილონ კანონს, მათ შორის მათი პროფესიისთვის დადგენილ ქცევის წესებს. ადვოკატები ხელს არ უნდა უწყობდნენ ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც უკანონოდ, არაკეთილსინდისიერად ან სხვაგვარად არღვევს მართლმსაჯულების პრინციპებს და ადვოკატის პროფესია საეჭვო რეპუტაციამდე მიჰყავს.<sup>95</sup>

---

<sup>93</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>94</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, 11/12/2010, მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>95</sup> *ჩაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 27.

მედიაციის პროცესში აღნიშნული ნორმები შესაძლოა ირ-  
ღვეოდეს სხვადასხვა გზით. პრაქტიკოსი იურისტი არღვევს მო-  
ცემულ წესებს, როდესაც კლიენტს ეხმარება ისეთი შეთანხმე-  
ბის მიღწევაში, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადახ-  
დისგან თავის არიდებას. ადვოკატები არღვევენ მოცემულ და-  
წანწესებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი მეორე მხარის მი-  
მართ იჩენენ არაკეთილსინდისიერებას, კერძოდ, არ უსწორებენ  
ისეთ განცხადებას, რომელიც მართალია იყო სიმართლე, მაგ-  
რამ მოცემული დროისთვის შეცვლილია/არასწორია.<sup>96</sup>

მედიაციის განხორციელების პროცესში პრაქტიკოსმა იუ-  
რისტმა (მხარის ადვოკატმა) არ უნდა მოატყუოს, განზრახ ან  
გაუფრთხილებლობით შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მის  
დაცვაში მყოფი პირი და ასევე, სასამართლო. ამასთან, იგი  
ვალდებულია დააბუსტოს შეცდომაში შემყვანი განცხადება  
პირველივე შესაძლებლობისთანავე, როდესაც შეიტყობს ამ  
ფაქტის შესახებ. თუ ადვოკატი სასამართლოს წარუდგენს შე-  
თანხმების აქტს, რომელიც არ წარმოადგენს მხარეთა ურთი-  
ერთშეთანხმების შედეგს, ამ შემთხვევაში ადვოკატს შეცდო-  
მაში შეჰყავს სასამართლო.<sup>97</sup>

ადვოკატის კიდევ ერთ ვალდებულებას წარმოადგენს სა-  
სამართლოს წინაშე გულწრფელობა: ადვოკატი ვალდებულია  
შეატყობინოს სასამართლოს ნებისმიერი დებულება რომე-  
ლიც მისთვის ცნობილია. თუმცა იმ შემთხვევაში თუ სასამარ-  
თლოში იმყოფება ერთი მოწინააღმდეგე მაინც ადვოკატმა არ  
უნდა გაამჟღავნოს და გააჟღეროს ისეთი ფაქტები, რომლებიც  
მისი კლიენტის ინტერესებს ეწინააღმდეგება.<sup>98</sup>

---

<sup>96</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარ-  
მომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადა-  
წყვეტა, წელიწადეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 110.

<sup>97</sup> იქვე. იხ. Alexander N. M., International and Comparative Mediation:  
Legal Perspectives, the Netherland, 2009, 36-37.

<sup>98</sup> ხაზმაძე ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის  
ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო  
ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 27.

ადვოკატებს მართლმსაჯულების სისტემასა და სასამართლოს წინაშე სხვა სპეციფიკური მოვალეობებიც აკისრიათ. მაგალითად, მათ უნდა უზრუნველყონ სამართალწარმოების ეფექტურად განხორციელება და პასუხისმგებლობით მოეკიდონ სასამართლო პროცესს. თუ ადვოკატი არ დააკმაყოფილებს სასამართლოს ბრძანებას მედიაციაში მონაწილეობის შესახებ, ის უხეშად არღვევს მისი პროფესიისთვის დადგენილ წესს.<sup>99</sup>

### 4.3. ადვოკატის ვალდებულება მედიატორის მიმართ

მედიატორის მიმართ ქცევის წესები უნდა იყოს იდენტური სასამართლოს ან სხვა პირების მიმართ ქცევის წესებისა - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასაწყვეტი საკითხია, რადგან ადვოკატები ექვემდებარებიან სპეციალურ ნორმებს, მათ აქვთ განსხვავებული სტანდარტი კეთილსინდისიერებისა (Honesty and Candour), იმის მიხედვით თუ ვის მიემართება აღნიშნული ქცევა. თუ მედიატორი გაიგივებული იქნება მოსამართლესთან, ადვოკატს არ ექნება უფლება მოატყუოს ან შეცდომაში შეიყვანოს იგი ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის კლიენტის ნამდვილი ინტერესების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით, BATNA-ს შესახებ, მორიგების სტრატეგიასა და მოლაპარაკების „ქვედა წითელი ხაზის“ (Bottom Lines) თაობაზე. თუ მედიატორი გაიგივებული იქნება სხვა მხარეებთან, მაშინ ადვოკატს ნაკლები ეთიკური ვალდებულებები ექნება დაკისრებული მის წინაშე.<sup>100</sup>

---

<sup>99</sup> იქვე. იხ. საქმე Hopeshore Pty Ltd v Melroad Equipment Pty Ltd, (2004) 212 ALR 66, 76 [34]. აგრეთვე, *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, 2015, 15.

<sup>100</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, 2015, 17; *ხაჩეავა გ.*, ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული

იმისათვის, რომ მედიატორის წინაშე ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები სწორად იქნას დადგენილი და მას არ დაეკისროს არაგონივრულად მძიმე ან გაუმართლებლად მსუბუქი ვალდებულებები. შესაბამისად, მიზანშეწონილია ჩაითვალოს, რომ მას მედიატორის მიმართ უნდა გააჩნდეს იმგვარი ვალდებულებები, რაც მას აქვს პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ.

#### **4.4. ადვოკატის ვალდებულება მეორე მხარის და პროცესში მონაწილე სხვა პირთა მიმართ**

ადვოკატს მედიაციის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულებები აკისრია მისი კლიენტის მიმართ. თუმცა კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულებების გარდა, მას აქვს ვალდებულებები მედიაციის პროცესის სხვა მონაწილე პირების მიმართაც.<sup>101</sup> კერძოდ, ადვოკატს აქვს ეთიკური ვალდებულებები მხარეების და მათი ადვოკატების და პროცესში ჩართული მესამე პირების მიმართ.<sup>102</sup>

##### **4.4.1. პატიოსნებისა და პირდაპირობის მოვალეობა**

პრაქტიკოს ადვოკატებს აკრძალული აქვთ გააკეთონ წინასწარ შეცნობით მცდარი განცხადება მათი მოწინააღმდეგე მხარის მიმართ საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული პრინციპი პრაქტიკული მნიშვნელობისაა მედიაციის პროცესში.

---

2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 111. იხ. აგრეთვე *ჩიკაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 24-47.

<sup>101</sup> *ჩაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 24.

<sup>102</sup> *Harby S., Rundle O.*, *Mediation for Lawyers*, CCH Australia Limited, 2010, 226.

მსგავსი ტიპის აკრძალვა შეეხება განცხადებებს, რომლებიც გაკეთებულია ფაქტებისა და სამართლის მიმართ (და არა უმნიშვნელო ან ისეთი საკითხების მიმართ, რომელიც არ შეეხება ფაქტებსა და სამართლის დათქმებს).<sup>103</sup> „მედიაციის პროცესში კლიენტის პოზიციის, ღირებულებების, მოლაპარაკებაში „ქვედა წითელი ხაზის“ და სხვაგვარი შეთანხმების გამოქება დაშვებულია, რადგან იგი უხეშად არ აჭარბებს კლიენტის „სამართლებრივი უფლებების დასაცავად გამოსაყენებელი მოქმედებების ფარგლებს.“<sup>104</sup>

ამასთან ერთად, ადვოკატებს არ აქვთ ვალდებულება ინფორმაცია გაუზიარონ მოწინააღმდეგე მხარეს, გარდა იმ შემდგომი გარემოებებისა, როდესაც აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული ნაწილობრივი ან მიკერძოებული სიმართლე ან როდესაც საჭიროა ჩასწორდეს ინფორმაცია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც არასწორი აღმოჩნდა და ადვოკატი ინფორმირებულია მისი სიმცდარის შესახებ. ადვოკატებს, ასევე, არ აქვთ ვალდებულება შეასწორონ ოპონენტის შეცდომა ან განცხადება, რომელიც მიემართება ადვოკატს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული მეორე მხარის არასწორ აღქმას იწვევს.<sup>105</sup>

#### 4.4.2. სამართლიანობისა და თავაზიანობის მოვალეობა

მეორე მხარის მიმართ სამართლიანობის გამოჩენა ადვოკატის კიდევ ერთ ვალდებულებას წარმოადგენს.<sup>106</sup> ამასთანა-

---

<sup>103</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, 2015, 18.

<sup>104</sup> ხაჩეზავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 112.

<sup>105</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, 2015, 19.

<sup>106</sup> ჩიჭაშვიდი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 10.

ვე, მას აკისრია თავაზიანობის გამოჩენის ვალდებულება.<sup>107</sup> თუმცა არ არის განმარტებული რას შეიძლება გულისხმობდეს აღნიშნული ცნებები. არსებობს სპეციალური ნორმები, რომლებიც ნათელს ჰფენს თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ადვოკატმა მოცემული ზოგადი ვალდებულებები განახორციელოს. ავსტრალიის სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ „თავაზიანობა“ განიმარტება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. შესაბამისად, მედიაციის მიზნებისათვის აღნიშნული ტერმინის შეზღუდული განმარტებაა შესაძლებელი. ადვოკატის მიმართ შესაძლოა არსებობდეს მოლოდინი, რომ დაიცავს ზოგად ქცევის წესებს (მაგ: დაამყარებს მზერით კონტაქტს იმ ადამიანთან, რომელიც ესაუბრება), ასევე, დაიცავს საზოგადოებაში მიღებულ „ფორმალურ ქცევის წესებს“ (როგორცაა ზარის დაბრუნება, როდესაც ვერ ხერხდება ტელეფონზე პასუხი, წერილზე პასუხის სწრაფად დაბრუნება და ა.შ.).<sup>108</sup>

როგორც მიღებულია, ადვოკატების მიერ მედიაციის პროცესთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება ხდება მედიატორის მიერ დანესებული „გონივრული“ გზამკვლევის მიხედვით (როგორც წესი, მედიატორები უამრავ მითითებას აძლევენ მხარეებს). აგრეთვე, მიღებულია, რომ მედიატორები მხარეებს სთხოვენ შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს არ ჩაეჭრებიან საუბრის დროს და ერთმანეთს პატივისცემით მოეპყრობიან. ადვოკატებმა შესაძლოა დაარღვიონ ეს მითითებები და მოიქცნენ არათავაზიანად თუ ისინი მოწინააღმდეგე მხარეს არ მისცემენ შესაძლებლობას ისაუბრონ თავისუფლად, დაემუქრიან, დაამცირებენ, მაგალითად, დაუძახებენ მეტსახელს. მედიატორების უმეტესობა ამ დროს იღებს ზომებს მსგავსი არასათანადო ქმედებების გამოსასწორებლად.<sup>109</sup>

---

<sup>107</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, 2015, 19.

<sup>108</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 112.

<sup>109</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, 2015, 20.

„მედიაციის „სამართლიანი“ შედეგის მისაღწევად, აუცილებელია, მედიაციის პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს: ნებაყოფლობითობა, მხარეთა მიერ ურთიერთსანაცვლო ინტერესების გაზიარება, შედეგების საჯარო მნიშვნელობის აღიარება, ღირსეული მოპყრობა და პატივისცემა, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მხარეთა მიერ, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების არარსებობა მედიატორისათვის, წინააღმდეგობრივი და ურთიერთსაპირისპირო ფუნდამენტური ღირებულებების მიმღებლობა.“<sup>110</sup>

რაც შეეხება მედიაციის შედეგის მიმართ არსებულ სამართლიანობის ვალდებულებას, ადვოკატს არ აკისრია ვალდებულება დარწმუნდეს, რომ მედიაციის შედეგი სამართლიანია ოპონენტის მიმართაც,<sup>111</sup> მაშინაც კი თუ მეორე მხარე პროცესში ადვოკატით არ არის წარმოდგენილი.<sup>112</sup> თუმცა, ადვოკატი უნდა იჩინდეს გულისხმიერებას, რათა დარწმუნდეს რომ შეთანხმება არ არის მიღწეული კანონდარღვევით და არ მოხდება შედავება შეცდომაში შეყვანის, მოტყუების, ნების არასათანადოდ გამოხატვის, თაღლითობის ან იძულების საფუძველზე.<sup>113</sup>

მედიაცია ეფუძნება მხარეების თვითგამორკვევას, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ შეთანხმების ისეთი ფორმისა

---

<sup>110</sup> *ბახევავა გ.*, ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2020“*, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 113. იხ. აგრეთვე, *ჩიგაშვიდი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2016“*, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 11.

<sup>111</sup> იხ. *Hazard G. C. Jr.*, *The Lawyer's Obligation to Be Trustworthy When Dealing with Opposing Parties*, *South Carolina Law Review*, Vol. 33, 182.

<sup>112</sup> *Wolski B.*, *On Mediation, Legal Representatives and Advocates*, *University of New South Wales Law Journal*, 2015, 20.

<sup>113</sup> *ბახევავა გ.*, ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2020“*, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 113.



და შინაარსის არჩევას, რაც მას მიაჩნია მოცემული სიტუაციის შესაფერისად და სამართლიანად, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა შეთავაზებული იყოს საწინააღმდეგო, როგორც სამართლიანი და ყველაზე უფრო შესაფერისი.<sup>114</sup>

#### 4.4.3. კეთილსინდისიერების მოვალეობა

ზოგადად თუ ვიტყვით, მედიაცია მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო კეთილსინდისიერად იქცევიან მასში მონაწილე მხარეები. თუმცა პრაქტიკაში კეთილსინდისიერების განმარტება და გამოყენება ძალიან რთულია.<sup>115</sup>

გაბატონებული შეხედულებით, კეთილსინდისიერება მოიცავს მედიაციის პროცესისათვის მომზადებას და დასწრებას იმ პირის მხრიდან, ვისაც აქვს მორიგების უფლებამოსილება. კეთილსინდისიერება გულისხმობს მედიაციის პროცესზე „სალი აზრით“ მისვლას. თუმცა, ეს არ წარმოადგენს მაინცდამაინც აზრის შეცვლის დაპირებას, არამედ გამოხატავს მზადყოფნას იყოს გახსნილი სხვებისთვის.<sup>116</sup>

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კეთილსინდისიერების ცნება ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია, მედიაციის შესახებ მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, თუ რა მოიაზრება აღნიშნული ვალდებულების ქვეშ.<sup>117</sup> თუმცა, მაინც გამოკვეთილია კეთილსინდისიერების ვალდებულების ძირითადი ინდიკატორები. ესენია: მედიაციის პროცესში მო-

---

<sup>114</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 113.

<sup>115</sup> Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 228.

<sup>116</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 114.

<sup>117</sup> Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 228-229.

ნაწილეობა და მასზე დასწრება; მედიაციაზე მომზადებულად<sup>118</sup> და საქმის შესაბამისი ცოდნით (როგორც ფაქტების, ისე შესაძლო გამოსავლების) მისვლა; რელევანტური ინფორმაციის დროზე გამჟღავნება; მეორე მხარის ინტერესების მხედველობაში მიღება; გადაწყვეტილების მიმღები ყველა მხარის წარმოდგენა მედიაციის პროცესზე (მათ შორის დისტანციურად); დისკუსიაში ღიად და თავისუფლად ჩართვა, რათა უკეთესად იქნეს გაგებული მეორე მხარის პოზიციები; არ ითქვას ტყუილი როდესაც პასუხი ეცემა შეკითხვებს; მეორე მხარის შეცდომაში შეყვანის დაუშვებლობა; მხარეების მოსმენის და პოზიციების გაგების სურვილის წარმოჩენა; საკუთარი პოზიციის განხილვის სურვილი; მეორე მხარის მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის განხილვის სურვილი; მეორე მხარის მიერ გაკეთებული შეთავაზებების დროული პასუხი; შეთავაზებების გაკეთების თუ უარყოფის დროს მიზეზის ახსნა; მოლაპარაკებისთვის ხელის შემშლელი ქმედებისგან თავის შეკავება.<sup>119</sup>

ამასთან, კეთილსინდისიერების ვალდებულების ნაწილი ვერ იქნება: შეთანხმების აუცილებლად მიღწევა; დათმობა; დავის გადაწყვეტის შინაგანი სურვილის ქონა; პროცესში საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამჟღავნება; საკუთარი თავის უბრალოდ „კარგ ადამიანად“ წარმოჩენა.<sup>120</sup>

შესაბამისად, კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის ყველაზე ნათელი მაგალითები იქნება: მედიაციის პროცესზე დაუსწრებლობა; მედიაციის პროცესის მუდმივი გადადება; მედიაციაზე დასასწრებად ისეთი პირის გაგზავნა, რომელსაც შეთანხმების მიღწევის უფლებამოსილება არ

---

<sup>118</sup> მედიაციის პროცესისთვის მომზადება გულისხმობს კომპლექსური სამუშაოების ჩატარებას, მათ შორის BATNA-ს და WATNA-ს მომზადებას, რისკების ანალიზს, შესაძლო შედეგების ანალიზს და ა.შ. იხ. *Mantle M., Mediation: A Practical Guide for Lawyers, 2<sup>nd</sup> ed., Edinburgh, 2017.*

<sup>119</sup> იქვე, 229-230.

<sup>120</sup> იქვე, 230.

აქვს; მარტივ საკითხებზე შეთანხმებების უარყოფა; მოთხოვნების და შეთავაზებების მუდმივი ცვლა; შეთავაზებების გაკეთებაზე უარის თქმა.<sup>121</sup>

ადვოკატის კეთილსინდისიერების ვალდებულება ასევე აღიარებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>122</sup> და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით. კერძოდ, აღნიშნული დებულებები პირდაპირ უთითებენ, რომ ადვოკატმა წარმომადგენლობა კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს, თუმცა კონკრეტულად რას გულისხმობს აღნიშნული, მითუფრო მედიაციის პროცესში, განმარტებული არაა. თუ წარმოიშობა საკითხი ადვოკატ წარმომადგენლის მიერ მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის შესახებ, ვფიქრობ, ეს ნორმები ზემოთ მითითებული მსჯელობის შესაბამისად უნდა განიმარტოს.

#### 4.4.4. თანამშრომლობის მოვალეობა

ადვოკატს აქვს ვალდებულება მედიაციის პროცესში ითანამშრომლოს მხარეებთან. თანამშრომლობის მოვალეობა არ გულისხმობს მეორე მხარისათვის დახმარების გაწევას. მაგალითად, ადვოკატს არ აქვს ვალდებულება მეორე მხარეს მიუთითოს ნაკლოვანებებზე. ასეთი ქმედება, ადვოკატის მხრიდან კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ცალსახა დარღვევაა. აღსანიშნავია, რომ როდესაც ადვოკატის მიერ კლიენტისა და მეორე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს შორის კონფლიქტია ამ დროს უპირატესობა ენიჭება კლიენტის ინტერესების დაცვას.<sup>123</sup>

---

<sup>121</sup> *Mantle M., Mediation: A Practical Guide for Lawyers, 2<sup>nd</sup> ed., Edinburgh, 2017, 230.*

<sup>122</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>123</sup> *ხაჩეაზვა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადა-*

#### 4.4.5. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება

კონფიდენციალობა მედიაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მის მიმზიდველობას უზრუნველყოფს. ეს პრინციპი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ და დავა გაგრძელდება სასამართლოში ან არბიტრაჟში. ამ დროს ისინი დაცულები არიან, რომ მათ მიერ მედიაციის პროცესში გაჟღერებული ინფორმაცია კონფიდენციალური დარჩება და სასამართლოს ან არბიტრაჟს არ წარედგინება.<sup>124</sup> შესაბამისად, ამ პრინციპს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტული მედიაციის პროცესისთვის, არამედ ზოგადად მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ხერხის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისთვის.<sup>125</sup>

მითითებული პრინციპი დაცული ვერ იქნება თუ მას მედიაციის პროცესის მონაწილეთა მხოლოდ ნაწილი დაიცავს. შესაბამისად, პროცესის სხვა მონაწილეთა მსგავსად, ადვოკატ წარმომადგენლებსაც აკისრიათ კონფიდენციალობის დაცვის

---

წყვეტა, წელიწდეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 114-115. მედიაციის პროცესში თანამშრომლობისკენ მომართული მიდგომის შესახებ იხ. აზაჩოვი ა., მედიაცია ადვოკატებისთვის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2014“, თსუ-ის გამომცემლობა, 2016, 105-114.

<sup>124</sup> წუდაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, თბ., 2017, 30. იხ. აგრეთვე, ელოშვილი ნ., კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2013“, თსუ-ის გამომცემლობა, 2014, 13; ბეჩაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 45-70.

<sup>125</sup> ცეხცვაძე გ. (ხედ.), ახვებაძე მ., ვასაძე ე., თვაუხი ხ., ივანიძე გ., მახაუხი პ., ჟიჟიაშვილი თ., ცაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბღაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 25-26.

ვალდებულება. კერძოდ, ადვოკატს კონფიდენციალობის დაცვა ევალება მედიაციის პროცესში მონაწილე სუბიექტების მიმართ. ეს ვალდებულება, გარკვეულწილად გავლენას ახდენს სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაზეც.<sup>126</sup>

ამ მოვალეობის ფარგლებში ადვოკატებს ეკრძალებათ რაიმე ფორმით გაამჟღავნონ მედიაციის პროცესში მათ მიერ მიღებული ინფორმაცია. აღნიშნული ვალდებულება ადვოკატებზე არ ვრცელდება, თუ ისინი პროცესში მიღებულ ინფორმაციას იმ კლიენტებს გააცნობენ, რომლებიც თავად არიან მედიაციის მხარეები და პროცესს არ ესწრებოდნენ. ასევე, არ შეიძლება ადვოკატებმა ან მხარეებმა მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენონ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დროს ან დავის ნებისმიერი სხვა საშუალებით გადაწყვეტის პროცესში.

კონფიდენციალობის ვალდებულებას ითვალისწინებს „მედიაციის შესახებ“<sup>127</sup> და „ადვოკატთა შესახებ“<sup>128</sup> საქართველოს კანონები, ისევე როგორც „ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსი“.<sup>129</sup> თუმცა, მედიაციის კონტექსტში უფრო რელევანტურია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი, რადგან დანარჩენ ორ დოკუმენტში არსებული რეგულაციები შეეხება კლიენტსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას. თუმცა, როგორც აღინიშნა, მედიაციის პროცესში კონფიდენციალობის პრინციპი ასევე ფარავს მედიატორის თუ მეორე მხარის მიერ გამჟღავნებულ ინფორმაციასაც.

---

<sup>126</sup> ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 114-115.

<sup>127</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-10 მუხლი.

<sup>128</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-7 მუხლი.

<sup>129</sup> იქვე, მე-4 მუხლი.

აღსანიშნავია, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით მედიაციის პროცესში დადგენილი კონფიდენციალობის ვალდებულება აბსოლუტური არ არის და ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს. კერძოდ, ამ კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, გამჟღავნება დასაშვებია თუ: ა) აუცილებელია პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა ან თავისუფლების უზრუნველყოფა ანდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა; ბ) ინფორმაციის წარდგენა ხდება სამედიაციო მორიგების შედგენის ფაქტის დასამტკიცებლად, როდესაც მეორე მხარე სადავოს ხდის ან უარყოფს ამ ფაქტს; გ) მხარე ვალდებულია შეასრულოს მედიაციის დაწყებამდე ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას გახდა ცნობილი მეორე მხარისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება; დ) ინფორმაციის გამჟღავნება სასამართლოს ან სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვა გადანყვეტილებითაა გათვალისწინებული; ე) ინფორმაციის გამჟღავნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვისაა აუცილებელი. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება და ამის შესახებ შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება; ვ) სამედიაციო მორიგების შინაარსის გამჟღავნება აუცილებელია მის ნებაყოფლობით შესასრულებლად ან იძულებით აღსასრულებლად; ზ) სამართლებრივი ან დისციპლინური დავა მიმართულია ინფორმაციის გამცემი პირის წინააღმდეგ და გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, ამასთანავე, ამ ინფორმაციის გამჟღავნება აღნიშნული პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვისთვისაა აუცილებელი; თ) მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალობის დაცვის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია მხარისათვის მედიაციის დაწყებამდე იყო ცნობილი ან იგი მან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით მიიღო, ან ეს ინფორმაცია სხვაგვარად მოხვდა საჯარო სივრცეში.

ცხადია, რომ კონფიდენციალობის ვალდებულებიდან გამონაკლისები საქართველოში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. აღნიშნული არ უნდა ჩაითვალოს დადებით ფაქტორად, ვინაიდან მედიაციის მთავარი თვისება, რის გამოც მას მხარეები ირჩევენ არის სწორედ ეს პრინციპი. აქედან გამომდინარე, კონფიდენციალობის დარღვევა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს უნდა იყოს შესაძლებელი. ამავდროულად კანონი იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ არ ტოვებდეს მხარეების მხრიდან მისი ინტერპრეტირების საშუალების. აქედან გამომდინარე, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი გამონაკლისების ნაწილში გადახედვას საჭიროებს, რათა ერთი მხრივ, რაც შეიძლება მეტად დავინროვდეს გამონაკლისების სფერო, ხოლო, მეორე მხრივ, მუხლი უფრო არაორაზროვანი გახდეს.<sup>130</sup>

## **5. ადვოკატ წარმომადგენლის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევის შესაძლო შედეგები**

ზემოთ მითითებული მსჯელობიდან ნათელია თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენლის მიერ ეთიკური ვალდებულების დაცვას და რამდენად ეფექტიანი შეიძლება გახადოს ამან პროცესი. თუმცა ერთ-ერთი მთავარი კითხვა რაც შეიძლება ადვოკატის ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით დაისვას არის ის, თუ რა შედეგი მოჰყვება ადვოკატის მიერ სავალდებულო ეთიკის წეს(ებ)ის/სტანდარტ(ებ)ის დარღვევას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით ადვოკატთა მიერ ქვევის სტანდარტების დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.<sup>131</sup> აღნიშნუ-

---

<sup>130</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 24.

<sup>131</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, 28-ე მუხლი.

ლი მუხლის შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებულია „დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია: ა) გაფრთხილება; ბ) სააადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატის მიერ დაირღვევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“ დადგენილი ეთიკის ნორმები მედიაციის პროცესის დროს ან მის შემდგომ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ მას დაეკისრება შესაბამისი სანქცია გადაცდომის სახის და სიმძიმის შესაბამისად.

აქვე საინტერესოა თუ ვის აქვს ეთიკის კომისიისთვის მიმართვის უფლება. პირველ რიგში ეს უფლება გააჩნია კლიენტს. თუმცა საინტერესოა აქვს თუ არა მიმართვის უფლება მედიაციაში მონაწილე სხვა პირებს, მათ შორის მედიატორს ან მედიაციის განმახორციელებელ ინსტიტუტს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. ამ დანაწესიდან გამომდინარე, მეორე მხარეს, ადვოკატს და სამედიაციო ინსტიტუტს ცალსახად აქვთ კომისიისთვის მიმართვის უფლება. ხოლო მედიატორს მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას მიაჩნია რომ დაირღვა მისი უფლებები. თუმცა აქ გასათვალისწინებელია კონფიდენციალობის ვალდებუ-



ლების მიმართება კომისიისთვის მიმართვის უფლებასთან. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს გამონაკლისს, რომელიც ეხება ადვოკატ წარმომადგენლის დისციპლინური წარმოების დროს ინფორმაციის გამჟღავნების დაშვებას. თუმცა, ვფიქრობ, საფუძვლები ფართოდ უნდა იქნას განმარტებული და მხარეებს უნდა მიეცეთ გონივრული გამჟღავნების საშუალება. თუმცა, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კარგი იქნება თუ კანონის მე-10 მუხლს გამონაკლისების სახით დაემატება პუნქტი, რომელიც პირდაპირ დაუშვებს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას დისციპლინური წარმოების ფარგლებში.

კიდევ უფრო საინტერესოა თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ადვოკატის მიერ ეთიკის სტანდარტების დარღვევას მედიაციის პროცესის და სამედიაციო მორიგების კონტექსტში. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს რაიმე პირდაპირ შედეგს, რაც შეიძლება მედიაციისთვის გამოიწვიოს ადვოკატის მიერ ეთიკის სტანდარტების დარღვევამ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ადვოკატის ქმედებას არაფერი შეიძლება მოჰყვეს, გარდა მისი დისციპლინური პასუხისმგებლობისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული მედიაციის შესახებ დებულებები ითვალისწინებს სამედიაციო შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს. ამ კოდექსის 363<sup>32</sup> მუხლი აცხადებს, რომ *„სასამაჩთღო უახს იღყვის სამედიაციო მოხიგების აღსხუდებაზე, თუ სამედიაციო მოხიგების შინაახსი ეწინააღმდეგება საქახთვეღოს კანონმდებღობას ან თუ, სამედიაციო მოხიგების შინაახსიღან გამომღინახე, მისი აღსხუდება შეუღდებღია.“*

ამ შემთხვევაში არ არის მითითება კონკრეტულად ადვოკატის მიერ შესაბამისი სტანდარტების ან ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევაზე. თუმცა, სიტყვები „თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას“ უნდა განიმარტოს ფართოდ. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი,

ადვოკატის მიერ მედიაციის პროცესში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ქცევის წესების დარღვევამ, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა მედიაციის პროცესზე და სამედიაციო შეთანხმების იმ ფორმით დადებაზე, როგორც ეს დაიდო, შეიძლება ჩაითვალოს „საქართველოს კანონმდებლობის“ დარღვევად და ამ საფუძვლით სასამართლომ შესაძლოა უარი თქვას სამედიაციო შეთანხმების აღსრულებაზე. ამ ფართო ჩანაწერის პირობებშიც კი ეთიკის ნორმების ყველანაირი დარღვევა ვერ გახდება სამედიაციო შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, არამედ სახეზე უნდა იყოს სერიოზული დარღვევა, რომელიც საფუძველს აცლის მედიაციის პროცესს და მის სანდოობას.

ამასთან, 2018 წლის 18 დეკემბერს მიღებულ იქნა გაეროს კონვენცია „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“, ე.წ. „სინგაპურის კონვენცია“.<sup>132</sup> ამჟამად კონვენციის ხელმომწერი და წევრია 52 ქვეყანა მათ შორის საქართველო. ამ ქვეყნებში კონვენციას აქვს სავალდებულო ძალა. აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობას უარი თქვან მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე ამავე მუხლშივე ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოების არსებობის დროს. ამ გარემოებებს შორის ვკითხულობთ, რომ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას სამედიაციო შეთანხმების აღსრულებაზე, როდესაც ეს ეწინააღმდეგება მის საჯარო წესრიგს.

იდენტურ ჩანაწერს შეიცავს უნსიტრალის მედიაციის და საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ მოდელური კანონიც.<sup>133</sup>

შესაბამისად, თუ ადვოკატის მიერ იმგვარი დარღვევაა ჩადენილი, რომელიც ასავე საჯარო წესრიგის დარღვევად შეიძლება იქნას მიჩნეული, სახელმწიფოს (სასამართლოს) შეუძ-

---

<sup>132</sup> United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2019.

<sup>133</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation, Art. 19.

ლია უარი თქვას შეთანხმების აღსრულებაზე. მაგალითად თუ დასტურდება, რომ ადვოკატმა ზენოლა მოახდინა მხარეთა ნებაზე, ეს ჩაითვლება მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვად (ხოლო მხარეთა ნების ავტონომია საქართველოს საჯაროო წესრიგის ნაწილია), რის გამოც სასამართლომ უარი უნდა თქვას სამედიაციო შეთანხმების აღსრულებაზე.

## 6. რეკომენდაციები მედიაციაში წარმომადგენელთა ქცევის მოდელური წესების მიღების თაობაზე

„საქართველოში მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის გზაზე ეთიკის წესების ძიოვილი დაგენა შესაბამისი პრაქტიკის სხუდფასოვანი განვითარებისთვის გახდაუვადი აუცილებლობაა.“<sup>134</sup> აღნიშნული მოსაზრება პროფესორ ნათია ჩიტაშვილის მიერ გამოთქმულია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში მიღებული არ იყო „მედიაციის შესახებ“ კანონი და მედიაციაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. თუმცა, ამ კანონის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მიღებული ცვლილებების შემდეგ, გამართულ მედიაციათა ოდენობა, იქნება ეს სასამართლო თუ ნებაყოფლობითი, იზრდება. შესაბამისად, უფრო და უფრო იკვეთება ამ მოსაზრების მართებულობა.

გაზიარებული უნდა იქნას ის მოსაზრება რომ, აუცილებელია ერთიანი, სპეციალიზებული ეთიკური კოდექსის შემუშავება (რომელიც გავრცელდება იურისტზე, როგორც მხარის წარმომადგენელზე) და წესების იმგვარად ფორმულირება, რომ ადვოკატმა შეჯიბრებითობის გამორიცხვა შეძლოს.<sup>135</sup>

---

<sup>134</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 25.

<sup>135</sup> იხ. კიმბეიდი კ. კ., ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი-რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან): იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 51.

ამ მოსაზრების მართებულობა ნათლად ჩანს იქედან გამომდინარე, რომ ადვოკატებისთვის არსებული ეთიკის ნორმები (კანონი და ეთიკის კოდექსი) ძირითადად მორგებულია მათ როლზე სასამართლოში წარმოების დროს და მათში გათვალისწინებული არ არის მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთა ადვოკატისთვის დაკისრება აუცილებელია მედიაციის თავისებურების გათვალისწინებით.

თუმცა, მედიაციის პროცესში წარმომადგენლებისთვის ცალკე კოდექსის შექმნა ყველა კითხვას ვერ მოხსნის. ამ იდეის გაჟღერებასთან ერთად ჩნდება კითხვები როგორი უნდა იყოს ეს ეთიკის კოდექსი და მასში ჩამოყალიბებული წესები? შეძლებს კი ინდივიდი, რომელიც მიჩვეულია შეჯიბრებით გარემოს, წარმოადგინოს კლიენტი არაშეჯიბრებით კონტექსტში? ზოგადად, ეთიკის კოდექსები ორი მიზნის მისაღწევად არის შექმნილი: ერთს წარმოადგენს მინიმალური ეთიკური წესებისგან გადახვევის გამო დასჯადობა, ხოლო მეორეს - გარკვეული მიმართულების ჩამოყალიბება ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით. საჭიროა, ახალი ეთიკური სტანდარტები ორივე მიზნის მიღწევას ემსახურებოდეს.<sup>136</sup>

აუცილებელია, რომ ამგვარი ეთიკის კოდექსში მითითებული იყოს ყველა ის სტანდარტი და პრინციპი, რომელიც ზემოთ იქნა მიმოხილული და თან იმგვარად, რაც მორგებული იქნება სწორედ რომ მედიაციის პროცესზე და მის მახასიათებლებზე.

ამასთან, გონივრულია, იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „ეთიკის წესები უნდა იყოს სამართლებრივად მბოჭავი. იმისთვის რომ კოდექსში გათვალისწინებული წესები შესრულდეს აუცილებელია განისაზღვროს პასუხისმგებლობის ზომები. მათ შორის: საქმიანობის შეზღუდვა, სისხლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობაში მიცემა და

---

<sup>136</sup> *ხაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 50.

ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღწევა მნიშვნელოვანი შედეგი, რადგან სასჯელი კონკრეტული ქმედებისგან თავის შეკავების ყველაზე დიდი „სტიმულია“.<sup>137</sup>

ამასთან, შესაძლოა განხილულ იყოს მოსაზრება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლს დაემატოს სამედიაციო შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმის კიდევ ერთი საფუძველი - მხარის წარმომადგენლის მიერ ეთიკური ვალდებულების უხეში დარღვევა. აღნიშნული მუხლი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„სასამართლოს შეუძლია უარი თქვას სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე თუ მხარის წარმომადგენელმა არაერთხელ სერიოზულად დაარღვია მისთვის კანონმდებლობით, შესაბამისი ეთიკის კოდექსით ან მხარეთა შეთანხმებით დაკისრებული სტანდარტები, რის გარეშეც მხარე მორიგებას არ გააფორმებდა ან თუ მხარის წარმომადგენელმა არ გაამჟღავნა გარემოებები, რომლებიც აღძრავდა ეჭვს მის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ამგვარ გაუმჟღავნებლობას გავლენა ჰქონდა მხარის გადაწყვეტილებაზე.“

ეთიკის კოდექსის არსებობა, ისევე როგორც კანონმდებლობაში შესაძლო შედეგების ზუსტი განწერა, მხარეებს, ადვოკატ წარმომადგენლებს, მედიატორებს და სასამართლოებს მისცემთ ცხად გაიდლაინს და გაუჩენს შესაბამის მოლოდინებს, რაც საბოლოოდ თუ არ აღმოფხვრის პრობლემებს, შეამცირებს მათ.

## 7. დასკვნა

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა უფრო და უფრო პოპულარული ხდება. აღნიშნულს კი თან სდევს იმ საკითხების გაფართოება, რომლებიც მედიაციის პროცესში პრობლემურია და გადაწყვეტას მოითხოვს. ერთ-

---

<sup>137</sup> *ხაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 51.

ერთ ამგვარ საკითხს წარმოადგენს ადვოკატ წარმომადგენელთა ეთიკური ვალდებულებები.

პრობლემას განაპირობებს ის, რომ ადვოკატები ვალდებული არიან სასამართლოს ან არბიტრაჟის წინაშე მგზნებარე ადვოკატირებით დაიცვან კლიენტის ინტერესები, მაშინ როდესაც მედიაცია სხვა უნარებს მოითხოვს და ამ პროცესში ადვოკატის დანიშნულებაც სხვაა. თუმცა, ვინაიდან მედიაციის პროცესშიც ადვოკატები ახორციელებენ სამართალს, ახდენენ რა ისინი კონკრეტული გარემოებების და სამართლებრივი საკითხების იდენტიფიკაციას, აფასებენ რისკებს, შესაძლო სამართლებრივ განვითარებებს და ა.შ., მათზე ეთიკის წესები უნდა გავრცელდეს, მაგრამ ეს წესები და სტანდარტები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მორგებული იყოს მათ როლზე მედიაციის პროცესში.

ადვოკატის როლი კი მედიაციაში, როგორც აღინიშნა, განსხვავებულია მისი ფუნქციისგან სასამართლოში ან არბიტრაჟში. მედიაციაში ადვოკატს აქვს რამდენიმე როლი. პირველი არის მრჩეველის როლი, რომლის ფარგლებში მან უნდა გამოიკვლიოს შესაბამისი გარემოებები და რჩევა და განმარტებები უნდა მისცეს კლიენტს ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. მომლაპარაკებლის როლის ფარგლებში ის უნდა შეეცადოს მოელაპარაკოს როგორც კლიენტს, ისე მეორე მხარეს და ამისთვის კლიენტს დაანახოს დავის ყველა წახნაგი და შესაბამისი ფორმით დებატიც კი გამართოს მასთან ან მეორე მხარესთან. შემფასებლის როლი ადვოკატს ავალდებულებს სამართლებრივი შეფასება მისცეს დავაზე გამოკვლეულ ფაქტებს და კლიენტს წარუდგინოს მისი მოსაზრებები, თუმცა არამც და არამც თავს არ უნდა მოახვიოს მას ისინი. დაბოლოს, კიდევ ერთი ფუნქცია, რომელიც ადვოკატს აქვს არის „პრობლემის გადამჭრელის“ ფუნქცია. ეს გულისხმობს, რომ ხშირად მხარეებს აქვთ არათანაბარი ცოდნა, ფინანსური შესაძლებლობები და გამოცდილება და ადვოკატის მონაწილეობამ შეუძლია გამოასწოროს ეს, რადგან მათ აქვთ უნარი

ინტერპრეტაცია გაუკეთონ ფაქტებსა და სამართალს და გადაჭრან პრობლემები.

აღნიშნული როლების და ფუნქციების მხედველობაში მიღებით შეიძლება ითქვას, რომ ადვოკატს სპეციფიკური ვალდებულებები აქვს მისი კლიენტის, მედიატორის, სასამართლო სისტემის და პროცესში მონაწილე სხვა მხარეების მიმართ.

ამ ვალდებულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულებები. პირველი და უმნიშვნელოვანესი ვალდებულება, რომელიც ადვოკატს აკისრია, ეს არის კლიენტის საუკეთესო ინტერესებში მოქმედების ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესი ყველა სხვა, მათ შორის საკუთარ ინტერესზე მაღლა უნდა დააყენოს და მისცეს მას ის რჩევები, რომლებიც, მისი მოსაზრებით, სწორედ კლიენტის ინტერესებშია. მედიაციის კონტექსტში ადვოკატი კვალიფიციურად ჩაითვლება თუ მას დავის გადაჭრის სწორედ ამ ხერხზე აქვს შესაბამისი ცოდნა და აუცილებელი უნარები. ამავდროულად, იგი სათანადო გულმოდგინებით, ხელს არ უნდა უშლიდეს პროცესის ეფექტიანად და დროულად წარმართვას. ამავდროულად, ადვოკატმა თავისი როლი იმგვარად უნდა განახორციელოს, რომ ხელი შეუწყოს კლიენტის თვითგამორკვევის უფლებას და მას თავს არ მოახვიოს მისი მოსაზრებები ან მის ნაცვლად არ მიიღოს გადანყვეტილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საფუძველს გამოაცლის მედიაციას.

ადვოკატ წარმომადგენელს აგრეთვე აკისრია ვალდებულება მისცეს რჩევა კლიენტს მედიაციასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის დავის გადანყვეტის სხვა გზების, მათი ნაკლოვანებების ან უპირატესობების, ასევე თავად მედიაციის პროცესის შესახებ. რჩევის მიცემის ვალდებულებაში აგრეთვე მოიაზრება სამართლებრივი, არასამართლებრივი გარემოებების შესახებ და შეთანხმებასთან დაკავშირებით რჩევების მიცემა.

გარდა ამისა, ადვოკატმა უნდა გამოირიცხოს და თავიდან უნდა აცილოს ინტერესთა კონფლიქტები და უნდა იყოს კლიენტის ერთგული. ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის შემთხვევაში კი მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კლიენტს.

ვალდებულება, რომელიც ადვოკატებს მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის წინაშე გააჩნიათ არის ის, რომ მათ პატივი უნდა სცენ და დაემორჩილონ კანონს, მათ შორის მათი პროფესიისთვის დადგენილ ქცევის წესებს. ადვოკატები ხელს არ უნდა უწყობდნენ ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც უკანონოდ, არაკეთილსინდისიერად ან სხვაგვარად არღვევს მართლმსაჯულების პრინციპებს და ადვოკატის პროფესია საეჭვო რეპუტაციამდე მიჰყავს.

მედიატორის და პროცესში მონაწილე სხვა პირების მიმართ კი ადვოკატებს აქვთ სხვადასხვა ვალდებულებები. მათ შორისაა პატიოსნების და პირდაპირობის მოვალეობა, რაც პროცესის დროს არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებას ითვალისწინებს. სამართლიანობის და თავაზიანობის ვალდებულება ადვოკატებისგან მოითხოვს პროცესზე დაემორჩილონ მოქცევის ფორმალურ წესებს და შეუფერებელი ქცევა არ გამოიჩინონ რომელიმე მხარის მიმართ. ადვოკატებს აგრეთვე აქვთ პროცესში კეთილსინდისიერად მონაწილეობის, თანამშრომლობისკენ ღიაობის/გახსნილობის და კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.

როგორც მითითებულია ადვოკატთა ვალდებულებები საკმაოდ ვრცელია. მათ დარღვევას შესაძლოა მოჰყვეს ადვოკატების დისციპლინური პასუხისმგებლობა. თუმცა მედიაციის კუთხით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადვოკატ წარმომადგენლის მიერ ეთიკის ნორმების იმგვარ დარღვევას, რამაც გავლენა იქონია სამედიაციო მორიგების დადებაზე, შესაძლოა მოჰყვეს სასამართლოს მიერ ამ სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან საჯარო წესრიგს.



რეკომენდაციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენლებისთვის ცალკე ეთიკის კოდექსის შემოღება, რომელშიც ადვოკატ წარმომადგენლებისთვის გაინერება შესაბამისი სტანდარტები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მედიაციის თავისებურებები და არ იქნება ზოგადი.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997.
2. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001.
3. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
4. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, 15/04/2006.
5. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, 11/12/2010.
6. აბაიოვი ა., მედიაცია ადვოკატებისთვის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2014“, თსუ-ის გამომცემლობა, 2016, 105-114.
7. ბეჩაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 45-70.
8. გუჩიედი ა., ადვოკატის როლი სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 133.
9. ედოშვიდი ნ., კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2013“, თსუ-ის გამომცემლობა, 2014, 13.
10. კაკოიშვიდი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 24.

11. კვაჭაძე მ., გასიგაშვიდი ე., ბოჭოხიშვიდი კ., კობახიძე ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2011, 18.
12. კიმბეხიძე კ. კ., ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ქურჭელს (ტიკი-რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან): იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 51, 144.
13. კოვაკი კ., ადვოკატთა ეთიკა მედიაციაში: კეთილსინდისიერების საჭიროება (კეთილსინდისიერების მოთხოვნის დრო), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 180.
14. ხაზმაძე ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 7, 13-14, 17, 24, 27, 50.
15. ყანღაშვიდი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 112-170.
16. ყანჩაშვიდი ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვისა და თვითგამორკვევის პრინციპთა ურთიერთმიმართება, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 183-184, 190-192, 194.
17. ჩანგიაძე ხ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 235, 236.
18. ჩიგაშვიდი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 39-40.

19. ჩიგაშვიდი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 25.
20. ჩიგაშვიდი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 10-11.
21. ცეხცვაძე გ., მედიაცია, თბ., 2010, 232.
22. ცეხცვაძე გ. (ხედ.), ახევაძე მ., ვასაძე ე., თვაუჩი ხ., ივანიძე გ., მახაუჩი პ., ჟიჟიაშვილი თ., გაკაშვიდი ს., ხუჭუა თ., ჭიბღაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 25-26.
23. წუდაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, თბ., 2017, 30.
24. ხაჩებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 110-116.
25. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 2008.
26. German Mediation Act, 2012.
27. Guidelines for Lawyers in Mediations by Law Council of Australia, 2011.
28. Legal Profession Act of Australia, 2006.
29. Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2018.
30. Model Rules of Professional Conduct by ABA, 2002.
31. United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2019.
32. Alexander N. M., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, the Netherland, 2009, 36-37.
33. Ambrumenil P., Mediation & Arbitration for Lawyers, London, 1997, 79-80.

34. *Ardagh A., Cumes G., Lawyers and Mediation: Beyond the Adversarial System?*, Australian Dispute Resolution Journal, Vol. 9, 1998, 73.
35. *Binder D. A., Price S. C., Legal Interviewing and Counseling: A Client-centered Approach*, West Publishing Company, 1977, 52-68.
36. *Colatrella M. T. Jr., Informed Consent in Mediation: Promoting Pro Se Parties' Informed Settlement Choice While Honoring the Mediator's Ethical Duties*, University of the Pacific Scholarly Commons, McGeorge School of Law Scholarly Articles, Vol. 15, 2014.
37. *Corbin L., Baron P., Gutman J., ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between: Lawyers in Mediations*, UNSW Law Journal, Vol. 38 (2), Berlin, 2015, 498-499.
38. *Clark B., Lawyers and Mediation*, Springer, 2012, 106-108.
39. *Dal Pont G., Lawyers' professional responsibility*, Thomson Reuters (Professional) Australia Limited, 2010.
40. *Doneff A., Ordover A., Alternatives to Litigation: Mediation, Arbitration, and the Art of Dispute Resolution*, third edition, Boulder, 2014, 99-100.
41. *Douglas K., Batagol B., The Role of Lawyers in Mediation: Insights from Mediators at Victoria's Civil and Administrative Tribunal*, Monash University Law Review, Vol. 40, №3, 2014, 762.
42. *Fiadjoe A., Alternative Dispute Resolution: A Developing World Perspective*, Cavendish Publishing, 2004.
43. *Furlan F., Blumstein E., Hofstein D. N., Ethical Guidelines for Attorney-Mediators: Are Attorneys Bound by Ethical Codes for Lawyers When Acting as Mediators?*, Ethical Guidelines, Vol. 14, 1997, 3, 6.
44. *Golann D., Mediating Legal Disputes: Effective Strategies for Lawyers and Mediators*, Little, Brown, 1996, 125-126.
45. *Harby S., Rundle O., Mediation for Lawyers*, CCH Australia Limited, 2010, 213-215, 226, 228-229.
46. *Hazard G. C. Jr., The Lawyer's Obligation to Be Trustworthy When Dealing with Opposing Parties*, South Carolina Law Review, Vol. 33, 1981, 182.
47. *Mantle M., Mediation: A Practical Guide for Lawyers*, 2<sup>nd</sup> ed., Edinburgh, 2017.

48. *Menkel-Meadow C.*, Ethics in Alternative Dispute Resolution: New Issues, No Answers from the Adversary Conception of Lawyers' Responsibilities, *South Texas Law Review*, Vol. 38, 427.
49. *Moore L. W.*, Lawyer Mediators: Meeting the Ethical Challenges, *Family Law Quarterly*, Vol. 30, №3, 1996, 684.
50. *Newman G. Z., Kim Y.*, The Increasing Popularity and Utility of Mediation, *American Bar Association's Section of Litigation Newsletter*, 2012.
51. *Nolan-Haley J.*, Lawyers, Clients, and Mediation, *Notre Dame Law Review*, Vol. 73, №5, 1997, 1372-1373, 1376- 1377, 1384-1385.
52. *Shapira O.*, *A Theory of Mediators' Ethics: Foundations, Rationale and Application*, Cambridge, 2016, 163-164, 168.
53. *Spencer D., Brogan M.*, *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, 2006, 204.
54. *Sternlight Jean R.*, Lawyers' Representation of Clients in Mediation: Using Economics and Psychology to Structure Advocacy in a Nonadversarial Setting, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 14, №2, 1999, 269-270.
55. *Watkins M. T.*, Principles of Persuasion, *Negotiation Journal*, *Negotiation Journal*, 2001, 129.
56. *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, *University of New South Wales Law Journal*, 2015, 12, 15, 17-20.
57. *Hopeshore Pty Ltd v. Melroad Equipment Pty Ltd*, (2004) 212 ALR 66, 76 [34].
58. *Studer v. Boettcher* [2000] NSWCA 263.

თამარ აკობია\*

## კერძო სამედიაცო მორიგების აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარების მაგალითზე

სტატია ეძღვნება კეიძო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მოხიგების აღსრულების საკანონმდებლო მექანიზმებს, მის ხოდსა და მნიშვნელობას მედიაციის ინსტიტუტისთვის. ამ მიზნით შეფასებულია კეიძო და სასამართლო მედიაციის უხიფხითიმახიება, პიროვნების შედეგად ფორმირებული მოხიგების აღსრულების სპეციფიკა და მედიაციის აღსრულების საკანონმდებლო გახანტიების პირობემატიკა.

სტატიაში წახმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი სამედიაციო მოხიგების აღსრულებასთან მიმახიებით, ჰოგოცი ომხივი ნებაყოფლობითი შეთანხმების დახლვევის პივენციის საშუალება. აგხევე, ყუხალება გამახვილებულია საეხთაშოხისო პიქტიკაზე, კეიძოდ, შედახებით-სამახთებხივი ანალიზის საფუძველზე შეფასებულია საქართველოს კანონმდებლობის საეხთო და განმასხვაებელი ნიშნები ევროკავშირის წევი სახელმწიფოების: გეხმანის, ბეღიისა და ფინეთის მოქმედი საკანონმდებლო ბაზის, სამედიაციო პიქტიკასა და საეხთაშოხისო სამახთებხივ აქტებზე დაყხნობით.

**საკვანძო სიგყვები:** კეიძო მედიაცია, სასამართლო მედიაცია, სანოტაო მედიაცია, საეხთაშოხისო სამედიაციო მოხიგების აქტი, სამედიაციო მოხიგების აღსრულება, მედიაციის აღსრულების მექანიზმები, აღსრულებაზე უახის თქმის საფუძველი.

### 1. შესავალი

მედიაცია დღესდღეობით სოციალური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ნაწილად ჩამოყალიბდა, რომელიც მიჩნეულია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუ-

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი.

ალეხად და სოციალური წესრიგის დამყარების ნაგულისხმევ მეთოდად.<sup>1</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ეფექტური მედიაციის“ სახელმძღვანელო<sup>2</sup> მედიაციას აღწერს, როგორც ნებაყოფლობით პროცესს,<sup>3</sup> რომლის თანახმადაც, მესამე პირი ეხმარება ორ ან მეტ მხარეს, მათივე თანხმობით, კონფლიქტის თავიდან აცილებაში, მის მართვასა ან მოგვარებაში, რაც უზრუნველყოფს ურთიერთშეთანხმების მისაღწევად მხარეთა მიერ შეთანხმების შემუშავებას.<sup>4</sup>

მედიაციის ინსტიტუტის ქმედითი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაციის შედეგის - სამედიაციო მორიგების აქტის სამართლებრივი ბედი, როგორც მისი აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები, ვინაიდან სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით მედიაციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს ნებაყოფლობითობა<sup>5</sup> წარმოადგენს. შესაბამისად, საინტერესოა რამდენად არის შესაძლებელი მედიაციის მონაწილე პირთა ნებაყოფლობითი „ნების ჩარჩოებში მოქცევა“<sup>6</sup> და მისი დაქვემდებარება შესასრულებლად სავალდებულო საკანონმდებლო აქტისათვის.

---

1 *Burns P. R.*, Some Ethical Issues Surrounding Mediation, *Fordham Law Review*, Vol. 70, Issue 3, 2001, 691.

2 The United Nations, *Guidance for Effective Mediation*, A/66/811, 25 June 2012.

3 Initiative Mediation Support Deutschland, *Basics of Mediation: Concepts and Definitions Fact Sheet Series: Peace Mediation and Mediation Support*, German Federal Foreign Office and Initiative Mediation Support Deutschland (IMSD), 2017, 1.

4 The United Nations, *Guidance for Effective Mediation*, A/66/811, 25 June 2012, 4.

5 მედიაციას ნებაყოფლობითი შეიძლება ეწოდოს, როდესაც მხარეები თავიანთი სურვილით მიმართავენ ამ სახის პროცედურას. თუ კანონმდებლობა ავალდებულებს მხარეებს, რომ მიმართონ მედიაციას, მაშინ ადგილი აქვს სავალდებულო მედიაციას. მითითებულია: *Rosu A.*, *Mediation - Voluntary or Mandatory Procedure*, *Acta Universitatis Danubius Juridica*, Vol. 1, 2010, 122.

6 *Smith G.*, *Unwilling Actors: Why Voluntary Mediation Works, Why Mandatory Mediation Might Not*, *Osgoode Hall Law Journal*, Vol. 36, Issue 4, 1998, 878.

კვლევის მიზანს წარმოადგენს კერძო მედიაციის მოქმედი საკანონმდებლო მდგომარეობა და 2019 წლიდან განხორციელებული რეფორმები, განსაზღვრა თუ რამდენად იცავს მედიაციის მხარეებს სახელმწიფო და როგორ არეგულირებს კერძო მედიაციის შედეგად მიღებული სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულების პრობლემატიკას. ამ მიზნით განხილულია კერძო სამედიაციო მორიგების აქტის სამართლებრივი ბუნება და მისი აღსრულების არსის მნიშვნელობა. ამასთან, საუბარია ზოგადად სამედიაციო მორიგების აქტის სასამართლოს წესით აღსრულების შესაძლებლობის მნიშვნელობაზე, თუ რამდენად დადებითი ან უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს მორიგების აქტის დაქვემდებარებამ იძულებითი აღსრულებისათვის მედიაციისა და პროცესის მონაწილე მხარეთა ინტერესებსა და უფლებაზე, რომელიც პირდაპირ პროპორციულად დაკავშირებულია მედიაციის ნებაყოფლობითობის პრინციპთან. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია კერძო სამედიაციო მორიგების სახელმწიფოს მიერ მისი ცნობისა და დამტკიცების შესაძლებლობა აღსრულებამდე. კერძო სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულების მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად შედარებულია სასამართლო და სანოტარო მედიაციის სახეები და მათი აღსრულების შესაძლებლობა. ამასთან, განხილულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული სამედიაციო რეფორმა, თუ რამდენად არის შესაბამისობაში უახლესი ცვლილებები საერთაშორისო დირექტივებთან და შეთანხმებებთან, მათ შორის კოლექტიური შრომითი დავების აღსრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

## **2. კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების არსი და მნიშვნელობა**

### **2.1. მორიგების აქტის სამართლებრივი ბუნება და აღსრულების როლი**

მორიგება მოდავე მხარეთა შორის განხორციელებული ნებაყოფლობითი ხასიათის სამართლებრივი მოვლენაა, რომე-



ლიც ორმხრივ ურთიერთდათმობას ემყარება.<sup>7</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მორიგება შეთანხმებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა კომპრომისს, გარკვეულ დათმობას, იმ მიზნით, რომ მეორე მხარემ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება შეძლოს.<sup>8</sup> ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მორიგება მხარეთათვის კანონით მინიჭებული უფლებაა, თავად გადაწყვიტონ დავის სამართლებრივი ბედი.<sup>9</sup>

მედიაციის პროცესის შედეგად მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მედიატორი უზრუნველყოფს მოლაპარაკების პირობების ასახვას წერილობითი ფორმით, რასაც სამედიაციო მორიგების აქტი ეწოდება. მედიატორმა აუცილებლად უნდა დაიცვას წესი, რომლის მიხედვითაც მას არ აქვს უფლება თავად შესთავაზოს მხარეებს შეთანხმების პირობები და გზები. ამის ნაცვლად, მედიატორი უნდა ეცადოს დაასრულოს მედიაცია ისე, რომ მხარეებმა თავად შეძლონ იპოვონ გზები დავის გადაჭრისთვის.<sup>10</sup> კანონმდებელი „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მეშვეობით განმარტავს სამედიაციო მორიგებას, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ წერილობით დოკუმენტს, რომლის შესრულება სავალდებულოა.<sup>11</sup>

---

<sup>7</sup> *მამაიაშვილი თ.*, მოსამართლის ფუნქცია სამოქალაქო საქმის-წარმოების მორიგებით დამთავრებისას და შედეგები, რომელიც მიიღწევა მორიგებით, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 103.

<sup>8</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის №2ბ/1084-13 გადაწყვეტილება.

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის №ას-531-764-08 განჩინება.

<sup>10</sup> ICDR Canada, Canadian Dispute Resolution Procedures, მითითებულია: *მშვიდგაძე თ.*, მედიატორის როლი მედიაციის დასრულების ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 70.

<sup>11</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-2 მუხლის „ი“ პუნქტი.

სასამართლო სამართალწარმოებისგან განსხვავებით, მორიგება ეფუძნება მხარეთა შორის ნებაყოფლობით შეთანხმებას სადავო საკითხების გადაჭრის წესზე.<sup>12</sup> შესაბამისად, მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმება მხოლოდ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების ავტონომიაა, რომელიც, ფორმალური თვალსაზრისით, ასახვას ჰპოვებს სამედიაციო მორიგების აქტში.

მორიგება, თავისი ბუნებით, წარმოადგენს ვალდებულებით-სამართლებრივი ტიპის გარიგებას.<sup>13</sup> მორიგების შემთხვევაში კონფლიქტში მყოფ მხარეთა მიერ ხორციელდება ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, რაც გულისხმობს მოდავეთა მიერ სადავო სამართალურთიერთობის მოგვარების მიზნით კონკრეტულ პირობებზე შეთანხმებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამედიაციო მორიგების აქტი ფაქტობრივად აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმს,<sup>14</sup> რაც სავალდებულოა ორმხრივად მავალდებულებელი გარიგების დადებისათვის. ის ჩვეულებრივი ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომელიც მხარეებმა ნებაყოფლობით უნდა შეასრულონ.<sup>15</sup> მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმება შესაძლოა გახდეს სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის საგანი.<sup>16</sup>

მედიაციაში მიღწეული შეთანხმება ის ნებაყოფლობითი აქტია, რომელსაც უფრო მეტი პერსპექტივა უნდა გააჩნდეს

---

<sup>12</sup> Les A., Cullen P. B., Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, Waikato Law Review, Vol. 17, 2009, 39.

<sup>13</sup> მამიაშვილი თ., მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017, 23.

<sup>14</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997, მე-9 მუხლი.

<sup>15</sup> იხ. Kenya Plantation and Agricultural Workers Union v. Maji Mazuri Flowers Limited, 2012.

<sup>16</sup> ცეხცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 244.

აღსრულების, ვიდრე ნებისმიერი სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებას, რადგან მისი ნებაყოფლობითი აღსრულება წარმოადგენს მხარეების ნებას და ინტერესს, რადგან მათ თავად ამ ფორმის შეთანხმებას მიაღწიეს, რაც ივარაუდება რომ ნებაყოფლობით უნდა აღასრულონ კიდევ.<sup>17</sup> შესაბამისად, სავარაუდოა, რომ სამედიაციო მორიგება უფრო მეტად ორიენტირებულია და ემსახურება ნებაყოფლობით აღსრულებას, რადგან იგი მოდავე მხარეთა შინაგანი ნების ამსახველი დოკუმენტია. თუმცა, მიუხედავად გამოვლენილი ნებისა, შესაძლებელია მხარეს არ ამოძრავებდეს შეთანხმების რეალურად განხორციელების მიზანი, რის საფუძველზეც „ახსებობს *ჩისკი მედიაციის მონაწილის მიერ სამედიაციო მოხიგების პირობების დახლვევისა, ხაც თავის მხრივ მედიაციის ინსტიტუტის უპიჩაგესობებს, ხოგოჩიცაა ეჩოის, ეკონომიუხოობის და უხითიეხთობის შენახჩუ-ნების კიჩეგიუმები, საფხთხის ქვეშ აყენებს*“.<sup>18</sup>

ერთ-ერთი მხარის მიერ სამედიაციო მორიგების პირობების დარღვევა ექცევა სტანდარტულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა ქრილში, რა დროსაც პროფესორი კეტლინ პეინი განიხილავს სამედიაციო მორიგების აქტის დარღვევის შემთხვევაში რეაგირებისა და გამოსწორების ალტერნატივებს, რომელიც გულისხმობს: 1) დარღვევის იგნორირებას, 2) ხელახალი მოლაპარაკების წარმოების მცდელობას ან/და 3) სასამართლოს მიერ შეთანხმების იძულებით აღსრულებას. სწორედ, ეს უკანასკნელი ალტერნატივა უზრუნველყოფს სამედიაციო მორიგების შესრულების ალბათობის გაზრდას,<sup>19</sup> ვინაიდან იძულებითი აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები ემსახურება მედიაციის მონაწილეთა ინტერესების დაცვას სა-

---

<sup>17</sup> *ყანდაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 103.

<sup>18</sup> *Sussman E.*, The Final Step: Issues in Enforcing the Mediation Settlement Agreement, the Fordham Papers, 2008, 4.

<sup>19</sup> *Cover Payne C.*, Enforceability of Mediation Agreements, Journal on Dispute Resolution, Vol. 1, Issue 2, 1986, 386.

ვალდებულო მართლმსაჯულების გზით. დარღვევის იგნორირება ან ხელახალი მოლაპარაკების წარმოების მცდელობა, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მედიაციის ქმედითობა-სა და ეფექტურობაზე, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა გამოიწვიოს რისკი მედიაციის სოციალური დეინტეგრაციისა. სამედიაციო მორიგების აქტისათვის აღსრულებადობის შესაძლებლობის მინიჭებით სახელმწიფო ეხმარება სუბიექტს მიღწეული ორმხრივი შეთანხმების რეალიზებაში, დამატებითი დროისა და ფინანსური რესურსების დახარჯვის გარეშე, ვინაიდან „მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმების ხეაღუხ განხორციელებას, მოხიგების აქტის სამახთებელი სტაგუსი განაპირობებს და მის საფუძველზე სააღსრულებო ფუხცდის გაცემის შესაძლებლობა.“<sup>20</sup>

აღნიშნულთან მიმართებით აღსანიშნავია ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის დირექტივა სამოქალაქო და კომერციული დავების ასპექტებთან დაკავშირებით,<sup>21</sup> რომლის თანახმადაც ხელშემკვრელი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, განახორციელონ შიდასაკანონმდებლო რეფორმები, იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სამედიაციო მორიგების შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულება. თუმცა ევროპული დირექტივა არ აკეთებს კონკრეტულ დათქმას, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს აღნიშნული საკითხის იმპლემენტირება.<sup>22</sup>

---

<sup>20</sup> დეონიძე ი., ნუცუბიძე მ., სანოტარო მედიაციის ინსტიტუტის თავისებურება ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 104.

<sup>21</sup> Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008.

<sup>22</sup> Zeller B., Leon Trakman L., Mediation and Arbitration: The Process of Enforcement, University of New South Wales, Law Research Series, Sydney, 2019, 8.

## 2.2. იძულებითი აღსრულების დადებითი და უარყოფითი ასპექტები

სამედიაციო მორიგების აღსრულების მნიშვნელობაზე საუბრისას, უნდა გვახსოვდეს, რომ მედიაციის პროცესი წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ ალტერნატიულ საშუალებას, რომლის მთავარი უპირატესობა მისი სამართლებრივად მოქნილი ბუნებაა.<sup>23</sup> თუმცა რეალურად მედიაციის უპირატესობების აღქმა მხარეთა მიერ ხორციელდება მაშინ, როდესაც დგება რეალური შედეგი. მედიაციის პროცესის ეფექტურობას არსებითად განსაზღვრავს არა მხოლოდ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებების რაოდენობრივი მაჩვენებელი, არამედ იმ საკანონმდებლო და პრაქტიკული გარანტიების არსებობა და ქმედითობა, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმებების აღსრულებას.<sup>24</sup>

პირველ რიგში, მორიგების აქტის აღსრულების შესაძლებლობა დადებითად აისახება მედიაციის ინსტიტუტის რეპუტაციასა და ნდობაზე. იურიდიული დოქტრინის თანახმად, მედიაციის პროცესში არ არსებობს წაგებული მხარე<sup>25</sup> (ე.წ. *win-win situation*),<sup>26</sup> თუმცა შეთანხმების მიღწევა და სამედიაციო მორიგების აქტის ხელმოწერა მხოლოდ ფორმალურაა, თუ პრაქტიკულად განხორციელდება შეთანხმების პირობები, რისი რეალური მოლოდინიც მხარეებს გააჩნდათ მედიაციის

<sup>23</sup> ბალათუჩია გ., სამედიაციო მორიგების აღსრულება საქართველოში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, თბ., 2020, 17-18.

<sup>24</sup> ცინცაბაძე ა., ქებუჩია თ., შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბ., 2019, 41.

<sup>25</sup> Aydt B. H., Mediation - The Alternative for "Win-Win", ABR, ABRM, CRB, 2001, 1, <[http://coar.com/files/pdf/Mediation\\_Win-Win\\_Article.pdf](http://coar.com/files/pdf/Mediation_Win-Win_Article.pdf)> [19.06.2021].

<sup>26</sup> Weatherspoon F. D., Kendall I., Resolving Race Discrimination in Employment Disputes through Mediation: A Win-Win for All Parties, American Journal of Mediation, Vol. 5, 2011, 114.

პროცესში ჩართვის მომენტიდანვე. შესაბამისად, სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულება უნარობამ შესაძლოა გამოიწვიოს მედიაციის სუბიექტთა (მათ შორის პოტენციურ სუბიექტთა) ნდობის შელახვა. ამას გარდა, სამედიაციო მორიგების აღსრულების საკანონმდებლო ბერკეტის არსებობა უზრუნველყოფს სასამართლოს განტვირთვას, რადგან მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება, ნაკლები დროისა და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, მხარის სურვილის შემთხვევაში დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მედიაციის მონაწილეს აღარ მოუწევს დამატებით სასამართლოსათვის მიმართვა მისი უფლებების დასაცავად.

სასამართლოსადმი სამედიაციო მორიგების აღსრულების უფლებამოსილების მინიჭებით სახელმწიფო უზრუნველყოფს კეთილსინდისიერი მხარის დაცვას ვალდებულების დამრღვევი მხარისგან, რომელმაც უარი თქვა ნებაყოფლობით მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის რეკომენდაციის მიხედვით, მედიაციის ორგანიზებისას სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაპყრონ იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებული უსარგებლო ხარჯები და საქმის გაჭიანურების ტაქტიკად გამოყენება.<sup>27</sup> გარკვეულ შემთხვევებში, მხარის ჩართვა მედიაციის პროცესში ხორციელდება არა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად და „კეთილსინდისიერად მოლაპარაკების“,<sup>28</sup> არამედ პროცესის გაჭიანურებისათვის. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ არსებობდეს ისეთი სამართლის ნორმა, რომელიც ასეთ დროს მხარეს დაიცავს არაკეთილსინდისიერი მხარისაგან და თანაც

---

<sup>27</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R(2002)10 რეკომენდაცია „სამოქალაქო საქმეებში მედიაციის შესახებ“, 2002, 3.

<sup>28</sup> *ჭაღიძე თ.*, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მედიაციაზე შეთანხმებით, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2015“, თსუ-ის გამომცემლობა, 2015, 152.

ისეთი გონივრული ბალანსი იქნება დაცული, რომ მხარეები მედიაციის პროცესის დადებით თვისებებზე უარს არ იტყვიან.

აღსანიშნავია, რომ სამედიაციო მორიგებისათვის აღსრულებადუნარიანობის მინიჭებას თან სდევს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპის შეზღუდვა, როგორც ნებაყოფლობითობის პრინციპია. ნებაყოფლობითობა, პირველ რიგში, მედიაციის ცნების განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია. იგი სთავაზობს დავის მხარეებს მოქნილ, საკუთარ ნებაზე მოქმედ მექანიზმს.<sup>29</sup> მედიაცია ორმაგად ნებაყოფლობითია, ვინაიდან მასში მონაწილეობა დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე, ამასთან, იგი იძლევა შედეგს, რომელიც მხოლოდ მხარეთა შეთანხმებაზეა დაფუძნებული.<sup>30</sup> ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) განმარტავს ნებაყოფლობითობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც „მედიაციის ნებაყოფლობითი ბუნება მდგომარეობს არა მხარეების თავისუფლებაში, გადაწყვიტონ, სურთ თუ არა მიმართონ მედიაციის პროცესს, არამედ იმაში, რომ მხარეები თავად ხელმძღვანელობენ პროცესს და შეუძლიათ თავისუფალი ორგანიზება გაუწიონ მას, მათი სურვილისამებრ და შეწყვიტონ იგი ნებისმიერ დროს.<sup>31</sup> CJEU-ს ამგვარი ინტერპრეტაცია მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვა განაპირობებს დამოუკიდებელი სახის გადაწყვეტილების მიღებას, რის შედეგადაც ფორმირდება სამედიაციო მორიგების აქტი.

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის დირექტივით სამოქალაქო და კომერციული დავების ასპექტებთან დაკავშირებით,<sup>32</sup> აღნიშნულია, რომ მედიაცია

---

<sup>29</sup> *Steffek F.*, *Mediation in the European Union: An Introduction*, Cambridge University, Cambridge, 2012, 1.

<sup>30</sup> *Andreas N.*, *Making Mediation Mandatory: A Proposed Framework*, *Journal on Dispute Resolution*, Vol. 7:2, 1992, 287.

<sup>31</sup> *Menini and Rampanelli v. Banco Popolare Società Cooperativa*, 2017.

<sup>32</sup> *Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters*, 21.05.2008.

არის პროცესი, სადაც მხარეთა ინტერესები მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებებით უფრო მეტად გარანტირებულია მათი ნებაყოფლობითი შესრულება მხარეთა მიერ, ასევე, მოდავეთა შორის პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება.<sup>33</sup> ნების ავტონომია კი ფაქტობრივად დისპოზიციურობის საფუძველს წარმოადგენს.<sup>34</sup> მედიაციისთვის მთავარია ნებაყოფლობითობა და ნება.<sup>35</sup> მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების, როგორც ავტონომიური ნების ნაყოფის, დაქვემდებარება კი იძულებითი სააღსრულებო წარმოების პირობებში, თავის მხრივ, ლახავს მედიაციის ფუნდამენტს, ვინაიდან იზღუდება ნებაყოფლობითობის პრინციპი.

ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მხოლოდ მხარეთა სურვილის შემთხვევაში გახდეს აღსრულებადი სამედიაციო მორიგება.<sup>36</sup> ასეთ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება ნებაყოფლობითობის პრინციპი, რაც, ერთის მხრივ, მედიაციას სძენს განსხვავებულ და მიზნიდველ სახეს, მეორე მხრივ, კი სასწორის პინაზე დევს მედიაციის პროცესში მონაწილე კეთილსინდისიერი მხარის მოლოდინი, რომელიც ენდო პირველ რიგში: ა) მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტურ გზას, ბ) მედიატორს, როგორც მოლაპარაკების შუამავალს, და ბოლოს, ენდო გ) მეორე მხარეს, რომელმაც მიუხედავად სამედიაციო მორიგებისა, უარი თქვა მის მიერ ნაკისრი ვალდებულების ნე-

<sup>33</sup> გვენეტაძე ნ., გოციხიძე ე., თოხღია ვ., მუხუსიძე დ., სოფხომაძე კ., მემორანდუმის ხელმოწერილი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, თბ., 2017, 63.

<sup>34</sup> Gren N., The Principles of Mediation, Journal of Eastern European Law, Vol. 24, 2016, 77.

<sup>35</sup> ჭადიძე თ., ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მედიაციაზე შეთანხმებით, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2015“, თსუ-ის გამომცემლობა, 2015, 137.

<sup>36</sup> Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008.



ბაყოფლობით შესრულებაზე. ობიექტური თვალსაზრისით, კეთილსინდისიერი მხარის იმედგაცრუებაზე პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარეს დავაკისროთ. თუმცა სუბიექტური თვალსაზრისით, კეთილსინდისიერი მხარის გადმოსახედიდან, საფრთხე ექმნება მედიაციის ინსტიტუტის ეფექტურობასა და შედეგიანობას, რადგან მხარე რეალურად რჩება განბილებული, მიუხედავად ფორმალურად დასრულებული წარმატებული პროცესისა.

კეთილსინდისიერ მხარეთა და მედიაციის ინსტიტუტის დაცვის მიზნით აუცილებელი ხდება გარკვეულწილად ნებაყოფლობითობის პრინციპის შეზღუდვა, თუმცა კანონმდებელს მართებს სიფრთხილე, რათა წარმატებით გაიაროს იმ ბენჯის ხიდზე, რომლის მეშვეობითაც შენარჩუნებული იქნება ბალანსი ნებაყოფლობითობის პრინციპსა და აღსრულების საკანონმდებლო გარანტიებს შორის, რასაც საბოლოო ჯამში კეთილსინდისიერი მხარის ინტერესების სამართლებრივ დაცვამდე და მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერებამდე მივყავართ.

### **2.3. კერძო სამედიაციო მორიგების, როგორც გადაწყვეტილების სახელმწიფოსმიერი ცნობა**

#### **2.3.1. შეთანხმების ცნობისა და აღსრულების ურთიერთმიმართება**

სამართლებრივი აქტის ცნობა და აღსრულება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. სამართლებრივი აქტის ცნობა თავის თავში მოიცავს მის აღიარებას ქვეყნის მართლმსაჯულების ორგანოს მიერ, რომელიც აღნიშნულის საფუძველზე იღებს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. კერძოდ, აღიარება, იგივე - ცნობა, წარმოადგენს მისი კანონიერი ძალის იმ მოცულობით გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე, მისთვის იმ დონით იურიდიული ძალის მინიჭებას, რა მოცულობასაც მოიცავს აღიარების თაობაზე ჩვენი

ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება.<sup>37</sup> შესაბამისად, სამართლებრივი აქტის ცნობით ქართული სასამართლო ფაქტობრივად აღიარებს სხვა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული პროცესის შედეგად წარმოშობილ დოკუმენტს. იძულებითი აღსრულება, ერთმნიშვნელოვნად გაბატონებული მოსაზრების თანახმად, რომელსაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენული, უზენაესი ხელისუფლების განხორციელების აქტს.<sup>38</sup> სამართლებრივი აქტის აღსრულება არის კერძო ავტონომიის შედეგად გამართული პროცესის შედეგის, როგორც „კერძო აქტის“ საჯარო-სამართლებრივი აღიარება.<sup>39</sup> შესაბამისად, სამედიაციო მორიგებისათვის იძულებითი აღსრულებადი ბუნების მინიჭებას წინ უნდა უძღოდეს მისი სახელმწიფოსმიერი ცნობა, როგორც შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივი აქტი, რის შემდეგაც ხდება ან უკვე აღიარებული აქტისათვის აღსრულებადი ძალის მინიჭება.

ამდენად, სამართლებრივი აქტის „ცნობა მისი აღსრულებაში მიქცევის წინაპირობაა“.<sup>40</sup> ცნობისა და აღსრულების ურთიერთმიმართება განსაკუთრებით საინტერესოა უცხო ქვეყანაში მიღებულ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით. პრაქტიკიდან გამომდინარე, ევროპელი სამართალმცოდნეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების მართოდ აღსრულებადად გამოცხადება არ იყო საკმარისი ქვეყნის შიგნით მათი იურიდიული ძალის განსაზღ-

---

<sup>37</sup> გოთუა დ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, 62.

<sup>38</sup> იქვე, 135.

<sup>39</sup> *Lew Julian D. M., Mistelis Loukas A., Kroll S. M., Comparative International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2003, 689.

<sup>40</sup> *ქახცივაძე დ., ჟიჟიაშვიდი თ., მოხჩიდაძე თ., კეკელიძე გ., გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის*, თბ., 2017, 93.

ვრისათვის,<sup>41</sup> ვინაიდან ცნობით ხდება უცხოური აქტის შეყვანა, დაქვემდებარება მეორე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში.<sup>42</sup> ამასთან, უცხოური აქტი აღქმულ უნდა იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას.<sup>43</sup>

### 2.3.2. სასამართლოს მიერ მორიგების დამტკიცების შესაძლებლობა აღსრულებამდე

განვითარებული ქვეყნების უმეტესობა ითვალისწინებს ევროდირექტივის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია კერძო სამედიაციო მორიგების აქტის სასამართლოსმიერი აღსრულება. თუმცა საინტერესოა, რა ადგილი უჭირავს მორიგების აქტის ცნობას. სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო სააღსრულებო ფურცლის გაცემით კონკლუდენტურად ახორციელებს აქტის აღიარებას, რადგან ცნობა-აღსრულების ბუნებიდან გამომდინარე მართლმსაჯულების ორგანოს მიერ ჯერ ხორციელდება მისი აღიარება, ე.ი. მისი შინაარსის დაქვემდებარება და შესაბამისობის დადგენა მოცემულ სამართლებრივ სისტემასთან, რის შემდეგაც ენიჭება შესასრულებლად სავალდებულო ძალა.

რაც შეეხება სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულების საკითხს, მორიგების აქტი წარმოადგენს უშუალოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ურთიერთმფარავი ნების გამოვლენას.<sup>44</sup>

---

<sup>41</sup> გოთუა დ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, 11.

<sup>42</sup> იქვე, 14.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> *Shamlikashvili T.*, Mediation in the Neighbouring Countries: the Case of Russia, Directorate General For Internal Policies, Policy Department : Citizen's Rights and Constitutional Affairs, European Parliament, Brussels, 2011, 4.

კერძო მედიაციის დროს მხარეები არ არიან ვალდებული დაასრულონ მედიაციის პროცესი შეთანხმებით, შესაბამისად, სამედიაციო მორიგების აქტი მხოლოდ მხარეთა ნებაზე დამყარებული დოკუმენტია, სადაც მედიატორი უზრუნველყოფს ჯანსაღი კომუნიკაციის ჩამოყალიბებასა და კონფლიქტის ტრანსფორმაციას. აქედან გამომდინარე, დამატებით მკაცრ კონტროლს არ საჭიროებს სამედიაციო მორიგების აქტი, რასაც ემატება ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ მორიგების აღსრულებადუნარიანად განხილვისას ხორციელდება მისი ცნობაც. თუმცა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღებული სამედიაციო მორიგების აქტი, როგორც უცხო სამართლებრივი სისტემის საფუძველზე შედგენილი აქტი, შესაძლებელია დაექვემდებაროს სასამართლოს მიერ მის ცნობას, მისი ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მოხდეს აღსრულებადუნარიანად მისი აღიარება.

### **3. სასამართლო მედიაციის აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები**

ქართული მედიაცია საკანონმდებლო დონეზე განმარტავს მედიაციის ორ ძირითად სახეს ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით: სასამართლო და კერძო მედიაციას.<sup>45</sup> აქვე, ცალკე საკითხად გამოყოფას საჭიროებს სანოტარო მედიაცია, რომელიც არ ექცევა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების ფარგლებში. კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკანონმდებლო გარანტიე-

---

<sup>45</sup> იურიდიულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მედიაცია შეიძლება იყოს მხოლოდ (კერძო) ნებაყოფლობითი სახის, რადგან მედიაციის შესახებ არსებული თითქმის ყველა იურიდიული განმარტება მოიცავს ამ პრინციპზე დაყრდნობით გავრცობილ დეფინიციას, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს თვისება წარმოადგენს ამ პროცედურის ფუნდამენტურ არსს. მითითებულია: *Rosu A., Mediation - Voluntary or Mandatory Procedure, Acta Universitatis Danubius Juridica, Vol. 1, 2010, 122.*

ბის განხილვამდე, მიზანშეწონილია განვიხილოთ სასამართლო მედიაციის აღსრულების პროცედურა და პრობლემატიკა კერძო მედიაციის ბუნებასთან ურთიერთშედარებით, რომელსაც დამახასიათებელი სპეციფიკურობა ახასიათებს.

### 3.1. სასამართლო მედიაციისა და კერძო მედიაციის განმასხვავებელი ნიშნები

სასამართლო მედიაცია განიხილება, როგორც მედიაციის უფრო ფორმალური ფორმა, იმის გამო, რომ მას ძირითადად უშუალოდ სასამართლო ახორციელებს.<sup>46</sup> სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელ ნორმებს განამტკიცებს, როგორც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. კანონის თანახმად, სასამართლო მედიაცია ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში.<sup>47</sup> სასამართლო მედიაცია წარმოადგენს მედიაციის ინსტიტუტის სპეციფიურ განშტოებას, როგორც სავალდებულო პროცესს, ვინაიდან სასამართლო მედიაციის პირობებში „ნებაყოფლობითი პროცესის წინაპირობა“,<sup>48</sup> როგორც მედიაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის ნაწილობრივ უგულებელყოფილი, ვინაიდან პროცესის ინიცირება ხდება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ სასარჩელო წარმოების ეტაპზე და არ წარმოადგენს მოდავე მხარეთა მიერ ნებაყოფლობით გამოვლენილ ნებას. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს მოეთხოვებათ მედი-

---

<sup>46</sup> *Olivier M., The Role of Court-annexed Mediation in Providing Access to Justice in the Resolution of Commercial Disputes, North-west University, 2018, 21.*

<sup>47</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>48</sup> Initiative Mediation Support Deutschland, Basics of Mediation: Concepts and Definitions Fact Sheet Series: Peace Mediation and Mediation Support, German Federal Foreign Office and Initiative Mediation Support Deutschland (IMSD), 2017, 1.

აციაში მონაწილეობა, თუ პროცესი სავალდებულოა, მათ მაინც შეუძლიათ სრული კონტროლის შენარჩუნება მორიგებასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევაზე.<sup>49</sup> მედიაციის სავალდებულოობა უგულვებელყოფს მედიაციის პროცესში მონაწილეობის ნებაყოფლობას, მაგრამ ხელუხლებლად ტოვებს ხელშეკრულების გაფორმების ნებაყოფლობითობას.<sup>50</sup> სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას რიგ შემთხვევაში შესაძლებელია ახასიათებდეს იძულებითი აღსრულების უფრო მყარი გარანტია. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წინა რედაქციის თანახმად<sup>51</sup>, სასამართლო მედიაციის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში სასამართლო განჩინებით ამტკიცებდა მორიგების პირობებს, ხოლო „იმ შემთხვევაში თუ შეთანხმება ვეი იქნა მიღწეული, სასამართლო წესით დავის განხილვა ჩრება საბოლოო საშუალებად, მხაჩეებს კვდავ შეუძლიათ მიმაჩთონ მაჩთდმსაჯუდების ოჩგანოს, ჩადგან სავადდებულო სასამართლო მედიაციის მიზანი აჩ აჩის მხაჩეების იძულება მოაგვაჩონ დავა მედიაციით, აჩამედ მისი საშუადებით პჩევენციჩება ხდება სამომავლო ფინანსუჩი ზაჩადისა იმ მხაჩის მიეჩ, ჩომედმაც შესაძროა უმიზებოჯ განაცხადა უაჩი მედიაციის შეთავაზებაზე.“<sup>52</sup>

რაც შეეხება კერძო მედიაციას, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, იგი ხორციელდება მხარეთა ინიციატივით მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გა-

---

<sup>49</sup> ოსგეჩმიდეჩი მ. ს., სვენსონი ჩ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 136.

<sup>50</sup> *Andreas N., Making Mediation Mandatory: A Proposed Framework*, *Journal on Dispute Resolution*, Vol. 7:2, 1992, 287.

<sup>51</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, <<https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=134>> [19.06.2021].

<sup>52</sup> Genn 2012 Yale JL & Human 402, მითითებულია: *Olivier M., The Role of Court-annexed Mediation in Providing Access to Justice in the Resolution of Commercial Disputes*, North-west University, 2018, 22.

რეშე.<sup>53</sup> კერძო მედიაცია წარმოადგენს მედიაციის ინსტიტუტის თვალსაჩინო გამოვლინებას, რომელიც დგას ნებაყოფლობით პრინციპზე. იგი სრულიად დამოუკიდებელია სასამართლო სისტემაში საქმის წარმოებისაგან და თავად სასამართლოსგან. აქვე ხაზგასასმელია, რომ სასამართლო მედიაცია უშვებს ნებაყოფლობით სასამართლო მედიაციით დავის განხილვას, თუმცა პროცედურულად სასამართლო მედიაციის წესებში ექცევა. კერძო მედიაციის განმარტებაში კი საყურადღებოა ორი ასპექტი: პირველი ის, რომ მხარეთა ინიციატივით ხდება მედიაციაში ჩაბმა, ხოლო მეორე ასპექტში იგულისხმება „სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისთვის გადაცემის გარეშე“ განხორციელებული მედიაცია, რაც ნათლად ავლებს ზღვარს სასამართლო და კერძო მედიაციას შორის.<sup>54</sup>

შესაბამისად, სასამართლო მედიაციისგან განსხვავებით კერძო მედიაცია, როგორც ცალკე მდგომი დამოუკიდებელი კერძო სამართლის ინსტიტუტი, განსაკუთრებით საჭიროებს მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმების საკანონმდებლო რეგულირებას, რათა კერძო მედიაციამ შეინარჩუნოს მიზნობრიობა, როგორც მედიაციის შედეგის აღსრულებადობა ნებაყოფლობითი პროცესის საფუძველზე.

## **3.2. სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების წესი**

### **3.2.1. სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებული საქმე შეიძლე-

---

<sup>53</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>54</sup> *მჭედრიძე მ.*, მედიაციის ინსტიტუტის ინტეგრირება საქართველოს საკანონმდებლო სივრცესა და პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, თბ., 2020, 53.

ბა დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით მედიატორს გადაეცეს, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.<sup>55</sup> სასამართლო მედიაციის „სავალდებულობა“ გულისხმობს მხოლოდ მხარეთა ვალდებულებას, გამოცხადდნენ მედიაციის სესიაზე და კეთილსინდისიერად მიიღონ პროცესში მონაწილეობა.<sup>56</sup> დღეს მოქმედი საპროცესო ნორმების გათვალისწინებით, სასამართლო მედიაციის დაწყება შესაძლებელია ნებისმიერ დავაზე, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში დავა მედიატორს შეიძლება გადაეცეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე,<sup>57</sup> რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მხარეებს სურვილის გაჩენის შემთხვევაში დაგვიანების გამო არ მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ სასამართლო მედიაციით.<sup>58</sup>

სასამართლო მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში არცერთი მხარე არ მიმართავს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.<sup>59</sup>

---

<sup>55</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>56</sup> კობაღაძე დ., მორიგებისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუტების თანაარსებობა სამოქალაქო პროცესში, ჟურნ. „ორბელიანი“, №1, 2019, 34.

<sup>57</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>58</sup> ცეხცვაძე გ. (ხედ.), აჩევაძე მ., ვასაძე ე., თვაუხი ხ., ივანიძე გ., მახაუხი პ., ყიფიაშვილი თ., გაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბრაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 64.

<sup>59</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



სასამართლო მედიაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს აღსრულების მოთხოვნით. აღსრულების საკითხს განიხილავს ის სასამართლო, რომელმაც დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით საქმე მედიატორს გადასცა. მხარემ, რომელიც სასამართლოს მიმართავს სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით, უნდა წარადგინოს სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამონშებული ასლი. სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში. სასამართლოს შეუძლია ამავე ვადაში დაადგინოს ამ საკითხის ზეპირი განხილვა, თუ ეს ხელს უწყობს საქმის გარემოებათა გამორკვევას. ამ შემთხვევაში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი განიხილება განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.<sup>60</sup>

### **3.2.2. სასამართლოს განჩინება, როგორც ე.წ. სავალდებულო სამედიაციო მორიგების აღსრულების წინაპირობა**

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, თუ სასამართლო მედიაციის პროცესი მორიგებით იქნა დასრულებული, მხარეები სასამართლოს მიმართავენ შესაბამისი შუამდგომლობით, რის შემდეგაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე. სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით, რომელთან ერთადაც მხარეს გადაეცემა სააღსრულებო ფურცელი. ბუნებრივია, სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაში აუცილებლად უნდა იყოს განმარტებული მორიგების პირობები და მხარეთა

---

<sup>60</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>7</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ურთიერთვალდებულებები, რათა ასეთი ტიპის მორიგების დროს აღსრულების ნაწილში საკითხის ბუნდოვანება თავიდან იქნეს აცილებული.<sup>61</sup> ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობა მხარეებს არ აძლევს უფლებას სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისა სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებით, რომელიც დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში საბოლოოა, თუმცა სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება დასაშვებია კერძო საჩივრით.<sup>62</sup>

სასამართლო მედიაციის შედეგად მიღებული აქტის აღსრულების საკითხთან მიმართებით საინტერესოა კანონის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს მიერ აღსრულებადუნარიანობის მინიჭება ხორციელდება მხოლოდ მხარის განცხადების საფუძველზე. სასამართლო მედიაციის პირობებში სასამართლოს განჩინება შეიძლება ჩაითვალოს მორიგების აღსრულების უპირობო სამართლებრივ გარანტად, ვინაიდან ასეთი ტიპის შეთანხმება მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს ატარებს.<sup>63</sup> როდესაც სასამართლო ავალდებულებს დავის მხარეებს მედიაციაში ჩართვას, ბუნებრივად მოსდევს კითხვები მის აღსრულებასთან დაკავშირებით.<sup>64</sup> ძირითადად, როდესაც სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია სრულდება მორიგებით, ის ჩვეულებრივ რეგისტრირდება სასამართლოში და ავტომატურად ექვემდებარება აღსრულებას, ისევე, როგორც სასამართლოს გადაწყ-

---

<sup>61</sup> დიდუაშვიდი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 374.

<sup>62</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>2</sup>-ე მუხლი.

<sup>63</sup> ბალათუხია გ., სამედიაციო მორიგების აღსრულება საქართველოში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, თბ., 2020, 36.

<sup>64</sup> Mccrory P. J., Mandated Mediation of Civil Cases in State Courts: A Liti-gant's Perspective on Program Model Choices, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 14:3, 1999, 847.

ვეტილება.<sup>65</sup> თუმცა საინტერესოა იმ შუალედური პროცესის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც არსებობს სამედიაციო მორიგების აქტის შედგენასა და მხარის მიერ მისი აღსრულების თაობაზე სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვას შორის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წინა რედაქციის თანახმად,<sup>66</sup> თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დღევანდელი რედაქციის თანახმად კი, აღნიშნული მუხლი ამოღებულია, რომლის მიხედვითაც, სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი წყდება ამ კოდექსის XLIV<sup>13</sup> (სამედიაციო მორიგების აღსრულების) თავის შესაბამისად, რაც გულისხმობს მხარის მიერ მორიგების აღსრულების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ მხარეები მორიგდნენ ან შედგენილ იქნა სამედიაციო მორიგება სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას.<sup>67</sup> შესაბამისად, სასამართლო მედიაციის წარმატებით დასრულებული პროცესი ექვემდებარება საქმის წარმოების შეწყვეტას, რის შემდეგაც სასამართლო-

---

<sup>65</sup> *ოსგეხმიდეხი მ. ს., სვენსონი ჰ. ჯ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 136.

<sup>66</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, <<https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=134>> [19.06.2021].

<sup>67</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>7</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.<sup>68</sup>

სამედიაციო მორიგების აქტი, თავისი ბუნებით, წარმოადგენს კერძო-სამართლებრივ გარიგებას, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში,<sup>69</sup> შესაბამისად, მოსამართლის მიერ გარკვეული სამართლებრივი მოქმედების განხორციელებამდე სასამართლო სამედიაციო მორიგებაც წარმოადგენს ჩვეულებრივ ხელშეკრულებას. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რა სამართლებრივი სტატუსით სარგებლობს სასამართლო მედიაციის შედეგად მიღებული სამედიაციო აქტი, სანამ მხარეები მიმართავენ სასამართლოს მისი აღსრულებისათვის? ამ მოცემულობით, ვინაიდან რა საქართველოს საპროცესო ნორმები აღარ განამტკიცებს მოსამართლის მიერ სასამართლო მედიაციის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების გამოტანას, მოსამართლე ფაქტობრივად მხოლოდ წყვეტს საქმის წარმოებას, ისე, რომ არ ამტკიცებს სამედიაციო აქტს. შედეგად, ვიღებთ იმას, რომ მოსამართლე აღარ ამოწმებს აქტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და მისი შინაარსის აღსრულებადობის პერსპექტივას, არ აძლევს შეთანხმებას შესასრულებლად სავალდებულო იურიდიულ ძალას და შემოიფარგლება მხოლოდ საქმის წარმოების შეწყვეტით, სანამ მხარე არ მიმართავს აღსრულების შუამდგომლობით. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე უარს ამბობს ნებაყოფლობით შესრულებაზე, შეთანხმება კი კანონსაწინააღმდეგოა ან შეიცავს აღუსრულებელ დებულებებს? სასამართლო სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხარეს ერთმევა უფლება თავიდან აღძრას სარ-

---

<sup>68</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>7</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>69</sup> *Thayer D., MacKenzie L. S., Binding Mediation, a Trap for the Unwary, The Recorder, ALM Publication, California, 2012, 1.*

ჩელი, რადგან საქმის წარმოება უკვე შეწყვეტილია.<sup>70</sup> აქედან გამომდინარე, მხარეს რჩება ერთადერთი გზა სასარჩელო წარმოების წესით იდავოს მხოლოდ სასამართლო სამედიაციო მორიგების აქტის, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ სასამართლო მედიაციას აზრი ეკარგება და დამატებითი სირთულეები იჩენს თავს, კეთილსინდისიერი მხარე რჩება დაზარალებული.<sup>71</sup>

ამ ეტაპისთვის სირთულეები შეიქმნა პრაქტიკის კუთხითაც, გაჩნდა არაერთგვაროვანი მოსაზრებები სასამართლო მედიაციის აღსრულების კუთხით, თუმცა მოსამართლეები ცდილობენ იხელმძღვანელონ ძველი პრინციპით, გამომდინარე იმ საერთაშორისო შეთანხმებებიდან (სინგაპურის კონვენცია და ევროკავშირის 2008 წლის დირექტივა), რომლის ხელშემკვრელ მხარესაც წარმოადგენს საქართველო. წინამდებარე რეფორმის მიზანსაც სწორედ შიდასაკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია წარმოადგენდა საერთაშორისო გამოცდილებასთან, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მხარეთა სურვილის შემთხვევაში სამედიაციო მორიგება გახდეს აღსრულებადი.<sup>72</sup> კანონმდებლის სავარაუდო ნება იკვეთება განმარტებით ბარათშიც, რომლის მიხედვითაც სასამართლო მედიაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მის შედეგად მიღწეული მორიგების სასამართლო

---

<sup>70</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>71</sup> მაგ.: თუ სასამართლო სამედიაციო მორიგების შედეგად მხარე დათანხმდა, მაგალითად, 2000 ლარის ნაცვლად 1000 ლარის მიღებას მეორე მხარისაგან, თავიდან აღძრული სარჩელის პირობებში, ვინაიდან რა იმავე საფუძვლითა და საგანზე დაუშვებელია საქმის წარმოება, კეთილსინდისიერი მხარე უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს მაქსიმუმ 1000 ლარის გადახდევინება.

<sup>72</sup> Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008.

ნესით აღსრულების შესაძლებლობა, რომელიც კერძო მედია-ციაზეც გავრცელდება.<sup>73</sup> აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>7</sup>-ე მუხლის ამგვარი რედაქცია სასამართლო მედიაციის კუთხით, სავარაუდოა, რომ წარმოადგენს ხარვეზს და არა კანონმდებლის განზრახვას.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია მოსამართლის მიერ საქმის შეწყვეტის პარალელურად სასამართლო სამედიაციო მორიგების დამტკიცება, რათა გარანტირებულ იქნას აღსრულების პერსპექტივა. ამგვარი სადავო პუნქტების არსებობა დამატებით ბარიერებს ქმნის იმ მხარეებისათვის, რომელთაც სურთ მიმართონ მედიაციას.<sup>74</sup> ერთის მხრივ, შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის ინტერპრეტირება სასამართლოს მხრიდან, რომლის თანახმადაც თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, მორიგების შემთხვევაში კი ამავე განჩინებით სასამართლო დამტკიცებს მორიგების პირობებს.<sup>75</sup> „მორიგების“ ცნებაში, ფართო გაგებით, შესაძლებელია მოვიაზროთ არა მხოლოდ სასამართლო მორიგება, არამედ სამედიაციო მორიგებაც. თუმცა აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი საქმის შეწყვეტის საფუძვლებში მკაფიოდ მიჯნავს „მხარეთა მორიგებას“ და „სამედიაციო მორიგებას“.<sup>76</sup> შესაბამისად, საქართველოს სა-

---

<sup>73</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089>> [14.09.2021].

<sup>74</sup> Salehijam M., Mediation Clauses: Enforceability and Impact, Singapore Academy of Law Journal, Special Issue, Vol. 31, 2019, 636.

<sup>75</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 208-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>76</sup> იქვე, 272-ე მუხლი.

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის ამგვარი ინტერპრეტაცია არ არის სტაბილურად მყარი, რადგან იგი რეალურად გულისხმობს სასამართლო მორიგების დამტკიცების შესაძლებლობას. საუკეთესო ვარიანტი აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მდგომარეობს ისევ საკანონმდებლო რეფორმაში, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლისათვის ძველი ფორმულირების დაბრუნებაში, რაც გაფანტავს ყოველგვარ გაურკვევლობას და არ მისცემს მოსამართლეებს აღსრულების კუთხით სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლთან მიმართებით, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს „მიღწეული მედიაციის შეთანხმების უსაფხთხო განხორციელების უზუნველყოფას.“<sup>77</sup>

#### **4. კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები**

კერძო მედიაცია არის მედიაციის ისეთი ფორმა, რომელიც სასამართლოს მიღმა, სასამართლო საქმისწარმოების დაწყების გარეშე იწარმოება. სასამართლო არც ერთი ფორმით არ მონაწილეობს კერძო მედიაციის პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმართავენ სასამართლოს სამედიაციო შეთანხმების აღსრულებას.<sup>78</sup> ქართული კანონმდებლობა შესაძლებელს ხდის მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე სამედიაციო მორიგებაში აღსრულების პირობების ასახვის შემთხვევაში, მისთვის სავალდებულო ხასიათის მინიჭებას. კერძოდ, სამედიაციო მორიგების შედგენის დროს მხარეთა დათქმა, სასამართლოსმიერი წესით მისი აღსრულების თაობაზე, წარმოადგენს აქტის იძულებითი აღსრულების

---

<sup>77</sup> Медиация - Практическое Руководство по Применению Гаагской Конвенции от 25 октября 1980 года О Гражданско-Правовых Аспектах Международного Похищения Детей, Научно-методический Центр Медиации и Права, Перевод, 2013, 89.

<sup>78</sup> *ოსგეხმდეჩი მ. ს., სვენსონი ჰ. ე.,* დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 135.

ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. შესაბამისად, მხარეები მათივე გამოვლენილი ნების საფუძველზე თანხმდებიან სამედიაციო მორიგების აღსრულების წესზე, რითაც ნებაყოფლობით იზღუდავენ თავს და ექცევიან არამხოლოდ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, არამედ ექვემდებარებიან სასამართლოს მიერ იძულებითი აღსრულების წარმოებას.

თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი განსხვავდება ერთმანეთისაგან. რიგ ქვეყნებში მორიგების აღსრულების საკითხი სრულად სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში შედის, რაც სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოს მიერ სამედიაციო შეთანხმების დამტკიცებას გულისხმობს, ხოლო ნაწილის შემთხვევაში კი ეს შეიძლება არა სასამართლოს, არამედ სხვა, კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის მქონე ორგანოს უფლებამოსილების საგანი იყოს.<sup>79</sup>

#### **4.1. კერძო მედიაციის საკანონმდებლო რეგულირების ეტაპები**

##### **4.1.1. აღსრულების საკანონმდებლო ბერკეტები 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე**

2020 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე მედიაციის პროცესს არეგულირებდა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, სადაც საუბარი იყო სასამართლო მედიაციაზე, კერძო მედიაცია კი ყოველგვარი სამართლებრივი რეგულირების გარეშე ფუნქციონირებდა თავისთავად. „შედეგად, მოდავე მხახეებს აჩქონდათ ახანაიხი სამახთდებხივი გახანგია მედიაციის პხოცესის დადებითი მხახეების დაცვისა. მაგადითად, მხახეებს კითხ-

---

<sup>79</sup> ბაღათუჩია გ., სამედიაციო მორიგების აღსრულება საქართველოში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, თბ., 2020, 19.



ვის ნიშნები უჩნდებოდათ კონფიდენციალურობის პრინციპის განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ მოთხოვნებს შესაძლოა დამუქებოდათ ხანდაზმულობა, ხამეთუ მედიაციის პოცესის მსვდერობისას (გაჲა სასამაჲთრო მედიაციისა) ხანდაზმულობის ვადების შეჩეჲება გათვადისწინებუდი აჲ იყო, მედიაციის შედეგად მიღწუდ შეთანხმებას აჲ გააჩნდა აღსჲუდების სამაჲთდებჲივი გაჲანგია.“<sup>80</sup> საქართველოს კანონმდებლობა ამ პერიოდში ითვალისწინებდა მხოლოდ მედიაციის სასამართლო და სანოტარო სახეებს. შესაბამისად, კერძო სამედიაციო პროცესის შედეგად მიღწული „სამედიაციო მოჲიგების, ჲოგოჲც Სჲმხივი ჲედშეკჲუდების, ვადებუდების დაჲღვევის შემთხვევაში კჲედიგოჲი საჲეღით მიმაჲთავდა სასამაჲთროს და სამაჲთარღწაჲმოების გჲით უნდა უბჲუნვედყო საკუთაჲი უფდებების დაცვა. შესაბამისად, კეჲძო მედიაცია ვეჲ უბჲუნვედყოფდა მხაჲეთა ხაჲეებისა და დჲოის დაზოგვის მოდოღინებს, ჲაც მედიაციის ეჲთ-ეჲთი დიჲითადი უპიჲატესობაა“.<sup>81</sup>

#### **4.1.2. აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით**

საბედნიეროდ, 2020 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული მიდგომა შეიცვალა, როდესაც ძალაში შევიდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მის შედეგად მიღწული მორიგების სასამართლო წესით აღსრულების შესაძლებლობა.<sup>82</sup>

---

<sup>80</sup> წიკვაჲი ს., ბაჲნაბიშვიდი გ., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითჲი საქართველოში, ჲურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელინდუული 2017“, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 10.

<sup>81</sup> იქვე, 20.

<sup>82</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089>> [14.09.2021].

#### 4.1.2.1. სასამართლოს მიერ კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების წესი

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს.<sup>83</sup> სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ. აღნიშნულის საფუძველზე ქართული სამედიაციო კანონი მოდავე მხარეებს ფაქტობრივად აძლევს შესაძლებლობას მიმართონ სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოს სამედიაციო მორიგების აქტის დასადასტურებლად, რათა მათ შეთანხმებას მიენიჭოს სასამართლოსმიერი იურიდიული ძალა და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი გააჩნდეს. თუმცა კანონი ზუსტ და კონკრეტულ განმარტებას არ აკეთებს თუ როგორ შეიძლება იქნას სამედიაციო მორიგება აღსრულებული, ან რა ეტაპებს შეიძლება მოიცავდეს ეს პროცესი. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულ იქნა 2019 წლის 18 სექტემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლის საფუძველზეც დარეგულირდა სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი.<sup>84</sup> სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე განსჯად სასამართლოდ დადგენილი არის რაიონული (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის/იურიდიული მისამართის მიხედვით.<sup>85</sup> განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი და აგრეთვე, მედიაციის თაობაზე შეთანხმება,<sup>86</sup> კერძო სამედიაციო მო-

---

<sup>83</sup> იხ. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-13<sup>1</sup> მუხლი.

<sup>84</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 363<sup>30</sup>-ე მუხლი.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> იქვე.

რიგების აღსრულების საკითხის განხილვას სასამართლო ახორციელებს იმავე პრინციპით, როგორც სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, ზეპირი მოსმენის გარეშე - განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში, რომელიც შესაძლებელია განხგრძლივდეს 30 დღემდე სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის ჩანიშვნის შემთხვევაში.<sup>87</sup> სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განჩინების სახით, რომელსაც განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში თან ერთვის სააღსრულებო ფურცელი. საკანონმდებლო რეფორმა შეეხო „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონსაც, რომელმაც გაამყარა კერძო სამედიაციო მორიგების საკანონმდებლო გარანტიები. კერძოდ, კანონმდებელი აღსრულების ქვემდებარე აქტად ნორმატიულად მოიხსენიებს სამედიაციო მორიგებას, რომელშიც იგულისხმება, როგორც სასამართლო, აგრეთვე კერძო მედიაცია.

აღნიშნული საკანონმდებლო რეფორმების საფუძველზე, კანონმდებელმა გაითვალისწინა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა და კერძო სამედიაციო მორიგება დაუქვემდებარა სასამართლოს მიერ აღსრულებას. ამ გზით ერთგვარად მოხდა აღსრულების გარანტიისა და ნებაყოფლობითობის პრინციპის დაბალანსება, ვინაიდან კანონის ჩანაწერის ფორმულირება<sup>88</sup> დისპოზიციური სახისაა, რომელიც ხაზს უსვამს მხარეთა ნებას. პირველ რიგში, მედიაციის პროცესის დასრულების შემდგომ კანონმდებელი მხარეებს უტოვებს შესაძლებლობას, ნების ავტონომიის ფარგლებში ნებაყოფლობით შეასრულონ სამედიაციო მორიგების შედეგად ნაკისრი ვალდებულებები. თუმცა მხარის მიერ ნებაყოფლობითობის პრინციპის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში პრიორიტეტი

---

<sup>87</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 363<sup>30</sup>-ე მუხლი.

<sup>88</sup> მხარეთა შეთანხმებით სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.

ენიჭება მეორე, კეთილსინდისიერი მხარის ინტერესების დაცვას და შესაბამისად, კანონმდებელი შესაძლებელს ხდის მორიგების აღსრულების სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებას.

#### 4.1.2.2. სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხთან ერთად განამტკიცებს სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, რომლის თანახმადაც ორი ძირითადი დამოუკიდებელი წინაპირობა განისაზღვრა: (1) თუ სამედიაციო მორიგების შინაარსიდან გამომდინარე სამედიაციო მორიგების აღსრულება შეუძლებელია ან (2) თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ამ შემთხვევაში მხარეს შეუძლია კერძო საჩივრით გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ. თუ აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე განჩინების ფორმით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

აქედან გამომდინარე, სამედიაციო მორიგების შეთანხმების პროცესის „სტადიაზე ყვედაზე მეტად საჭირო აჩის კვადიფიციური იუხისტის წახმომადგენლობა, ხადგან ხეადუხად დგება მხა-ხეებს შოხის შეთანხმება, ხომედის ეხთი მხიივ, ხა თქმა უნდა მხახეთა ნებას გამობაგავს, თუმცა მეოხე მხიივ, ის უნდა მოექცეს სამაჩთდებხივ ხეგუდიხებაში, ხათა მათ შოხის შედგეს, ხო-გოხც აღსხუდებადი აქტი სამაჩთდებხივი პეხსპეექტივიდან და მათ შოხის შესაძლებელი იყოს მისი სასამაჩთდოს მხიიდან დამტკიცება.“<sup>89</sup>

---

<sup>89</sup> Niedostadek A., (Hrsg) Praxishandbuch Mediation, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010, 44, მითითებულია: *ყანდაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერ-

## ა) სამედიაციო მორიგების შინაარსის შეუთავსებლობა საქართველოს კანონმდებლობასთან

სამედიაციო მორიგების შედგენის დროს „მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმება პასუხობდეს სამართლიანობის სტანდარტს,“<sup>90</sup> რათა მედიაციისადმი ნდობა და ინტერესი არ შენეღდეს მის მომხმარებლებში.<sup>91</sup>“ მორიგების პირობები, რომლებიც მხარეთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, მესამე პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არ უნდა არღვევდეს. მორიგების პირობები, რომლებიც მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს ადგენს, კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.“<sup>92</sup> შესაბამისად, სასამართლო კანონით უფლებამოსილია უარი განაცხადოს კერძო სამედიაციო მორიგების აქტის იძულებით აღსრულებაზე, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე სასამართლოს ეძლევა საშუალება განიხილოს მორიგების აქტი შინაარსობრივად და შევიდეს მის სიღრმეებში. სასამართლოს ზედამხედველობის ფუნქციიდან გამომდინარე, მოსამართლე ამოწმებს მხარეთა მიერ შეთანხმებული აქტის პირობების კანონთან შესაბამისობას, ე.ი. ახორციელებს მხარეთა ნების ავტონომიაში ჩარევას. თუმცა სამედიაციო მორიგების აქტის შინაარსობრივი განხილვა არ გულისხმობს, რომ სასამართლო უფლებამოსი-

---

ტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 101.

<sup>90</sup> ჩიჭაშვიდი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდუული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 13.

<sup>91</sup> ყანდაშვიდი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 100.

<sup>92</sup> კობაღაძე დ., მორიგებისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუტების თანაარსებობა სამოქალაქო პროცესში, ჟურნ. „ორბელიანი“, №1, 2019, 30.

ლია არსებითად გამოიკვლიოს მორიგების პირობები და სადავო ურთიერთობის გარემოებები. კანონმდებლის მიზანი უნდა მდგომარეობდეს მხოლოდ იმპერატიული ნორმების დაცვაში, რადგან დისპოზიციური დანაწესების განსაზღვრა მხარეთა კომპეტენციას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, „*მოსამახთრეს ახ შეუძლია ჩაეხიოს სახედშეკხუდებო უხთიეხ-თობაში და თვით ხედშეკხუდებაში, თუ ხა ახის სამახთრიანი და გონივხუდი.*“.<sup>93</sup>

სასამართლოს ზედამხედველობის ფუნქცია სამედიაციო მორიგების მიმართ მეტწილად განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ მედიაცია არ ავალდებულებს მხარეებს ჩაერთონ მოლაპაკების პროცესში კვალიფიციური იურისტის თანხლებით, ამასთან ერთად, მედიატორი მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს რეკომენდაცია, ან მიუთითოს მხარეებს კანონსაწინააღმდეგო პირობების არსებობის შესახებ შეთანხმების დადებისას. აქედან გამომდინარე, ამ იმპერატიული ჩანაწერით კანონმდებელი ცდილობს სასამართლოს გზით დააბალანსოს მხარეთა ნების ავტონომია და მოიყვანოს იგი კანონთან შესაბამისობაში, რაც, თავის მხრივ, მხარეებს უმაღლებს მოტივაციას, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იქნება არა მხოლოდ ორმხრივად დამაკმაყოფილებელი, არამედ შესაძლებელი იქნება მისი იძულებითი აღსრულება. ამავდროულად, კანონმდებელი მედიაციის მონაწილეებს უბიძგებს, მათი უფლებების უკეთ რეალიზების მიზნით, მიმართონ კვალიფიციურ იურისტს, ვინაიდან „*მოხიგების აქტი წეხიღობითი დოკუმენტია მხაეების სამოქადაქო უფდებებისა და ვად-ებუდებების განკახვის შესახებ.*“.<sup>94</sup>

---

<sup>93</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის პირველი თებერვლის №ას-27-გან-1-2010 განჩინება.

<sup>94</sup> იხ., გოგიშვიდი მ., სუდხანიშვიდი მ., მესხიშვიდი ქ., ჯინოხია ხ., გედაშვიდი ხ., ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2010, 38.

## ბ) სამედიაციო მორიგებაში აღუსრულებელი მართლზომიერი დებულებების არსებობის დასაშვებობა

საქართველოს კანონმდებლობა რაიმე სპეციალურ ფორმას ან მოთხოვნას არ ითვალისწინებს სამედიაციო მორიგების აქტის შედგენისათვის. მორიგება დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, თუმცა შინაარსობრივად „მედიაციით მიღწეული მორიგება უნდა უძლებდეს გარე შეფასებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შედეგი არ არის საზოგადოებისათვის მიუღებელი.“<sup>95</sup> წერილობითი შეთანხმება არ წარმოადგენს წარმატებული მედიაციის უტყუარ ბარომეტრს.<sup>96</sup> შესაძლოა მოსამართლე თვლიდეს, რომ ხელშეკრულება სამართლიანი არაა, მაგრამ მან უნდა დაიცვას იურიდიული პრინციპი, რომ მისი მოვალეობა და ამოცანა არ არის ამ საქმეში ჩარევა.<sup>97</sup> მორიგება შესაძლებელია, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოხდეს და არ არის აუცილებელი, რომ თავდაპირველად წამოყენებულ მოთხოვნებს ეხებოდეს, მედიაცია მხარეებს თავისუფლებას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს, უკეთესად დაინახონ თავიანთი ინტერესების და საჭიროებები.<sup>98</sup> თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მო-

---

<sup>95</sup> Gibson K., *Mediator Attitudes Toward Outcomes: A Philosophical View*, *Conflict Resolution Quarterly* Vol. 17, 1. 2nd ed., 1999, 198-209, მითითებულია: წუღიაა ო., თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2017“, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 264.

<sup>96</sup> ცუჩი მ., მედიაციის აქტის შედგენის ხელოვნება: სახელმძღვანელო ინსტრუქციები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 222.

<sup>97</sup> თოდუა მ., ვიდემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006, 105.

<sup>98</sup> მიქეღთაძე მ., კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის მექანიზმები და მათი ფუნქციონირების ინსტიტუციური მოდელები,

რიგების პირობებს მხარეები განსაზღვრავენ, იგი არ შეიძლება იყოს აშკარად კანონსაწინააღმდეგო, კაბალური ან/და აღუსრულებელი პირობების შემცველი.<sup>99</sup> შესაძლებელია პირობა სამართლებრივად იყოს მართლზომიერი, თუმცა შინაარსობრივად - აღუსრულებელი, როდესაც შეუძლებელია მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. არ არსებობს შეუძლებლობის შესრულების ვალდებულება (*impossibilium nulla est obligatio*).<sup>100</sup> განმარტებითი იურიდიული ლექსიკონის თანახმად, გარიგების ნამდვილობას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია და შეუძლებლობა მოცემული იყო გარიგების დადების დროს, მაგრამ შეუძლებლობა გამოორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნას, თუ ეს მოვალესთვის ან ნებისმიერი პირისათვის ხანგრძლივად შეუძლებელია.<sup>101</sup> სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულების მომწესრიგებელი ნორმები არ იძლევა მორიგების აღსრულების შეუძლებლობის დეფინიციას და მისი განსაზღვრის წინაპირობებს. ზოგადი წესით კი, ბუნებრივმა კატასტროფებმა, გაუთვალისწინებელმა პოლიტიკურმა თუ სოციალურმა ცვლილებებმა - ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისი, შეიარაღებული კონფლიქტები, ემბარგო, ექსპორტის აკრძალვა, შესყიდვის წყაროს მარცხი და ა.შ., შესაძლებელია დააბრკოლოს ან შეუძლებელი გახადოს ვალდებულების შესრულება.<sup>102</sup>

---

ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 160.

<sup>99</sup> კობაძე დ., მორიგებისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუტების თანაარსებობა სამოქალაქო პროცესში, ჟურნ. „ორბელიანი“, №1, 2019, 29.

<sup>100</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 400, მითითებულია: ჩიჭაშვიდი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, 190.

<sup>101</sup> განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, <<http://gil.mylaw.ge/ka-term/267.html>> [19.09.2021].

<sup>102</sup> ჩიჭაშვიდი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სა-



ამასთან, სამედიაციო მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულებები უნდა იყოს თვალსაჩინო და დეტალურად აღწერილი. აღნიშნული დანაწესის თანახმად, სასამართლო უარს იტყვის აღსრულების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე თუ სამედიაციო მორიგების შინაარსიდან გამომდინარე სამედიაციო მორიგების აღსრულება შეუძლებელია. მასში, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ბუნდოვანი და გაუგებარია მორიგების პირობები, რაც აღსრულების მიზნებისთვის გამოუსადეგარია. ვინაიდან, მოსამართლის მიერ მართლზომიერი, თუმცა ბუნდოვანი პირობის საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა გამოიწვევს სააღსრულებო წარმოების დისფუნქციას, რადგან აღსრულების ბიურო არაკონკრეტიზირებულ, ზოგადი სახის დებულებებს იძულების წესით ვერ აღასრულებს.

საბოლოო ჯამში კი, აღნიშნული ნორმის ჩანაწერი საკმაოდ ზოგადი და ამავედროულად ლაკონურია, რაც საჭიროებს სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე მის დამატებით განვრცობას.

#### **4.2. სანოტარო მედიაცია, როგორც კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების ალტერნატივა**

ევროკავშირის დირექტივის თანახმად, სამედიაციო მორიგებისათვის აღსასრულებელი ძალის მინიჭება შესაძლოა განხორციელებულ იქნას სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე.<sup>103</sup> ქართული სამართლებრივი სივრცე 2012 წლიდან იცნობს სანოტარო მედიაციას, როგორც მედიაციის ერთ-ერთ სახეს. მისი საკანონმდებლო რეგულირება განამტკიცებულია „ნო-

---

დისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, 70.

<sup>103</sup> Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008.

ტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმადაც ნოტარიუსი უფლებამოსილია წარდგეს მედიატორის რანგში საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო და ნებისმიერ სხვა დავაზე.<sup>104</sup>

სანოტარო მედიაციის განხორციელების წესი განსაზღვრულია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციაზე დაყრდნობით,<sup>105</sup> სანოტარო მედიაცია წარმოდგენილია, როგორც კერძო მედიაციის ნაირსახეობად, სადაც ნოტარიუს-მედიატორი წარმოადგენს სერტიფიცირებულ, ავტორიზებულ მედიატორს, რომელსაც აქვს სახელმწიფოსგან მინიჭებული უფლებამოსილება სანოტარო საქმიანობის განსახორციელებად. თავდაპირველად ქართული კანონმდებლობით განისაზღვრა სანოტარო მედიაციის ნებაყოფლობითი ფორმა კერძოსამართლებრივი დავის გადაწყვეტის მიზნით, თუმცა 2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სანოტარო მედიაციის მოქმედების ფარგლები გაფართოვდა, რის საფუძველზეც სანოტარო მედიაცია გარდაიქმნა, როგორც ნებაყოფლობით, ამასთანავე სავალდებულო მედიაციის ჰიბრიდულ ფორმად.<sup>106</sup>

---

<sup>104</sup> იხ. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009, 381-ე მუხლი.

<sup>105</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 33, 31/03/2010, 99-ე მუხლი.

<sup>106</sup> „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში განსაზღვრულ იქნა მედიატორი-ნოტარიუსის სავალდებულო ჩართულობა მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემურ და სპორადულ რეგისტრაციამდე, მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც კანონის საფუძველზე დაწყებული მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების სარეგისტრაციო წარმოების პროცესში მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი დავის გამოვლენის შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ამ დავის გადასაწყვეტად სავალდებულო წესით მიმართავს სანოტარო მედიაციას.

სანოტარო მედიაციის შედეგად მიღებული „*მოჩივების აქტი, სანოტარო აქტია. მასში იკვეთება მისი აღსრულების ხე-ადგილი შესაძლებლობა, რომელიც სანოტარო მედიაციის ინსტიტუტს ქმედით ხდის.*“<sup>107</sup> მას შემდეგ, როდესაც მხარეები მორიგების აქტში ნებაყოფლობით საწყისზე ასახავენ თავიანთ შეთანხმებას, მორიგების აქტი სანოტარო აქტის სახეს იღებს და ის ამავდროულად ხდება ნამდვილი სანოტაროსამართლებრივი დოკუმენტი, რომელზეც თავისუფლად ვრცელდება ნოტარიატის მუხლები ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებით.<sup>108</sup> სამედიაციო მორიგების აქტი ექვემდებარება ნოტარიუსის მიერ მის დადასტურებას სანოტარო წესით, საჯარო აქტისათვის დამახასიათებელი დამოწმების პრინციპით.<sup>109</sup> ამავდროულად, ინსტრუქცია ითვალისწინებს სამედიაციო აქტის დამოწმებაზე უარის თქმის საფუძვლებს, რომლის მიხედვითაც მედიატორი ნოტარიუსი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მორიგების აქტის დადასტურებაზე, თუ მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების შინაარსი აშკარად ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ ნორმებს, ზნეობას ან საჯარო წესრიგს.<sup>110</sup> სანოტარო სამედიაციო მორიგების აქტის მთავარი სპეციფიკა მდგომარეობს მისი აღსრულების წესსა და პროცედურაში. კერძოდ, მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნით შესაძლებელია გაიცეს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მსგავსად სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლისა, ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

---

<sup>107</sup> დეონიძე ი., ნუსუბიძე მ., სანოტარო მედიაციის ინსტიტუტის თავისებურება ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდელი 2018-2019“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 83.

<sup>108</sup> იქვე, 104.

<sup>109</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის №271-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 33, 31/03/2010, 109-ე მუხლი.

<sup>110</sup> იქვე.

ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცლის გამოსათხოვად აუცილებელია ორი პირობა არსებობდეს კუმულაციურად: მხარეთა შორის სანოტარო მედიაციის ფარგლებში შედგენილი სანოტარო აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით არსებული შეთანხმება და ამავე აქტში სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგების წერილობითი განმარტება.<sup>111</sup> შესაბამისად, როგორც ნებაყოფლობითი, აგრეთვე სავალდებულო სანოტარო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აქტი, აღნიშნული კანონის ჩანაწერის საფუძველზე, უთანაბრდება სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას. კანონმდებელმა ნოტარიუსი გარკვეულწილად მოსამართლის უფლებამოსილებით აღჭურვა.<sup>112</sup> სანოტარო მედიაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მხარეს აღარ უწევს დამატებით სასამართლოსთვის მიმართვა მისი აღსრულების მიზნებისათვის, რადგან ნოტარიუსი თავად არის უფლებამოსილი მოიხრგოს მედიატორის როლი, უზრუნველყოს მოდავე მხარეთა მიერ მორიგების უზრუნველყოფა და, საბოლოო ჯამში, შესძინოს სანოტარო მედიაციის გამართვის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას, როგორც სანოტარო აქტს, აღსრულებადი ძალა. თუმცა აღნიშნული არ ზღუდავს სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას, ვინაიდან თუ მხარეები სანოტარო მედიაციის ფარგლებში შედგენილ მორიგების აქტში არ გაითვალისწინებენ აღსრულების საკითხს, მხარეებს უნარჩუნდებათ სასამართლოსთვის მიმართვის გზით აღსრულების ფურცლის გამოთხოვის უფლება.<sup>113</sup>

---

<sup>111</sup> წიკლაუჩი ს., ბახაბიშვილი გ., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2017“, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 19.

<sup>112</sup> გააკაშვილი ს., სანოტარო მედიაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 82.

<sup>113</sup> ჩოჩიშვილი მ., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხისათვის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 94.

### 4.3. სამედიაციო მორიგების აღსრულების სპეციფიკა შრომით დავებში

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების გაფორმების<sup>114</sup> შემდეგ, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესების ხელშეწყობა სახელმწიფოს ვალდებულებად განისაზღვრა, რომლის შესასრულებლად სახელმწიფოს მიერ გატარდა უამრავი ღონისძიება და ასევე, დაიწყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის სამართლის სხვადასხვა სფეროში ახალი ინსტიტუტების დანერგვა და ძველი სისტემების მოდერნიზება.<sup>115</sup> ადამიანური ურთიერთობების აღდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს იძენს შრომით ურთიერთობებში. შრომითი დავების მოგვარების სისტემის მიზანი უნდა იყოს დავების მშვიდობიანი და მოწესრიგებული მოგვარება, პირველ რიგში, თავად მხარეთა ძალისხმევით, გაფიცვებისა და ლოკაუტების გამოყენების გარეშე.<sup>116</sup>

საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ დავებს, რომელიც უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რაც გულისხმობს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას, ხოლო კოლექტიური დავების შემთხვევაში მედიაციის პროცესსაც.<sup>117</sup> განსაკუთრებულად

---

<sup>114</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 27/06/2014, გამოქვეყნების თარიღი: 11/09/14, დროებითი გამოყენების რეჟიმი: 01/09/2014, სრულად ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2016.

<sup>115</sup> *მიქედთაძე მ.*, კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტის მექანიზმები და მათი ფუნქციონირების ინსტიტუციური მოდელები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდელი 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 137.

<sup>116</sup> Labour Legislation Guidelines, Chapter IV Substantive Provisions of Labour Legislation: Settlement of Collective Labour Disputes, <<https://www.ilo.org/legacy/english/dialogue/ifpdial/llg/noframes/ch4.htm>> [16.09.2021].

<sup>117</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, სსმ, 75, 17/12/2010, 69-ე მუხლი.

სენსიტიურია მიდგომა შრომითი მედიაციის აღსრულების საკანონმდებლო მოწესრიგების კუთხით კოლექტიური დავის დროს. კანონმდებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცალკე თავს უძღვნის კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებას, თუმცადა შრომითი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცედურა ანალოგიურია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სამედიაციო მორიგების აღსრულების ზოგად წესთან მიმართებით. განსხვავება მდგომარეობს კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებში, რომლის თანახმადაც სასამართლო უარს იტყვის კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე, თუ ამ შეთანხმების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს ან თუ, აღნიშნული შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია. მიუხედავად აღსრულების ზოგად წესთან მსგავსებისა, კანონმდებელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცალკე თავი გამოყო კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებისათვის, რითაც ხაზი გაუსვა კოლექტიური დავის გადაწყვეტის მნიშვნელობას, მათ შორის საჯარო წესრიგთან მიმართებით. რითია განპირობებული ამგვარი დამოკიდებულება კოლექტიური დავების მიმართ? განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მოწესრიგდება კოლექტიური შრომითი დავის ფარგლებში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხი.<sup>118</sup>

---

<sup>118</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/247857>> [14.09.2021].

აღნიშნულ რეფორმამდე, სოციალური პარტნიორების მხრიდან არსებული სისტემის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი სახელდება.<sup>119</sup> მიუხედავად დასაქმებულთა უკიდურესი ფორმით გაფიცვისა, მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც რეალურად მხოლოდ დამსაქმებლისათვის იყო ხელსაყრელი, რომელიც სამუშაო გარემოს სტაბილიზაციის და არა სამედიაციო მორიგების აღსრულების მიზნით დებდა შეთანხმებას. შეთანხმების აღსრულებლობის გამო საგაფიცვო მოქმედებების პრაქტიკა აჩვენებს, რომ მედიაცია ხშირად ვერ აღწევს მიზანს, ხოლო განმეორებითი მედიაციის შემთხვევები მექანიზმს ფორმალურ პროცესად აქცევს და იმთავითვე გამორიცხავს ურთიერთნდობას სოციალურ პარტნიორებს შორის.<sup>120</sup> მედიაციაზე გახმაურებული მოლაპარაკების საკითხები იშვიათად თუ შეესაბამებოდა მათ [დასაქმებულთა] საწყის მოთხოვნებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მაინც მოხდებოდა კომპრომისული სახის შეთანხმების გაფორმება, მოლოდინი მისი აღსრულების შესახებ მაინც ძალიან დაბალი იყო.<sup>121</sup> კოლექტიური შრომითი დავის სამედიაციო პროცესის შედეგად მიღებული მორიგების აქტის აღსრულების პრობლემატიკა თვალსაჩინოდ გამოჩნდა „RMG Gold“-ისა და „RMG Copper“-ის დასაქმებულთა გაფიცვის შემთხვევაში კაზრეთში, სადაც მოხდა შეთანხმება მხარეთა შორის, თუმცა უშედეგოდ, რადგან დამსაქმებელმა არ შეასრულა სამედი-

---

<sup>119</sup> ცინცაბაძე ა., ქებუჩია თ., შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბ., 2019, 41.

<sup>120</sup> ინტერვიუ რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის ვიცე-პრეზიდენტ ილია ლეჟავასთან. ინტერვიუს თარიღი: 17/05/2018, მითითებულია: ცინცაბაძე ა., ქებუჩია თ., შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბ., 2019, 41.

<sup>121</sup> იქვე, 90.

ციო მორიგების აქტის პირობები, რა დროსაც არ არსებობდა რაიმე საკანონმდებლო ბერკეტი მისი იძულებითი აღსრულების კუთხით.<sup>122</sup> შესაბამისად, 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების უპირველესი მიზანია ხაზი გაუსვას შრომითი უფლებების მნიშვნელობასა და მის დაცვას, როდესაც დამსაქმებელი სარგებლობს დასაქმებულთა ნდობით და არაკეთილსინდისიერად უგულებელყოფს მხარეთა მოლაპარაკების ნაყოფს - სამედიაციო მორიგების აქტს. არსებული მექანიზმის შრომითი მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებებზე გავრცელება შესაძლებელს გახდის მიღწეული შეთანხმების მოკლე ვადაში და ნაკლები დანახარჯით აღსრულებას, გაზრდის ნდობას მედიაციის მექანიზმის მიმართ და გააჩენს, მედიაციით მიღწეული შეთანხმებების აღსრულების რეალურ წინაპირობებს და მხარეთა ინტერესს მექანიზმის გამოყენების მიმართ.<sup>123</sup>

## **5. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაში**

2021 წლის 22 ივნისს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა კარი მეშვიდე<sup>9</sup>, რომელიც არეგულირებს სასამართლოს მონაწილეობას „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაში.

---

<sup>122</sup> იხ. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, კომპანია RMG პროფკავშირთან დადებული შეთანხმების პირობებს არ ასრულებს, სტატია, 2015.

<sup>123</sup> ცინცაბაძე ა., ქებუჩია თ., შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბ., 2019, 47.



## 5.1. სინგაპურის კონვენციის მნიშვნელობა სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხისთვის

საქართველოს სამედიაციო კანონმდებლობის განხილვისას აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენცია „მედიაციის შედეგად მიღებული საერთაშორისო შეთანხმებების აღსრულების შესახებ“,<sup>124</sup> რომელიც ასევე ცნობილია, როგორც სინგაპურის კონვენცია. აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს წარმოადგენს საქართველო. კონვენცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საერთაშორისო კომერციული შეთანხმებების შესრულების შესაძლებლობას, რომელიც მიღებულია მედიაციის გზით, ისევე, როგორც ნიუ-იორკის კონვენცია ხელს უწყობს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებას და აღსრულებას.<sup>125</sup>

სინგაპურის კონვენციის მოქმედების არეალი ვრცელდება შეთანხმებაზე, რომელიც მიღებულია მედიაციის შედეგად, წერილობითი ფორმით, კომერციული დავის გადასაჭრელად, რომელიც მისი დადების მომენტში საერთაშორისო სახისაა.<sup>126</sup> კონვენცია განმარტავს საერთაშორისო დავის კრიტერიუმებს, თუმცა არ განსაზღვრავს „კომერციული დავის“ მნიშვნელობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა 2018 წლის UNCI-TRAL-ის მოდელური კანონი<sup>127</sup> საერთაშორისო კომერციული მედიაციისა და მის შედეგად მიღებული საერთაშორისო შეთან-

---

<sup>124</sup> United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, General Assembly Resolution 73/198, 2018.

<sup>125</sup> *Chua E.*, The Singapore Convention on Mediation - A Brighter Future for Asian Dispute Resolution, *Asian Journal of International Law*, 2018, 1.

<sup>126</sup> United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, General Assembly Resolution 73/198, 2018.

<sup>127</sup> უნსიტრალის მოდელური კანონები წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის სახით მიღებულ აქტებს, რომლებსაც გააჩნია სარეკომენდაციო, არასავალდებულო ხასიათი.

ხმებების შესახებ,<sup>128</sup> რომელიც ერთგვარად ავსებს სინგაპურის კონვენციას, განმარტავს კომერციული დავის მნიშვნელობასა და ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას ანიჭებს მას.

სინგაპურის კონვენციამ თავიდან აიცილა აღსრულების კონკრეტული რეჟიმის დანესება, თუმცა მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები იმ პირობების შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მორიგების შეთანხმების აღსრულების მიზნით.<sup>129</sup> აღსანიშნავია, რომ სინგაპურის კონვენცია უფრო შორს მიდის, ვიდრე ევროკავშირის დირექტივა მედიაციის შესახებ, რომელმაც ვერ მოახდინა დადებითი გავლენა და ვერ უზრუნველყო ევროკავშირის ქვეყნებში მედიაციის გამოყენებადობის ზრდა.<sup>130</sup> ევროკავშირის დირექტივა არ ადგენს აღსრულების პროცედურას, იგი ზოგადად განსაზღვრავს ორ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მედიაციის მხარეებს ჰქონდეთ საშუალება თავისი ინიციატივით მოითხოვონ სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ სახელმწიფოს კანონს.<sup>131</sup> დირექტივისგან განსხვავებით, სინგაპურის კონვენცია ადგენს სამედიაციო მორიგების აქტის ერთგვარ ფორმას, რომელიც მინიმალისტურია, რადგან დეტალიზაციამ შესაძლოა დამატებითი ბარიერები შექმნას აღსრულების პროცედურისათვის. მათ შორისაა მხარეთა და მედიატორის ხელმოწერის სავალდებულობა და სხვა მტკიცებულებები, რაც ადასტურებს მედიაცი-

---

<sup>128</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2018 (amending the UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002) GA Res 73/199, adopted at the United Nations General Assembly, 73rd Session (20 December 2018).

<sup>129</sup> *Chua E.*, The Singapore Convention on Mediation - A Brighter Future for Asian Dispute Resolution, *Asian Journal of International Law*, 2018, 3.

<sup>130</sup> იქვე, 4.

<sup>131</sup> Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008.

ის შედეგად მორიგების აქტის შედგენას. აღნიშნული მიდგომა ხელსაყრელია, რადგან ქვეყნის სასამართლოებს აძლევს ლავირების საშუალებას, თავად მოითხოვოს მისი ცნობა-აღსრულებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა.<sup>132</sup>

გარდა ამისა, ევროკავშირის დირექტივისგან განსხვავებით, იგი განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია სასამართლომ უარი განაცხადოს მორიგების აღსრულებაზე. აღნიშნული საფუძვლები შეიძლება დაიყოს ოთხ ფართო კატეგორიად, კერძოდ, უარის თქმის საფუძვლები უკავშირდება: ა) ვალდებულებებს; ბ) მედიატორის მისკომუნიკაციას; გ) საჯარო წესრიგს; და დ) შეთანხმების საგანს, რომლის განხილვაც არ ექვემდებარება მედიაციას.<sup>133</sup>

საბოლოო ჯამში, სინგაპურის კონვენციამ ევროპულ ქვეყნებს მისცა ბიძგი უზრუნველყოთ საკანონმდებლო დონეზე უფრო ეფექტური საშუალებების და გარანტიების შექმნა საერთაშორისო კომერციული დავების მედიაციის შედეგების აღსასრულებლად. სინგაპურის კონვენციამ დაადგინა გარკვეული ჩარჩოები მოქმედების ფარგლების, აღსრულების წინაპირობებისა და მასზე უარის თქმის საფუძვლების განსაზღვრით, რომლის შიდასაკანონმდებლო სივრცეში ასახვა სავალდებულოა ყველა ხელშემკვრელი მხარისათვის, თუმცა იგი უტოვებს სახელმწიფოებს ლავირების საშუალებას, რათა თავად განსაზღვრონ მათთვის მნიშვნელოვანი დამატებითი რეგულაციები.

ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს კანონმდებლობა წარმოადგენს. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სრულად იზიარებს სინგაპურის კონვენციის მუხლებს და აღნიშნავს, რომ იმ საკითხების მიმართ, რომლებიც არ არის ზემოთ ხსენებული

---

<sup>132</sup> United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, General Assembly Resolution 73/198, 2018.

<sup>133</sup> *Chong Shou Y., Steffek F., Enforcement of International Settlement Agreements Resulting from Mediation under the Singapore Convention – Private International Law Issues in Perspective*, Singapore Academy of Law Journal, Special Issue, Research Collection School of Law, 2019, 457.

კანონებით მოწესრიგებული, გამოიყენება კონვენციის დებულებები.<sup>134</sup>

## **5.2. სასამართლოს მონაწილეობა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულების პროცესში**

### **5.2.1. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულების წესი**

უახლოესი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების უფლებამოსილების მქონე სასამართლოს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელსაც განცხადებით მიმართავს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ერთ-ერთი ან ორივე მხარე. გარდა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების დედნის ან მისი სათანადოდ დამონშებული ასლისა, განცხადებას თან უნდა ერთოდეს მისი სათანადოდ დამონშებული თარგმანი ქართულ ენაზე, აგრეთვე, იმის მტკიცებულება, რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგება მიღწეულ იქნა და დაიდო საერთაშორისო მედიაციის განხორციელების შედეგად, (კერძოდ: მედიატორის ხელმოწერა სამედიაციო მორიგებაზე; მედიატორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, რომ განხორციელდა საერთაშორისო მედიაცია; იმ დაწესებულების მიერ გაცემული დასტური, რომელიც ახორციელებდა საერთაშორისო მედიაციის ადმინისტრირებას; სასამართლოსთვის მისაღები ნებისმიერი სხვა მტკიცებულება). სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს დამატებით მოსთხოვოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელსაც იგი ამ კოდექსისა და კონვენციის მოთხოვნათა შესრულების შესამოწმებლად საჭიროდ მიიჩნევს.<sup>135</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სამედიაცია-

---

<sup>134</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>2</sup>-ე მუხლი.

<sup>135</sup> იქვე, 363<sup>31</sup>-ე მუხლი.

ციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებზედაც საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეები შეთანხმდნენ.

სასამართლო წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს ამონშებს განცხადებით მიმართვიდან 5 დღის ვადაში, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მის აღმოსაფხვრელად, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება დაექვემდებარება განუხილველად დატოვებას. განცხადება მისი წარმოებაში მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია შუამდგომლობა მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ. აღნიშნული მხარე უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში წარადგინოს განცხადება, რომლითაც შეუძლია უარყოს მორიგებისთვის იძულებითი აღსრულებადობის მინიჭება კანონიერი საფუძვლის არსებობისას. საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, ამ უკანასკნელის მიერ განცხადების წარდგენიდან ან საამისოდ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლიდან 30 დღეში. სასამართლო უფლებამოსილია საქმე ამავე ვადაში განიხილოს ზეპირი მოსმენით, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას და გადაწყვეტას, რის შემდეგაც გამოაქვს განჩინება სააღსრულებო ფურცელთან ერთად, რომელიც საბოლოოა.<sup>136</sup>

## **5.2.2. სასამართლოს მიერ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები**

სასამართლოს მიერ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, მტკიცების ტვირთის დაკისრების მხრივ, შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად: მხარის მიერ და სასამართლოს მიერ, თავისი ინი-

---

<sup>136</sup> იქვე, 363<sup>33</sup>-ე მუხლი.

ციტივით დადგენილი საფუძვლები. მხარეთა მიერ მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას „თითოეული პიროვნების გათვალისწინება ერთგვარი წინაპირობაა გადაწყვეტილებისათვის აღსრულების იუხიდიური ძალის მინიჭებისა.“<sup>137</sup>

რაც შეეხება სასამართლოს ჩარევის ფარგლებს, განსხვავებით ქვეყნის შიგნით შედგენილი სამედიაციო მორიგების რეგულირებისა, კანონმდებელი ნაკლები უფლებამოსილებით აღჭურავს მოსამართლეს და არ აძლევს ფართო არეალს, შევიდეს სამედიაციო მორიგების აქტის განხილვის სიღრმეებში. ძირითადი მტკიცების ტვირთი დაკისრებული აქვს მხარეს, ვინაიდან საერთაშორისო აქტის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მორიგების შინაარსობრივი შემოწმება და მისი მისადაგება შიდასაკანონმდებლო ბაზასთან გამოიწვევდა უმეტეს შემთხვევაში აქტის აღუსრულებლობას. საერთაშორისო ურთიერთობა, ზოგადი გაგებით, მოიცავს სულ მცირე ორი სახელმწიფოს წარმომადგენლის თანხვედრას, სადაც შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით სამართალურთიერთობაში გამოსაყენებელი სასურველი სამართლის არჩევა. ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აქტის შესაბამისობა ქვეყნის კანონმდებლობასთან აღსრულებადობას აქცევდა მხოლოდ ფორმალურ შესაძლებლობად, ვინაიდან აღნიშნული რეგულირება არ იქნებოდა რეალურად ქმედითი და ეფექტური, მხარეები კი იძულებულნი გახდებოდნენ საერთაშორისო სამედიაციო მორიგება მიესადაგებინათ საქართველოს კანონმდებლობასთან, რაც მათ ნებას სასურველი სამართლის არჩევის თაობაზე შეზღუდავდა.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მოქმედების ფარგლები საკმაოდ შეზღუდულია, კანონმდებელმა სასამართლოს მისცა ბერკეტი გარკვეულწილად შევიდეს დავის შინაარსობრივ ნაწილში. კერძოდ, სასამართლოს უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე თუ და-

---

<sup>137</sup> Lew Julian D. M., Mistelis Loukas A., Kroll S. M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, Hague, 2003, 12.

ადგენს, რომ: ა) შუამდგომლობაში აღძრული მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს; ბ) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება მედიაციის გზით იქნეს განხილული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცვლილებებს გააჩნია უკუძალა, რომლის თანახმადაც ამ დანაწესის მოქმედება ვრცელდება მის ამოქმედებამდე მიღწეულ და დადებულ საერთაშორისო სამედიაციო მორიგებებზეც. ამ საფუძველთაგან, საჯარო წესრიგის ერთადერთი საშუალებაა, როდესაც სასამართლოს შეუძლია შეეხოს სამედიაციო მორიგების აქტის არსებით ნაწილს. აღნიშნულთან მიმართებით, მთავარი პრობლემა მდგომარეობს „საჯარო წესრიგის“ ცნების ბუნდოვან და არაერთგვაროვან განმარტებასთან მიმართებით, რაც სასამართლოსათვის დამატებით აფართოებს ჩარევის ფარგლებს, ერთგვარად შეაფასოს ქვეყნის გარეთ მიღებული გადაწყვეტილების წონასწორობა საჯარო წესრიგთან კავშირში.

ეროვნული საჯარო წესრიგის დარღვევა გამომდინარეობს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის ან იმ ნებისმიერი ნორმის დარღვევისაგან, რომელიც მისი არსით უტოლდება ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს.<sup>138</sup> საჯარო წესრიგი ფართო ცნებაა,<sup>139</sup> თუმცა მისი ერთიანი უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს, მათ შორის არც სინგაპურის კონვენ-

---

<sup>138</sup> Dirk O., Omaia E., Herbert K., (ed.), Recognition and Enforcement of Foreign Awards: A Global Commentary on the New York Convention, 2010, 366, მითითებულია: გაღდავა დ., ფხაკაძე თ., საჯარო წესრიგი როგორც უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, 2018, 16.

<sup>139</sup> პროფესორი ბ. ზოიძის აზრით, საჯარო წესრიგის ცნების არსში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტალური პრინციპები, როგორიცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მენარმეობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს უპირველესად სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. მოხსენიებულია: ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, 178.

ცია „განზიარება ახ მოიცავს საჯარო წესრიგის უნივერსალური გან-  
მახტებას, ხადგან კონკრეტული გამოვლინებები ახსებითად გან-  
სხვავდება სხვადასხვა სამაჩთლებივ სისტემებში,“<sup>140</sup> რაც კი-  
დეუ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, საჯარო წესრიგი მჭიდ-  
როდ არის დაკავშირებული უშუალოდ სახელმწიფო სუვერენი-  
ტეტთან. შესაბამისად, ვინაიდან არ არსებობს საჯარო წეს-  
რიგთან დაკავშირებით შეჯერებული უნიფიცირებული გან-  
მარტება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნ-  
და დაადგინოს საჯარო წესრიგის დარღვევა. პრაქტიკაში სა-  
ჯარო წესრიგის დარღვევის ყველაზე თვალსაჩინო გამოსატუ-  
ლებას წარმოადგენს ხელშეკრულებები, რომლებიც ეწინააღ-  
მდეგება ზნეობრივ პრინციპებსა და ქვეყნის/საზოგადოების  
ინტერესებს, როგორცაა თაღლითობისა და კორუფციული გა-  
რიგებების შედეგად დადებული ხელშეკრულებები.<sup>141</sup> აღნიშ-  
ნული დეფინიცია, აგრეთვე, გულისხმობს ეროვნული კანონ-  
მდებლობით გათვალისწინებულ იმპერატიულ ნორმათა დაც-  
ვას, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ იმპერატიული  
ნორმა იყოს მნიშვნელოვანი და შეფასდეს მაღალი სტანდარ-  
ტის დაცვით - ძირითადი სამართლებრივი პრინციპებისა და  
საჯარო წესრიგის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდეს,  
რომელსაც შეიძლება „ზეიმპერატიული“ ნორმაც კი ვუწო-  
დოთ.<sup>142</sup> თუმცა ხშირ შემთხვევაში ნაციონალური სასამართ-

---

<sup>140</sup> International Bar Association Subcommittee on Recognition And Enforcement Of Arbitral Awards, Report on the Public Policy Exception in the New York Convention, IBA, October, 2015, 1, <[https://newyork-convention1958.org/index.php?lvl=notice\\_display&id=3630&opac\\_view=6](https://newyork-convention1958.org/index.php?lvl=notice_display&id=3630&opac_view=6)> [16.09.2021].

<sup>141</sup> Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 51.

<sup>142</sup> მატერიალური საჯარო წესრიგის თვალსაზრისით საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 სექტემბრის №2ბ/4173-16 განჩინება, რომლის მიხედვითაც დაინტერესებულ მხარეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე, ვინაიდან აღნიშნულის საფუძველზე ყადაღა დაედო იმ უძრავ ქონებას, რომელიც არ წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას, რაც



ლოები თავს იკავებენ იმ კრიტერიუმების დადგენისგან, რომლებსაც შემდგომში შეუძლიათ განსაზღვრონ საფუძვლები თუ რამდენად წარმოადგენს ესა თუ ის იმპერატიული სახის ნორმები ან ზოგადად ნაციონალური სამართალი საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილს.<sup>143</sup> შესაბამისად სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული საკითხის გასაზრცობად.

საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მრავალი ქვეყანა მისდევს *revizion au fond*-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.<sup>144</sup>

## **6. კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმები კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში**

საქართველოში კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის მიმოხილვის პარალელურად საინტერესოა განვიხილოთ კერძო მორიგების აღსრულების საკანონმდებლო თუ პრაქტიკული მექანიზმების არსებობა და მათი სპეციფიკა კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით.

---

დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერით, ვინაიდან დარღვეული იყო საკუთრების უფლების ფუნდამენტური უფლება.

<sup>143</sup> Gaillard E., Bermann A. G., Guide on Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, UNCITRAL, 2017, 261.

<sup>144</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №ა-3968-შ-107-2019 გადაწყვეტილება.

## 6.1. გერმანია

კონტიტენტური ევროპის სამართლის სისტემის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია გერმანია, რომელიც მედიაციის შესახებ კანონითა<sup>145</sup> და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით<sup>146</sup> არეგულირებს მედიაციის საკითხს. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, არ არის აუცილებელი რაიმე სპეციალური ფორმა ან/და მოთხოვნა დადგენილი იმისათვის, რომ გაფორმდეს სამედიაციო მორიგების აქტი. სამედიაციო მორიგების აქტი გაიგივებულია ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან, რომელზეც ვრცელდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის დებულებები. გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, მედიაციის მონაწილე მხარეები უფლებამოსილნი არიან, მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა, მიმართონ გერმანიის საოლქო სასამართლოს და მოითხოვონ სამედიაციო მორიგების აქტის სასამართლოსმიერი დამონშება, რასაც შემდგომში შესასრულებლად სავალდებულო, ხოლო აღსასრულებლად პირდაპირი ხასიათი გააჩნია. გარდა ამისა, თუ მხარეები მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას წარმომადგენლებად ჩართავენ იურისტებს, ადვოკატთა თანდასწრებით წარმოებული მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული მორიგება შეიძლება დაუყოვნებლივ აღსრულდეს ერთ-ერთი მხარის ადგილსამყოფელის მიხედვით მდებარე სასამართლოში სააღსრულებო ფურცლის მიღების გზით,<sup>147</sup> ვინაიდან იგულისხმება მხარეთა უფლებების დაცვის მაღალი ალბათობა და მისი კანონთან შესაბამისობა. ამასთან, გერმანიის

---

<sup>145</sup> Gesetz Zur Förderung der Mediation und Anderer Verfahren der Außergerichtlichen Konfliktbeilegung

<sup>146</sup> Zivilprozessordnung, <<https://www.gesetze-im-internet.de/zpo/>> [15.09.2021].

<sup>147</sup> *Wilking F.*, The Enforcement and Setting Aside of Mediation Settlement Agreements: A Comparison Between German and International Commercial Mediation, University of Cape Town, Cape Town, 2015, 47.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეებს აძლევს საშუალებას სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე კერძო სამედიაციო მორიგების აქტი იძულებით აღსასრულებელ დოკუმენტად აქციონ. თუ მხარეები სამედიაციო მორიგების პროცესში ნოტარიუსს ჩართავენ და მორიგებას სანოტარო წესით დაამოწმებენ, მაშინ მათ შორის დადებული მორიგების აქტს პირდაპირი აღსრულების სამართლებრივი ხასიათი ექნება.<sup>148</sup> მხარეები უფლებამოსილნი არიან ნოტარიუსს მიმართონ სამედიაციო მორიგების აქტის დამოწმების მიზნითაც.<sup>149</sup> ამ შემთხვევაში, ნოტარიუსი ამოწმებს მხარეთა ნებას ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში უპირობო აღსრულების შესახებ და ამოწმებს მორიგების აქტს. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, უძრავი ქონების განკარგვის შესახებ არსებული შეთანხმება/გარიგება აუცილებლად საჭიროებს დამოწმებას სანოტარო წესით.<sup>150</sup>

რაც შეეხება სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უარს იტყვის სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე თუ მორიგება ბათილია, დაკარგული აქვს მოქმედების ძალა ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.<sup>151</sup>

---

<sup>148</sup> *Esplugues C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Cambridge, 2013, 175-176.*

<sup>149</sup> *Helmut C. D., A Comparative Analysis of Mediation by Examination and Critique of the Theory and Practice Thereof in Germany, University of Glasgow, 2015, 28.*

<sup>150</sup> *Esplugues C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Cambridge, 2013, 172,* მითითებულია: ჩოჩიშვილი მ., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხისათვის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 88.

<sup>151</sup> *Zivilprozessordnung, Section <<https://www.gesetze-im-internet.de/zpo/>> [15.09.2021].*

## 6.2. ბელგია

ბელგიაში კერძო მედიაცია ერთ-ერთ აქტუალურ პროცესს წარმოადგენს განსაკუთრებით კომერციულ დავებთან დაკავშირებით. ზოგადი წესით, მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ მიმართონ ბელგიაში მედიაციას, როგორც სასამართლომდე, ასევე მისი მსვლელობისას ან სასამართლო განხილვების დასრულების შემდგომ, ხოლო სასამართლო მედიაცია მიმდინარე საქმის წარმოების დროს, მოსამართლის სათათბიროდ გასვლამდე, შეიძლება იქნეს მხარეთა თანხმობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით ინიცირებული.<sup>152</sup> ბელგიამ, როგორც კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახისა და ევროკავშირის ერთ-ერთმა განვითარებულმა წევრმა, მედიაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო დონეზე ინტეგრირება ჯერ კიდევ 2005 წელს განახორციელა, როდესაც ძალაში შევიდა ბელგიის კანონი მედიაციის შესახებ. აღნიშნული ნორმატიული აქტი დაემატა ბელგიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, რომელმაც მოიცვა მედიაციის პროცედურული წესები. აღსანიშნავია, რომ ბელგიამ 2008 წლის მედიაციის დირექტივის ფორმალური რატიფიცირება არ მოახდინა, რის შესახებ ბელგიის მთავრობამ ოფიციალური ნოტა გაუგზავნა ევროპის კომისიას და დაეყრდნო მათ ქვეყანაში უკვე მოქმედ კანონს მედიაციის შესახებ, რითაც ახსნა ახალი კანონის მიუღებლობის საფუძვლები ბელგიის მაგალითზე.<sup>153</sup>

ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, მედიაციის დავის საგანს შესაძლოა წარმოადგენდეს ნებისმიერი ტიპის დავა.<sup>154</sup> იგი განამტკიცებს მედიაციის ორ სახეს: ნებაყოფლობით და

---

<sup>152</sup> *Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 105, მითითებულია: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 246.*

<sup>153</sup> იქვე, 195.

<sup>154</sup> *Belgian Judicial Code, Part VII: Mediation, 1967.*

სასამართლო მედიაციას. ნებაყოფლობითი მედიაცია ბელგიის კანონის საფუძველზე არის მედიაცია, რომელსაც მხარეები ირჩევენ მოსამართლის მოთხოვნისა და სხვა სახის ჩარევის გარეშე, ხოლო სასამართლო მედიაცია დაკავშირებულია სასამართლოსთან.<sup>155</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მედიაცია (*judicial mediation*) წარმოადგენს დასათაურებას, თუმცა რეალურად ბელგიაში ამ ფორმის მედიაციის ქვეშ მოიაზრება და ხორციელდება სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმა, როდესაც საქმე გადაეცემა სასამართლოსთან არსებულ სამედიაციო ცენტრს და არა უშუალოდ მოსამართლეს ან სასამართლოს მოხელეს.<sup>156</sup>

სამედიაციო მორიგების შედეგად მიღწეული შეთანხმება შესაძლებელია ინკორპორირდეს სასამართლო გადანაცვლებებში, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ სამედიაციო აქტის ზედამხედველობას მის აღსრულებამდე.<sup>157</sup> კერძო სამედიაციო პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმება ექვმდებარება სასამართლოს მიერ დამტკიცებასა და აღსრულებას, რომელიც შედგა აკრედიტირებული მედიატორის მონაწილეობით.<sup>158</sup> მედიატორის კომპეტენცია ერთ-ერთი წინაპირობაა მორიგების აქტის აღსრულებისათვის, რომლის აკრედიტაციაც ხორციელდება ფედერალური სამედიაციო კომისიის მიერ ბელგიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.<sup>159</sup> აღნიშნული პირობა ერთგვარად ავლენს

---

<sup>155</sup> *De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 20.*

<sup>156</sup> *Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 93.* მოხსენიებულია: *ყანდაშვიდი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადანაცვლების სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 196.*

<sup>157</sup> *De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 24.*

<sup>158</sup> *Belgian Judicial Code, Part VII: Mediation, 1967.*

<sup>159</sup> იქვე.

კანონმდებლობის დამოკიდებულებას, რომელიც სრულად არ ენდობა კერძო სამედიაციო შეთანხმებებს იურისტებისა და სხვა ექსპერტების მონაწილეობის გარეშე.<sup>160</sup> ამას გარდა, სასამართლო მედიაციის შესახებ შეთანხმების შესაბამისობას მედიაციის პროტოკოლთან, რომელიც თან უნდა ერთვოდეს მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას აქტის აღსრულების თაობაზე. ბელგიის სამედიაციო სამართალი, მედიაციის პროტოკოლში მოიაზრებს მედიაციის თაობაზე შეთანხმების ფორმას, რომლის მიხედვითაც შეთანხმება უნდა შეიცავდეს მხარეთა და მედიატორის ხელმოწერებსა და მათ რეკვიზიტებს, შეთანხმების გაფორმების თარიღს, დავის მოკლე აღწერას, მედიატორის საფასურსა და გადახდის წესს, მითითებას მედიატორის აკრედიტაციის თაობაზე, მედიაციის ნებაყოფლობით და კონფიდენციალურ პროცესზე.<sup>161</sup>

გარდა ფორმალური წინაპირობების არსებობისა, სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე, თუ სამედიაციო მორიგების აქტი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან საოჯახო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების პირობები არღვევს 18 წლამდე ასაკის მოზარდის ინტერესებს.<sup>162</sup> მაგალითად, მოსამართლე უარს იტყვის დავის მონაწილეთა შორის დადებულ განქორწინების შესახებ ხელშეკრულებაზე, თუ არასრულწლოვნისთვის განსაზღვრული ალიმენტი არის საკმაოდ დაბალი.<sup>163</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლის მიერ კერძო მედიაციის შედეგად მიღებული მორიგების აქტის პირობებისა არის მინიმალური.<sup>164</sup> თუმცა საინტერესოა საერთაშორისო სამედიაციო აქტის მორიგების აღსრულების საკითხი, ვინაიდან

---

<sup>160</sup> *De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice*, Oxford University Press, Oxford, 2012, 25.

<sup>161</sup> Belgian Judicial Code, Part VII: Mediation, 1967.

<sup>162</sup> იქვე.

<sup>163</sup> *De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice*, Oxford University Press, Oxford, 2012, 26.

<sup>164</sup> იქვე, 25.

რა ბელგიის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სპეციალურ, დამატებით პროცედურებს. ბელგიის მედიაციის კანონმდებლობა არ განასხვავებს შიდა და ტრანსნაციონალური მედიაციის პროცედურებს, აქედან გამომდინარე, იგივე დებულებები ვრცელდება, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აქტებზე.<sup>165</sup> ასეთ შემთხვევაში, გონივრული იქნება მოსამართლემ უარი არ თქვას მორიგების აქტის აღსრულებაზე, თუმცა აღნიშნული მოსაზრება ამ ეტაპისთვის ბუნდოვანია,<sup>166</sup> ვინაიდან მოცემული მომენტისათვის ბელგია არ წარმოადგენს სინგაპურის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს.<sup>167</sup>

თუმცა ის ფაქტი, რომ მედიაციის შესახებ კანონი არეგულირებს ორ კატეგორიას, არ გამორიცხავს მესამე კატეგორიის არსებობას, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც „თავისუფალი მედიაცია“ (*free mediation – ad hoc mediation*), იმ გაგებით, რომ ხელშეკრულების თავისუფლება მხარეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ მედიაციის პროცესში, მათი სურვილისა და საზოგადოებრივი წესრიგის ფარგლებში,<sup>168</sup> რა დროსაც მედიატორის აკრედიტაცია არ არის მოთხოვნილი. ამ ტიპის მედიაცია, რომელიც მოლაპარაკებას წააგავს, არ ექვემდებარება სასამართლოს მიერ აღსრულებას. შესაბამისად, ასეთი ტიპის შეთანხმებები ბელგიაში აღსრულებადია, როგორც ხელშეკრულება, რომელიც შესაძლოა ბათილ იქნას, ისეთი ჩვეულებრივი თავდაცვითი საშუალებებით, როგორი-

---

<sup>165</sup> EU Handbook on Mediation: Mediation Law and Practice in Other EU Countries, <[http://mediation-net.eu/pdf/books/analysis\\_concise\\_text-2.pdf](http://mediation-net.eu/pdf/books/analysis_concise_text-2.pdf)> [19.06.2021].

<sup>166</sup> *De Palo G., Trevor M. B.*, EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 25.

<sup>167</sup> United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, UN Treaty Collection, <[https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XXII-4&chapter=22&clang=\\_en](https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXII-4&chapter=22&clang=_en)> [27.06.2021].

<sup>168</sup> *Demeyere L.*, Mediation in Belgium - an Overview, Yearbook on International Arbitration, Vol. 2, 2012, 363.

ცაა არაკეთილსინიდისიერება, შეცდომა, თაღლითობა და ძალადობა.<sup>169</sup>

### 6.3. ფინეთი

ფინეთის კანონმდებლობა განასხვავებს სასამართლო და სასამართლოს გარეთ არსებულ, ე.ი. კერძო მედიაციას. კერძო სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულებადობა მნიშვნელოვნად გამარტივდა მას შემდეგ, რაც ფინეთის სახელმწიფომ მიიღო კანონი მედიაციის შესახებ, რადგან აღნიშნულ რეფორმამდე სასამართლოს გარეთ დადებული სამედიაციო მორიგება იყო მხოჭავი, თუმცა არ იყო კანონით აღსრულებადი სასარჩელო წარმოების დაწყების გარეშე.<sup>170</sup> ფინეთის სამედიაციო აქტის საფუძველზე მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით, თუმცა კანონმდებელი განსაზღვრავს მინიმალურ კრიტერიუმებს სამედიაციო მორიგების აქტის ფორმირებისათვის. კერძოდ, შეთანხმება აღსრულების მიზნებისთვის უნდა იყოს წერილობითი ფორმით დადებული და შეიცავდეს მხარეთა და მედიატორის შესახებ ინფორმაციას, დავის საგნის მიმოხილვას და მოლაპარაკების პირობებს.<sup>171</sup> სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე, თუ შეთანხმების პირობები ეწინააღმდეგება ფინურ კანონმდებლობას, აშკარად უსამართლოა ან არღვევს მესამე მხარის უფლებებს.<sup>172</sup> სამედიაციო მორიგების პირობების სამართლიანობის შეფასება რთულია და საჭიროებს მის განმარტებას სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე.<sup>173</sup> მაგალითად, სამედიაციო მორიგების პირობა,

---

<sup>169</sup> *De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice*, Oxford University Press, Oxford, 2012, 24.

<sup>170</sup> იქვე, 102.

<sup>171</sup> Act on Mediation in Civil Matters and Confirmation of Settlements in General Courts, Ministry of Justice, Finland, 394 / 2011.

<sup>172</sup> იქვე.

<sup>173</sup> *De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice*, Oxford University Press, Oxford, 2012, 104.



რომელიც ერთ-ერთ მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას საქმიანი ურთიერთობის ძირითად საკითხებზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებისა, ასეთი შინაარსის შეთანხმება არის უსამართლო.<sup>174</sup> რაც შეეხება მესამე მხარის უფლებების დარღვევას, იგი თავისთავად წარმოადგენს არაკანონიერ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება, როგორც ქვეყნის შიდასაკანონმდებლო ბაზას, აგრეთვე სამართლის ზოგად პრინციპებს. თუმცა აღნიშნული ჩანაწერის საფუძველს წარმოადგენს მხარეთათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმადაც დასაშვებია სამედიაციო მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება.<sup>175</sup> შესაბამისად, სასამართლოს მიერ აქტის აღსრულებაზე უარის თქმა მესამე მხარის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მესამე პირის დაცვას, ვინაიდან „მედიაციის შესახებ კანონის თანახმად მესამე მხარეს ახ აქვს უფლება გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სამედიაციო მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე“.<sup>176</sup>

რაც შეეხება საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულებას, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეთანხმება, რომელიც მიღწეულია მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ექვემდებარება ანალოგიური წესით მის დამტკიცებას სასამართლოს გზით. თუმცა არ არის განსაზღვრული სხვა ქვეყნებს შორის არსებულ საერთაშორისო შეთანხმებების ბედი, რადგან ამ ეტაპისთვის ფინეთი არ წარმოადგენს სინგაპურის კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს.

---

<sup>174</sup> De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 104.

<sup>175</sup> Act on Mediation in Civil Matters and Confirmation of Settlements in General Courts, Ministry of Justice, Finland, 394 / 2011.

<sup>176</sup> De Palo G., Trevor M. B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 104.

## 7. დასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო ბიზნეს სამართლებრივ ურთიერთობებში მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების, როლი აქტუალური ხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამედიაციო მორიგების აქტის შესასრულებლად სავალდებულო იურიდიული ძალის მინიჭების მექანიზმის დახვეწა.

სამედიაციო მორიგების აქტი, თავისი ბუნებით, წარმოადგენს სტანდარტულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას, რომელსაც შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი გააჩნია მხოლოდ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში. სამედიაციო მორიგება მონაწილეთა სურვილის წერილობით გამოვლინებას წარმოადგენს, ვინაიდან ნებაყოფლობითობის საკითხის იდეა ე.წ. „სურვილის ფაქტორში“<sup>177</sup> მდგომარეობს.<sup>178</sup> შესაბამისად, მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების ნებაყოფლობითი აღსრულების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილების, ვინაიდან თვითონ მხარეების მიერ არის შემუშავებული სამედიაციო მორიგების აქტის რეზოლუცია, რომელიც მათი გადმოსახედიდან სამართლიანია, რაც საბოლოო ჯამში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას ამცირებს.<sup>179</sup> თუმცა საინტერესოა, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ყველაფრის მიუხედავად მხარე უარს ამბობს მის მიერ სამედიაციო მორიგებით ნაკისრი ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე? სწორედ აქ იკვეთება სამედიაციო მორიგების აღსრულების აუცილებლობაც. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თითოეული ადა-

---

<sup>177</sup> *Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 265.

<sup>178</sup> *წუდაძე ა.*, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 20.

<sup>179</sup> *Sussman E., The Final Step: Issues in Enforcing the Mediation Settlement Agreement*, the Fordham Papers, 2008, 2.

მიანის დაცვა არაკეთილსინდისიერი მხარისგან, ვინაიდან კეთილსინდისიერი მხარის დაცვა „შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას, ხა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ მოვადე ახ ასრულებს მას ნებაყოფლობით.“<sup>180</sup>

წინააღმდეგ შემთხვევაში, მედიაციამ, როგორც პროცესმა დავის გადაწყვეტისა, შეიძლება ბუტაფორიული და არაპრაქტიკული მექანიზმის სახე მიიღოს.<sup>181</sup> თუმცა აღსრულების საკანონმდებლო ბერკეტების განსაზღვრისას აუცილებელია თანაბარზომიერების დაცვა მხარეთა ნების შედეგად მიღწეულ კერძოსამართლებრივ აქტში ჩარევის დროს.

სასამართლო მედიაციის რეფორმასთან დაკავშირებით ყურადსაღებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის რედაქცია, რის საფუძველზეც ამოღებულ იქნა ჩანაწერი სასამართლოს მიერ მორიგების დამტკიცებაზე განჩინების გამოტანის თაობაზე სასამართლო მედიაციის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში.<sup>182</sup> კანონმდებლობა სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულების მხრივ ჩიხშია შესული, რადგან გაუარესდა სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულების წესი, რაც დაუყოვნებლივ საჭიროებს სახელმწიფოს სათანადო რეაგირებას. საუკეთესო გამოსავალი აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მდგომარეობს ისევ საკანონმდებლო ცვლილებებში, კერძოდ,

---

<sup>180</sup> გოთუა დ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, 134.

<sup>181</sup> ყანდაშვიდი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 104.

<sup>182</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, <<https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=134>> [19.06.2021].

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>-ე</sup> მუხლისათვის ძველი ფორმულირების დაბრუნებაში - სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების დამტკიცებას საქმის შეწყვეტის პარალელურად, რაც უზრუნველყოფს სამედიაციო მორიგების აქტის აღსრულების მყარი გარანტიის ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება კერძო მედიაციას, ამ მხრივ საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სრულად ჰარმონიზაციაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან და მხარეებს მხოლოდ ორ წინაპირობას უწესებს, რათა მათ მიერ შედგენილმა სამედიაციო აქტმა შეიძინოს აღსრულებადი ბუნება: იგი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და გააჩნდეს შინაარსობრივად აღსრულებადი ბუნება. ამ გზით ქართველმა კანონმდებელმა გარკვეულწილად ჩარჩოებში მოაქცია კერძო მედიაცია, თუმცა მინიმალური საზღვრებით, რათა დაიცვას ბალანსი კერძო ურთიერთობაში ჩარევისა და მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების ტრანსფორმირებაში. გარდა აღნიშნულისა, გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რაც კითხვის ნიშანს აჩენს კერძო მედიაციის აღსრულების პრაქტიკულ განხორციელებასთან მიმართებით. კერძოდ, ქართული სამედიაციო სამართალი მკაფიოდ არ განმარტავს აღსრულების პროცედურას, თუ რა მართლზომიერი დებულებები შეიძლება გახდეს აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, რაც, საბოლოო ჯამში, იძლევა იურიდიული ინტერპრეტაციის საშუალებას. სამედიაციო მორიგების აღსრულების კუთხით აღსანიშნავია ნოტარიატის როლიც, რომელიც უფლებამოსილია სასამართლოს გვერდის ავლით განახორციელოს, როგორც კერძო, აგრეთვე სავალდებულო მედიაცია და თავადვე უზრუნველყოს მისი აღსრულება სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველზე, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამარტივებს სამედიაციო მორიგების ქმედითობას.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აქტის ცნობა-აღსრულების შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს აქტის შესაბამისობას არა საქართველოს კანონმდებლობასთან, არამედ

მხოლოდ საჯარო წესრიგთან მიმართებით, ვინაიდან რა ითვალისწინებს მხარეთა მიერ განსხვავებული სამართლის არჩევის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკის განვითარების ტენდენციები საჯარო წესრიგის განვრცობის კუთხით, ვინაიდან სასამართლოს ენიჭება ფართო ინტერპრეტაციის საშუალება, განმართოს საჯარო წესრიგი ქართული სამედიაციო სამართლისათვის და დაადგინოს კომერციული ურთიერთობებისათვის მორიგების აქტის აღსრულების მყარი პრაქტიკა.

ქართული სამედიაციო კანონის დაახლოებას ადასტურებს შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვაც, რომლის მიხედვითაც გერმანიაში, ბელგიასა და ფინეთში აქტიურად გამოიყენება კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების მიზნით სასამართლოსათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების მინიჭება. თუმცა ბელგიისა და ფინეთის სახელმწიფოების მაგალითზე დაყრდნობით არათანაბარზომიერად იზღუდება ნებაყოფლობითობის პრინციპი, რაც კერძო მედიაციისათვის არ არის მიზანშეწონილი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიერ კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულებადუნარიანობის მინიჭება მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯია მედიაციის განვითარებისათვის, რამაც გაზარდა მედიაციის ინსტიტუტისადმი სანდოობის ხარისხი. საბოლოო ჯამში კი, მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება მხარეთა მონაპოვარია და პასუხისმგებლები არიან ერთმანეთის მიმართ მის ნებაყოფლობით<sup>183</sup> აღსრულებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საკუთარი შეხედულებით შეუძლიათ მიმართონ შე-

---

<sup>183</sup> Esplugues Carlos, Barona V. Silvia, *Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 48.* მოხსენიებულია: *ყანდაშვიდი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 103.*

თანხმების დადასტურების ფორმას სასამართლოს მეშვეობით,<sup>184</sup> რაც ოქროს შუალედით აბალანსებს კერძო სამედიაციო მორიგების იძულებითი აღსრულების დადებით და უარყოფით ასპექტებს.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 27/06/2014, გამოქვეყნების თარიღი: 11/09/14, დროებითი გამოყენების რეჟიმი: 01/09/2014, სრულად ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2016.
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, სსმ, 75, 17/12/2010.
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997.
4. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997.
5. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009.
6. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის №271-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 33, 31/03/2010.
8. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R(2002)10 რეკომენდაცია „სამოქალაქო საქმეებში მედიაციის შესახებ“, 2002.
9. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089>> [14.09.2021].
10. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლი-

---

<sup>184</sup> Shamir Y., Kutner R., *Alternative Dispute Resolution Approaches and Their Application*, Unesco, 2003, 30.

ლების შეტანის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/-BillReviewContent/247857>> [14.09.2021].

11. ბალათუჩია გ., სამედიაციო მორიგების აღსრულება საქართველოში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, თბ., 2020, 17-19, 36.
12. გაღდავა დ., ფხაკაძე თ., საჯარო წესრიგი როგორც უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, 2018, 16.
13. გვენეტაძე ნ., გოციხიძე ე., თოხღია ვ., მუხუსიძე დ., სოფხომაძე კ., მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, თბ., 2017, 63.
14. გოგიშვიდი მ., სუღბანიშვიდი მ., მესხიშვიდი ქ., ჭინოხია ხ., გელაშვიდი ი., ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2010, 38.
15. გოთუა დ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, 11, 62, 134.
16. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, 178.
17. თოღუა მ., ვიდეშვილი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006, 105.
18. კობაღაძე დ., მორიგებისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუტების თანაარსებობა სამოქალაქო პროცესში, ჟურნ. „ორბელიანი“, №1, 2019, 29-30, 34.
19. დიდუაშვიდი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 374.
20. მამაიაშვიდი თ., მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017, 23.

21. *მამაიაშვიდი თ.*, მოსამართლის ფუნქცია სამოქალაქო საქმისწარმოების მორიგებით დამთავრებისას და შედეგები, რომელიც მიიღწევა მორიგებით, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 103.
22. *მიქელთაძე მ.*, კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის მექანიზმები და მათი ფუნქციონირების ინსტიტუციური მოდელები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 137, 160.
23. *მშვიდგაძე თ.*, მედიატორის როლი მედიაციის დასრულების ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 70.
24. *მჭედრიძე მ.*, მედიაციის ინსტიტუტის ინტეგრირება საქართველოს საკანონმდებლო სივრცესა და პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, თბ., 2020, 53.
25. *ღონიძე ი., ნუსუბიძე მ.*, სანოტარო მედიაციის ინსტიტუტის თავისებურება ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2018-2019“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 83, 104.
26. *ოსტეხმიდეხი მ. ს., სვენსონი ჰ. დ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 135-136.
27. *გაკაშვიდი ს.*, სანოტარო მედიაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 82.
28. *ქახვიცაძე დ., ჟიჟიაშვიდი თ., მოხჩიდაძე თ., კეკენაძე გ.*, გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, 93.
29. *ყანღაშვიდი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 100-101, 103-104, 195-198, 246.



30. ჩიგაშვიდი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 13.
31. ჩიგაშვიდი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, 70, 190.
32. ჩოჩიშვიდი მ., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხისათვის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2020“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 88, 94.
33. ცეხცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 244.
34. ცეხცვაძე გ. (ივრ.), ახვავაძე მ., ვასაძე ე., თვაუხი ხ., ივანიძე გ., მახაუხი პ., ჟიჟიაშვიდი თ., გაკაშვიდი ს., ხუჭუა თ., ჯიბღაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 64.
35. ცინცაბაძე ა., ქებუჩია თ., შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბ., 2019, 41, 47, 90.
36. ცუხი მ., მედიაციის აქტის შედგენის ხელოვნება: სახელმძღვანელო ინსტრუქციები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 222.
37. წიკდაუხი ს., ბახნაბიშვიდი გ., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2017“, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 10, 19-20.
38. წულაია თ., თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შო-

- რის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2017“, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 264.
39. წუდაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 20.
  40. ჭადიძე თ., ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მედიაციაზე შეთანხმებით, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2015“, თსუ-ის გამომცემლობა, 2015, 137, 152.
  41. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის №2ბ/1084-13 გადაწყვეტილება.
  42. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 სექტემბრის №2ბ/4173-16 გადაწყვეტილება.
  43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის №ას-531-764-08 განჩინება.
  44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის პირველი თებერვლის №ას-27-გან-1-2010 განჩინება.
  45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №ა-3968-შ-107-2019 გადაწყვეტილება.
  46. Act on Mediation in Civil Matters and Confirmation of Settlements in General Courts, Ministry of Justice, Finland, 394 / 2011.
  47. Belgian Judicial Code, Part VII: Mediation, 1967.
  48. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008.
  49. United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, General Assembly Resolution 73/198, 2018, UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2018 (amending the UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002) GA Res 73/199, adopted at the United Nations General Assembly, 73<sup>rd</sup> Session (20 December 2018).

50. *Andreas N.*, Making Mediation Mandatory: A Proposed Framework, *Journal on Dispute Resolution*, Vol. 7:2, 1992, 287.
51. *Aydt B. H.*, Mediation - The Alternative for "Win-Win", ABR, ABRM, CRB, 2001, 1, <[http://coar.com/files/pdf/Mediation\\_Win-Win\\_Article.pdf](http://coar.com/files/pdf/Mediation_Win-Win_Article.pdf)> [19.06.2021].
52. *Burns P. R.*, Some Ethical Issues Surrounding Mediation, 70 *For-dham L. Rev.* 691, Vol. 70, Issue 3, 2001, 691.
53. *Chong Shou Y., Steffek F.*, Enforcement of International Settlement Agreements Resulting from Mediation under the Singapore Convention – Private International Law Issues in Perspective, *Singapore Academy of Law Journal*, Special Issue, Research Collection School of Law, 2019, 457.
54. *Chua E.*, The Singapore Convention on Mediation - A Brighter Future for Asian Dispute Resolution, *Asian Journal of International Law*, 2018, 1, 3.
55. *Cover Payne C.*, Enforceability of Mediation Agreements, *Journal on Dispute Resolution*, Vol. 1, Issue 2, 1986, 386.
56. *Demeyere L.*, Mediation in Belgium - an Overview, *Yearbook on International Arbitration*, Vol. 2, 2012, 363.
57. *De Palo G., Trevor M. B.*, *EU Mediation-Law and Practice*, Oxford University Press, Oxford, 2012, 20, 24-26, 104.
58. *EU Handbook on Mediation: Mediation Law and Practice in Other EU Countries*, <[http://mediation-net.eu/pdf/books/analysis\\_concise\\_text2.pdf](http://mediation-net.eu/pdf/books/analysis_concise_text2.pdf)> [19.06.2021].
59. *Gaillard E., Bermann A. G.*, *Guide on Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards*, UNCITRAL, 2017, 261.
60. *Gren N.*, The Principles of Mediation, *Journal of Eastern European Law*, Vol. 24, 2016, 77.
61. *Helmut C. D.*, *A Comparative Analysis of Mediation by Examination and Critique of the Theory and Practice Thereof in Germany*, University of Glasgow, 2015, 28.
62. *Hwang M., Lin K.*, *Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 51.

63. Initiative Mediation Support Deutschland, Basics of Mediation: Concepts and Definitions Fact Sheet Series: Peace Mediation and Mediation Support, German Federal Foreign Office and Initiative Mediation Support Deutschland (IMSD), 2017, 1.
64. International Bar Association Subcommittee on Recognition And Enforcement Of Arbitral Awards, Report on the Public Policy Exception in the New York Convention, IBA, October, 2015, <[https://newyorkconvention1958.org/index.php?lvl=notice\\_display&id=3630&opac\\_view=6](https://newyorkconvention1958.org/index.php?lvl=notice_display&id=3630&opac_view=6)> [16.09.2021].
65. Labour Legislation Guidelines, Chapter IV Substantive Provisions of Labour Legislation: Settlement of Collective Labour Disputes, <<https://www.ilo.org/legacy/english/dialogue/ifpdial/llg/noframes/ch4.htm>> [16.09.2021].
66. *Les A., Cullen P. B.*, Settlement and Reform of the Civil Justice System: How Settlement is Changing the Practice of Law, *Waikato Law Review*, Vol. 17, 2009, 39.
67. *Lew Julian D. M., Mistelis Loukas A., Kroll S. M.*, Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, Hague, 2003, 12, 689.
68. *Mccrory P. J.*, Mandated Mediation of Civil Cases in State Courts: A Litigant's Perspective on Program Model Choices, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 14:3, 1999, 847.
69. *Olivier M.*, The Role of Court-annexed Mediation in Providing Access to Justice in the Resolution of Commercial Disputes, *Northwest University*, 2018, 21-22.
70. *Rosu A.*, Mediation - Voluntary or Mandatory Procedure, *Acta Universitatis Danubius Juridica*, Vol. 1, 2010, 122.
71. *Salehijam M.*, Mediation Clauses: Enforceability and Impact, *Singapore Academy of Law Journal, Special Issue*, Vol. 31, 2019, 636.
72. *Shamlikashvili T.*, Mediation in the Neighbouring Countries: the Case of Russia, Directorate General For Internal Policies, Policy Department : Citizen's Rights and Constitutional Affairs, European Parliament, Brussels, 2011, 4.
73. *Shamir Y., Kutner R.*, Alternative Dispute Resolution Approaches and Their Application, *Unesco*, 2003, 30.

74. *Smith G.*, Unwilling Actors: Why Voluntary Mediation Works, Why Mandatory Mediation Might Not, *Osgoode Hall Law Journal*, Vol. 36.4, 1998, 878.
75. *Spencer D., Brogan M.*, *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 265.
76. *Steffek F.*, *Mediation in the European Union: An Introduction*, Cambridge University, Cambridge, 2012, 1.
77. *Sussman E.*, The Final Step: Issues in Enforcing the Mediation Settlement Agreement, the *Fordham Papers*, 2008, 2, 4.
78. *Thayer D., MacKenzie L. S.*, *Binding Mediation, a Trap for the Unwary*, The Recorder, ALM Publication, California, 2012, 1.
79. The United Nations, *Guidance for Effective Mediation*, A/66/811, 25 June 2012, 4.
80. *Weatherspoon F. D., Kendall I.*, Resolving Race Discrimination in Employment Disputes through Mediation: A Win-Win for All Parties, *American Journal of Mediation*, Vol. 5, 2011, 114.
81. *Wilking F.*, The Enforcement and Setting Aside of Mediation Settlement Agreements: A Comparison Between German and International Commercial Mediation, University of Cape Town, Cape Town, 2015, 47.
82. *Zeller B., Leon Trakman L.*, *Mediation and Arbitration: The Process of Enforcement*, University of New South Wales, Law Research Series, Sydney, 2019, 8.
83. *Menini and Rampanelli v. Banco Popolare Società Cooperativa*, 2017.
84. *Kenya Plantation and Agricultural Workers Union v. Maji Mazuri Flowers Limited*, 2012.
85. Gesetz Zur Förderung der Mediation und Anderer Verfahren der Außergerichtlichen Konfliktbeilegung.
86. Медиация - Практическое Руководство по Применению Гааской Конвенции от 25 октября 1980 года О Гражданско-Правовых Аспектах Международного Похищения Детей, Научно-методический Центр Медиации и Права, Перевод, 2013, 89.
87. <<https://www.gesetze-im-internet.de/zpo/>> [15.09.2021].
88. <<http://gil.mylaw.ge/ka/term/267.html>> [15.09.2021].

## გურამ ბარნაბიშვილი\*

### სამედიაციო მორიგების აღსრულებადობისა და მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტების ურთიერთკავშირი

სტაგიაში განხილულია ევროკავშირისა და მის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში სამედიაციო მოხიგების აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმატიული ხეგუდაციები და მათი მნიშვნელობა მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტების განსაზღვრისას სახელმწიფოს შემდეგი ვადებულების ქიღში: უზუნველყოს ეფექტური, მიუკეძმობელი და კომპეტენტური მედიაციის პოცესი. ამასთანავე, შესწავლილია საქართველოში ახებული ხეგუდაციები სამედიაციო მოხიგების აღსრულებასთან დაკავშირებით, წახმორენილია საქართველოს სამოქალაქო საპოცესო კოდექსის ცვლილებებისა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შედეგად სასამართლო და კეძმ მედიაციასთან დაკავშირებული სიახდები. მათ შოხის „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მედიატორის პოცესის დაუღების წინაპირობები. გამოკვეთილია საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში გასაწევიანებლად ასოციაციის მიეხვე დადგენილი მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტები და მათი მნიშვნელობა.

**საკვანძო სიგყვები:** მედიაცია, სამედიაციო მოხიგება, მედიატორი, მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტები, საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, მედიატორთა ეხთიანი ხეესტეი, სამედიაციო მოხიგების აღსრულება.

## 1. შესავალი

მედიაცია, დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ალტერნატიული გზა,<sup>1</sup> ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო განმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

უფრო და უფრო პოპულარული ხდება.<sup>2</sup> განვითარებულ ქვეყნებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში, შეიძლება ითქვას, მყარად მოიკიდა ფეხი და მოდავე მხარეთათვის შეთანხმების მიღწევის ერთ-ერთ მისაღებ და გონივრულ შესაძლებლობად იქცა.<sup>3</sup> მედიაციის არაერთი სახე არსებობს, რომელთაც ერთმანეთისგან, როგორც წესი, პროცედურული თავისებურებები გამოარჩევს, თუმცა მისი ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: ეს არის პროცესი, რომელშიც მოდავე მხარეები ნეიტრალური, დამოუკიდებელი პირის - მედიატორის დახმარებით ცდილობენ შეთანხმების მიღწევას.<sup>4</sup>

2019 წლის 18 სექტემბერი ქართული მედიაციისთვის უმნიშვნელოვანეს თარიღად იქცა. სწორედ ამ დღეს შეასრულა საქართველოს პარლამენტმა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით<sup>5</sup> ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება და მიიღო საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“.<sup>6</sup> ზემოაღნიშნული საერთაშორისო შე-

---

<sup>1</sup> *Barrett J. T.*, A History of Alternative Dispute Resolution: the Story of a Political Cultural and Social Movement, John Wiley & Sons, Inc., San Francisco, 2004, 1.

<sup>2</sup> *Alexander N. M.*, Global Trends in Mediation, Kluwer Law International, Netherlands, 2006, 152.

<sup>3</sup> *William E., O'Brian Jr.*, Lessons for the European Union from Mediation in the United States, The New EU Directive on Mediation First Insights, Maklu & Association for International Arbitration, Antwerpen-Apeldoorn, 2008, 55-56.

<sup>4</sup> *Walsh D.*, Independent Commissions and Contentious Issues in Post-Good Friday Agreement Northern Ireland, Springer International Publishing AG, Switzerland, 2017, 4-5.

<sup>5</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 27/06/2014, გამოქვეყნების თარიღი: 11/09/14, დროებითი გამოყენების რეჟიმი: 01/09/2014, სრულად ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2016.

<sup>6</sup> ავტორის შენიშვნა: სტატია შეისწავლის მედიაციას „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროს გავრცელების მიზნიდან გამომდინარე, რომლის მოქმედება არ ვრცელდება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მედიაციაზე, „მინის ნაკვეთებზე უფლებათა

თანხმების თანახმად საქართველოს ერთ-ერთ ვალდებულებას მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევის საგანს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებში არსებული მედიაციასთან დაკავშირებული ნორმები წარმოადგენს.

მედიაციის თანამედროვე გაგება საქართველოსთვის სიახლეა.<sup>7</sup> სამოქალაქო საზოგადოებაში მისი ცნობადობა არცთუ მაღალია და განსაკუთრებული პოპულარობითაც ვერ დაიკვებნის. თუმცა, მედიაციის განვითარების მხარდამჭერი არაერთი დონორი საერთაშორისო ორგანიზაციის წყალობით, შეინიშნება სხვადასხვა პროფესიულ წრეებში მედიაციით დაინტერესების მზარდი ტენდენცია.<sup>8</sup> გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორედ დღეს, ჩვენს თვალწინ ეყრება ამ ინსტიტუტს საფუძველი. ასეთ გადამწყვეტ მომენტში კი მნიშვნელოვანია ფრთხილი, მაგრამ ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონმა დააკისრა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს მედიატორთა ასოციაციას, რომლის წევრები არიან მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ერთიან რეესტრში პირველადი რეგისტრაცია განახორ-

---

სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მედიაციაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ მედიაციასა და კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებულ მედიაციაზე.

<sup>7</sup> *ცეხცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 21.

<sup>8</sup> *მაჩვედაშვიდი თ.*, მედიაცია, როგორც პროფესია: ეთიკის მოდელები, პრინციპები და გამოწვევები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 159-160.



ციელა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომლის შესაბამისი ბრძანების თანახმად მედიატორად 55 კანდიდატი დარეგისტრირდა.<sup>9</sup> თუმცა, აღნიშნულის შემდგომ ასოციაცია თავად ახორციელებს თვითრეგულირებას. 2021 წლის 24 აპრილს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცდა ასოციაციის წესდება,<sup>10</sup> მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი,<sup>11</sup> მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება<sup>12</sup> და მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულება.<sup>13</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე მედიატორთა სერტიფიცირების განსხვავებული მინიმალური სტანდარტების მოძიება, საქართველოში არსებული სტანდარტების პარალელურად შესწავლა და შედარებითი ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სამედიაციო მორიგების იძულებით აღსრულების შესაძლებლობა მჭიდრო კავშირშია მედიაციის ზოგად ნორმებთან და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტების განსაზღვრისას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, შედარებითი კვლევა და იმ რეგულაციების განხილვა, რომელიც წევრი სახელმწიფოების მსგავსად საქართველოში მოქმედებს.

---

<sup>9</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, მედიატორთა ერთიან რეესტრში კანდიდატთა რეგისტრაცია, <<http://hcoj.gov.ge/ge/mediatorta-ertian-reestrshi-kandidatta-registratsia/3558>> [28.01.2021].

<sup>10</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდება, 24/05/2021.

<sup>11</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, 24/05/2021.

<sup>12</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021.

<sup>13</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 24/05/2021.

## 2. სამედიაციო მორიგების აღსრულებადობის საკითხი და მედიატორის სერტიფიცირების სტანდარტები ევროკავშირში

2008 წლის 21 მაისს ევროპარლამენტმა მიიღო დირექტივა - სამოქალაქო და კომერციული დავების მოსაგვარებლად გამოსაყენებელი მედიაციის ზოგიერთი ასპექტის მოსაწესრიგებლად. აღნიშნული დირექტივის თანახმად, მედიატორი არის ნებისმიერი მესამე პირი, რომელსაც თხოვეს გაუძღვეს მედიაციას ეფექტურად, მიუკერძოებლად და კომპეტენტურად მიუხედავად მისი პროფესიისა და მისი დანიშვნისა თუ არჩევის წესისა.<sup>14</sup>

დირექტივის შესაბამისად წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მედიატორთა თავდაპირველ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს, რათა უზრუნველყონ მედიაციის ეფექტურად, მიუკერძოებლად და კომპეტენტურად ჩატარება.

მედიაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმებისა და დოქტრინალური განმარტებების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ, როგორც წესი, მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტების მოთხოვნათა განსაზღვრისას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უპირატესად ითვალისწინებენ იმ გარემოებას, თუ როგორი იურიდიული ძალა აქვს მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას - სამედიაციო მორიგებას. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობისთვის სამედიაციო მორიგების აღსრულებადობის ხარისხი ერთგვარი განმსაზღვრელია მედიატორთა მიმართ მინიმალური მოთხოვნების დაწესებისას, რაც გამართლებული და ლოგიკურია.

სახელმწიფო, როდესაც აწესებს სამედიაციო მორიგების გამარტივებული აღსრულებადობის შესაძლებლობას, საკმა-

---

<sup>14</sup> Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Article 3.

ოდ დიდ პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას ანიჭებს მედიატორს. ამიტომ მნიშვნელოვანია, სამართლებრივი რეგულაციების შემოღების გზით კანონმდებელმა უზრუნველყოს სამოქალაქო დავის მხარეთათვის კვალიფიციური, მიუკერძოებელი მედიაციის პროცესი, რაც, პირველ რიგში, სწორედ მედიატორთა სერტიფიცირების მაღალი მინიმალური სტანდარტების დანერგვაში შეიძლება გამოიხატებოდეს.<sup>15</sup>

სამედიაციო მორიგება აღსრულებადობის მიხედვით შეიძლება პირობითად შემდეგ კატეგორიებად დავყოთ:

1. სამედიაციო მორიგებას მხარეთათვის აქვს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მბოჭავი ძალა და აღსრულებადი შესაძლოა გახდეს მედიაციის დასრულებისას ორივე მხარის ერთობლივი მიმართვის საფუძველზე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპეტენტური საჯარო ორგანოს მიერ (როგორც შესაძლოა იყოს სასამართლო, ნოტარიუსთა პალატა);

2. სამედიაციო მორიგება აღსრულებადია სამედიაციო მორიგების მიღწევისთანავე, კერძოდ მას შემდეგ, რაც მიღწეულია წერილობითი შეთანხმება მათ შორის აღსრულების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული, როგორც წესი, ხორციელდება სერტიფიცირებული მედიატორის შუამავლობით და ექვემდებარება მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ კანონიერებისა და შესრულების შესაძლებლობის გადა-mონშების შემდგომ იძულებით აღსრულებას.

ევროკავშირის ქვეყნები მედიატორთა მიმართ გარკვეული მოთხოვნების განსაზღვრისას, როგორც ზემოთ ითქვა, ითვალისწინებენ სამედიაციო მორიგებისთვის სახელმწიფო კანონმდებლობით მინიჭებულ იურიდიულ ძალას, რის საილუსტრაციოდაც მიზანშეწონილია განვიხილოთ ზოგიერთი წევრ-

---

<sup>15</sup> Alexander N. M., *Harmonisation and Diversity in the Private International Law of Mediation: The Rhythms of Regulatory Reform*, წიგნში: *Hopt K. J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, United Kingdom, 2013, 177.

სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ საკითხთა ნორმატიული მოწესრიგების ფარგლები.

## 2.1. სლოვენია

სლოვენიაში სამედიაციო მორიგება არაა აღსრულებადი.<sup>16</sup> მას აქვს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების მსგავსი იურიდიული ძალა. თუმცა მხარეებს შესაძლებლობა აქვთ სამედიაციო მორიგება გახადონ აღსრულებადი სანოტარო წესით.<sup>17</sup> საყურადღებოა, რომ, თუ მათ მიაღწიეს შეთანხმებას საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში, მიღწეული შეთანხმება ექვემდებარება აღსრულებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად არსებული ნორმატიული მოწესრიგების შესაბამისად.<sup>18</sup> თუმცა, ეს უკანასკნელი სამედიაციო მორიგებად არ უნდა მივიჩნიოთ.

შესაბამისად, სლოვენიაში არც კი არსებობს მედიატორთა ერთიანი რეესტრი. სასამართლოს გარეშე, ანუ კერძო მედიაცია კი „თავისუფალი ბაზრის“ მიერ რეგულირდება. განსხვავებული მიდგომებია სასამართლო მედიაციაში, სადაც შეზღუდულია მედიატორთა რაოდენობა და მედიატორად რეგისტრაციისთვის აუცილებელია იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლა.<sup>19</sup>

## 2.2. ინგლისი და უელსი

ინგლისსა და უელსში სამედიაციო მორიგება მხარეთათვის აპრიორი მბოჭავია, როგორც ჩვეულებრივი სამოქალაქო-

---

<sup>16</sup> Mediation in Member States, an Official European Union Website, <[https://e-justice.europa.eu/content\\_mediation\\_in\\_member\\_states-64-si-en.do?member=1](https://e-justice.europa.eu/content_mediation_in_member_states-64-si-en.do?member=1)> [01.02.2021].

<sup>17</sup> *De Palo G., Trevor M.T.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 320.

<sup>18</sup> იქვე, 321.

<sup>19</sup> იქვე, 322.

სამართლებრივი ხელშეკრულება.<sup>20</sup> სამედიაციო მორიგებისათვის აღსრულების ძალის მისანიჭებლად მხარეებმა სასამართლოს მეშვეობით უნდა მიიღონ სამედიაციო მორიგების აღსრულების ორდერი (*Mediation Settlement Enforcement Order – MSEO*).<sup>21</sup> ორდერის არსებობის შემთხვევაში სამედიაციო მორიგება იძენს სასამართლო ორდერის მსგავს იურიდიულ ძალას და შესაბამისად ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.<sup>22</sup> ამ ორდერის ასაღებად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მხარეთა მკაფიო თანხმობა სამედიაციო მორიგების აღსრულებადობის შესახებ, რასთან დაკავშირებულ შუამდგომლობასაც სასამართლო ასევე უნდა დაეთანხმოს. სასამართლო დადებით გადაწყვეტილებას გამოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ მედიაციის მონაწილე ორივე მხარემ განაცხადა თანხმობა სამედიაციო მორიგების აღსრულებადობაზე. აღნიშნულ საკითხს სასამართლო განიხილავს, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გამართვაც.<sup>23</sup>

აღნიშნულ ქვეყნებში მედიატორის ცნება საკანონმდებლო დონეზე არაა რეგულირებული. შესაბამისად, არ არსებობს აუცილებელი მოთხოვნები და წინაპირობები სამედიაციო მომსახურების განსახორციელებლად. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა წარმართოს მედიაციის პროცესი,<sup>24</sup> თუმცა ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია კერძო სექტორის მიერ

---

<sup>20</sup> *Lambert D., Finlayson N.*, Mediation in United Kingdom, Penningtons Manches Cooper LLP, <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=02ee5416-79ba-484b-bd62-eb26318d330b>> [01.02.2021].

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> *Fotiadis L.*, Enforceability of mediation agreements in European Union, LL.M. in Transnational and European Commercial Law and Alternative Dispute Resolution, Thesalloniki, 2013, 26-27.

<sup>23</sup> Official Webpage of The Ministry of Justice of United Kingdom, European Procedures Part 78.24, <<https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part78#IDAVK1HC>> [01.02.2021].

<sup>24</sup> *De Palo G., Trevor M. T.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 388.

თვითრეგულირება.<sup>25</sup> სამოქალაქო მედიაციის საბჭო (*Civil Mediation Council - CMC*) წარმოადგენს გიგანტ პროვაიდერულ გაერთიანებას, რომელიც აერთიანებს მედიაციის 80 პროვაიდერისა და დაახლოებით 6000 მედიატორის ინტერესებს. აღნიშნული საბჭო თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან და ახდენს მედიაციის პროვაიდერთა აკრედიტაციას. CMC მრავალ მოთხოვნებს აყენებს. მათ შორის მედიაციის პროვაიდერთათვის გამოსარჩევია:<sup>26</sup>

- პროფესიული საქმიანობის მინიმუმ 1 მილიონი ფუნდ სტერლინგის ოდენობით დაზღვევა;
- ყოველ 12 თვეში ხელახალი აკრედიტაცია;
- ე.წ. Feedback სისტემის ქონა;
- მედიატორის გასანევრიანებლად წინაპირობად მინიმუმ 40 საათიანი<sup>27</sup> თეორიული და პრაქტიკული ტრენინგის განსაზღვრა.<sup>28</sup>

დავის ეფექტურად მოგვარების ცენტრი (*The Centre for Effective Dispute Resolution - CEDR*), რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული მედიატორთა გადასამზადებელი ცენტრია, სწორედ CMC-ის მიერ არის აკრედიტირებული.<sup>29</sup>

CMC ნევრ მედიატორებს ავალდებულებს ყოველი 12 თვის განმავლობაში მინიმუმ 2 მედიაციის პროცესის წარმოებას. აღნიშნული 12 თვიანი ვადა შესაძლებელია გაიზარდოს 18 თვემდე, თუ მედიატორს აქვს დეკრეტული შვებულება ან ხან-

---

<sup>25</sup> Scherpe J. M., Marten B., *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford Scholarship Online, 2013, 8.

<sup>26</sup> Civil Mediation Council Individual Registration Scheme, <<https://civilmediation.org/wp-content/uploads/2019/07/2019-Individual-Registration-Guidance-Notes.pdf>> [01.02.2021].

<sup>27</sup> თავდაპირველად სავალდებულო იყო მინიმუმ 24 საათიანი თეორიული და პრაქტიკული ტრენინგის გავლა, რაც 40 საათამდე გაიზარდა.

<sup>28</sup> De Palo G., Trevor M.T., *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 387.

<sup>29</sup> Scherpe J. M., Marten B., *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford Scholarship Online, 2013, 64.

გრძლივად ავადმყოფობს. ამასთანავე, აუცილებელია პერიოდული მინიმუმ 6 საათიანი აქტივობები მედიაციის კუთხით, რაც შესაძლოა გამოიხატოს როგორც ტრენინგებსა და კონფერენციებში დასწრებაში, ასევე სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაში.<sup>30</sup>

ინგლისისა და უელსის შემთხვევაში მართალია კანონმდებელი არ აწესებს შეზღუდვებს, თუმცა, როგორც ვხედავთ, ბაზარმა თავად დაადგინა მედიატორთა კვალიფიკაციის მინიმალური სტანდარტები. აღნიშნული უპირველესად მედიაციის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებაში მაღალი ცნობადობისა და მართვიანობის შედეგია.

### 2.3. იტალია

იტალიაში სამედიაციო მორიგება მოიცავს 2 დოკუმენტს: მხარეთა შეთანხმებას და „ვერბალე“-ს. „ვერბალე“ ეს არის მხარეთა შეთანხმების შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია როგორც მხარეების, ასევე მედიატორის მიერ, განსხვავებით მხარეთა შეთანხმების ნაწილისგან, რომლისთვისაც მედიატორის ხელმოწერა არაა მოთხოვნილი. იტალიაში სამედიაციო მორიგების აღსასრულებლად საჭიროა სასამართლოს თანხმობა, რის შემდეგაც სამედიაციო მორიგება იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების მსგავს იურიდიულ ძალას.<sup>31</sup> ე.წ. „cross-border“ დავებში კი სამედიაციო მორიგებას სასამართლოს პრეზიდენტი ადასტურებს.<sup>32</sup>

---

<sup>30</sup> Civil Mediation Council Individual Registration Scheme, <<https://civil-mediation.org/wp-content/uploads/2019/07/2019-Individual-Registration-Guidance-Notes.pdf>> [01.02.2021].

<sup>31</sup> De Palo G., Keller L., Mediation in Italy: Alternative Dispute Resolution for All, წიგნში: Hopt K.J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, United Kingdom, 2013, 12-13.

<sup>32</sup> De Palo G., Trevor M.T., EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 192.

იტალიის შემთხვევაში მედიატორობის საკმაოდ მაღალი სერტიფიცირების სტანდარტია დაწესებული. კერძოდ, მედიატორს გავლილი უნდა ჰქონდეს და ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გაიაროს იუსტიციის მინისტრის მიერ აკრედიტირებული ტრენინგის პროვაიდერების მიერ ჩატარებული კურსები.<sup>33</sup> პირველადი სერტიფიცირებიდან 2 წლის განმავლობაში კი მონაწილეობა უნდა მიიღოს მინიმუმ 20 მედიაციაში მედიატორის დამხმარედ.<sup>34</sup> მხოლოდ ამის შემდგომაა შესაძლებელი პირის მედიატორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია და, ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ გათვალისწინებულია არაერთი სანქცია ეთიკის ნორმების დარღვევისთვის.<sup>35</sup>

## 2.4. ესპანეთი

ესპანეთში სამედიაციო მორიგება აღსრულებადი შეიძლება იყოს ორ შემთხვევაში: 1. როდესაც სამედიაციო მორიგება სასამართლო მედიაციის შედეგია; 2. ნოტარიული გზით აღსრულებადობის გათვალისწინებისას. თუ ეს ორი შემთხვევა არაა სახეზე, მაშინ, სამედიაციო მორიგება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასამართლოში მტკიცებულებად, როგორც წერილობითი დოკუმენტი.<sup>36</sup> ის ჩვეულებრივ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებად განიხილება.<sup>37</sup>

---

<sup>33</sup> Mediation in Member States, an Official European Union Website, <[https://e-justice.europa.eu/content\\_mediation\\_in\\_member\\_states-64-si-en.do?member=1](https://e-justice.europa.eu/content_mediation_in_member_states-64-si-en.do?member=1)> [01.02.2021].

<sup>34</sup> De Palo G., Keller L., Mediation in Italy: Alternative Dispute Resolution for All, წიგნში: Hopt K.J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, United Kingdom, 2013, 23.

<sup>35</sup> De Palo G., Trevor M.T., EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 195.

<sup>36</sup> Villamarin Lopez M. L., Mediation in Spain: Dealing with Its First National Regulation, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford Scholarship Online, 2013, 12.

<sup>37</sup> Mediation in Member States, an Official European Union Website, <[https://e-justice.europa.eu/content\\_mediation\\_in\\_member\\_states-64-si-en.do?member=1](https://e-justice.europa.eu/content_mediation_in_member_states-64-si-en.do?member=1)> [01.02.2021].



გამომდინარე იქიდან, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულებისას გაცილებით დიდი როლი სასამართლოს ან ნოტარიუსთა პალატას ეკისრება, გასაკვირი არაა, რომ მედიატორთათვის მინიმალური სტანდარტების დონე საკმაოდ დაბალია. ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად, მედიატორთა სერტიფიცირება უნდა მოხდეს აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ, თუმცა აკრედიტაციის წესი განმარტებული არაა. ასევე, მწირი ინფორმაციაა მედიაციის სასწავლო კურსის შინაარსთან, პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტებთან, ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. კიდევ ერთ მოთხოვნას წარმოადგენს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან პროფესიული გამოცდილება. მსგავსად ჩამოყალიბებული მინიმალური სტანდარტები კი დოქტრინაში კრიტიკის საგანია, რამეთუ ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული უშუალოდ მედიაციის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე.<sup>38</sup>

უმაღლესი განათლების ან პროფესიული გამოცდილების ქონა იმ პირობებში, როდესაც მოთხოვნა მედიაციის შემსწავლელი ტრენინგების გავლისა ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული, ნამდვილად ვერ იქნება გარანტი მედიაციის ეფექტურობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობისა. ამის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა კი დირექტივის თანახმად წევრი სახელმწიფოს ვალდებულია.

## 2.5. გერმანია

გერმანიაში მედიაციის მონაწილე მხარეებს არაერთი შესაძლებლობა აქვთ აღსრულების ელემენტის სამედიაციო მორიგებაში გასათვალისწინებლად.<sup>39</sup> პირველ რიგში, უნდა აღი-

---

<sup>38</sup> *Villamarin Lopez M. L., Mediation in Spain: Dealing with Its First National Regulation, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford Scholarship Online, 2013, 24.*

<sup>39</sup> *Tochtermann P., Mediation in Germany: The German Mediation Act—Alternative Dispute Resolution at the Crossroads Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford Scholarship Online, 2013, 25.*

ნიშნოს სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსი იურიდიული ძალა აქვს.<sup>40</sup> გერმანიის შემთხვევაში, როდესაც ვსაუბრობთ სასამართლო მედიაციაზე ვგულისხმობთ მოსამართლე-მედიატორების საპილოტე პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მოსამართლეები თავად ითავსებენ მედიატორის როლს,<sup>41</sup> და მიღწეული შეთანხმებაც, ფაქტობრივად, მორიგების აქტის სახეს უფრო მეტად იღებს, ვიდრე სამედიაციო მორიგების.

კერძო მედიაციისას სამედიაციო მორიგება შესაძლებელია აღსრულებადი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მედიაციის პროცესში და სამედიაციო მორიგებაში ჩართავენ თავიანთ იურისტებს, ან მიმართავენ ნოტარიუს-მედიატორს.<sup>42</sup> ამასთანავე, სამედიაციო მორიგება აღსრულებადი შეიძლება გახდეს აკრედიტირებული “Gütestelle”-ის მიერ.<sup>43</sup> “Gütestelle” ეს არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს ფედერალურ მიწას და აქვს უფლებამოსილება სასამართლოს ჩარევის გარეშე გახადოს მხარეთა შეთანხმებები აღსრულებადი.

მართალია, გერმანიაში სამედიაციო მორიგების აღსასრულებლად არაერთი გზა არსებობს, თუმცა ეს ყველა შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ან იურისტ-ადვოკატთა მონაწილეობით ხორციელდება. შესაბამის-

---

<sup>40</sup> De Palo G., Trevor M.T., *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 137.

<sup>41</sup> *Tochtermann P.*, *Mediation in Germany: The German Mediation Act—Alternative Dispute Resolution at the Crossroads Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford Scholarship Online, 2013, 25.

<sup>42</sup> De Palo G., Trevor M.T., *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 138.

<sup>43</sup> *Tochtermann P.*, *Mediation in Germany: The German Mediation Act—Alternative Dispute Resolution at the Crossroads Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford Scholarship Online, 2013, 26.

სად, მედიატორს ნაკლები უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა აქვს. აქედან გამომდინარე, მედიატორის მიმართ გერმანიაში თითქმის არანაირი მოთხოვნები არ არსებობს. ცნება „მედიატორი“ შიდა კანონმდებლობით მოწესრიგებული საერთოდ არ არის.<sup>44</sup> შესაბამისად, არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა, არც მინიმალური განათლების დონეა დადგენილი, არც რაიმე სახის სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობაა სავალდებულო.<sup>45</sup> ყველას შეუძლია იყოს მედიატორი.

გერმანიის კანონმდებლობით შემოღებულია ტერმინი „სერტიფიცირებული მედიატორი“. სერტიფიცირებულ მედიატორად მოსააზრებლად კი აუცილებელია 120 საათიანი ტრენინგის გავლა, რომლის შინაარსიც დეტალურადაა კანონმდებლობით განსაზღვრული.<sup>46</sup>

- მედიაციის პრინციპები და დავის გადაწყვეტის სამართლებრივი მექანიზმების, რომლის ნაცვლადაც მედიაცია შეიძლება განხორციელდეს, ზოგადი მიმოხილვა (18 საათი);

- მედიაციის სესიის მიმდინარეობა და ფაზები, ორმხრივი და მრავალმხრივი მედიაცია, მესამე მხარე მედიაციაში და დოკუმენტაციური მოვალეობები (30 საათი);

- მოლაპარაკების სხვადასხვა ტექნიკა (12 საათი)

- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, როგორცაა აქტიური მოსმენა, პერიფრაზი, რეფრეიმინგი, გარკვეულ პირობათა შექმნა და შეფასება, ვიზუალიზაციის ტექნიკა და რთულ სიტუაციებთან გამკლავება (18 საათი);

- კონფლიქტის თეორია (12 საათი);

---

<sup>44</sup> Mediation in Member States, an Official European Union Website, <[https://e-justice.europa.eu/content\\_mediation\\_in\\_member\\_states-64-si-en.do?member=1](https://e-justice.europa.eu/content_mediation_in_member_states-64-si-en.do?member=1)> [01.02.2021].

<sup>45</sup> *De Palo G., Trevor M.T.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 142.

<sup>46</sup> *Tochtermann P.*, Mediation in Germany: The German Mediation Act—Alternative Dispute Resolution at the Crossroads Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford Scholarship Online, 2013, 43-44.

- მედიაციის სამართლებრივი ასპექტები (6 საათი);
- სამართლის როლი მედიაციაში (12 საათი);
- მედიატორის როლი (12 საათი);
- როლური თამაშები ზემოხსენებული კურსების პარალელურად.

ამასთანავე, სერტიფიცირებული მედიატორი ვალდებულია მიიღოს განგრძობადი განათლება. მედიაციის ტრენინგის სრული კურსის ღირებულება 5000 ევროზე მეტია.<sup>47</sup>

### **3. სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობა საქართველოში**

#### **3.1. მედიაციის სახეები სამედიაციო მორიგების აღსრულების ქრილში**

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს სასამართლო და კერძო მედიაციას. სასამართლო მედიაცია ამ კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არის მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში, ხოლო კერძო მედიაცია იმავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად არის მედიაცია, რომელიც ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე. როგორც სასამართლო, ასევე კერძო მედიაციას წარმართავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული პირი და მისი წარმატებით დასრულება გვირგვინდება სა-

---

<sup>47</sup> *Tochtermann P., Mediation in Germany: The German Mediation Act—Alternative Dispute Resolution at the Crossroads Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford Scholarship Online, 2013, 43-44.*

მედიაციო მორიგების შედეგით. არსებითი განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ მედიაციისათვის მიმართვის წესში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო და კერძო მედიაციის შედეგად მიღწეულ სამედიაციო მორიგებებს მათი აღსრულების საკითხის განხილვისას მხოლოდ განსჯადობისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ქრილში განასხვავებს:

1. თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა სასამართლო მედიაციის შედეგად, მისი აღსრულების საკითხს განიხილავს ის სასამართლო, რომელმაც დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით საქმე მედიატორს გადასცა, ხოლო თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა კერძო მედიაციის შედეგად – რაიონული (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის/იურიდიული მისამართის მიხედვით.

2. თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა სასამართლო მედიაციის შედეგად, მხარემ, რომელიც სასამართლოს მიმართავს სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით, უნდა წარადგინოს სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი, ხოლო თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა კერძო მედიაციის შედეგად – აგრეთვე მედიაციის თაობაზე შეთანხმება.

### **3.2. სამედიაციო მორიგება და მისი სახეები**

სამედიაციო მორიგება, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ, რომლის შესრულებაც სავალდებულოა, მხარეთათვის აქვს მბოჭავი ძალა. იმავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია, სამედიაციო მორიგება აღასრულოს სასამართლომ ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართვის საფუძველზე.

შესაბამისად, სამედიაციო მორიგება აღსრულების საკითხის წრილში შესაძლებელია იყოს ორი სახის: 1. სამედიაციო მორიგება, რომელიც არ ექვემდებარება სასამართლოს მიერ აღსრულებას და 2. სამედიაციო მორიგება, რომელიც მხარეთა შეთანხმებით ექვემდებარება სასამართლოს მიერ აღსრულებას.

პირველ შემთხვევაში, სამედიაციო მორიგებას ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების მსგავსი იურიდიული ძალა აქვს. იგი სავალდებულოა მხარეთათვის, აქვს მბოჭავი ძალა და სასამართლო საქმისწარმოებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს როგორც მტკიცებულება.

მეორე შემთხვევაში, როდესაც მხარეები თანხმდებიან სამედიაციო მორიგების სასამართლოს მიერ აღსრულების შესაძლებლობაზე. თავის მხრივ, სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ან თუ, სამედიაციო მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით „სამედიაციო მოხიგების აღსრულების საკითხს ზეპიხი მოსმენის გახეშე განიხილავს სასამართლო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში. სასამართლოს შეუძლია ამავე ვადაში დაადგინოს ამ საკითხის ზეპიხი განხილვა, თუ ეს ხელს უწყობს საქმის გახეშობათა გამოკვევას. ამ შემთხვევაში სამედიაციო მოხიგების აღსრულების საკითხი განიხილება განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნული საკითხის ზეპიხი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგჩამ მათი გამოუცხადებლობა ვეჩ დააბჩკოდებს სასამართლოს მიეჩ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას“.<sup>48</sup>

---

<sup>48</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 363<sup>31</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

### 3.3. სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2019 წლის 18 სექტემბერს განხორციელებულ ცვლილებებამდე სასამართლო მედიაციისას შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობით გამოჰქონდა განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. მაშასადამე, ის დეტალურად და ამომწურავად განსაზღვრავდა მხარეთა მორიგების პირობებს,<sup>49</sup> რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მედიაციის უმთავრეს პრინციპს - კონფიდენციალურობას<sup>50</sup> და კრიტიკის ობიექტსაც წარმოადგენდა.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2019 წლის 18 სექტემბრის ცვლილებებით აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი ნორმები რადიკალურად შეიცვალა. საკითხის უკეთ საილუსტრაციოდ უმჯობესია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>7</sup> მუხლის მოქმედი რედაქციისა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის ციტირება და ერთობლივი ანალიზი:

#### სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულება:<sup>51</sup>

1. სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი წყდება ამ კოდექსის XLIV<sup>13</sup> თავის შესაბამისად.

2. თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მოსარჩე-

---

<sup>49</sup> დიდუაშვილი თ., ხუხუცაძე ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 374.

<sup>50</sup> ბახნაბიშვილი გ., წიკლაუხი ს., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 13.

<sup>51</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 187<sup>7</sup>-ე მუხლი.

ლეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

3. თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არცერთი მხარე არ მიმართავს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

### **სამედიაციო მორიგების აღსრულება:<sup>52</sup>**

1. მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს.

2. სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ.

3. სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს იხილავს ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

სასამართლო მედიაციის შემთხვევაში მისი წარმატებით დასრულებისას არაა აუცილებელი მოსამართლის მიერ სამედიაციო მორიგების მოწონება/დამტკიცება ან რაიმე სხვა ფორმით დადასტურება, უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებლობა, ზემოთ ციტირებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის შეტყობინებასაც კი არ ითხოვს. ამრიგად, თუ სასამართლო მედიაცია დასრულდება წარმატებით და დასრულებისთანავე არ იქნება მოთხოვნილი აღსრულება ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ, მაშინ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 დღეში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამასთანავე, სამედიაციო მორიგება, რომელიც თუნდაც სასამართლო მედიაციის შედეგია, არაა აპრიორი სასამართლოს მიერ აღსრულებადი. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს მხარეთა სპეციალური შეთანხმება აღ-

---

<sup>52</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-13 მუხლი.



ნიშნული საკითხის თაობაზე. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ორი კაზუსტური მაგალითი:

1. სასამართლო მედიაცია დასრულდა წარმატებით და დაიდო სამედიაციო მორიგება, რომელშიც მხარეები შეთანხმდნენ სასამართლოს მიერ აღსრულების შესაძლებლობაზე. ერთ-ერთმა მხარემ სამედიაციო მორიგების პირობები არ შეასრულა. ამის შემდგომ მეორე მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით და მიიღოს სასამართლოსგან სააღსრულებო ფურცელი, თუ არ არსებობს სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმის საფუძველი<sup>53</sup>.

2. სასამართლო მედიაცია დასრულდა წარმატებით და დაიდო სამედიაციო მორიგება, რომელშიც მხარეები არ შეთანხმებულან სასამართლოს მიერ აღსრულების შესაძლებლობაზე. ერთ-ერთმა მხარემ სამედიაციო მორიგების პირობები არ შეასრულა. ამ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოს მიერ განუხილველად დარჩა. მეორე მხარე უფლებამოსილია საერთო წესის დაცვით მიმართოს სასამართლოს. მისთვის სამედიაციო მორიგება იქნება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების მსგავსი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულია კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი სამედიაციო მორიგების შინაარსისათვის, განურჩევლად იმისა, სამედიაციო მორიგება კერძო მედიაციის შედეგია თუ სასამართლო მედიაციისა. აღნიშნული პრინციპის შეზღუდვის ერთ-ერთ წინაპირობად გვევლინება შემთხვევა, როდესაც სამედიაციო მორიგების შინაარსის გამჟღავნება აუცილებელია სამედიაციო მორიგების იძულებით აღსასრულებლად.<sup>54</sup>

---

<sup>53</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 363<sup>32</sup>-ე მუხლი.

<sup>54</sup> ბეჩაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 58.

მართალია, ერთი მხრივ, მოსაწონია, რომ როგორც კერძო მედიაციის, ასევე სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების შინაარსთან წვდომა სასამართლოს აქვს კანონიერებისა და აღსრულების შესაძლებლობა/შეუძლებლობის საკითხის გადაწყვეტისას. მსგავსი სახით კონფიდენციალურობის გავრცელება კი მხარეთათვის დამატებითი მოტივაცია შეიძლება იყოს სამედიაციო მორიგების ნებაყოფლობით შესასრულებლად.<sup>55</sup> თუმცა, მეორე მხრივ, თავს იჩენს მედიატორის როლი და მნიშვნელობა - მედიაციის პროცესის ეფექტურობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის უზრუნველსაყოფად. ყოველივე ზემოაღნიშნული კი გათვალისწინებულ უნდა იქნას მედიატორის პროფესიის დაუფლების / მედიატორთა ერთიან რეესტრში განწვრიანების წინაპირობების, მათ შორის - მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტების, დადგენისას.

#### 4. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს მედიატორთა ასოციაცია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ჩვეულებისამებრ, მედიატორთა გაერთიანებები - როგორც პროვაიდერული, ასევე საგანმანათლებლო, კერძო სამართლის სუბიექტის სტატუსის მქონე ორგანიზაციების სახით არიან წარმოდგენილი, რომელთა მიმართ დადგენილია აკრედიტაციის სტანდარტები. საქართველომ კი განსხვავებული გზა აირჩია. განვიხილოთ, თუ რამ განაპირობა მედიატორთა გაერთიანებისადმი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება და წაადგება თუ არა ეს მედიაციის სამომავლო განვითარებას.

---

<sup>55</sup> ბახნაბიშვილი გ., წიკლაუჩი ს., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 15-16.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია წევრობაზეა დაფუძნებული და ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას.<sup>56</sup> გამომდინარე იქედან, რომ კანონით უზრუნველყოფილია მისი დამოუკიდებლობა, რაც გამორიცხავს მის საქმიანობაში გარეშე პირის მიერ ჩარევის შესაძლებლობას, აღნიშნული ორგანიზაციის საჯარო სტატუსი შესაძლებელია დადებით კონტექსტში განვიხილოთ.

პირველ რიგში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფომ არა მხოლოდ მედიაციის განვითარების ხელშეწყობა იკისრა, არამედ თავად აიღო გარკვეული პასუხისმგებლობა საზოგადოებისთვის ეფექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მედიაციის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები წარმოადგენს.<sup>57</sup>

მედიატორის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის წევრის, სტატუსი გარკვეულ როლს ითამაშებს საზოგადოებაში მედიაციისადმი ნდობის ჩამოყალიბებაში.<sup>58</sup> მხარეები უფრო მეტად დაცულად იგრძნობენ თავს, როდესაც გააცნობიერებენ, რომ მედიატორის კვალიფიციურობის გარანტი სახელმწიფოა. საზოგადოებაში ნდობის ჩამოყალიბება კი საქართველოში არსებულ რეალობაში მედიაციის/მედიატორთა ყველაზე დიდი გამოწვევაა. მით უმეტეს, რომ სამედიაციო მორიგებას საკმაოდ დიდი იურიდიული ძალა აქვს და სასამართლოს უფლებამოსილებაც მისი აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას საკმაოდ დავინროებელია.

---

<sup>56</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>57</sup> იქვე, მე-17 მუხლი.

<sup>58</sup> ცეხცვაძე გ. (ხედ.), ახვავაძე მ., ვასაძე ე., თვაუხი ხ., ივანიძე გ., მახაუხი პ., ჟიჟიაშვილი თ., გაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჭიბრაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 23.

#### 4.1. საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში განწევრიანების წინაპირობები

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით „მედიაციითა ეხითან ხეესტხში შეიძლება ხევისტხიხებუდ იქნეს ქმედუნახიანი ფიზიკური პიხი, ხომელიც ახ ახის ნასამახთღევი, ხომელსაც მედიაციითა სეხტიფიციხების პიოგხამის შესაბამისად გავდიდი აქვს მედიაციის/მედიაციის გხენინგი და ხომელიც ფღობს მედიაციითა ასოციაციის მიეხ გაცემუდ სეხტიფიკატს.“<sup>59</sup> მაშასადამე, გამოიკვეთა შემდეგი კანონის-მიერი წინაპირობები:

1. ქმედუნარიანი ფიზიკური პირი - მედიატორთა ერთიანი რეესტრის და, მაშასადამე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, თუმცა ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას მედიაციის სასწავლო თუ პროვაიდერი იურიდიული პირების თანამშრომლობას მედიატორთა ასოციაციასთან. მედიაციის/მედიატორის ორგანიზებისა და ჩატარების უფლება სხვა დაწესებულებას/ორგანიზაციას შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ მედიატორთა ასოციაციის თანხმობით.

2. ნასამართლეობის არ ქონა - მედიატორი ვერ იქნება ნასამართლევი პირი. ეს მხარეების მიერ მედიაციისადმი სანდოდ დამოკიდებულების ქონის დამატებითი წინაპირობაა. ამასთანავე, სამედიაციო მორიგების აღსრულებადობის მოქმედი მოწესრიგების გათვალისწინებით ნასამართლევი პირთათვის მედიატორობის უფლების შეზღუდვით შემცირებულია დამატებითი რისკები.

3. მედიაციის/მედიატორის ტრენინგის გავლა და მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემული სერტიფიკატის ფლობა - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ 2021 წლის 24 აპრილს შემუშავებულ იქნა მედიატორთა სერტიფიციციების პროგრამის დებულება.

---

<sup>59</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი.

## 4.2. საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში პირველადი რეგისტრაცია

საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში პირველადი რეგისტრაცია განახორციელა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე მედიატორთა ერთიან რეესტრში 55 კანდიდატი დარეგისტრირდა. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონმა ზემოხსენებული შემთხვევისთვის მედიატორთა ერთიან რეესტრში დასარეგისტრირებლად შემდეგი წინაპირობები განსაზღვრა:<sup>60</sup>

1. ქმედუნარიანი ფიზიკური პირი;
2. არ არის ნასამართლევნი;
3. არანაკლებ 40-საათიანი მედიაციის/მედიატორის ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა;
4. კანონის ამოქმედებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში სულ მცირე 1 სასამართლო მედიაციის წარმართვა.

თავის მხრივ, სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტის ფარგლებში პირველად კანდიდატთა შერჩევა გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (EWMI-JILEP) მიერ. კანდიდატებს მოეთხოვებოდათ:

1. უმაღლესი განათლება;
2. 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება;
3. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

შერჩევის 2 ეტაპიანი პროცედურის შედეგად შერჩეულმა კანდიდატები დაეუფლნენ მედიატორის უნარ-ჩვევებს, შეისწავლეს მედიაციის პროცესის წარმართვის თავისებურებები.

---

<sup>60</sup> იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

სასამართლო მედიატორთა სწავლების კურსი მოიცავდა ზოგად ტრენინგს მედიაციის თეორიაში, ასევე გაღრმავებულ ტრენინგებს მედიაციის პროცესის წარმართვის ტექნიკასა და მედიატორისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებში.<sup>61</sup>

უმაღლესი განათლების მოთხოვნა მედიატორთათვის მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გვხვდება და მისაღებ წინაპირობას წარმოადგენს. კომპიუტერული პროგრამების ცოდნის აუცილებლობაც შესაძლებელია თავად სასამართლო მედიაციის საპილოტე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარეობდა. რაც შეეხება 5 წლიანი პროფესიული გამოცდილების მოთხოვნას, ბუნდოვანია, თუ რას ემსახურებოდა ის. მსოფლიოს სახელმწიფოთა კანონმდებლობებში რთულად თუ მოიძებნება მსგავსი რეგულაცია, რომელიც მედიატორობის წინაპირობად პროფესიულ გამოცდილებას მოითხოვს. ეს კი მსგავსი მოთხოვნის მიზნობრიობის დადგენასა თუ შეფასებას ართულებს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 9 სექტემბერს საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში განვერიანდნენ პირები, რომელთაც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე უფიქსირდებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მცხეთის რაიონულ სასამართლოს და გორის რაიონულ სასამართლოში მედიატორად ან/და თანამედიატორად საქმიანობის ფაქტი და გაიარეს რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარების ეტაპი.<sup>62</sup>

---

<sup>61</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, მედიატორის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, <[http://hcoj.gov.ge/ge/mediatoris-kandidatta-shesarchevi-konkursi/1926?fbclid=IwAR0UD-zg2TMi6NqtKW5k8x-8RYWz9wwrQyhLPGQroOpkeVZlMrFBmp5U\\_Ls](http://hcoj.gov.ge/ge/mediatoris-kandidatta-shesarchevi-konkursi/1926?fbclid=IwAR0UD-zg2TMi6NqtKW5k8x-8RYWz9wwrQyhLPGQroOpkeVZlMrFBmp5U_Ls)> [02.02.2021].

<sup>62</sup> საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდი, <<https://mediators.ge/ka/article/ssip-saqartvelos-mediatora-asociaciis-wevta-ertiani-reestri-fartovdeba/285>> [21.09.2021].

### **4.3. მედიატორთა სერტიფიცირების დებულებით განსაზღვრული ასოციაციაში განწევრიანების წინაპირობები**

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრობის მსურველს გარდა კანონით განსაზღვრული წინაპირობებისა მოუწევს მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის გავლა. ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შემუშავებულია და დამტკიცებულია საქართველოს მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების მიერ და მოიცავს 3 საფეხურს:<sup>63</sup>

1. მედიაციის / მედიატორის ტრენინგი;
2. მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემომნება;
3. მედიატორობის მსურველი პირისთვის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარება.

#### **4.3.1. მედიაციის / მედიატორის ტრენინგი**

მედიაციის ტრენინგი უნდა წარმოადგენდეს სულ მცირე 60 საათიან მოდულს, რომლის შინაარსიც უნდა შეიცავდეს შემდეგ შინაარსობრივ კომპონენტებს: კონფლიქტი და მისი მართვა; მედიაცია და დავის გადაწყვეტის სხვა პროცესები, მათი ურთიერთმიმართება; მედიაციის არსი, პრინციპები და მედიატორის როლი; ეფექტიანი კომუნიკაციის ტექნიკა: აქტიური მოსმენა (პერეფრაზი, შეჯამება, რეფორმულირება, ემოციებზე გამომხაურება, სხეულის ენა, კითხვები); პოზიციებისა და ინტერესების გამიჯვნა, ინტერესების გამოკვლევის მნიშვნელობა, სხვადასხვა სახის ინტერესები (ეკონომიკური/მატერიალური, პირადი/ემოციური/არა-მატერიალური, პროცესუალური); მოლაპარაკების ტიპები, მოლაპარაკებისას მხარეთა ალტერნატივების განხილვის მნიშვნელობა (ე.წ. BATNA - სამედიაციო მორიგების საუკეთესო ალტერნატივა), შესაძლო

---

<sup>63</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 24/05/2021, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

„მორიგების ზონის“ (ე.წ. ZOPA - შესაძლო მორიგების ზონა) იდენტიფიცირება და ეფექტიანი მართვა, რეალობის ტესტი; მედიაციის ფაზები (მომზადება, გახსნა, გამოკვლევა, „ვაჭრობა“, დასრულება), თითოეული ფაზის მიზანი, პროცესის მონაწილეების როლი, ძირითადი ტექნიკები და რისკები; წარმომადგენლის როლი მედიაციაში; ჩიხი მედიაციაში და ეფექტიანი რეაგირების ხერხები; ინდივიდუალური (კერძო) და საერთო შეხვედრები.<sup>64</sup>

მედიაციის ტრენინგის ჩატარების უფლებამოსილება აქვს თავად ასოციაციას ან/და ასოციაციის მიერ აკრედიტებულ ნებისმიერ დაინტერესებულ კერძო პირს. თავის მხრივ მედიაციის ტრენინგის აკრედიტაცია შესაძლოა იყოს 2 სახის: პროგრამული აკრედიტაცია, რომელიც ერთჯერად აკრედიტაციას გულისხმობს; და ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს 1 კალენდარული წლის განმავლობაში ჩაატაროს მედიატორთა ტრენინგი შეუზღუდავი რაოდენობით. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია უფლებამოსილია შეამოწმოს პროგრამული ან/და ინსტიტუციური აკრედიტაციის მფლობელი სუბიექტების მიერ ტრენინგების ჩატარების პროცესი. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო შეიმუშავებს აკრედიტაციის გაუქმების წინაპირობებსა და წესს.

ტრენერი შეიძლება იყოს ასოციაციის მიერ ჩატარებული ტრენერთა ტრენინგის წარმატებული კურსდამთავრებული და ასოციაციის ტრენერთა ერთიანი სიის წევრი. თავის მხრივ, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს საერთაშორისო პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა მიერ ჩატარებული მედიაციის ტრენინგებს ექნება ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც თავად ასოციაციის ან/და ასოციაციის მიერ აკრედიტებული კერძო პირის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს.

---

<sup>64</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 24/05/2021, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.



### 4.3.2. მედიატორობის მსურველი პირის შემომწმება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში

მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემომწმების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საქართველოს მედიატორთა ასოციაციას. პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემომწმება ასოციაციის მიერ უნდა განხორციელდეს სულ მცირე წელიწადში ორჯერ, საგაზაფხულო და საშემოდგომო ნაკადებზე. აღნიშნულ ეტაპზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მოწმდება კანდიდატის პროფესიული კომპეტენციები წინასწარ განსაზღვრული მედიატორის კომპეტენციების ჩარჩოს გათვალისწინებით. მედიატორობის მსურველმა პირმა უნდა გამოავლინოს: 1. ურთიერთობის უნარი, რაც გულისხმობს მედიაციისთვის შესაფერისი გარემოს შექმნას და პროცესის მონაწილეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებას; 2. პროცესის მართვის უნარი, რომელიც მოიაზრებს კანდიდატის მიერ სტრუქტურირებული, უსაფრთხო და ეფექტიანი სამუშაო პროცესის დამყარებას; 3. დავის შინაარსთან მუშაობის უნარი, რომლის დახმარებითაც კანდიდატი ხელს უწყობს მხარეებს გამონახონ არსებული დავიდან ქმედითი გამოსავალი.<sup>65</sup>

პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემომწმების ეტაპის წარმატებით დასასრულებლად კანდიდატი დადებითად უნდა შეფასდეს სამივე ზემოთ განხილულ კომპეტენციაში. უარყოფითი შეფასების მქონე კანდიდატს კი აქვს აპელაციის უფლება, რა შემთხვევაშიც 3 წევრისგან შემდგარი სააპელაციო კომისია ეცნობა სიმულაციის ვიდეო ჩანაწერს და აღნიშნულის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

---

<sup>65</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორის მსურველი პირის შეფასების წესი, <<https://mediators.ge/uploads/files/612762b074021.pdf>> [21.09.2021].

### 4.3.3. მედიატორობის მსურველი პირისთვის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარება

პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების წინაპირობის დადებითად დასრულების შემდგომ მედიატორობის მსურველმა პირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარების ეტაპზე. აღნიშნული ეტაპის მიზნებისთვის მომავალი მედიატორის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ჩამონათვალს, ეტაპის მარეგულირებელ წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში განეწიანება საკმაოდ რთული, ფორმალური პროცესია, სადაც დეტალურად მოწმდება კანდიდატის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული შესაძლებლობები. აღნიშნულმა პროცედურამ უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოღვაწე მედიატორების მაღალი კვალიფიკაცია, რაც მედიაციის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში უდავოდ დიდ როლს ითამაშებს.

## 5. დასკვნა

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან დღემდე, მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარება, სადაც მედიაცია უკვე მყარად დამკვიდრებულია, როგორც დავის მოგვარების ალტერნატიული მექანიზმი. ევროკავშირისა და ზოგიერთ წევრ სახელმწიფოთა მედიაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესწავლით გამოიკვეთა, რომ ევროკავშირის ქვეყნები, როგორც წესი, მედიატორთა სერტიფიცირების მინიმალური სტანდარტების დადგენისას ითვალისწინებენ მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის იმას, თუ რამდენად ექვემდებარება სამედიაციო მორიგება იძულებით აღსრულებას, არსებობს თუ არა შუალობითი რგო-

ლი და რა ფუნქციები აქვს ამ უკანასკნელს სამედიცინო მორიგების აღსასრულებლად.

სახელმწიფომ თავის თავზე აიღო გარკვეული პასუხისმგებლობა მედიაციის განვითარების საქმეში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შექმნის გზით. უნდა ველოდოთ რეალურ მხარდაჭერას სახელმწიფო ორგანოებისგან და იმედი გამოვთქვათ, რომ საქართველოში უზრუნველყოფილი იქნება მედიაციის ეფექტურობა, მიუკერძოებლობა და კომპეტენტურობა, როგორც ამას მოითხოვს ევროპარლამენტის მიერ 2008 წლის 21 მაისს მიღებული დირექტივა 2008/52/EC სამოქალაქო და კომერციული დავების მოსაგვარებლად გამოსაყენებელი მედიაციის ზოგიერთი ასპექტის მოსაწესრიგებლად.

მნიშვნელოვანია, საქართველოში არსებული სამედიცინო მორიგების აღსრულების შესაძლებლობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით საკმაოდ გამარტივებულია და სასამართლოსაც სამედიცინო მორიგების აღსრულებაზე უარის საფუძვლად მხოლოდ მისი კანონიერებისა და შესრულებადობის საკითხი შეუძლია გამოიყენოს. სამედიცინო მორიგების იძულებითი აღსრულების შესაძლებლობა მძიმე ტვირთად შეიძლება დააწვეს მხარეს. ამიტომ მედიატორმა მედიაციის სხვა პრინციპებთან ერთად სამედიცინო მორიგების აღსრულების შესაძლებლობის არსი და მისი შესაძლო შედეგები მხარეებს განსაკუთრებით გასაგებად და ამომწურავად უნდა განუმარტოს.

მედიატორობის კანდიდატმა გარკვეული ქმედებები უნდა განახორციელოს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრობისათვის. მან უნდა დაუთმოს დრო საკუთარ თავს ახალი პროფესიის შესაძენად. ის უნდა აცნობიერებდეს საკუთარ პასუხისმგებლობას მოდავე მხარეთა წინაშე. იმედია, საქართველოში მოქმედი სერტიფიცირების მაღალი მინიმალური სტანდარტების დაწესება უზრუნველყოფს მედიატორთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მედიაციის პროცესის ეფექტურობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის შენარჩუნე-

ბას. ეს კი საქართველოში მედიაციის წარმატების, ცნობადობის ამაღლების უმთავრესი გარანტი იქნება.<sup>66</sup>

### ბიბლიოგრაფია:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 27/06/2014, გამოქვეყნების თარიღი: 11/09/14, დროებითი გამოყენების რეჟიმი: 01/09/2014, სრულად ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2016.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997.
3. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
4. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021.
5. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, 24/05/2021.
6. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 24/05/2021.
7. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდება, 24/05/2021.
8. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორის მსურველი პირის შეფასების წესი, <<https://mediators.ge/uploads/files/612762b074021.pdf>> [21.09.2021].
9. ბახნაბიშვილი გ., წიკლაუხი ს., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 13, 15-16.
10. ბეჩაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა -

---

<sup>66</sup> კობეხიძე ს., მედიატორის აკრედიტაციის სტანდარტები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 143.

წელიწადული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 58.

11. კობეხიძე ს., მედიატორის აკრედიტაციის სტანდარტები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 143.
12. დიდუაშვილი თ., ხუსტადი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 374.
13. მაჩგვედაშვილი თ., მედიაცია, როგორც პროფესია: ეთიკის მოდელები, პრინციპები და გამოწვევები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 159-160.
14. ცეხცვაძე გ. (ხედ.), ახევაძე მ., ვასაძე ე., თვაუჩი ხ., ივანიძე გ., მახაუჩი პ., ჟიჟიაშვილი თ., გაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბღაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 23.
15. ცეხცვაძე გ., მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 21.
16. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, მედიატორთა ერთიან რეესტრში კანდიდატთა რეგისტრაცია, <<http://hcoj.gov.ge/ge/mediatorta-ertian-reestrshi-kandidatta-registratsia/3558>> [28.01.2021].
17. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, მედიატორის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, <[http://hcoj.gov.ge/ge/mediatoris-kandidatta-shesarchevi-konkursi/1926?fbclid=IwAR0UD-zg2TMi6NqtKW5k8x-8RYWz9wwrQyhLPGQroOpkeVZlMrFBmp5U\\_Ls](http://hcoj.gov.ge/ge/mediatoris-kandidatta-shesarchevi-konkursi/1926?fbclid=IwAR0UD-zg2TMi6NqtKW5k8x-8RYWz9wwrQyhLPGQroOpkeVZlMrFBmp5U_Ls)> [02.02.2021].
18. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდი, <<https://mediators.ge/ka/article/ssip-saqartvelos-mediators-associacii-wevrta-ertiani-reestri-fartovdeba/285>> [21.09.2021].
19. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.

20. *Alexander N. M.*, *Global Trends in Mediation*, Kluwer Law International, Netherlands, 2006, 152.
21. *Barrett J. T.*, *A History of Alternative Dispute Resolution: the Story of a Political Cultural and Social Movement*, John Wiley & Sons, Inc., San Francisco, 2004, 1.
22. *De Palo G., Trevor M.T.*, *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 137-138, 142, 192, 195, 320-322, 387-388.
23. *Fotiadis L.*, *Enforceability of mediation agreements in European Union*, LLM in Transnational and European Commercial Law And Alternative Dispute Resolution, Thesalloniki, 2013, 26-27.
24. *Hopt K. J., Steffek F.*, *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, United Kingdom, 2013, 12-13, 23, 177.
25. *Lambert D., Finlayson N.*, *Mediation in United Kingdom*, Penningtons Manches Cooper LLP, <<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=02ee5416-79ba-484b-bd62-eb26318d330b>> [01.02.2021].
26. *Moore C. W., Jayasundere R., Thirunavukarasu M.*, *The Mediation Process*, Trainee's Manual Community Mediation Programme.
27. *Scherpe J. M., Marten B.*, *Mediation in England and Wales: Regulation and Practice*, *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford Scholarship Online, 2013, 8, 64.
28. *Tochtermann P.*, *Mediation in Germany: The German Mediation Act-Alternative Dispute Resolution at the Crossroads* *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford Scholarship Online, 2013, 25-26, 43-44.
29. *Villamarin Lopez M. L.*, *Mediation in Spain: Dealing with Its First National Regulation*, *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford Scholarship Online, 2013, 12, 24.
30. *Walsh D.*, *Independent Commissions and Contentious Issues in Post-Good Friday Agreement Northern Ireland*, Springer International Publishing AG, Switzerland, 2017, 4-5.
31. *William E., O'Brian Jr.*, *Lessons for the European Union from Mediation in the United States*, *The New EU Directive on Mediation First Insights*, Maklu & Association for International Arbitration, Antwerpen-Apeldoorn, 2008, 55-56.

32. Civil Mediation Council Individual Registration Scheme, <<https://civilmediation.org/wp-content/uploads/2019/07/2019-Individual-Registration-Guidance-Notes.pdf>> [01.02.2021].
33. Mediation in Member States, an Official European Union Website, <[https://e-justice.europa.eu/content\\_mediation\\_in\\_member\\_states-64-si-en.do?member=1](https://e-justice.europa.eu/content_mediation_in_member_states-64-si-en.do?member=1)> [01.02.2021].
34. Official Webpage of The Ministry of Justice of United Kingdom, European Procedures Part 78.24, <<https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part78#IDAVK1HC>> [01.02.2021].

## ირაკლი ლეონიძე\*

### მედიაციის მნიშვნელობა მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის საპროცესო თავისებურებების გარკვევის საკითხისთვის

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილში, სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხთა ჩამონათვალში - „თ“ ქვეპუნქტად მითითებულია სამოქალაქო საქმეები: მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ. დასახელებული საკითხები განიხილება უდავო წახმოების წესით, ხოლო საქმეთა დაჯგუფების კატეგორია მიეკუთვნება იუხიდიური მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას. საკანონმდებლო ტექნიკის საშუალებით ამავე კოდექსის XXXV და შემდგომ თავში კანონმდებელი საქმეებს ჯგუფებად და ქვეჯგუფებად აეხითიანებს, სადაც განსახილველი საკითხის მაგეჩიადუხი შინააჩისს, უდავო წახმოების პროცესუადუხი მიზნით გადაწყვეტა სამოქალაქო საპროცესო სამაჩთადში ეჩთ-ეჩთ აქტუადუხ საკითხს წაჩმოდგენს.

უფდებამოსიდი პიჩის მიეჩ ჩაიმე მოვდენის მიმაჩთ საჩწმუნო ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ „ყვედაზე დიდი უსამაჩთლობა მოჩვენებითი სამაჩთიანობაა“, შემდგომში, რომის სამაჩთადში, ჯეჩ კიდევ ხუთი დიდი იუჩისტის ეპოქაში ჩამოყადებდა ის ძიჩითადი პიჩინციპები, რომდებიც უზხუნვედყოფდა კონკჩეტუდი პოცესის წაჩმოებისთვის აუცილებელი ფაქტების დადგენის, დაინტეჩელებული პიჩის ინტეჩესის შესაბამისობისა და უფდებამოსიდი პიჩის ეეაგიჩების ვადებუდებას. ამ დოიდან ყადიბდება გამოთქმა / პიჩინციპი, - „ვინც ქონებას თავისთვის იძენს, მემკვიდრეებისთვისაც იძენს“.

ნათედია, მოსამაჩთდის მიეჩ უდავო წაჩმოების წესით იუჩიდიური მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საპროცესო მიზანი, რომედრიც აჩ აჩის მხოდოდ და მხოდოდ საკითხის გადაწყვეტის პროცესუადუხი

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი.



სიმახტივე აჩამედ პიროვნული მართლებების გამოხატვის საპასუხისმგებლო ამოცანაა. უფლებასა და ამ უფლების განხორციელებას შორის არსებული სამართლებრივი კავშირი საერთო ზიგის კანონისმიერი ან ანდრეხდისმიერი მემკვიდრეთა იუხიდიუდ ინტეხესს თანაბხად უნდა აბადანსებდეს, თუმცა უკანონოდ არ უნდა ზღუდავდეს ხომედიმე მემკვიდრის კანონიერი ინტეხესს, ისახებდოს იმ უფლებით, შემდგომში სიკეთით, ხომედიც მას მამკვიდრებდთან კონკრეტული სამართლებრივი უხთიეხთობის / დაკავშირების შედეგად მიენიჭა და გახკვეული დროის განმავლობაში დადგინდა სამართლებრივი საფუძვლით, თუმცა სამომავლოდ საჭიროებს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენას.

განსახიდევი კატეგორიის საქმეებზე მოსამართლის გადაწყვეტილება განმცხადებლის კანონიერი ინტეხესის, სანოტაო მოქმედების შესხულებაზე ნოტაიუსის უახის, საჯაო ხეესტის კანონისმიერი მოდოინისა და სხვა პიხთა დაინტეხესების თანაკვეთის წეხტილია. ამიტომ საქახთვედოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხდის მე-2 ნაწიდის „თ“ ქვეპუნქტით დადგენიდი საქმეების განხიდევის თავისებულება ქონებაზე საკუთხების აღიახების / მოპოვების შესაძლებლობის კონსტიტუციუხი შინაახისს მატახებელია, თუმცა არა, აუცილებლობა - უფრო მეტად დამოკიდებუდებითი მიმახთებაა.

მედიაციის მნიშვნელობა საპროცესო თავისებულებების თანაბხმნიშვნელოვანი წახმოჩენისა და მხახეთა დავის გადაწყვეტის შესაძლებლობაში მდგომახეობს. იეხინგის თანახმად, „უფლებისათვის ბიძოდა არის მოვადეობა უფლებამოსიდი ადამიანისა თავისავე თავის წინაშე“, მედიაცია კი, არა მხოლოდ დავის აღტეხინატიუდი გადაწყვეტის, არამედ უფლებისთვის ბიძოდის საშუადებაა.

**საკვანძო სიგყვები:** უდავო წახმობა, იუხიდიუდი მნიშვნელობის მექონე ფაქტი, მედიაცია, მხახეთა შეთანხმება, მედიაციის პიხინციპები, მემკვიდრეობის მიღება, სამკვიდროს გახსნის ადგიდი, სასამართლოს მოხედე.

## 1. შესავალი

პრინციპული მოსაზრება, *lura novit curia* - სამოქალაქო საპროცესო სამართალში სამოსამართლო საქმიანობის სისრულის პრეზუმფციია, თუმცა იგი, როგორც წესი არ გულისხმობს, რომ სასამართლომ ასევე, იცის ყველა ფაქტი განსა-

ხილველ საქმესთან დაკავშირებით.<sup>1</sup> მტკიცების საგანში შემავალი სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტები მხარეებმა უნდა ამტკიცონ, ხოლო მტკიცების საგნის განსაზღვრის პროცესში მოსამართლე, აუცილებლობის, შესაძლებლობისა და კანონის მოთხოვნათა დაცვით მონაწილეობს. სასარჩელო წარმოებისგან განსხვავებით უდავო წარმოების არსი, ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე უფლების შესახებ დავის არარსებობის დათქმით ვლინდება.<sup>2</sup>

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა შორის დასახელებულია საქმეები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ, შემდგომში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXVI თავში კლასიფიცირებული მსგავსი ფაქტების მატერიალური შინაარსი, რომელთა მიმართ დგინდება ამ საქმეზე სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტი. კვლევის მიზანს წარმოადგენს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის თავისებურებების განხილვა, კონკრეტულად, მედიაციის უალტერნატივო მნიშვნელობის გამოკვეთით, გარკვევა იმისა,<sup>3</sup> თუ როგორ აღიქმება საქმისწარმოების ზღვარი სანოტარო მოქმედების განხორციელების შესახებ ნოტარიუსის უარის გასაჩივრებასა და უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას შორის.<sup>4</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები ადგენს სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის მა-

---

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 102-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>2</sup> ქუჩაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2015, 472.

<sup>3</sup> Prayer S., Why is Mediation not used More Often as a Means of Alternative Dispute Resolution? European Union: European Parliament's Committee on Legal Affairs, Brussels, 2012, 11.

<sup>4</sup> შეად. EU Handbook on Mediation: Mediation Law and Practice in Other EU Countries, Professional Association of the Mediators in Bulgaria, Integrierte Mediation e.V. – Germany and the European Association of Judges for Mediation (GEMME), 26-27, <[https://mediation-net.eu/pdf/books/analysis\\_concise\\_text2.pdf](https://mediation-net.eu/pdf/books/analysis_concise_text2.pdf)> [12.09.2021].

ტერიალურ შინაარსს, რომლის მიმართ დაინტერესებული პირის განცხადებაზე სამართლებრივი რეაგირების ვალდებულება ნოტარიუსს ეკისრება, თუმცა უდავო წარმოების ზოგადი დანიშნულებიდან გამომდინარე, მოსამართლე<sup>5</sup> ითავსებს რა, ფუნქციას დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, გვევლინება საზოგადოებრივი მართლწესრიგის „კვესტორად“<sup>6</sup> იმ პირობით რომ *Statuta pro publico commodo late interpretatur*.<sup>7</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში<sup>8</sup> გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებები საკითხის მომწესრიგებელი სამართლის ნორმების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით,<sup>9</sup> ხოლო სასამართლო პრაქტიკა არკვევს მსგავს საქმეზე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს და ამ უკანასკნელის დადგენილი ფაქტისადმი მიკუთვნებადობას.<sup>10</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი საქმეები შესაძლოა დამოუკიდებელი წარმოების საგანს ან სამომავლოდ, დამდგარი სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით სამემკვიდრეო დავის შემადგენელ ნაწილს / მემკვიდრის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდეს, როგორც რომაელი იურისტები აღნიშნავ-

---

<sup>5</sup> სასამართლოს შესაბამისი მოხელე, იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 316<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>6</sup> რომში, კვესტორის ერთ-ერთი ფუნქცია სახელმწიფო არქივის მეთვალყურეობა / ფაქტის დადგენა იყო.

<sup>7</sup> „საზოგადოების სასახგებდოდ მიღებული კანონები კახგად უნდა განიმახგოს“, მითითებულია: ნადაჩეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2005, 189.

<sup>8</sup> ავტორები: სუხიტაშვილი, ქურდაძე, ხუნაშვილი, გოგოლაძე და სხვ.

<sup>9</sup> სასამართლოს შესაბამისი მოხელის შესახებ სამართლის ნორმის ჩანაწერის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით იხ. ქუხეაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2015, 477.

<sup>10</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის №ას-971-1172-08 გადაწყვეტილება.

დნენ *Ubi rerum testimonia adsunt, quid opus est verbis?*<sup>11</sup> შესაბამისად, კლასიფიცირებულ საქმეთა მიმართ დაინტერესებულ პირთა ინტერესი, მათ შორის კონსტიტუციური უფლების განხორციელების სურვილი,<sup>12</sup> განაპირობებს იმას, რომ ეს საკითხები დღემდე არ განაცალკევა კანონმდებელმა, მიუხედავად ამ ჩამონათვალში განხორციელებული სხვა საკანონმდებლო ცვლილებებისა.<sup>13</sup>

სამემკვიდრეო სამართლებრივი დავების გადატვირთულობა, სასურველია ინსტიტუციურად გაიმიჯნოს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ უდავო წარმოების პროცესუალური მიზნისა და მოქალაქეთა დაინტერესებისგან. სასამართლო დავათა განცალკევების შედეგად, მედიაციის დღეს მოქმედი ფორმების საშუალებით შესაძლოა დარეგულირდეს სასარჩელო წარმოებისას სამემკვიდრეო დავების გადატვირთულობის ხელშემწყობი გარემოებები,<sup>14</sup> ხოლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას საქიროებაში გამოხატული თვისება მიენიჭოს.

კვლევის სიახლეს განაპირობებს სამემკვიდრეო დავების სასარჩელო წარმოების წესით განხილვის მზარდი მაჩვენებელი, სადაც ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების საკითხი და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის აუცილებლობა დღემდე არ კარგავს აქტუალურობას,<sup>15</sup>

---

<sup>11</sup> „სადაც ნივთიერი მგვიცებულებაა, ხალა ძადა აქვს სიგყვას?“, მითითებულია: ნადახეიშვიდი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2005, 192.

<sup>12</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, მე-19 მუხლი.

<sup>13</sup> იხ. საქართველოს კანონში „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონები: №3435 და №5977, „ა“, „ვ“, „ზ“, „ი“ ქვეპუნქტების ამოღების შესახებ.

<sup>14</sup> შეად. Alexander N., Walsh S., Svatos M. (eds.), EU Mediation Law Handbook: Regulatory Robustness Ratings for Mediation Regimes, Kluwer Law International BV, Alphen aan den Rijn, Vol. 7, 2017, 693.

<sup>15</sup> მედიაციის წარმართვის აუცილებლობის თვალსაზრისით შეად. Steffek F., Mediation in the European Union: An Introduction, Cambridge, 2012, 4-5.

საკითხის შესწავლის პროცესუალური მნიშვნელობის თვალსაზრისით.<sup>16</sup> კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულია ნორმატიული, დოგმატური, შედარების, სინთეზისა და ანალიზის მეთოდები.

## 2. უდავო წარმოების იურიდიული ინტერესი

საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით განიხილავენ.<sup>17</sup> ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.<sup>18</sup> ამ უფლების დაცვისა და საქმისწარმოების საკითხისთვის უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება.<sup>19</sup> უდავო წარმოების იურიდიული ინტერესი ერთ-ერთია იმ განსაზღვრებათაგან, რომელიც სამოქალაქო საპროცესო სამართალში იურიდიული ინტერესის პირობით ცნებას ადგენს.<sup>20</sup> ამ განსაზღვრების თავისებურებას უდავო წარმოების ზოგადი არსი განაპირობებს, შემდგომში კერძოსამართლებრივი ურთიერთობების შემცველი ის სამოქალაქო საქმეები, რომლებიც განიხილება უდავო წარმოების წესით და სადაც გამოკვეთილია დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესი სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ.

---

<sup>16</sup> „ვინც სპობს საშუალებას, სპობს მიზანსაც“. ამიტომ, უდავო წარმოების განსახილველი ფორმა მემკვიდრეობის მიღების მიზნის მიღწევის: უფლების წარმოშობის, შეცვლის ან მოსპობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. იხ. ნადახეიშვიდი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2005, 183.

<sup>17</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, პირველი მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>18</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, 31-ე მუხლი.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> შეად. კობადაძე დ., იურიდიული ინტერესი სამოქალაქო პროცესში, სერგო ჯორბენაძე 90, საიუბილეო გამოც., ჯოხბენაძე ს. (იედ.), თბ., 2019, 204-205.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სამოქალაქო საქმეები კლასიფიცირებულია კონკრეტული და მართლზომიერი იურიდიული ინტერესის შესაბამისად. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი აყალიბებს იურიდიული ინტერესის სხვადასხვაობას,<sup>21</sup> ხოლო საკანონმდებლო დონეზე დაჯგუფებული სამოქალაქო საქმეები ქმნის უდავო წარმოების იურიდიული ინტერესის ინდივიდუალურ განკუთვნილობას სამოქალაქო საპროცესო სამართალში.<sup>22</sup>

მედიაციის მნიშვნელობა მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის თავისებურებების გარკვევის საკითხისთვის შესაძლოა ჩამოყალიბდეს საკუთრების უფლების მიზნის მიღწევის საშუალებად იმ დათქმით, რომ „მიზანი უფლებისა აჩის მშვიდობა, საშუალება კი ამ მიზნის მისაღწევათ ბიძოდა აჩის.“<sup>23</sup> „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მედიაცია არის „პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან სამდღენიმე მხარე მედიატორის დახმავებით ცდილობს დავის უსაბუთო შეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვადისწინებული საფუძვლითა და წესით;“<sup>24</sup>

შესაბამისად, დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების საშუალება,<sup>25</sup> როგორც „უფლებისათვის ბიძოდა აჩის მოვადეობა

---

<sup>21</sup> შეად. კობადაძე დ., იურიდიული ინტერესი სამოქალაქო პროცესში, სერგო ჯორბენაძე 90, საიუბილეო გამოც., ჯიბენაძე ს. (ხედ.), თბ., 2019, 204-205.

<sup>22</sup> კობხიციძე დ., მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(40)'14, 2014, 32-33.

<sup>23</sup> რუდოლფ ფონ იერინგი, ბრძოლა უფლებისათვის, მთარგ. ბაქჩაძე ი., თბ., 2000, 31.

<sup>24</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-2 მუხლი.

<sup>25</sup> De Palo G., A Ten-Year-Long “EU Mediation Paradox” When an EU Directive Needs To Be More ...Directive, Europe Union: Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2018, 1-2, <[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2018/608847/IPOL\\_BRI\(2018\)608847\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2018/608847/IPOL_BRI(2018)608847_EN.pdf)> [12.09.2021].

უფლებამოსილი ადამიანისა თავისავე თავის წინაშე“.<sup>26</sup> არის თუ არა წინააღმდეგობაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება, სასამართლოში, უფლების დაცვის სასარჩელო ან უდავო წარმოების წესთან მიმართებით, უპირატესად, განმცხადებლის, შემდგომში უფლებისთვის მებრძოლი პირის იურიდიული ინტერესის სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს.<sup>27</sup> უდავო წარმოების იურიდიული ინტერესით ზუსტდება გამოსაყენებელი სამართლის ნორმისა და პროცესის მიმდინარეობა, თუმცა ეს არ გამოორიცხავს უფლებისთვის ბრძოლის უწყვეტობას და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების გამოყენებას. მნიშვნელოვანია რომ უდავო წარმოების მიმდინარეობისას მოსამართლემ სამართლის ნორმის განმარტების მაგალითზე შეაფასოს ის ინტერესი, რომელიც დასაშვებია ამ წარმოების მიზნებისთვის და არ იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებლის ინტერესის სასიკეთოდ ან საუარესოდ.

### **3. მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ უდავო წარმოების მოთხოვნის მატერიალური საფუძვლები**

#### **3.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ**

მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ სამოქალაქო საქმე ეფუძნება კანონისმიერ დებულებას, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხა-

---

<sup>26</sup> რუდოლფ ფონ იერინგი, ბრძოლა უფლებისათვის, მთარგ. ბაქჩაძე ი., თბ., 2000, 48.

<sup>27</sup> ცნებათა პრიორიტეტულობის საკითხისთვის იხ. *Feinberg K. R., Mediation - A Preferred Method of Dispute Resolution, Pepperdine Law Review, Vol. 16, Issue 5, 1989, 7-8.*

დებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად,<sup>28</sup> რაც ასევე არის კონსტიტუციური უფლების შესაბამისი და მისგან გამომდინარე სამართლის ნორმა,<sup>29</sup> რადგან „საკუთხებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიახებული და უზუნვედყოფილია.“<sup>30</sup> ხოლო კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრის იურიდიული ინტერესი აისახება უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების სასამართლოებისადმი უწყებრივ დაქვემდებარებაში.<sup>31</sup>

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათით ეხმიანება საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას, საფუძვლად უდევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობითი სამართლის მომწესრიგებელი ნორმები. მართალია, უდავო წარმოებაში სრულად არ გამოიყენება სასარჩელო წარმოებისთვის დამახასიათებელი პროცესუალური ნორმები,<sup>32</sup> თუმცა მთლიანობაში უდავო წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საერთო წესების დაცვით მიმდინარეობს იმ ცვლილებებისა და დამატებების დათქმით, რომლებიც გაერთიანებულია უდავო წარმოებით განსახილველი საქმეების მომწესრიგებელ ნორმებში.<sup>33</sup> ამიტომ, მატერიალური

---

<sup>28</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>29</sup> რომელიც ვლინდება სასამართლო გადაწყვეტილების თვისებაში - შიეიძინოს კანონიერი ძალა. შეად. თოფუა შ., ძღიეხიშვიდი ზ., ბეხეკაშვიდი გ., ხაუომია თ., ბაქჩაძე მ., თოფხია თ., ჩხაიძე ს., კვანცაღიანი ნ., სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის, თბ., 2020, 11-12.

<sup>30</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, მე-19 მუხლი.

<sup>31</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, მე-11 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>32</sup> ქუხიდაძე შ., ხუნაშვიდი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2015, 473.

<sup>33</sup> იქვე.



საფუძვლები უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეებისთვის მიზნობრივი და აუცილებელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის ნორმატიული დასახელებაა სამკვიდროს მიღება. ამ მუხლის პირველი ნაწილი ადგენს რომ „სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდუხით მემკვიდრე.“<sup>34</sup> შემდგომში შეგვიძლია განვიხილოთ როგორც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ მოთხოვნის განმცხადებელი პირი.

მე-2 ნაწილი მიუთითებს სამართლებრივ მოცემულობას უდავო საკითხის პროცესუალური განსაზღვრების ჩამოსაყალიბებლად. განმარტებულია, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება, „ხოდესაც იგი სანოგახო ოხგანოში შეიგანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მახთვის, ხაც უდავოდ მოწმობს, ხომ მან სამკვიდრო მიიღო.“<sup>35</sup>

მე-3 ნაწილი ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტს სტაბილურ, გონივრულ და ერთიან ხასიათს სძენს.<sup>36</sup> მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ნაწილის ფაქტობრივად ფლობა გულისხმობს სამკვიდროს მთლიანად მიღებას, „*ჩაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.*“<sup>37</sup> ასევე, სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მემკვიდრეს შეუძლია ფაქტობრივი ფლობით მიიღოს სამკვიდრო.<sup>38</sup> მატერიალური საფუძვლები ქმნის გარკვეულ მოტივებს უდავო წარმოების

---

<sup>34</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997, 1421-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>35</sup> იქვე, მე-2 ნაწილი.

<sup>36</sup> დამატებით იხ. *ჭანტუხია დ. (იხე), ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია ხ., ხეცუხიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, მე-5 წიგნი, თბ., 2000, 467-468.

<sup>37</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997, მე-3 ნაწილი.

<sup>38</sup> შუად. *გაგუა ი.*, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., 2013, 38.

წესით საქმის განხილვის მიზნის ჩამოსაყალიბებლად. მიზნის დასაბუთებისთვის 1421-ე მუხლის შემადგენლობა სამკვიდროს მიღების შესაძლებლობების შეფასების საკითხს წამოჭრის, რისთვისაც საჭიროა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა. ერთი მხრივ, მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტის დადგენა სასამართლოს გარეშე უნდა იყოს შეუძლებელი და მოქმედებდეს სხვა პირობები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო, თუ იგი ცნობილი ახ ახის, – სამკვიდროს ადგილსამყოფედი.“<sup>39</sup> იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, სამკვიდროს გახსნის ადგილის გარკვევისთვის კანონმდებელი ადგენს უძრავი ან მოძრავი ქონების შემთხვევაში ქონებრივი სიკეთის ღირებულების კოლიზიის საკითხს.

ამიტომ, მემკვიდრეობის გახსნის ადგილი ვერ დადგინდება კანონისმიერი იმპერატიული მოთხოვნების უგულებელყოფით,<sup>40</sup> მიუხედავად იმისა განმცხადებლისთვის თუ რა მნიშვნელობისაა უდავო წარმოების წესით დასადგენი ფაქტი.<sup>41</sup> უფლებამოსილება და ქონების სპეციალური რეჟიმი მოუწოდებს განმცხადებელს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესაძლებლობებისა და აუცილებლობის შეჭერებაზე.<sup>42</sup> ასევე, მამკვიდრებლის სახელზე გაცემულ და სამკვიდრო ქონების სა-

---

<sup>39</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997, 1324-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>40</sup> ავტორის შენიშვნა: აღნიშნული, დამოკიდებულია უძრავი ქონების სახესა და ქონების ადრეული რეგისტრაციის არსებობის საკითხზე. მაგ. თავისებურებით ხასიათდება საკომლო ქონების მიღება. იხ. <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Yearbook-2020.pdf>> [12.09.2021].

<sup>41</sup> შეად. ხვედელიანი დ., ანდერძით მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 227.

<sup>42</sup> შეად. გაღდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 123-124.

რეგისტრაციო დოკუმენტებთან დაკავშირებით უნდა დგინდებოდეს მათი არარსებობა ან არასაკმარისობა სანოტარო და სარეგისტრაციო საქმისწარმოებისთვის.<sup>43</sup>

### 3.2. მოთხოვნის სანოტარო საფუძვლები

მემკვიდრეობის მიღებისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის გარკვევის საკითხზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნოტარიუსი.<sup>44</sup> საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულ მრავალ ფუნქციათაგან,<sup>45</sup> სამემკვიდრეო საქმისწარმოება ნოტარიუსის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა. სამემკვიდრეო საქმისწარმოების ფარგლებში ნოტარიუსი ადგენს ფაქტისა და სამართლებრივი შედეგის თავსებადობას, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ დგინდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის განსაზღვრულობა და აუცილებელია სასამართლოს გადანყვეტილება ამ ფაქტის დასადგენად, სანოტარო საქმისწარმოება ინსტიტუციურად ვერ აღემატება კანონმდებლის ნებას, რომ ასეთი ფაქტი უდავო წარმოების წინაპირობით დადგინდეს მოსამართლის ან სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ.

ასევე, რაიმე დოკუმენტის არქონის შესახებ მსჯელობა მოითხოვს განმცხადებლის გულისხმიერებასა და საპროცესო ნორმების გააზრებას იმ დათქმით, რომ მან სწორად და ეტაპობრივად მიმართოს უფლებამოსილ პირს უფლების დაცვისა და განხორციელების თვალსაზრისით, რადგან მხოლოდ „*ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში იღებს ზომებს სამკვიდრო ქონე-*

---

<sup>43</sup> ქუჩაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2015, 485.

<sup>44</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009, მე-3 მუხლი.

<sup>45</sup> შეად. სხვა ერთ-ერთი უფლებამოსილება, დეგაშვილი დ., კუპჩაშვილი ხ., ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2015, 55.

ბის დასაცავად, აღწეხს სამკვიდრო ქონებას, ნიშნავს სამკვიდროს მმართველს.“<sup>46</sup>

ამ შემთხვევაში უდავო წარმოების პროცესუალური დატვირთვა შესაძლოა განვითარდეს სამკვიდრო მონუმობის გაცემის შესახებ ფაქტის მტკიცების იმ პირობით, თუ განმცხადებელი სხვა საშუალებით ვერ ახერხებს სამკვიდრო მონუმობის იურიდიული დოკუმენტის წარმოდგენას ან დოკუმენტის გაცემის შესახებ ფაქტის დადგენას. უფლებამოსილ ორგანოთა ძველი სარეგისტრაციო-საკომლო-საბინაო ჩანაწერების, სანოტარო აქტების ჩანაწერების, მოქალაქეზე გაცემული იურიდიული დოკუმენტების დედნის სხვადასხვა მიზეზთა გამო განადგურება განაპირობებს სამკვიდრო მონუმობის მიღების ფაქტის დადგენის აუცილებლობას უდავო წარმოების წესით.<sup>47</sup> მაშინ, როდესაც განმცხადებელმა ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო მოქმედებს სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტების აღრიცხვისა და მისადაგების იმპერატივი, რომელიც ადგენს საკითხის კვლევისა და პროცესუალური დატვირთვის მეორე მიმართულებას, სადაც იურიდიული ინტერესი და სასამართლოს უფლებამოსილება საკანონმდებლო გარემოებებისა და დოკუმენტების ნუსხის მაგალითზე უნდა დადგინდეს.

სანოტარო საფუძვლებისა და ცალკეული ნორმების მიმართებას კოდექსის შესაბამის დებულებებთან ერთად, სასამართლოში უდავო წარმოებისას საკითხის პროცესუალური კვლევის მნიშვნელობა ენიჭება.<sup>48</sup> საინტერესოა საპროცესო და სანოტარო ხარჯების ურთიერთმიმართების საკითხი.

---

<sup>46</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის №271-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 33, 31/03/2010, 77-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>47</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., 2013, 37.

<sup>48</sup> სუხიგაშვილი დ., სანოტარო მოქმედების გამო სარჩელის განსჯადობის შესახებ, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2012, 5-6.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებები სანოტარო სამართალში სამემკვიდრეო საქმისწარმოების გამონწვევათა შესახებ.<sup>49</sup> რაც გულისხმობს ნოტარიუსის უარის გასაჩივრების მატერიალურ-საპროცესო საფუძვლების ძიებას და უკანონობის შემთხვევაში გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას.

პროფესორი დავით სუხიტაშვილი განმარტავს რომ სანოტარო აქტის სახეებად დაყოფამ განსაზღვრა ნოტარიუსის ქმედების არამართლზომიერების სანოტარო აქტისმიერი შეზღუდვები,<sup>50</sup> ამიტომ, ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების დადასტურების საკითხი ნოტარიუსისთვის ერთგვარ პროფესიულ გამონწვევად იქცა.<sup>51</sup>

ავტორთა ნაწილი განხორციელებულ ცვლილებებს დადებითად ეხმიანება და არკვევს მოსამართლის, სასამართლოს შესაბამისი მოხელისა და ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის უწყებრივ მიჯნას. ასევე, ისინი ასაბუთებენ სანოტარო ბიუროში მიმდინარე სამემკვიდრეო საქმისწარმოების პროცესში შემავალი ფაქტების დადგენის / შესაბამისობისა და სასამართლოში უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის ლოგიკური განსხვავების საკითხს.<sup>52</sup> აგრეთვე, აყალიბებენ სამართლებრივი მნიშ-

---

<sup>49</sup> იქვე. მითითებულია: „თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სანოტარო მოქმედების ან მის შესხუდებაზე უახის თქმის გამო წახმოშობილი სასამართლო დავების უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა ბევრს კითხვას ბადებს“. არსებობს ავტორთა მოსაზრებები, რომელთა დასაბუთება წლების შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა, იხ. ინწკიხვეი დ., სამემკვიდრეო საქმეთა წარმოება: საკანონმდებლო პრობლემები და სანოტარო პრაქტიკა, „საქართველოს ნოტარიატი“, №2, 2001.

<sup>50</sup> სუხიტაშვილი დ., სანოტარო მოქმედების გამო სარჩელის განსჯადობის შესახებ, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2012, 7.

<sup>51</sup> სანოტარო აქტების სახეებად დაყოფის შესახებ გამოთქმული კრიტიკა, მითითებულია: სუხიტაშვილი დ., სანოტარო სამართალი, თბ., 2012, 134-135.

<sup>52</sup> იხ.: გოგორაძე მ., მაჩიამიძე გ., სანოტარო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2018, 58-60; გოგორაძე მ., ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, №1, 2019, 23-24.

ვნელობის მქონე ფაქტის განსაზღვრისა და სამართლებრივი შედეგის განვითარების თავისებურებებს. მათი აზრით, უდავო წარმოების მომწესრიგებელი საპროცესო ნორმები არ ეწინააღმდეგება სანოტარო მოქმედების / აქტის შედგენის პროცედურას, რაც შეეხება საქმისწარმოების პრაქტიკას, ის ვერ დაკონკრეტდება ნოტარიუსის ან მოსამართლის ფუნქციის შედარებისა და უპირატესობის შეჯერების საკითხზე.

სამკვიდროს მიღების (სამკვიდრო მოწმობის გაცემის) შესახებ განცხადება და ანდერძი შესაძლებელია შედგეს საჯარო და კერძო სანოტარო აქტის ფორმით, თუმცა სამკვიდრო მოწმობა მხოლოდ საჯარო სანოტარო აქტის ფორმით გაიცემა. შესაბამისად, მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენა სამოქალაქო საპროცესო სამართლის რეგულირების თვალსაზრისითაც კი შესაძლოა წარმოადგენდეს სანოტარო საქმისწარმოების საგანს. რაც შეეხება საპროცესო და სანოტარო საქმისწარმოების ხარჯებს, მათი გაზრდა ან შემცირება დამოკიდებულია დაინტერესებული პირის მიერ განსახორციელებელ მოქმედებებსა და განსახილველი საქმის / საკითხის განვითარების პერსპექტივაზე.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის სახელწოდებაა: უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. კანონმდებელი ადგენს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის კანონისმიერ საფუძვლებს, რომელსაც შემდგომში კონკრეტული საქმისწარმოებისას მოქალაქის მოთხოვნას კანონისმიერ პირობას შეუსაბამებს ნოტარიუსი. პირველი პუნქტის თანახმად ნოტარიუსი და ამ კანონის 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები უარს ამბობენ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ.<sup>53</sup>

1. „სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.“<sup>54</sup>

---

<sup>53</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009, 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>54</sup> იქვე.

2. „სანოგაჰო მოქმედების შესასხულებად წახმოდგენილი დოკუმენტები ახ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ან შეიცავს პიხთა პაცივისა და ღიხსების შემდახვედ ცნობებს, ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიახებუდ ნოხმებს.“<sup>55</sup>

3. „სანოგაჰო მოქმედების მონაწიდე ახ ახის უფდებამოსიდი პიხი ან ქმედუნაჰიანი, ან სანოგაჰო მოქმედების შესხუდების შესახებ თხოვნა შემოსუდია იმ ენაზე, ხომედსაც ნოგაჰიუსი ახ ფდობს, და ახ ახის თაჰჯიმნის გამოყენების შესაძებდობა.“<sup>56</sup>

52-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით „ნოგაჰიუსის დადგენიდება სანოგაჰო მოქმედების შესხუდებაზე უახის შესახებ უნდა იყოს წეხიდობით დასაბუთებუდი და შედგენიდან ახა უგვიანეს 3 დღისა უნდა გადაეცეს პიხს, ხომედსაც უახი ეთქვა სანოგაჰო მოქმედების შესხუდებაზე.“<sup>57</sup> მესამე პუნქტის საფუძველზე „ნოგაჰიუსი ვადებუდია პიხს, ხომედსაც უახი ეთქვა სანოგაჰო მოქმედების შესხუდებაზე, განუმახგოს დადგენილების გასაჩივხების წესი და ვადა.“<sup>58</sup> სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების შეფასებისას სხვადასხვა ნოტარიუსის მიერ ნორმის გამოყენებისა და მისადაგების არაერთგვაროვნება მწვავე პრობლემაა. განსაკუთრებით, მოქალაქეთათვის რჩევის გაცემის ეტაპზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის N271-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 35-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში განმარტავს და ჩამოთვლის შემდეგ: „სანოგაჰო ხეესგჰში ხეგისგჰაციისას ნოგაჰიუსის მიეხ შესხუდებუდ სანოგაჰო მოქმედებას იმავე სამუშაო დღეს უნდა დაეხთოს დოკუმენტის (სანოგაჰო აქტის) დედნის ედექტხოუნუდი ასდი (დასკანეხებუდი ხედაქცია). ამ წესით უნდა შესხუდდეს შემდეგი

<sup>55</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009, 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

<sup>58</sup> იქვე, მე-3 პუნქტი.

სანოგაჰო მოქმედებები: ი) იუხიდიუდი მნიშვნელობის ფაქტის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება);“.<sup>59</sup> ე.ი. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის, შემდგომში დადასტურების (ცვლილების ან გაუქმების) შესაძლებლობა სანოტარო საქმიანობის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, თუმცა მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის თავისებურებები ამ უფლებამოსილებას შესაძლო უარის ფორმად გარდაქმნის.<sup>60</sup>

#### **4. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის პროცესუალური ასპექტები**

##### **4.1. ზოგადი დებულებები**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილი საქმეები უდავო წარმოების ფორმით განიხილება „ამ კოდექსით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია XXXV-XLII თავებით.“<sup>61</sup> უდავო წარმოების ფორმით საქმის განხილვისას „სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს.“<sup>62</sup> თუ ვინ შეიძლება იყოს საქ-

<sup>59</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 33, 31/03/2010, 35-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>60</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის №ბს-177-173(გ-08) განჩინება, მითითებულია: „ნოგაჰიუსის მოქმედების სადავოობის დროს საჩივრის განსჯადობის საკითხის განსაზღვრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სანოგაჰო მოქმედების შინაარსის უშუალო მაგეჩიადუხ-სამართლებიჯ საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში იმას თუ ჰა უღევს საფუძვლად „კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნის თაობაზე უახის თქმის შესახებ“ ნოგაჰიუსის დადგენილებებს - კეჩძო თუ საჯაჰო სამართლის კანონმდებლობა.“

<sup>61</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 311-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>62</sup> იქვე.



მის განხილვით დაინტერესებული პირი უნდა დადგინდეს უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების პროცესუალური შინაარსითა და ნორმათა ერთობლიობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXVI თავში სულ 7 მუხლია. გარკვეული მუხლის ნაწილმა ან უშუალოდ მუხლმა დროის სხვადასხვა პერიოდში განიცადა საკანონმდებლო ცვლილება. საინტერესოა, ამ თავის შემადგენელი მუხლების დასახელებები. იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ცალსახაა ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ.<sup>63</sup>

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისთვის აუცილებელი პირობები და განცხადების შინაარსი მოითხოვს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა სინთეზს. საკითხის რეგულირების ნორმატიული ბუნება შესაძლებელია დაწვრილმანდეს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის თავისებურების მაგალითზე, შემდეგი დათქმით:

1. პირი, რომელსაც ზიანი მიადგა ან ვერ ახორციელებს თავის კონსტიტუციურ უფლებას სარეგისტრაციო, სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის აღსრულების შედეგად;

2. პირი, რომელსაც ზიანი მიადგა ან ვერ ახორციელებს თავის კონსტიტუციურ უფლებას სანოტარო მოქმედების განუხორციელებლობის შედეგად - უკანონო უარი სარეგისტრაციო ან სანოტარო მოქმედების განხორციელებაზე;

3. პირი, რომელსაც ზიანი მიადგა ან ვერ ახორციელებს თავის კონსტიტუციურ უფლებას სხვა საფუძვლით.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი არეგულირებს ნოტარიუსის ქონებრივ პასუხისმგებლობას, სადაც მითითებულია რომ „*ნოტარიუსს ეკისხება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა*

---

<sup>63</sup> შეად. საკანონმდებლო ცვლილებები, საქართველოს კანონები „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, №3435, №5669, №5977, №5569, №5265.

განზიარება ან გაუფიქრებელია ქმედებამ.“<sup>64</sup> პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია სასარჩელო საქმისწარმოების წესით შეფასდეს ამ დებულების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები, კონკრეტულად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის რეგულირება, ხადგან „პიჩი, ხომედიც სხვა პიჩის მახიდსაწინააღმდეგო, განზიარება ან გაუფიქრებელი მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვადებუდია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“<sup>65</sup>

მეორე მხრივ, პირს, რომლის ინტერესებსაც შეეხება სანოტარო მოქმედება, ან პირს, რომელსაც უკანონოდ ეთქვა უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, შეუძლია „სანოტარო მოქმედება ან დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობის მიხედვით.“<sup>66</sup> ე.ი. სასამართლო საქმისწარმოების წესით საკითხის განხილვა მხოლოდ უდავო წარმოების თანამკვეთი სამართლებრივი მოცემულობა არ არის, თუმცა ინდივიდუალურ ხასიათს, მკვეთრად, სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალთან მიმართებით ავლენს, რადგან ფაქტის დადგენის მატერიალური შინაარსი გაჯერებულია სანოტარო საქმისწარმოების ასპექტებით.

„საჩივარის ნოტაროების იმ საქმიანობაზე, ხომედიც გათვადისწინებუდი ახ ახის ამ მუხდის პიჩვედი პუნქტით, განიხილავს იუსტიციის სამინისტრო ან მისი დავადებით – საქაითვედოს ნოტაროებისთა პადაგა.“<sup>67</sup> ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია განმცხადებლის ინტერესის სწორი აქცენტირება, რათა უსაფუძვლო უარის შემთხვევაში დაინტერესე-

<sup>64</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009, 22-ე მუხლი.

<sup>65</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997, 992-ე მუხლი.

<sup>66</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009, 53-ე მუხლი.

<sup>67</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

ბულმა პირმა სწორად და ეტაპობრივად მიმართოს სასამართლოს შესაბამისი საფუძვლით: იქნება ეს ნოტარიუსის უარის გასაჩივრება თუ უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება.

მაგალითად, პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ სამოქალაქო საქმეები განიხილება XXXVI თავით დადგენილი ძირითადი წესებით, თუმცა განმცხადებლის ინტერესი შესაძლოა იყოს ინდივიდუალური, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომ დადგინდეს ოჯახის აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავების ან სხვა წევრების ნათესაური კავშირი.<sup>68</sup> ე.ი. განმცხადებლის იურიდიული ინტერესი შემდეგი მიმართულებით ხასიათდება: მოითხოვოს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა, მაშინ, როდესაც აღნიშნული ფაქტი არ დგინდება სხვა საფუძვლით. ასევე, განახორციელოს კონსტიტუციური უფლებით მინიჭებული შესაძლებლობა და კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების განხორციელებას. მათ შორის გადადგას ქმედითი ნაბიჯები მემკვიდრეობის მიღების უფლების დაცვის მიზნით და უზრუნველყოს განსახორციელებელ მოქმედებათა რიგითობა.

## 4.2. საქმის განხილვაზე უფლებამოსილი პირი

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებს უდავო წარმოების ფორმით განიხილავს მოსამართლე ან სასამართლოს შესაბამისი მოხელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლით დადგენილი წესით.<sup>69</sup> მითითება რომ მოსამართლის გარდა საქმე შესაძლოა სასამართლოს შესაბამისმა მოხელემ განი-

---

<sup>68</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>69</sup> იქვე, 316<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ხილოს შესაძლოა გარკვეული კრიტიკის საგნად იქცეს,<sup>70</sup> რადგან დათქმა - სასამართლოს შესაბამისი მოხელე, არ არის განჭვრეტადი და კონკრეტული პროფესიული ნიშნით განსაზღვრული პირის მითითება.

მოსამართლის პროფესიული სტატუსისა და საქმიანობის მიმართ თანაბარმნიშვნელოვანი ფორმით ისეთი პირის გათანაბრება / მითითება, რომელიც არ არის საერთო სასამართლოების სისტემის რომელიმე ინსტანციის მოქმედი მოსამართლე და იწოდება როგორც სასამართლოს შესაბამისი მოხელე, თავიდანვე ქმნის ამ ტერმინის განმარტების აუცილებლობას. საკითხავია, არის თუ არა ეს პირი სახელმწიფო მოხელე, უფრო კონკრეტულად საჯარო მოსამსახურე ან მისი პასუხისმგებლობის საკითხი როგორ რეგულირდება. თუ პირდაპირ არ არის მითითება რამდენად დასაშვებია ამ ტერმინის გაიგივება მაგისტრატის უფლებამოსილებასთან.<sup>71</sup>

არსებობს მოსაზრება რომ საკანონმდებლო ცვლილება შესაძლოა სასამართლო გადატვირთულობის პრევენციის ან დავების ეფექტიანი მართვის საკითხს დაკავშირებოდა,<sup>72</sup> მაგრამ შედეგობრივად მხოლოდ ამ საკითხის მტკიცება არაარ-

---

<sup>70</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, ვებგვერდი, 111124017, 11/11/2011, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/-1514990?publication=0>> [12.09.2021].

<sup>71</sup> შეად.: სასამართლო სისტემის რეფორმის მე-4 ეტაპის შესახებ ინიციატივის წარდგენის ინფორმაცია, ვებგვერდი, 21/12/2017, <<https://www.chemiparlamenti.ge/ka/publication/sasamartlo-sistemis-repormis-me-4-etapis-shesakheb-initsiativa-caregina-parlaments>> [12.09.2021]; ასევე, იხ. კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ვებგვერდი, <<https://info.parliament.ge/#law-drafting/14951>> [12.09.2021].

<sup>72</sup> შეად. შვახგვენი ა., ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების საკეთილდღეოდ, მთარგ. მაკა ტყეუჩავა, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, 2002, 5.

სებითია.<sup>73</sup> მაშინ, როდესაც სამემკვიდრეო დავები სასამართლო პრაქტიკაში ერთ-ერთ პრობლემურ განსაზღვრებას წარმოადგენს, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის პროცესუალური ასპექტის სიმარტივე არ უნდა ჩაითვალოს პრობლემის მოგვარების შესაბამის საშუალებად. ასევე, პარალელი შესაძლოა გავავლოთ ნოტარიუსის შემცვლელ პირთან.<sup>74</sup>

მოსამართლის მიერ უდავო წარმოების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით ავტორები: ქურდაძე და ხუნაშვილი არ იზიარებენ პროფესორ დავით სუხიტაშვილის მოსაზრებას, რომ „სანოტარო მოქმედების ან მის შესხუდებაზე უახის თქმის გასაჩივრების შესაძლებლობა ჩიხშია მოქცეული.“<sup>75</sup> ხოლო სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიმართ გამოთქვამენ მოსაზრებებს ჩანაწერის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რადგან „დაუშვებელია მოსამართლის გახდა მართლმსაჯულებას ახორციელებდეს ისიც, ვინც ახ ახის მოსამართლე გამწესებული.“<sup>76</sup>

სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეები განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლით დადგენილი წესებით. საკითხავია თუ რამდენად უზრუნველყოფს საქმისწარმოებისა და პროფესიული / საკვალიფიკაციო მოთხოვნათა სტანდარტის თანაფარდობას მოსამართლის მიმართ სასამართლოს შესაბამისი მოხელის გათანაბრება.

---

<sup>73</sup> შეად. 32-ე გვერდიდან, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, სასამართლო სისტემის კვლევა, ვებგვერდი, ძიება: რეფორმები / სასამართლოს სისტემის ინსტიტუციური რეფორმა, <<http://hcoj.gov.ge>> [12.09.2021].

<sup>74</sup> შეად. შენგელია ე. (ხედ.), ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 389-391.

<sup>75</sup> სუხიტაშვილი დ., სანოტარო სამართალი, თბ., 2012, 106.

<sup>76</sup> ქუჩაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2015, 477.

### 4.3. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისთვის აუცილებელი პირობები და განცხადების შინაარსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „სასამაჩთრო იუხიდიური მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკაჩგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.“<sup>77</sup> რომის სამოქალაქო სამართლის მოწოდება, რომ „საზოგადოების სასაჩგებლოდ მიღებული კანონები კაჩგად უნდა განიმაჩგოს“ - გულისხმობს არა მხოლოდ ნორმის განმარტების სწორი მეთოდების გამოყენებას, არამედ დაინტერესებული პირის მართლობიერი ინტერესისა და კონსტიტუციური უფლების დაცვას. ამიტომ, განცხადების შინაარსში ჩამოთვლილი უნდა იყოს თუ რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, რაც კონკრეტულად და საფუძვლიანად უნდა აღინიშნოს განცხადებაში. აგრეთვე, წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.<sup>78</sup> მიმართება აუცილებელ პირობებსა და განცხადების შინაარსს შორის საგულისხმო და საინტერესოა. მიმართების ახსნას გააჩნია კონსტიტუციური, პოლიტიკური და სამართლებრივი (დოქტრინული და პრაქტიკული) დღის წესრიგი.

მიმართების პირველი პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ოკუპირებული ტერიტორიების არსებობისა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამართლებრივი რეგულირების გავრცელების ხელშეშლის ფაქტის წინაშე აღმოჩენილი სამოქალაქო კანონმდებლობა უძღურია აღემატოს სახელმწიფოს კონსტი-

<sup>77</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 313-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>78</sup> იქვე, 315-ე მუხლი.

ტუციურ დღის წესრიგს. ამიტომ, მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის ფაქტის დადგენას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა მიმართ. აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განადგურებულია საკომლო-საბინაოსარეგისტრაციო ჩანაწერები. მოქალაქეთა მიერ უძრავი ქონების ფაქტობრივი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლებელი ან კრიტიკულად რთულია.<sup>79</sup>

არსებობს ცალკეული ინიციატივები ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ პირთა განცხადების საფუძველზე პირობითი რეესტრის წარმოების შესახებ, თუმცა ეს საკითხიც ვერ მოიცავს უძრავი ქონების სამოქალაქო ბრუნვაში აღმოჩენისა და გარიგებების აღსრულების რეალურ პირობებს. სამოქალაქო სამართალი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ მოქმედებს ისე როგორც ეს საკანონმდებლო აქტებშია გაწერილი. სახელმწიფოს გააჩნია პოლიტიკური, კონსტიტუციური და სამართლებრივი დღის წესრიგი, მაგრამ ფაქტის დადგენის მნიშვნელობა მხოლოდ ცალკეული გადაწყვეტილების მაგალითზე შესაძლოა კონკრეტული სამართლებრივი ინტერესიდან საზოგადო მნიშვნელობის მქონე იურიდიულ განსაზღვრებად ჩამოყალიბდეს, შემდგომში იურისდიქციულ პრეზუმფციად.

შემდეგი პრობლემა, დოკუმენტის არასაკმარისობაა, რასაც ხშირად უკავშირებენ უდავო წარმოების საგანს, რაც მეტ გულისხმიერებას მოითხოვს არა მხოლოდ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა მხრიდან, არამედ მარეგისტრირებელი და სანოტარო ორგანოს მიერ. რეალურად, დოკუმენტის არასაკმარისობა შესაბამისი დოკუმენტის მოძიების შეუძლებლობას უკავშირდება, ხოლო შესაბამისობის სტანდარტს მარეგისტრირებელი, სანოტარო ან

---

<sup>79</sup> იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, თემატიკა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, <<https://mfa.gov.ge/Occupied-Territories/Law.aspx>> [12.09.2021].

სხვა უფლებამოსილი ორგანო საქმისწარმოების მოქმედი წესებით ადგენს.

უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვა სამართლებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფის გარანტიაა, რომ სხვადასხვა დროსა და სივრცეში გაცემული დოკუმენტები გაერთიანდეს, დამტკიცდეს და აღიარებულ იქნეს ანმყოში მიმდინარე კონკრეტული წარმოების პროცესთან მიმართებით და განმცხადებლის იურიდიულ ინტერესთან შესაბამისობაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აუცილებელი პირობებისა და შინაარსის თანაკვეთა, მაგრამ გამოწვევას წარმოადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს, სანოტარო ბიუროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ მოქალაქეთა კონსულტირებისა თუ საქმისწარმოების წესის არაერთგვაროვნება.<sup>80</sup>

საკითხი შესაძლოა შეფასდეს, როგორც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის აუცილებლობით, ასევე ერთობლივად, სამემკვიდრეო დავისა თუ სამკვიდროს მიღების შესახებ სანოტარო საქმისწარმოების გათვალისწინებით. სასურველია, ნათლად განიმარტოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მიზანი და ფუნქცია. ასევე, ის ფუნქცია, რომელიც დაინტერესებული პირის შემდგომი მოქმედების საფუძველში გამოიხატება. საკითხის აქტუალობას განაპირობებს განმცხადებლის იურიდიული ინტერესი, რომელიც ფაქტის დადგენასთან ერთად მოიცავს დასადგენი ფაქტის ფუნქციის წინასწარგანწყობას, რის გამოც დასადგენი ფაქტის ფუნქცია მისი დადგენის მოთხოვნის აუცილებლობას განაპირობებს.

კანონმდებელი უპირატესობას არ ანიჭებს პროფესიულ სტატუსს, არამედ პრიორიტეტულად მიიჩნევს იურიდიული მნიშვნელობის მქონე საჯარო წესრიგის განსაზღვრის საკითხს, რაც საჭიროებს საქმისწარმოების წესის სტაბილურობას. ნოტარიუსს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შე-

---

<sup>80</sup> იხ. ბოდუვაძე თ., კანდელაკი კ., დოსაბეხიძე დ., ჩიქოვანი თ., ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: 1991-2014, სა-  
მოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2015, 12-13.



უძლია დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, მაგრამ შეინიშნება პროცესი, რომელიც პროფესიული უფლებამოსილების გამოუყენებლობას და მოქალაქეთათვის, სასამართლოს წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის რჩევას გულისხმობს.

#### **4.4. სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა განმცხადებლის იურიდიული ინტერესის შეფასებისა და სარეგისტრაციო საქმისწარმოების საკითხისთვის**

განმცხადებლის ინტერესის საგანს შესაძლოა როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე უძრავ ქონებაზე საკუთრების მოპოვება / აღიარება წარმოადგენდეს - პირადი ან ქონებრივი უფლების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. შესაბამისად, გასათვალისწინებელია უძრავი ქონების მახასიათებლები. მართალია, კანონმდებელმა უარი თქვა საკუთრების ფორმებად დაყოფაზე,<sup>81</sup> თუმცა რეალურად ჯერ კიდევ მოქმედებს საკომლო ქონების ძველი ჩანაწერები, რომელთაც სასარჩელო წარმოებისას სამართლებრივი მნიშვნელობის ძალა ენიჭება. ამიტომ, უპირველესად უნდა გაირკვეს მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების შემადგენლობა. სამკვიდროს მიღების საკითხისთვის კანონისმიერ ვადაში მიღების ან ვადის გასვლის შემდგომ ფაქტობრივი ფლობით მიღების შესაძლებლობა. სამკვიდროს გახსნის ადგილთან დაკავშირებით, ქონების მდებარეობა, ღირებულება და სხვა კანონისმიერი საკითხები.

საინტერესოა თუ რა მსგავსება შეიძლება იყოს უდავო წარმოებასა და სანოტარო მოქმედებას შორის. მარეგისტრირებელ ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება<sup>82</sup> არ გასცეს იუ-

---

<sup>81</sup> ზოიძე ბ., ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ძირითადი გამონწვევები ქართული კერძო სამართლისათვის, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2019, 12.

<sup>82</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 316-ე მუხლი.

რიდიული დოკუმენტი, თუ არსებობს სხვა დამაბრკოლებელი გარემოებები.<sup>83</sup> შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესის დაკმაყოფილების საბოლოო საშუალება არ არის, არამედ იმ ეტაპის გადალახვის შესაძლებლობაა, რომელიც უდავო წარმოების არსებით პირობებს მიემართება და განიხილება მოსამართლის ან სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ.

ასევე, სამემკვიდრეო სამართლებრივი დავები ექვემდებარება მედიაციას, ხოლო სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებული დავა შესაძლოა მედიატორს გადაეცეს მხარეთა დავის შეთანხმებით დასრულების მიზნით. 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებით სამედიაციო მორიგების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი ჩამოყალიბდა.<sup>84</sup>

შესაძლებელია რომ ნოტარიუსმა არ გასცეს სამკვიდრო მოწმობა, ხოლო საჯარო რეესტრმა არ დაარეგისტრიროს სამკვიდრო მოწმობაში მითითებული უძრავი ქონება.<sup>85</sup> გასათვალისწინებელია უფლებამოსილ ორგანოთა საქმისწარმოების არაერთგვაროვნების საკითხი. უფლებამოსილი პირის / ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არაერთგვაროვნება აფერხებს საერთო გამოწვევის საყოველთაო რეგულირებას.<sup>86</sup> სწორედ ამიტომ, აუცილებელია, სასამართლო პრაქტი-

---

<sup>83</sup> შეად. კობხიძე დ., ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41)'14, 2014, 11-12.

<sup>84</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, სსმ, №4955, 18/09/2019.

<sup>85</sup> შეად. ნინუა ე., ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთერთი საშუალება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(40)'14, 2014, 132.

<sup>86</sup> იხ.: ხოდფსი დ., გხაუგი მ., „ლანდესას“ კვლევა თემაზე: „მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების შეფასება საქართველოში“, გამოცემა მომზადდა აღმოსავლეთ - დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და სამართლებრივი გაძლიერების“ პროექტისთვის (JILEP), თბ., 2013, 35-

კის მიმოხილვა, რომ დადგინდეს საკითხის გადანაცვების მოქმედი პროცესუალური სტანდარტები.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. ნოტარიუსის უარის გასაჩივრება სასამართლოში და დავა უარის კანონიერების შესახებ;

2. დავა ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგომის საფუძვლით;

3. სასარჩელო წარმოება სამემკვიდრეო დავის სხვადასხვა მიმართულებით;

4. უდავო წარმოება მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ.

ჩამოთვლილ მიმართულებათა შორის, რომელიმეს მიმართ უპირატესობის მინიჭება მხოლოდ და მხოლოდ დაინტერესებული პირის იურიდიული ინტერესისა და სასარჩელო მოთხოვნის / განცხადების მიხედვით უნდა დადგინდეს და არა სამართლის ნორმის ამორფული პირობით, საკითხის შესწავლელად, რადგან „*მახოდმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახოციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პიხის თანასწორობის საწყისებზე.*“<sup>87</sup>

## 5. სასამართლო პრაქტიკა

### 5.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა

სასამართლო პრაქტიკა მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით შედარებით რთულად ვითარდება, რადგან ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მეტი ნილი რაოდენობრივი და შინაარსობრივი მნიშვნელობა სა-

---

37; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ანგარიში, 2011, 20.

<sup>87</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, მე-5 მუხლი.

მემკვიდრეო სამართლებრივი დავებისა და მემკვიდრეობითი სამართლის / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სამართლის ნორმათა განმარტებას მიემართება. შესაბამისად, რეალური პრაქტიკა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენას უკავშირდება, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების მოთხოვნის სამოქალაქო დავებისგან. ასევე, მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენის იურიდიული ინტერესი სამოქალაქო საპროცესო სამართალში არ უნდა გაიგივდეს სამკვიდროში შემავალი ქონების საკუთრებაში მიღების ვიწრო შესაძლებლობებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „სსკ-ს 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „თ“ პუნქტების თანახმად სასამართლო უდავო წახმოების წესით ადგენს ფაქტებს პიხთა ნათესაუხი კავშირის, ასევე მემკვიდრეობის მიღების და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის ფაქტების დადგენის შესახებ და აჩა, ფაქტებს მემკვიდრედ ცნობის შესახებ“.<sup>88</sup> ე.ი. „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის თანმდევი სამართლებრივი შედეგი არ არის პირის მემკვიდრედ ცნობა, მიუხედავად დასადგენი ფაქტის სამართლებრივი მნიშვნელობისა.

ამავე წლის სხვა გადაწყვეტილებაში შესაძლებელია ამოვიკითხოთ ის მეთოდი, რომელსაც იყენებს სასამართლო 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის ქვეპუნქტების იერარქიისთვის. ამ მეთოდის სიახლე განმცხადებლის იურიდიული ინტერესის სამართლებრივ დასაბუთებაში მდგომარეობს. საქმეში განმცხადებელს „შივიდად აყვანის ხეგისგჩაცია ესაჭიროება მემკვიდრეობის აღსადგენად“.<sup>89</sup> მეთოდის ერთგვაროვნება გამოვლინ-

---

<sup>88</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 11 ივნისის №23კ/546-03 გადაწყვეტილება.

<sup>89</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 სექტემბრის №ას-109-803-03 გადაწყვეტილება.

და 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლომ განმარტა რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე განმცხადებელი არ ითხოვს მემკვიდრეობის მიღებისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის ფაქტის დადგენას, არამედ „განმცხადებლის მოთხოვნაა მემკვიდრედ აღიარება, ხაც აჩის ქონებრივი უფლების და აჩა ფაქტის საკითხი და დაუშვებელია მისი დადგენა უდავო წახმოების წესით.“<sup>90</sup>

განსხვავებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობის საკითხი. განსახილველ საქმეზე მოქმედებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის ნორმები და საკითხის შეფასების ეროვნული სტანდარტები. ანდერძით მემკვიდრეობის მიღების ფაქტი წარმოადგენდა გადაწყვეტილების ცნობის საგანს.“<sup>91</sup> უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ სხვა დავაზე სასამართლომ განმარტა, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, უდავო წახმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლომ ასევე უნდა გააჩვიოს, ხომ აჩ აჩსებობს დავა და საკითხი გადაწყვეტას სასაჩრედო წახმოების წესით ხომ აჩ ექვემდებარება.“<sup>92</sup> თუმცა დასძინა შემდეგი: „გადაწყვეტილებაში დასაბუთებული აჩ აჩის, ხომ აღნიშნული საკითხი (მემკვიდრეობის საკითხი) სადავო აჩ აჩის.“<sup>93</sup>

---

<sup>90</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 30 ივნისის N2ას-410-757-05 გადაწყვეტილება.

<sup>91</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის N2ა-1601-შ-58-07 გადაწყვეტილება.

<sup>92</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის N2ა-842-შ-34-09 გადაწყვეტილება.

<sup>93</sup> იქვე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლით დათარიღებულ გადაწყვეტილებებში იკვეთება საკითხის შეფასების ნორმატიული სინამდვილე და ფაქტობრივი მოცემულობის შესწავლის სამართლებრივი სტანდარტი - „საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ უნდა გამოიკვიდოს და სამაჩღებო შეფასება მისცეს განმცხადებლის მიერ წაჩმოდგენილ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებს და ისე გადაწყვიტოს იუხიდიური მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საკითხი.“<sup>94</sup> სასამართლოს მითითება ადასტურებს საპროცესო ნორმის მეთოდური განმარტების საკითხს და წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთთავსებადობისთვის წამოჭრის საპროცესო კოდექსის 313-ე და 315-ე მუხლების თანაკვეთის მნიშვნელობას. ნათელია, ამ მიდგომის ქეშმარიტება XXXVI თავის მნიშვნელობის გასააზრებლად.

სამართლებრივი დასაბუთების სტანდარტს საქართველოს უზენაესი სასამართლო 2009 წლის კიდევ რამდენიმე გადაწყვეტილებაში ინარჩუნებს. ერთ-ერთ განსახილველ საქმეში, სასამართლო განსაზღვრავს, რომ „მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნაა სწოხედ მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა და ახა შესაკუთხედ აღიარების საკითხი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში საკუთხების უფლებით მამკვიდრების სახედზე დაუხევისგჩიხებედ ქონებაზე სამკვიდრის მიღების ფაქტის დადგენა ახ შეიძლება, საფუძველს მოკლებულია.“<sup>95</sup> ნათელია, რომ ერთგვაროვანი სტანდარტი მოიცავს მკაფიო მიჯნას განმცხადებლის მოთხოვნასა და სამომავლო-შესაძლო იურიდიულ ინტერესს შორის. ასევე, სხვა საქმეში, სადაც განმცხადებლის განცხადება შეიცავდა მოთხოვნას პირველი რიგის მემ-

---

<sup>94</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის N2ას-684-1014-07 გადაწყვეტილება.

<sup>95</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის N2ას-971-1172-08 გადაწყვეტილება.

კვიდრეობის დადგენის შესახებ, სასამართლომ გამოარკვია დავის საგანი „ფაქტობრივ ქოხწინებაში მყოფ პიხთა ქოხწინების იუხიდიური მნიშვნელობის ფაქტის დადგენის მახოდგომიეხება.“,<sup>96</sup> ხოლო შემდგომში განმარტა საკითხის შეფასებისთვის გასატვალისწინებელი საპროცესო სტანდარტის დარღვევის არარსებობა. ამ საკითხთან დაკავშირებით, 2008-2009 წლებში განვითარებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, თავისი მნიშვნელობით დღემდე შენარჩუნებულია და აღიარებულია ბოლო წლების გადაწყვეტილებებში. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ განმცხადებლის „მოთხოვნა ექვემდებარება ახა სასამაჩთღოს აჩამედ, სამოქალაქო აქგების ხეგისგჩაცყის ოხგანოს მიეჩ განხიღვას, ხის გამოც, აჩ ახსებობს მისი განსახიღვედად მიღების წინაპიხოებეი. პადაგა დამაგებით აღნიშნავს, ხომ სასამაჩთღოს ამგვაჩი დასკვნა შესაბამისობაშია საქაჩთვეღოს უზენაესი სასამაჩთღოს მანამდე ახსებუდ პჩაქტიკასთან (სუსგ-ებები: 2009 წღის 6 ივღისი, Nღა-842-შ-34-09; 2013 წღის 15 ივღისი, Nღა-1430-შ-31-2013).“.<sup>97</sup> პრაქტიკის უცვლელობას ეხმიანება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 ოქტომბრის<sup>98</sup> და 10 ოქტომბრის<sup>99</sup> გადაწყვეტილებები.

დავები, სადაც მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ საკითხი უდა-

---

<sup>96</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის Nღას-68-401-09 გადაწყვეტილება.

<sup>97</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 სექტემბრის Nღა-3942-შ-106-2019 გადაწყვეტილება.

<sup>98</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ოქტომბრის Nღა-4513-შ-141-2019 გადაწყვეტილება.

<sup>99</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 ოქტომბრის Nღა-3561-შ-95-2017 გადაწყვეტილება.

ვო წარმოების წესით განიხილება, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს, რომლის გადაწყვეტა განტვირთავს სამემკვიდრეო დავების მიმართ მოქალაქეთა იურიდიულ დაინტერესებას. ამ შემთხვევაში, სასამართლო ქმნის კანონიერ მოლოდინს განმცხადებლის იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილების საკითხისთვის, რომელიც ვლინდება საკითხის განხილვისა და შეფასების სტანდარტის აღქმადობითა და გამჭვირვალე გარემოს ფორმირებით. მეთოდოლოგიისა და სტანდარტების ჩამოყალიბება სამოსამართლო სამართლის / ცოდნის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგი საკითხების დასაბუთებას:

- დასადგენი ფაქტი და მისი ფუნქცია;
- დასადგენი ფაქტების რიგითობა;
- მოთხოვნისა და ფაქტის ფუნქციის გამიჯვნა;
- მატერიალური სამართლის ნორმათა განმარტება;
- საპროცესო სამართლის ნორმათა სინთეზი.

## **5.2. სასამართლო საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების თანაკვეთა**

მემკვიდრეობითი სამართლებრივი საქმის სადავო ხასიათიდან გამომდინარე სასარჩელო წარმოების პროცესი მემკვიდრეობის მიღებისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის გარკვევის საკითხს განსხვავებულ ხასიათს სძენს. უფრო მეტად ცხადია დაინტერესებული პირის იურიდიული ინტერესი და სწრაფვა სამართლებრივი შედეგისკენ, რომ მოიპოვოს საკუთრების უფლება სამკვიდრო ქონებაზე.

ბოლო წლებში გამოიკვეთა ერთგვარი მიმდევრობა იმ თვალსაზრისით, რომ მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ საკითხის სადავოობა გახშირდა, ხოლო უდავო ხასიათი, როგორც ალტერნატივა საკითხის განსახილველად შესუსტდა. ეს უპირველესად, მოქალაქეთა იურიდიული ინტერესის საკითხს



მიემართება, როდესაც დაინტერესებული პირისთვის სასარჩელო დავა შესაძლოა უდავო წარმოების პროცესზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

განსაკუთრებით, აქტუალურია კომლის სამკვიდროს მიღების საკითხის განხილვა სასარჩელო წარმოების წესით, როდესაც დაინტერესებულ პირებს უდავო წარმოებისთვის „არ რჩებათ დრო“, რადგან მოქმედებენ პრინციპით - *Primo in tempore, potior in iure*. პრინციპის არსი საინტერესო სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების კანონისმიერ ვადაში შეტანის თვალსაზრისით, სსკ-ის 1421-ე მუხლისა და სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლებით მიღების შესაძლებლობით. შესაძლოა, ამ პრინციპის საფუძველზე მოქმედ მემკვიდრეს არ ჰქონდეს შემდგომში რაიმე სახის უპირატესობა, თუმცა თვითდაჯერებულობისა და უფლების დაცვის ინტერესის ნაწილში, სადავოობა მემკვიდრის ინტერესის გამოკვეთის საშუალებაა. ამიტომ, შესაბამისი გადაწყვეტილების ძიებისას გასათვალისწინებელია ძიების კატეგორია: მემკვიდრეობითი სამართლებრივი დავა, ხოლო შემდგომში სახეობა, რომელსაც ჩამოთვლის ზოგადად, სისტემა.<sup>100</sup> ცალკეულ კრებულში, როგორც წესი, გაერთიანებულია ერთგვაროვანი პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები, თუმცა რეალურად ამ პრაქტიკის განვითარების აღსაქმელად მნიშვნელოვანია მისი ჩამოყალიბების სრული ისტორიის გააზრება.

საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 11 ივნისის N2ას-7-2019 გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება პირის კომლის წევრად მიჩნევისა და საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთს, როგორც დილემას ქართულ სამართალში - პიროვნული კონფლიქტებისა და სამართლის ნორმის ბუნდოვანების ზღვარზე. აქ, სამკვიდროს მიღების ფაქტი უფრო მეტად ბუნდოვან, განუსაზღვრელ და ძველ საკომლო ჩანაწერს ან ცნობას შეიძლება დაეფუძნოს, რაც ასევე, საერ-

---

<sup>100</sup> იხ. ვებგვერდი, <<http://prg.supremecourt.ge/Default.aspx>> [12.09.2021].

თო გამოწვევაა. სასამართლოს პოზიციას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შემდგომში, სასარჩელო წარმოებისა და უდავო წარმოების პრიორიტეტულობის საკითხისთვის.

განსახილველ საქმეში, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა საკომლო წიგნებში მამის კომლში, კომლის წევრად მამის ძმის შესახებ ჩანაწერის გაუქმება, ასევე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1500 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა.<sup>101</sup> მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და არ ცნო სარჩელი. მისი განმარტებით კომლის წევრი იყო მოპასუხის მამაც და არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი მოპასუხის მამის კომლიდან გასაწერად.<sup>102</sup> კომლის სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული დავა, კანონმდებელსა და სამართალშემფარებელს სამართლის ნორმის განმარტების საკითხზე კიდევ ერთხელ დააფიქრებს. გასათვალისწინებელია, სამკვიდროს მიღება კომლის წევრი და არაწევრი კანონისმიერი მემკვიდრეების მიერ. საკომლო ქონების ჩანაწერი და ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, ხშირად ერთადერთი დოკუმენტია, რომელსაც შესაძლოა სამართლებრივი ძალა მიენიჭოს.

საქმისწარმოების გამოწვევას ეხმიანება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების მიზნობრიობა, ამ შემთხვევაში, კომლის მემკვიდრეობის მიღების მაგალითზე - მემკვიდრეობის მიღების ფაქტი, განიხილება როგორც დამოუკიდებელი ელემენტი არა მხოლოდ უდავო წარმოების ფარგლებში არამედ კონკრეტული პროცესის შემადგენელი კომპონენტის მოაზრებით და დათქმით რომ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.<sup>103</sup>

---

<sup>101</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 ივნისის №ას-7-2019 გადაწყვეტილება.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

აქვე, განმარტებულია კომლის მემკვიდრეობის რეგულირების აქტუალობა მატერიალური და პროცესუალური თვალსაზრისით,<sup>104</sup> ასევე არსებული ხარვეზები, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა.<sup>105</sup>

შედარებისთვის, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში BVerfGE 42, 20 [30], საკითხი, თუ რა სამართლებრივი კავშირი შეიძლება ჰქონდეს მემკვიდრეს, შემდგომში ქონების მომავალ მესაკუთრეს საკუთრების ობიექტთან „გამომდინარეობს საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მომწესხიგებელი და განმსაზღვრელი, აღნიშნულ დროს მოქმედი ყველა ნოქმის ეხთობრიობიდან.“<sup>106</sup> მეორე მხრივ, სასამართლომ განსაზღვრა ამ განმარტების საპირისპირო კომპონენტი რომ „თუ ამ ნოქმების საფუძველზე გამოვლინდება, რომ მესაკუთრეს ახ აქვს ესა თუ ის უფლებამოსილება, მაშინ აღნიშნული უფლება ახ იგულისხმება მისი საკუთრების უფლებაში.“<sup>107</sup>

ნივთის მესაკუთრედ ყოფნის უფლებას შესაძლოა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის აუცილებლობის საფუძველი გააჩნდეს. უფლებების გამორიცხვის საკითხს სასამართლო კანონმდებლის პასუხისმგებლობის საგნად მიიჩნევს და აზუსტებს რომ ეს საკანონმდებლო მეთოდის - სამართლის ნორმის ფორმირების საკითხია. ასევე, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე-

---

<sup>104</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

<sup>105</sup> იხ საქმეები.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის №1267 გადაწყვეტილება საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქე პროკოპი სავვიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და სხვ.

<sup>106</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, 270.

<sup>107</sup> იქვე.

ზე BvL 19/76, განმარტა რომ უფლებებისა და ვალდებულებების საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბება „ახდენს ისეთი ობიექტუხ-სამახთლებივი წესების ნოხმიხებას, ხომლებიც კანონის ამოქმედებით სამომავლოდ განსაზღვრავს საკუთხების უფლების შინაახს.“.<sup>108</sup> შესაბამისად, ობიექტურ-სამართლებრივი წესების ნორმირების პროცესში შესაძლოა შეიცვალოს ნორმის შინაარსი, მაგრამ ამ შინაარსის ცვლილების მიზანი და შედეგი ისეთივე სასიკეთო უნდა იყოს როგორც საკუთრების ობიექტის მიღებით დამდგარი კეთილდღეობა. ამიტომ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის სასამართლოს ან ნოტარიუსის მიერ დადგენა-შესაბამისობა საკუთრების შინაარსის ჩამოყალიბების საფუძველია.

ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ გადაწყვეტილებათა დასაბუთება უდავო წარმოების პროცესუალური საკითხების სრულყოფისთვის. მართალია, საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შინაარსის მიმართ იურიდიული დაინტერესება გაზრდილია, მაგრამ საკითხის პროცესუალური კვლევა შინაარსის გამიჯვნით ვერ გადაწყდება. მკაფიო ზღვარი ფაქტებსა და ფუნქციას შორის ჯერ კიდევ არ არსებობს, რასაც მიანიშნებს სამემკვიდრეო დავათა სასამართლო გადატვირთულობა, რადგან „საკუთხება წახმოშობს ახა მხოლოდ ვადებულებებს, ახამედ იმასაც, ხომ მისი გამოყენება უნდა ემსახუროდეს საყოველთაო კეთილდღეობას.“.<sup>109</sup>

### **5.3. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ ნოტარიუსის დადგენილების სამართლებრივი დასაბუთება**

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ უნდა იყოს წეხილობით დასაბუთებული და შედგე-

---

<sup>108</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, 257.

<sup>109</sup> იქვე, 252.

ნიდან ახა უგვიანეს 3 დღისა უნდა გადაეცეს პიხს, ხომელსაც უა-  
ხი ეთქვა სანოგახო მოქმედების შესრულებაზე.“<sup>110</sup> სასამარ-  
თლო პრაქტიკაში სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უა-  
რის შესახებ ნოტარიუსის დადგენილების შეფასება და დასა-  
ბუთება ქმნის სამოსამართლო წარმოდგენებს დადგენილე-  
ბის სამართლებრივი ბუნების საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრი-  
ლის №ბს-177-173(გ-08) განჩინება შეიცავს ცნობებს იმის შესა-  
ხებ თუ როგორ უნდა გამოიკვლიოს საქმის განმხილველმა  
მოსამართლემ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის  
შესახებ ნოტარიუსის დადგენილების საფუძვლები და პირო-  
ბათა შესაბამისობა დამდგარ შედეგთან.

საქმის განმხილველმა სასამართლომ თავდაპირველად  
მიუთითა რომ „ნოტარიუსის სადავო დადგენილებების კანონიეხე-  
ბის შემოწმებისას სასამაჰთლომ უნდა შეაფასოს, სწოხად ახის  
თუ ახა ნოტარიუსის მიეხ გამოყენებული და განმახგებული მოსა-  
ჩედესთან მიმახთებაში სამოქადაქო კოდექსის ნოხმები.“<sup>111</sup> გა-  
მოსაყენებელი სამართლის ნორმის მოძიების საკითხისთვის  
სასამართლომ განავითარა შეხედულება მატერიალური და სა-  
ნოტარო სამართლის ნორმათა სინთეზის შესახებ.

შედეგად, სასამართლომ განმარტა რომ „ნოტარიუსის უაჰი  
ემყაჰება სამოქადაქო კანონმდებლობის ნოხმებს, საქმის გან-  
მხილველმა სასამაჰთლომ მემკვიდეჰობითი სამაჰთლის ნოხმათა  
საფუძვედზე უნდა დაადგინოს სადავო ქონების მიღებაზე უფდე-  
ბამოსიდი პიხი და აღნიშნუდის გათვადისწინებით შეამოწმოს  
ნოტარიუსის სადავო დადგენილებების მაჰთღზომიეჰება, ჰაც გა-  
დამწყვეტია დავის საგნობჰივი განსჯადობის დასადგენად.“<sup>112</sup>

---

<sup>110</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/12/2009, 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>111</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და  
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის №ბს-  
177-173(გ-08) განჩინება.

<sup>112</sup> იქვე.

შესაბამისად, უფლებამოსილი პირის, სამართლებრივი / სასარჩელო მოთხოვნის, საპასუხო მოქმედებისა და დადგენილების საფუძვლების შეფასებისას მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს სანოტარო სამართლის ნორმათა პროცედურული ხასიათისა და შინაარსის დადგენა, შემდგომში სანოტარო მოქმედების ან უარის დასაბუთება. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 2008 წელს მოქმედი რედაქციის თანახმად, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილებას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განიხილავდა.

საქმის განმხილველი სასამართლოს მტკიცებით „ზემოაღნიშნული ნოქმა უნდა განიმაჩგოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ ნოქმასთან უხითიეხთკავშირში, კეხძოდ, სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან ერთად.“<sup>113</sup> საკუთრების შინაარსის განსაზღვრის მნიშვნელობისთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კონსტიტუციური უფლების ნორმატიულ დღის წესრიგს, რადგან „იმისათვის, რომ პიჩმა შეძლოს საკუთების უფლებით პიჩეტიკური სახგებლობა, აჩ აჩის საკმაჩის მისთვის აბსტრაქტური საკუთებითი გაჩანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისაჩგებდოს იმგვაჩი სამოქალაქო, კეხძოსამაჩთებრივი წესჩიგით, ხომედიც შესაძლებელს გახდის საკუთების უფლებით შეუფეხხებელ საჩგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბჩუნვის განვითაჩებას. საკუთების კონსტიტუციუჩ-სამაჩთებრივი გაჩანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვადებულებას, ხომედიც უბჩუნვედყოფს საკუთებითი უფლების პიჩეტიკურე გადრიბებას და შესაძლებელს გახდის საკუთების შეძენის გზით ქონების დაგჩოვებას.“<sup>114</sup> ე.ი. მესაკუთრეს შეუძლია და-

<sup>113</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის №ბს-177-173(გ-08) განჩინება.

<sup>114</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №23/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე პეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

დოს გარიგებები და აღმოჩნდეს ხელშეკრულების ერთ-ერთ მონაწილე მხარედ. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება არ გულისხმობს საკუთრების ობიექტის უპირობო დაცვას უფლების შეზღუდვის იმ კანონისმიერი დათქმებისგან, რომელსაც კანონმდებელი კონკრეტული ურთიერთობის მონაწილე პირებისთვის აწესებს.

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ ნოტარიუსის დადგენილების სამართლებრივი დასაბუთება არ უნდა გადაიქცეს უფლების შეზღუდვის არასანქცირებულ საშუალებად, რადგან კონკრეტული შეზღუდვა, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სამართლის ნორმა ადგენს, ივარაუდება რომ უპირველესად, კანონისმიერია და აგრეთვე, არის კონსტიტუციასთან შესაბამისი და მისგან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილების ტექსტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობითი სამართლის ნორმას არამიზნობრივი შეზღუდვის ფარგლებში განმარტავს, მაშინ ინტერესთა გონივრული ბალანსის დაცვა შეუძლებელი იქნება.<sup>115</sup>

აუცილებელია, „მესაკუთხემ გაითავისოს, რომ ახა მხოლოდ მას აქვს ინტეხესები, ახამედ იმყოფება სხვა ინტეხესთა გახე-მოცვაში, ხომედთაგანაც ის იზოდიხებული ახ ახის და სადაც აუცილებელია ინტეხესთა გონივრული ბალანსის დაცვა. ამ ფონზე კანონმდებელი უფლებამოსილია, კონსტიტუციუხ-სამახთლებიხივი ნოხმებისა და პიხინციპების დაცვით, დაადგინოს ნოხმები, ხომ-დებიც განსაზღვრავენ საკუთხების შინაახსსა და ფახგებებს.“<sup>116</sup> სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ ნოტა-

---

<sup>115</sup> შეად. ნანდოშვილი ე., სანოტარო მედიაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აქცენტები: ბლოგი, ინტერვიუ, ვებინარი, <[http://www.gruni.edu.ge/other\\_content/index/809/15748600-95](http://www.gruni.edu.ge/other_content/index/809/15748600-95)> [12.09.2021].

<sup>116</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

რიუსის დადგენილების დასაბუთება უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმებისა და პრინციპების კონსტიტუციურ-სამართლებრივ შინაარსს, თუმცა არსებობს რისკი რომ მოქალაქის ინტერესი უარყოფილი იქნება არა დადგენილებით არამედ სიტყვიერი ფორმით, რომელიც არ აღირიცხება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში.

## 6. სარეკომენდაციო წინადადება

მედიაციის სხვადასხვა ფორმის განხილვის მაგალითზე, სანოტარო მედიაციის შერჩევის უპირატესობა უპირველესად, ნოტარიუსის სამემკვიდრეო საქმისწარმოებასთან პირდაპირი შემხებლობით განიმარტება,<sup>117</sup> შემდგომში სანოტარო მოქმედების შეფერხების ან რაიმე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირებისთვის მისი გამოსწორების ან მხარეთათვის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების შეთავაზებით, ისე რომ სანოტარო მოქმედება, ცალსახად არ დასრულდეს უარის ფორმით ან არ გადავადდეს არაგონივრული ვადით.<sup>118</sup>

დასახელებული საკითხი შესაძლოა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილების გარეშე, სტატუსისა და საქმიანობის ზოგადი და ვიწრო შესაძლებლობების აღქმით დარეგულირდეს.<sup>119</sup> ამ ფორმით, სანოტარო მედიაციის საშუალებით განიტვირთება სასარჩელო წარმოებისას სამემკვიდრეო დავების გადატვირთულობის ხელშემწყობი გარემოებები, ხოლო იური-

---

<sup>117</sup> შეად. *Abramson H.*, *Mediation Representation: Representing Clients Anywhere*, Collection of Articles: ADR in Business, Kluwer Law International BV, Alphen aan den Rijn, Vol. 2, 2011, 294-295.

<sup>118</sup> შეად. *Prayer S.*, *Why is Mediation not used More Often as a Means of Alternative Dispute Resolution?* European Union: European Parliament's Committee on Legal Affairs, Brussels, 2012, 6.

<sup>119</sup> იხ. *Gassen D.*, *German Civil Law Notaries and the Commercial Register*, Königswinter, BNotK, 2011, 5, <<https://ebra.be/wp-content/uploads/2013/20/gassen-notary-system.pdf>> [12.09.2021].



დიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას საჭიროებაში გამოხატული თვისება მიენიჭება.<sup>120</sup>

სანოტარო მედიაციის ქვემდებარე სამემკვიდრეო სამართლებრივი დავები შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობისა და მორიგების აქტის სტრუქტურის თვალსაზრისით რამდენიმე ნიშნით შეიძლება გაერთიანდეს. მაგალითად, ნოტარიუსი უფლებამოსილია შეაჩეროს სანოტარო მოქმედება და მხარეებს შესთავაზოს სანოტარო მედიაციის პროცესი. ასევე „მედიაციას აქვს უნაჩი განახოციეღოს აჩა მხოლოდ ინდივიდის, აჩამედ საზოგადოების გჩანსფოჩმაცია, ამიგომაც ის უნდა დაეფუძნოს საჯახო აღიაჩებას, ფაჩთო საზოგადოების ნღობას მედიაციის პხოცესის სამაჩთღიანობისა და ეთიკუჩი უჩღვეობის მიმაჩთ.“<sup>121</sup>

უპირატესობას წარმოადგენს შემდეგი:

1. მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში სამართლებრივი დავების სახასიათო ნიშანს წარმოადგენს მორიგების აქტის შედგენის აუცილებლობა, როდესაც ცალკეულ სამართლებრივ დავაში მონაწილე მხარეები თავიანთი შეთანხმების პირობებს ასახავენ შეთანხმების საერთო ტექსტში, შემდგომში მორიგების აქტი;<sup>122</sup>

2. მორიგების აქტის სანოტარო წესით დადასტურება,<sup>123</sup> რაც გულისხმობს მორიგების აქტის საჯარო სანოტარო აქტის ფორმით შედგენას.<sup>124</sup> აღსრულებისთვის საჭირო სამართლებ-

---

<sup>120</sup> შეად. De Palo G., Trevor M. B., Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, Vol. 2, 2007, 201.

<sup>121</sup> ჩიგაშვიდი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2016, 29.

<sup>122</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 109-ე მუხლის პირველი პუნქტი, სსმ, 33, 31/03/2010.

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

რივი ძალა დადგენილია სანოტარო მოქმედების შედეგად გამოცემული სანოტარო აქტის აღსრულების წესის მსგავსად;<sup>125</sup>

3. ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობის სანოტარო მოქმედების მიმართ შესაძლებელია სანოტარო აქტის ფორმის არჩევა,<sup>126</sup> თუმცა სანოტარო მედიაციის პროცესის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოქმედებს საჯარო სანოტარო აქტის<sup>127</sup> გამოყენების იმპერატიული მოთხოვნა.<sup>128</sup> მსგავსი კლასიფიკაცია სამართლებრივი შედეგების კონსტანტაციის ეფექტურ, სანდო და სათანადო საშუალებად მიიჩნევა.<sup>129</sup>

სანოტარო მედიაციის ქვემდებარე სამემკვიდრეო სამართლებრივი დავები წარმოადგენს დავის სასამართლო და აღ-

---

<sup>125</sup> შეად. დეგაშვილი დ., კუპჩაშვილი ხ., ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2015, 60-61.

<sup>126</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის №271-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მე-15 მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები, სსმ, 33, 31/03/2010. ასევე, 35-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი: „იუხიდიური მნიშვნელობის ფაქტის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება);“.

<sup>127</sup> იქვე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, მითითებულია: „იმ აქტის დასამოწმებლად (გაჩივების, მოწმობის და სხვა), ხომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, ნოტარიუსი ვადებულება შეამოწმოს მხაჩეთა (წახმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნაჩიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გაჩივების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხაჩეთა ნების ადეკვატური ასახვა გაჩივებაში, მხაჩეთათვის გაჩივების შინააჩის და სამაჩივებრივი შედეგების განმაჩება, ჩივის მიცემა.“.

<sup>128</sup> იქვე, 110-ე მუხლი, მითითებულია: „მედიაციის ფაჩგლებში შემდგაჩი მოჩივების აქტით დადგენილი ვადებულების შეუსჩულებლობის შემთხვევაში, კჩედიგოჩის მოთხოვნით, ამ ინსტრუქციის 72-ე მუხლით დადგენილი წესით, შეიძლება გაიცეს ნოტარიუსის სააღსრულებო ფუჩყედი, ხომლის საფუძველზეც აღსჩუდება ხოჩციელება „სააღსჩულებო წაჩმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

<sup>129</sup> იხ. გოგოდაძე მ., მაჩიამიძე გ., სანოტარო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2018, 21.

ტერნატიული გადაწყვეტის თანაკვეთის წერტილს.<sup>130</sup> სანოტარო მედიაციის ქვემდებარე დავები რეგულირების საწყისით არ წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ძირითად საშუალებას. პირის უფლება სასამართლო გადაწყვეტილების ძალით აღიდგინოს თავისი დარღვეული უფლება აღიარებულია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით.<sup>131</sup>

სამართლის ნორმა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებას ადრე თუ გვიან გამოიწვევს სასამართლო გადატვირთულობას, რადგან ამ ნორმის განმარტებაზე უფლებამოსილი პირები, როგორც წესი ვერ შეძლებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას.<sup>132</sup> პრობლემას მხოლოდ სამართლის ნორმის ნორმატიული შინაარსის ხარვეზთან ვერ დავაკავშირებთ, რადგან უფლებამოსილი პირები უნდა აცნობიერებდნენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას საქმისწარმოების ძირითა-

---

<sup>130</sup> აღსრულების საკითხისთვის შეად. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008, Art 6, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32008L00-52>> [12.09.2021].

<sup>131</sup> იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, 04/11/1950. ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის №ას-911-869-2013 გადაწყვეტილება, მითითებულია: „სასამაჩთრო გადაწყვეტილებაში აჩ უთითებს, მაგჩამ, სხლომის ოქმებში ნათდაე ჩანს მოპასუხის აჩგუმენტაცია იმის შესახებ, ჰომ 1992 წელს ჰთური იყო იმ ნოგაჩიუსის მიკვლევა, ვისთანაც ანდეჩი ინახებოდა. საომაჩი მოქმედებების დოს თითქმის ყვედა ნოგაჩიუსს სანოგაჩო ბიუხო დახუხიდი ჰქონდა, აჩ აჩსებობდა ეჩითიანი ბაზა და იმის გათვადისწინებით, ჰომ ადამიანმა აჩ იცის ჰომედ ნოგაჩიუსთან ინახება ანდეჩი, დოგიკუჩია გაძნედებურიყო ანდეჩის მოძიება. სწოხედ ეს გაჩემობები და წინაპიხოები აჩ შეუსწავდია და შეუფასებია სააპედაციო სასამაჩთროს და ისე მიილო გადაწყვეტილება.“.

<sup>132</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

დი და ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, სამართლის ნორმის ალტერნატიული შინაარსის ან შედეგის მქონე სხვა ნორმის საფუძველზე საქმისწარმოება და სხვა. მედიაცია უფლებისთვის ბრძოლის პრევენციული საშუალებაა სწორედ მაშინ, როდესაც უფლებამოსილი პირები ვერ განმარტავენ სამართლის ნორმას, მიუხედავად ამ უკანასკნელის ხარვეზიანობისა.

მედიაციის სხვადასხვა ფორმის არჩევისას გასათვალისწინებელია აღსრულების დროული და ეფექტური მექანიზმის არსებობა. ამ მხრივ, სასამართლო მედიაციასა და სანოტარო მედიაციას შორის არჩევანი მხარეთა ინტერესის სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს. თუ მხარეს არ სურს დავა სასამართლოში, მაშინ სანოტარო მედიაცია ან კერძო მედიაცია მისაღებია იურიდიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად. ასევე, არსებობს მოსაზრება რომ სასამართლო მედიაციის მაღალი მიმართვიანობა სასამართლო გადატვირთულობის დამატებით მიზეზად ჩამოყალიბდება, რაც არსებითად მცდარია, რადგან მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესია და არა ძირითადი.

უფლების დაცვის საშუალებების ძირითად და ალტერნატიულ საშუალებად დაყოფა, ეროვნულ დონეზე დავის გადაწყვეტის შესაძლებლობების კლასიფიკაციას უკავშირდება.<sup>133</sup> სანოტარო მოქმედების მხარეები, როგორც წესი არ იზღუდებიან მედიაციის არჩევანში.<sup>134</sup> მედიაციის მნიშვნელობა მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის

---

<sup>133</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 187<sup>3</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997.

<sup>134</sup> იქვე, 187<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი: „სახჩედის სასამაჩთდოში წაჩდგენის შემდეგ სასამაჩთდო მედიაციისადმი დაქვემდებაჩებული საქმე შეიძლება დავის მხაჩეთა შეთანხმებით დასჩუდების მიზნით მედიაგოჩს გადაეცეს.“. ასევე, სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე შეიძლება გავრცელდეს სასამართლო მედიაცია, თუმცა მხარეთა შორის დავის წარმოებამდე სანოტარო მედიაციის განხორციელებას შესაძლოა ზოგადად, დავის პრევენციის მნიშვნელობა მიენიჭოს. გამომდინარე იქედან, რომ ფაქტის დადგენის უფლებამოსილება სანოტარო საქმიანობის ნაწილია.

დადგენის თავისებურებების გარკვევის საკითხისთვის ერთ-ერთია იმ მრავალ უპირატესობათა შორის, რომელიც მედიაციას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებიდან უალტერნატივო საშუალებად გარდაქმნის.<sup>135</sup>

## 7. დასკვნა

სამემკვიდრეო უფლება მემკვიდრეს ანიჭებს შესაძლებლობას ისარგებლოს სამკვიდრო მასაში შემავალი სიკეთით,<sup>136</sup> ამ უფლების განხორციელების მიზნით - მიიღოს სამკვიდრო.<sup>137</sup> ამიტომ, არ უნდა გამოირიცხოს მამკვიდრებლის ნება, დაადგინოს ქონების მემკვიდრეზე გადაცემის კანონიერი საშუალებები<sup>138</sup> არა მხოლოდ ანდერძის, არამედ სხვა სამართლებრივი [ქონებრივი სიკეთის სამოქალაქო ბრუნვის] ფორმით,<sup>139</sup> მაგრამ

<sup>135</sup> იხ.: *Alexandrer N.*, *Global Trends in Mediation: Riding the Third Wave*, Kluwer Law International BV, Alphen aan den Rijn, 2003, 2-3; *Gnoffo V.*, *Notary Law and Practice for the 21<sup>st</sup> Century: Suggested Modifications for the Model Notary Act*, *The John Marshall Law Review* 1063, Vol. 30, Issue 4, 1997, 1068; *Bondy V., Doyle M.*, *Mediation in Judicial Review: A Practical Handbook for Lawyers*, the Public Law Project, London, 2011, 4-5.

<sup>136</sup> შეად. ზოიძე ბ., საკუთრების უფლების ევოლუცია ქართულ სამართალში, ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ) და მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი კონფერენციის მასალების კრებული: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია“, თბ., 2015, 112.

<sup>137</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, სამოქალაქო საქმეებზე გამოცემული კრებული: მემკვიდრეობითი სამართალი, №1, 2018, 100-101; *მამაიაშვილი თ.*, მორიგების დამოუკიდებელი პროცესი – კონფლიქტიდან კონსენსუსამდე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდელის 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 149-150.

<sup>138</sup> ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა ნოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>139</sup> შეად. *შენგელია ხ.*, *ახვედიანი ზ.*, *ჭანგუჩია დ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000, 493.

არსებობს შემთხვევები,<sup>140</sup> როდესაც სამკვიდრო ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვისთვის - აუცილებელია მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა, რაც სამოქალაქო საპროცესო სამართალში გარკვეულ თავისებურებებს უკავშირდება.<sup>141</sup>

ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო კვლევის საგანია. აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც თავმოყრილია ამ საკითხთან დაკავშირებული სამოსამართლო ცოდნა. შესაბამისად, ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების საკითხი დღემდე აქტუალური და განხილვადია სამართლებრივ სივრცეში. შესაბამისად, უდავო წარმოების ფორმა მემკვიდრეობის მიღების მიზნის მიღწევის: უფლების წარმოშობის, შეცვლის ან მოსპობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.<sup>142</sup>

უფლების დაცვისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის, მათ შორის უდავო წარმოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის, დოქტრინაში,<sup>143</sup> ავტორები ასაბუთებენ<sup>144</sup> სანოტარო მედიაციის მნიშვნელობას. ასევე, სანოტარო მედიაციის განვითარების პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამიტომ,

---

<sup>140</sup> როდესაც „საქმეთა ნიადაგ ეხთნაიხმა გადაწყვეტამ კანონის ძალა უნდა იპოვოს“ / „*Rerum perpetuo similiter iudicaturum auctoritas vim legis obtinere debet*“, მითითებულია: ნადახეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2005, 186-187.

<sup>141</sup> დამატებით იხ. *მამაიაშვილი თ.*, მოსამართლის ფუნქცია სამოქალაქო საქმისწარმოების მორიგებით დამთავრებისას და შედეგები, რომელიც მიიღწევა მორიგებით, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 88-89.

<sup>142</sup> იხ. *ნადახეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2005, 183.

<sup>143</sup> *გაკაშვილი ს.*, სანოტარო მედიაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 77-78.

<sup>144</sup> იხ. *ხაჩიგონაშვილი ნ.*, მედიაცია ქართულ ნოტარიატში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 26-27.

მისი, როგორც სხვა სახის სამოქალაქო საპროცესო საქმის-  
წარმოების ან უდავო წარმოების სრულყოფილი ფუნქციონი-  
რების უზრუნველყოფის საშუალების განხილვა ერთ-ერთ სა-  
ხასიათო საკითხს წარმოადგენს.<sup>145</sup>

აღნიშნული, მემკვიდრეთა საკუთრებით და მემკვიდრეო-  
ბით ინტერესს თანაბრად უნდა აბალანსებდეს,<sup>146</sup> თუმცა უკა-  
ნონოდ არ უნდა ზღუდავდეს რომელიმე მემკვიდრის კანონი-  
ერ ინტერესს,<sup>147</sup> ისარგებლოს იმ უფლებით, შემდგომში სიკე-  
თით, რომელიც მას მამკვიდრებელთან კონკრეტული სამარ-  
თლებრივი ურთიერთობის შედეგად მიენიჭა. შესაძლოა მემ-  
კვიდრე ვერ ახერხებდეს საკუთრების ობიექტის რეგისტრაცი-  
ას,<sup>148</sup> რისთვისაც სჭირდება მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა  
და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა. მარეგისტრი-  
რებელმა ორგანომ თავისი საქმიანობის მიზნები და ამოცანე-  
ბი, სასურველია დაახარისხოს დარგთაშორისი პრობლემების  
საფუძველზე, რათა ერთიან სარეგისტრაციო სივრცეში განხი-  
ლული ინტერესი და მოთხოვნა, ამ ორგანოს ცალკეული თანამ-  
შრომლის მიერ დაუსაბუთებლად არ იქნეს უარყოფილი. საჭა-  
რო წესრიგის ცნება ამ შემთხვევაში სამემკვიდრეო სამარ-  
თლებრივი ურთიერთობების შეუფერხებელ განხორციელებას  
/ ქონების კანონისმიერი გადაცემის შესაძლებლობას გულის-

---

<sup>145</sup> შეად. ბუხედი ი., სანოტარო ბიუროს ფინანსებისა და ნოტარიუსის შრომის ანაზღაურების საკითხისთვის, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2011, 44-45.

<sup>146</sup> შეად. შენგელია ხ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოც., თბ., 2011, 169-170. ანდერძისმიერი მემკვიდრის იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის №ას-911-869-2013 გადაწყვეტილება.

<sup>147</sup> შეად. ცნობიდაძე ი., კოჟოხიძე კ., ფოფხაძე ე., გაბაგაძე ხ., მო-  
საშვირი ნ., აბაშიძე ქ., ჩევაზიშვილი თ., ყვიხადაშვილი ბ. (ჩეღ.), სა-  
კუთრების უფლება საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2007, 14-15. აქვე, გასათვალისწინებელია სარჩელის პროცესუალური კლასიფიკაციის აქტუალური საკითხები.

<sup>148</sup> შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება „ხათუნა ნონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

ხმობს. რაც მემკვიდრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე პასუხისმგებელი ორგანოებისთვის საქმიანობის ზოგადი წესის სწორად გააზრების საფუძველია. სამწუხაროდ, ეს მიმართება კვლავ ფიქციად რჩება.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკა კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხების პროცესუალური უზრუნველყოფის გარანტიანაა, რომელიც ცალკეულ განსხვავებას ნორმის შესაბამისი განმარტების მაგალითზე პროცესუალური საფუძვლის უპირატესობით არეგულირებს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს საჯარო წესრიგის დაცვას, ხოლო სანოტარო საფუძვლები პროცედურული ნორმებია, რომელიც ვერ აღემატება საპროცესო / სამოსამართლო საფუძვლებს.<sup>149</sup> კონსტიტუციური უფლება უპირატესია რეგისტრაციის იმ წესთან შედარებით, რომელიც მემკვიდრის უფლებრიობას უსაფუძვლოდ უარყოფს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში, XXXVI თავის შემადგენელი საპროცესო ნორმების შინაარსის ჩამოსაყალიბებლად მოქმედებს იურიდიული ინტერესის განმარტების, რომის სამართლის პრინციპი - *Qui providet sibi, providet heredibus*.<sup>150</sup>

---

<sup>149</sup> იხ.: *Willenbacher B.*, Individualism and Traditionalism in Inheritance Law in Germany, France, England, and the United States, *Journal of Family History*, №28, 2003, 210-211; *Ruggeri L., Kunda I., Winkler s. (eds.)*, Family Property and Succession in EU Member States National Reports on the Collected Data, Rijeka, University of Rijeka, Faculty of Law, 2019, 462; *Mediation for Notaries Notaries for Mediation – Practical Guide*, Europe Union: Notaries of Europe, 2017-2018, 27.

<sup>150</sup> „ვინც ქონებას თავისთვის იძენს, მემკვიდრეებისთვისაც იძენს“, მითითებულია: *ნადაჩეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2005, 183.



## ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04/11/1950.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 26/06/1997.
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997.
5. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 04/-12/2009.
6. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
7. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, სსმ, №3435, 13/07/2006.
8. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, სსმ, №5669, 28/12/2007.
9. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, სსმ, №5977, 21/03/2008.
10. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, სსმ, №5265-III, 11/11/2011.
11. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, სსმ, №5569, 20/12/2011.
12. საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 33, 31/03/2010.
13. საქართველოს კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <<https://info.parliament.ge/#law-drafting/14951>> [12.09.2021].
14. სასამართლო სისტემის რეფორმის მე-4 ეტაპის შესახებ ინიციატივის წარდგენა, 21/12/2017, <<https://www.chemiparlamen->

ti.ge/ka/publication/sasamartlo-sistemis-repormis-me-4-etapis-shesakheb-initsiativa-caredgina-parlaments> [12.09.2021].

15. ბოდუაძე თ., კანდეაკი კ., დოსაბეჰიძე დ., ჩიქოვანი თ., ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: 1991-2014, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2015, 12-13.
16. ბუხეძიძე ი., სანოტარო ბიუროს ფინანსებისა და ნოტარიუსის შრომის ანაზღაურების საკითხისთვის, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2011, 44-45.
17. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., 2013, 37-38.
18. გაღდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 123-124.
19. გოგორაძე მ., მაჩიამიძე გ., სანოტარო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2018, 21, 58-60.
20. გოგორაძე მ., ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, №1, 2019, 23-24.
21. ზოიძე ბ., საკუთრების უფლების ევოლუცია ქართულ სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ) და მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი კონფერენციის მასალების კრებული: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია“, თბ., 2015, 112.
22. ზოიძე ბ., ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ძირითადი გამოწვევები ქართული კერძო სამართლისათვის, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2019, 12.
23. თოდუა მ., ძღვიჩიშვილი ზ., ბეჩეკაშვილი დ., ხაჭომია თ., ბაქრაძე მ., თოდუა თ., ჩხაიძე ს., კვანცაღიანი ნ., სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის, თბ., 2020, 11-12.
24. ინწკიხვედი დ., სამემკვიდრეო საქმეთა წარმოება: საკანონმდებლო პრობლემები და სანოტარო პრაქტიკა, ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, №2, 2001.

25. კობადაძე დ., იურიდიული ინტერესი სამოქალაქო პროცესში, სერგო ჯორბენაძე 90, საიუბილეო გამოც., ჯოხბენაძე ს. (ხედ.), თბ., 2019, 204-205.
26. კობხეიძე დ., მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(40)'14, 2014, 32-33.
27. კობხეიძე დ., ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41)'14, 2014, 11-12.
28. დეგაშვილი დ., კუპჩაშვილი ხ., ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2015, 55, 60-61.
29. მამაიაშვილი თ., მოსამართლის ფუნქცია სამოქალაქო საქმისწარმოების მორიგებით დამთავრებისას და შედეგები, რომელიც მიიღწევა მორიგებით, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 88-89.
30. მამაიაშვილი თ., მორიგების დამოუკიდებელი პროცესი – კონფლიქტიდან კონსენსუსამდე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 149-150.
31. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, სასამართლო სისტემის კვლევა, რეფორმები / სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეფორმა, <<http://hcoj.gov.ge/ka/>> [12.09.2021].
32. ნადაჩიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2005, 183, 186-187, 189, 192.
33. ნინუა ე., ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი საშუალება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(40)'14, 2014, 132.
34. ხოდფსი დ., გხაუტი მ., „ლანდესას“ კვლევა თემაზე: „მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების შეფასება საქართველოში“, გამოცემა მომზადდა აღმოსავლეთ - დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის

- და სამართლებრივი გაძლიერების“ პროექტისთვის (JILEP), თბ., 2013, 35-37.
35. რუდოლფ ფონ იერიინგი, ბრძოლა უფლებისათვის, მთარგ. ბაქჩაძე ი., თბ., 2000, 31, 48.
  36. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, წლიური ანგარიში, 2011, 20.
  37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, სამოქალაქო საქმეებზე გამოცემული კრებული: მემკვიდრეობითი სამართალი, №1, 2018, 100-101.
  38. სუხიგაშვილი დ., სანოტარო სამართალი, თბ., 2012, 106, 134-135.
  39. სუხიგაშვილი დ., სანოტარო მოქმედების გამო სარჩელის განსჯადობის შესახებ, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2012, 5-7.
  40. გაკაშვილი ს., სანოტარო მედიაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 2013, 77-78.
  41. ქუხიძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2015, 472-473, 477, 485.
  42. შენგელია ხ., ახვლედიანი ზ., ჭანგუჩია დ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000, 493.
  43. შენგელია ხ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოც., თბ., 2011, 169-170.
  44. შენგელია ე. (ხედ.), ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 389-391.
  45. შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, 252, 257, 270.
  46. შვახტგენი ა., ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების საკეთილდღეოდ, მთარგ. მაკა ტყეებუჩავა, საქართვე-

ლოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, 2002, 5.

47. ჩიგაშვიდი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2016, 29.
48. ცეხცვაძე გ. (ხედ.), ახევაძე მ., ვასაძე ე., თვაუჩი ხ., ივანიძე გ., მახაუჩი პ., ჟიჟიაშვიდი თ., ტაკაშვიდი ს., ხუჭუა თ., ჭიბდაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 69-70.
49. ცნობიდაძე ი., კოჟოხიძე კ., ფოფხაძე ე., ტაბატაძე ხ., მოსაშვიდი ნ., აბაშიძე ქ., ჰევაზიშვიდი თ., ყვიჩადაშვიდი ბ. (ხედ.), საკუთრების უფლება საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2007, 14-15.
50. ჭანტუაძე დ. (ხედ.), ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია ხ., ხეცუხიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, მე-5 წიგნი, თბ., 2000, 467-468.
51. ხაჩიგონაშვიდი ნ., მედიაცია ქართულ ნოტარიატში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა“, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 26-27.
52. ხვედელიანი დ., ანდერძით მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 227.
53. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
54. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქა-

ლაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

55. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
56. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის №1267 გადაწყვეტილება საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქე პროკოპი სავვიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
57. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 11 ივნისის №3კ/546-03 გადაწყვეტილება.
59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 სექტემბრის №ას-109-803-03 გადაწყვეტილება.
60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 30 ივნისის №ას-410-757-05 გადაწყვეტილება.
61. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის №ა-1601-შ-58-07 გადაწყვეტილება.
62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის №ას-684-1014-07 გადაწყვეტილება.
63. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის №ბს-177-173(გ-08) განჩინება.
64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის №ას-971-1172-08 გადაწყვეტილება.
65. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის №ას-68-401-09 გადაწყვეტილება.

66. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის Nლა-842-შ-34-09 გადაწყვეტილება.
67. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის Nლას-911-869-2013 გადაწყვეტილება.
68. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 სექტემბრის Nლა-3942-შ-106-2019 გადაწყვეტილება.
69. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 ოქტომბრის Nლა-3561-შ-95-2017 გადაწყვეტილება.
70. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ოქტომბრის Nლა-4513-შ-141-2019 გადაწყვეტილება.
71. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 ივნისის Nლას-7-2019 გადაწყვეტილება.
72. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21.05.2008,
73. *Abramson H.*, Mediation Representation: Representing Clients Anywhere, Collection of Articles: ADR in Business, Kluwer Law International BV, Alphen aan den Rijn, Vol. 2, 2011, 294-295.
74. *Alexandrer N.*, Global Trends in Mediation: Riding the Third Wave, Kluwer Law International BV, Alphen aan den Rijn, 2003, 2-3.
75. *Alexander N., Walsh S., Svatos M. (eds.)*, EU Mediation Law Handbook: Regulatory Robustness Ratings for Mediation Regimes, Kluwer Law International BV, Alphen aan den Rijn, Vol. 7, 2017, 693.
76. *Bondy V., Doyle M.*, Mediation in Judicial Review: A Practical Handbook for Lawyers, the Public Law Project, London, 2011, 4-5.
77. *De Palo G., Trevor M. B.*, Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries, Kluwer Law International , Alphen aan den Rijn, Vol. 2, 2007, 201.
78. *De Palo G.*, A Ten-Year-Long “EU Mediation Paradox” When an EU Directive Needs to Be More ...Directive, Europe Union: Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2018, 1-2.

79. EU Handbook on Mediation: Mediation Law and Practice in Other EU Countries, Professional Association of the Mediators in Bulgaria, Integrierte Mediation e.V. – Germany and the European Association of Judges for Mediation (GEMME), 26-27.
80. *Feinberg K. R.*, Mediation - A Preferred Method of Dispute Resolution, *Pepperdine Law Review*, Vol. 16, Issue 5, 1989, 7-8.
81. *Gassen D.*, German Civil Law Notaries and the Commercial Register, Königswinter, BNotK, 2011, 5.
82. *Gnoffo V.*, Notary Law and Practice for the 21<sup>st</sup> Century: Suggested Modifications for the Model Notary Act, *The John Marshall Law Review* 1063, Vol. 30, Issue 4, 1997, 1068.
83. Mediation for Notaries Notaries for Mediation – Practical Guide, Europe Union: Notaries of Europe, 2017-2018, 27.
84. *Prayer S.*, Why is Mediation not used More Often as a Means of Alternative Dispute Resolution? European Union: European Parliament's Committee on Legal Affairs, Brussels, 2012, 6, 11.
85. *Ruggeri L., Kunda I., Winkler s. (eds.)*, Family Property and Succession in EU Member States National Reports on the Collected Data, Rijeka, University of Rijeka, Faculty of Law, 2019, 462.
86. *Steffek F.*, Mediation in the European Union: An Introduction, Cambridge, 2012, 4-5.
87. *Willenbacher B.*, Individualism and Traditionalism in Inheritance Law in Germany, France, England, and the United States, *Journal of Family History*, №28, 2003, 210-211.
88. BVerfGE 42, 20 [30].
89. BvL 19/76.
90. BvR 169/63.



## თამაზ მშვილდაძე\*

### მედიატორის დისციპლინური პასუხისმგებლობა საქართველოში

2021 წლის აპრილში სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ შეიმუშავა „მედიატორთა დისციპლინური საქმისწაჩმოების ეტაპები“, რომელთაც ქართულ ხეაღბობაში უნდა დამკვიდრდეს მედიატორის პოფესიური პასუხისმგებლობის ახალი სტანდარტი.

დისციპლინური საქმისწაჩმოება გულისხმობს მედიატორის პოფესიური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ვალდებულებების დახლვევის შეფასებას მედიატორთა ასოციაციის მიეხ, ხის შედეგადაც ასოციაციის ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას მედიატორის მიმახთ დისციპლინური სახედის გამოყენების ან გამოყენებაზე უახის თქმის შესახებ. ასევე, დისციპლინური წაჩმოების სტანდარტის დანეხგვის კიდევ ერთი მიზანია, მედიატორთა მიეხ პოფესიური გადაცდომისა და ეთიკური ნოხმების დახლვევის პევენცია.

დისციპლინური საქმისწაჩმოება სიახდუა ქართული ხეაღბობისთვის, შესაბამისად, აუცილებელია მისი ახის კვლევა და შედახება საეითაშოხისო, უპიხატესად კი, აშშ-ში მოქმედ მედიატორთა დისციპლინური საქმისწაჩმოების პრაქტიკასთან, ვინაიდან, სწოხედ აშშ იყო პიხვედი და მთავარი შემოქმედი მედიატორთა დისციპლინური საქმისწაჩმოების წესების დამკვიდრებასა და დოქტრინადუხ მოწესხიგებაში.

სტატისის მიზანია, გამოიკვლიოს თუ ხას გულისხმობს მედიატორის დისციპლინური პასუხისმგებლობის შინაახსი, ასევე, შედახებით-სამაითლებიივი ანადიზის საშუადებით, სტატია მიმოიხიდავს ქართულ ხეაღბობაში მედიატორის დისციპლინური საქმისწაჩმოების წესებისა და პოფესიონის ცნებას, შინაახსის და მნიშვნელოვან პოფესიუდუდ საკითხებს.

**საკვანძო სიგყვები:** მედიაცია, მედიატორი, ეთიკა, ეთიკური სტანდარტი, საჩივარი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, ეთიკის კომისია, მოკვლევა და განხიდავა, მტკიცებულებები, მტკიცების სტანდარტი, დისციპლინური სახედლი.

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი.

## 1. შესავალი

მედიაციის ცნობადობა საქართველოში დღითი დღე იზრდება, შესაბამისად, მედიაციაში, როგორც იურიდიულ პროფესიაში, სულ უფრო და უფრო ახალი გამოწვევები ჩნდება, ხოლო ახალი გამოწვევები მოითხოვს საკითხის თანამედროვე გადაწყვეტას.

2019 წლის დასასრულს, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანა მედიაციის, როგორც პროფესიის პრაქტიკა, ვინაიდან დამკვიდრდა მედიაციის ნორმატიული გაგება და მედიატორებისთვის განისაზღვრა მთელი რიგი ვალდებულებები, რათა მედიაცია იყოს ხარისხიანი და მოთხოვნადი პროცესი. კიდევ ერთი ნაბიჯი, რაც მედიაციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, არის სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ჩამოყალიბება, რომელმაც შეიმუშავა მედიატორთა სერტიფიცირების სტანდარტი. ხოლო 2021 წლის აპრილში ახალი ფურცელი გადაიშალა ქართული მედიაციის რეალობაში, როდესაც საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ შეიმუშავა ორი ახალი დოკუმენტი: „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი“<sup>1</sup> და „მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება“.<sup>2</sup> აღნიშნული დოკუმენტები ერთი მხრივ, ადგენს სერტიფიცირებული მედიატორებისთვის ეთიკური ქცევის სტანდარტებს და მეორე მხრივ, განსაზღვრავს მედიატორის პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტს.

ეთიკური და დისციპლინური სტანდარტის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან მედიატორები ხშირად იმყოფებიან ეთიკური დილემის წინაშე, მედიაციის პროვაიდერი ორგანიზაციებიც ასევე აწყდებიან აღნიშნულ ეთიკურ გამოწვევებს.

---

<sup>1</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, 24/05/2021.

<sup>2</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021.

ვევებს, შესაბამისად, საჭიროა ფრთხილი და გააზრებული მონესრიგება ყოველდღიური ეთიკური გამონვევების საპასუხოდ.<sup>3</sup>

სტატია შეეხება მედიატორის დისციპლინური პასუხისმგებლობის თავისებურებებს, რაც გულისხმობს, რომ თუ მედიატორი არღვევს მისთვის დაწესებულ ეთიკურ ნორმებს, მედიაციის პროვაიდერ ორგანიზაციას სჭირდება სისტემა, რომელიც ორგანიზაციას მისცემს საშუალებას, გამოიძიოს, ჰქონდა თუ არა ადგილი მედიატორის მიერ ეთიკური ნორმის დარღვევას,<sup>4</sup> ხოლო, მეორე მხრივ, დისციპლინური საქმისწარმოების სისტემამ უნდა უზრუნველყოს მედიაციის, როგორც პროფესიის, პოტენციური კონტროლი პროვაიდერი ორგანიზაციების მიერ, რათა დაცული იყოს მედიაციის ზოგადი პრინციპები, პროფესიული ხარისხი და შემცირდეს მედიატორების მიერ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევები.<sup>5</sup>

მედიაციისთვის, როგორც ნებისმიერი პროფესიისთვის, მნიშვნელოვანია ხარისხიანი სერვისი, ხოლო მედიაციის პროვაიდერი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია კვალიფიცირებული მედიატორები, რომლებიც დაიცავენ ეთიკურ სტანდარტებს და პროფესიის ღირსებას. სწორედ ეთიკური სტანდარტების დაცვისა და მედიატორთა კვალიფიკაციის მუდმივი განვითარების კვალდაკვალ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების პირველი დებულებები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატი დაწინაურდა, რომელთაგან გამოსარჩევია: ფლორიდის, ჯორჯიის, მინესოტას, ვირჯინიის, მენის და

---

<sup>3</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 339.*

<sup>4</sup> *MacLean L., McNiven J., The Complaint Resolution Project, Alberta Law Review, Vol. 34, 1995, 55.*

<sup>5</sup> *Schulz J. L., Mediator Liability in Canada: An Examination of Emerging American and Canadian Jurisprudence, Ottawa Law Review, Vol. 32, N22, 2001, 273.*

ჩრდილოეთ კაროლინის შტატები, როგორც ყველაზე ორგანიზებული კანონმდებლობის მქონე.<sup>6</sup> ხოლო მათ შორის მოწინავედ ითვლება ფლორიდის შტატი, რომელმაც პირველმა შეიმუშავა მედიატორთა ეთიკური სტანდარტები და მათი დაცვისთვის საჭირო დისციპლინური საქმისწარმოების წესები.<sup>7</sup> რა თქმა უნდა ჩნდება კითხვა, რატომ იყო საჭირო დისციპლინური საქმისწარმოების დანერგვა და რამდენად აქტუალური და საჭიროა აღნიშნული წესები საქართველოში, დღეს, მედიაციის განვითარების ამ ეტაპზე.

პირველ კითხვას თავის დროზე აშშ-ში გაეცა პასუხი იმ კუთხით, რომ როგორც ყველა პროფესიის წარმომადგენელს, მედიატორსაც აქვს ვალდებულება, მუდმივად ვითარდებოდეს და ინარჩუნებდეს მაღალ პროფესიულ სტანდარტს, რათა არ დაარღვიოს ის ვალდებულებები, რომლებიც მას მედიაციის მონაწილე მხარეების მიმართ აკისრია.<sup>8</sup> გარდა აღნიშნულისა, პროფესიული სტანდარტის დარღვევის თავიდან აცილების საშუალებაა ის, რომ მედიატორს, ერთი მხრივ, ჰქონდეს ცოდნა, რომ მის მიმართ არსებობს დისციპლინური საქმისწარმოების მექანიზმები და შესაძლო პასუხისმგებლობის დადგომის ალბათობა, ხოლო, მეორე მხრივ, თუკი მედიატორი დაარღვევს ეთიკურ სტანდარტებს, მას დაეკისრება თანაზომიერი პასუხისმგებლობა.<sup>9</sup>

რაც შეეხება მეორე კითხვას, თუ რატომ შეიძლება იყოს დისციპლინური წარმოების წესების დანერგვა საქართველოში აქტუალური და შესაბამისად, რამდენად პრობლემურია აღ-

---

<sup>6</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 741.

<sup>7</sup> Tetunic F. L., Demystifying Florida Mediator Ethics: The Good, the Bad, and the Unseemly, *Nova Law Review*, Vol. 32, 2007, 207.

<sup>8</sup> Koo A. K. C., Exploring Mediator Liability in Negligence, *Common Law World Review*, Vol. 45, 2016, 165.

<sup>9</sup> იქვე, 166.

ნიშნული საკითხი რეალობაში, რამდენიმე პასუხი არსებობს. პირველ რიგში, საქართველო ჯერ კიდევ ახლა ეცნობა მედიაციას, როგორც დავების გადაწყვეტის იმ გზას, როცა მხარეებს არ განსჯის ნეიტრალური მესამე მხარე, არამედ ეხმარება მათ რომ თავად გადაწყვიტონ დავა. აღნიშნულ პროცესში ჩართულ მესამე მხარეს (მედიატორს) კი სჭირდება ეთიკური სტანდარტები, რომლითაც უნდა შექმნას ეფექტური სამედიაციო პრაქტიკა, ხოლო, თავად მედიაციას, როგორც პროცესს, სჭირდება გარანტიები, რომ მხარეები დაცული იყვნენ არაკვალიფიციური მედიატორისგან და თუ ადგილი ექნება პროფესიულ გადაცდომას, მედიატორმა შესაბამისი სანქციებით გაიზაროს საკუთარი შეცდომები. გარდა ამისა, დისციპლინური წარმოების არსებობა აუცილებელია მედიაციის ბენეფიციარების თვალსაწიერიდან, ვინაიდან, თუ საზოგადოებაში იქნება ცოდნა იმისა, რომ მედიატორები მუდმივად კონტროლდებიან საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, ხოლო უკმაყოფილო ბენეფიციარს აქვს უფლება მოითხოვოს დისციპლინური კონტროლი, მედიაციისადმი ნდობა გაიზრდება.

სწორედ აღნიშნული გამოწვევების პასუხად ქართულ რეალობაში პირველად გამოჩნდა მედიატორის დისციპლინური საქმისწარმოებისა და ეთიკურ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევის შეფასების პროცედურული დოკუმენტი, ხოლო სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია არის პირველი, რომელმაც აღნიშნული წესები დაამკვიდრა, თუმცა აღნიშნული სტატია და წესების მიმოხილვა აქტუალურია არა მხოლოდ მათთვის, ვინც რაიმე ფორმით დაკავშირებული იქნება აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მიწოდებულ სერვისებთან, არამედ მომავალში, თუ იქნებიან დამოუკიდებელი სამედიაციო სერვისების პროვაიდერი ორგანიზაციები, მედიატორთა დისციპლინური წარმოების თავისებურებების კვლევა აუცილებლად გახდება რელევანტური მედიაციის პროვაიდერებისთვის.

## 2. მედიატორის ეთიკურ ვალდებულებათა სისტემა საქართველოში

### 2.1. ეთიკურ ვალდებულებათა სისტემის განვითარება

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მედიაციის, როგორც დავების ალტერნატიული და იაფი გადაწყვეტის გზის, პოპულარობა გაიზარდა და იზრდება, შესაბამისად, საჭირო გახდა მედიაციის ინსტიტუტის პროფესიული ეთიკის ნორმებისა და შინაარსის ჩამოყალიბება.<sup>10</sup> უშუალოდ იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების განხილვამდე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ რა არის ეთიკური სტანდარტი და როგორ უნდა შეფასდეს მედიატორის ქმედება.

ეთიკა ჩამოყალიბდა, როგორც პრაქტიკული დისციპლინა, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანები ანალიზებენ მათთვის შესაძლო ქცევის სცენარებს, აფასებენ მათ და იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ იმოქმედონ.<sup>11</sup> შესაბამისად, ეთიკამ, როგორც პროფესიულმა სტანდარტმა განსაკუთრებული შინაარსი მიიღო მედიაციაში, რადგან მედიატორი, რომელიც ერთვება მხარეებს შორის კონფლიქტსა თუ დავაში, არის მესამე მხარე და იღებს პასუხისმგებლობას, რომ დაეხმაროს მხარეებს მიაღწიონ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ორივე მხარის ინტერესებისთვის მისაღები იქნება.<sup>12</sup> შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში, მედიატორის გამონწვევაა, რომ დარჩეს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და ამასთანავე არ გასცდეს პროფესიულ სტანდარტებს. მედიატორის წინაშე არსებულ აღნიშნულ გამონწვევას სხვადასხვა იურისდიქცია სხვადასხვაგვარად პასუხობს. საერთაშორისო დონეზე რამდენიმე ძირი-

---

<sup>10</sup> *Laflin M. E.*, Preserving the Integrity of Mediation through the Adoption of Ethical Rules for Lawyer-Mediators, *Notre Dame Journal of Law*, Vol. 14, Issue 1, 2000, 479.

<sup>11</sup> *Crowe J.*, Two Models of Mediation Ethics, *Sydney Law Review*, Vol. 39, Issue 2, 2017, 149.

<sup>12</sup> *Imwinkelried E. J.*, The Importance of the Memory Factor in Analyzing the Reliability of Hearsay Testimony: A Lesson Slowly Learnt--And Quickly Forgotten, *Florida Law Review*, Vol. 41, 1989, 254.

თადი დოკუმენტი უნდა გამოიყოს, რომელიც სახელმძღვანელო როლს ასრულებს მედიატორის პროფესიული, დისციპლინური სტანდარტის განვითარებაში და აყალიბებს ეთიკურ სტანდარტს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის რეგულირების საკითხი იყოფა ორ ჯგუფად: ვრცელ და შეზღუდულ რეგულაციებად. პირველ შემთხვევაში კონკრეტული იურისდიქცია ირჩევს რეგულირების იმ ფორმას, რომელშიც მედიაციის მომწესრიგებელი ნორმები, ფართოდ და ამომწურავადაა მოცემული კონკრეტულ კანონში, ხოლო მეორე შემთხვევაში, მედიაციის მომწესრიგებელი ნორმები გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში.<sup>13</sup> შესაბამისად, მედიაციის პროფესიულ სტანდარტზე საუბრისას საჭიროა გამოიყოს განსხვავებული იურისდიქციის ორი ჯგუფი, პირველი, ესაა ანგლო-ამერიკული სისტემა, ხოლო მეორე, ევროპული მოდელური კანონმდებლობა.

ამერიკის შეერთებული შტატები გახდა ერთ-ერთი პიონერი, სადაც დაიწყო მედიაციის პროფესიული სტანდარტის განსაზღვრა. აღნიშნული დოკუმენტია „მედიატორთა ქცევის მოდელური კანონი“, რომელიც შეიქმნა 1994 წელს და გადაშავებული ვერსია მიღებულია 2005 წელს.<sup>14</sup> აღნიშნული მოდელური კანონის მიღებას ჰქონდა და აქვს სამი ძირითად მიზანი და ფუნქცია: 1. დაამკვიდროს მედიატორთათვის სავალდებულო ეთიკური ქცევის სტანდარტი; 2. გაზარდოს მედიაციის მხარეების ინფორმირებულობა; 3. განავითაროს საზოგადოების ნდობა მედიაციის პროცესისადმი.<sup>15</sup> დოკუმენტი ასევე

---

<sup>13</sup> *წუდაძე ა.*, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 2016, 30.

<sup>14</sup> იხ. American Bar Association (ABA), Model Standards of Conduct for Mediators, <[https://www.americanbar.org/groups/dispute\\_resolution/policy\\_standards/](https://www.americanbar.org/groups/dispute_resolution/policy_standards/)> [19.09.2021].

<sup>15</sup> American Arbitration Association, Model Standards of Conduct for Mediators, <<https://digitalcommons.pepperdine.edu/naalj/vol17/iss2-9/>> [19.09.2021].

მნიშვნელოვანია, რადგან სამართლებრივმა აქტმა 1993 წელს გააერთიანა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა შტატში მოქმედი მედიაციის ეთიკური წესები, რათა დამკვიდრებულიყო ერთიანი მოდელური კანონმდებლობა, რომელიც იქნებოდა ყველა შტატისთვის იდენტური, კერძოდ, დოკუმენტი იწყება შესავლით, სადაც განმარტებულია მედიაციის არსი, დოკუმენტის შემდეგი ნაწილი შეიცავს კონკრეტული ეთიკური სტანდარტის განმარტებებს, თუ რომელი სტანდარტი რა ფორმით უნდა იქნას დაცული და რა არის გამონწვევა მედიატორისთვის.<sup>16</sup>

რაც შეეხება ევროპის კონტინენტს, ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო დისკუსია მედიაციის ეთიკური სტანდარტების საერთო მოდელური დოკუმენტის შექმნაზე, ხოლო 2018 წლის 4 დეკემბერს ევროპის საბჭომ მიიღო მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი მედიაციის პროვაიდერებისთვის.<sup>17</sup> აღნიშნული კოდექსის ძირითადი მიზანია ჩამოაყალიბოს ის ეთიკური პრინციპები, რაც აუცილებელია ეფექტური მედიაციის წარმართვისთვის, ასევე, აღნიშნული კოდექსი მსგავსია ზემოთ ნახსენები ამერიკული ვარიანტისა, ვინაიდან ორივე დოკუმენტი მოიცავს საერთაშორისოდ აღიარებული მედიაციის ეთიკურ პრინციპებს.<sup>18</sup> აღნიშნული პრინციპები კი მოიცავს მედიატორის მიერ დასაცავ ისეთ ეთიკურ სტანდარტებს, როგორებიცაა: მიუკერძოებლობა, ინტერესთა კონფლიქტისგან თავის არიდება, საკმარისი კომპეტენცია, კონფიდენციალობა, ხარისხიანი პროცესი, რეკლამირება, გამჭვირვალე მომსახურების ფასები, მხარეთა თვითგამორკვევა და მედიაციის პრაქტიკის განვითარება.<sup>19</sup>

---

<sup>16</sup> *Cooks L. M., Hale C. L., The Construction of Ethics in Mediation, Conflict Resolution Quarterly, Vol. 12, 1994, 61.*

<sup>17</sup> *იხ. European Code of Conduct for Mediation Providers, <<https://rm-coe.int/cepej-2018-24-en-mediation-development-toolkit-european-code-of-conduc/1680901dc6>> [19.09.2021].*

<sup>18</sup> *Kallipetis M., Mediation Ethics in Europe, The Dovenschmidt Quarterly, 2014, 65.*

<sup>19</sup> *იქვე, 66.*



არ არის მოულოდნელი, რომ კანონმდებელმა უკვე გაკვა-  
ლული გზით სვლა აირჩია, გაიზიარა რა არსებული სამარ-  
თლებრივი ცოდნა და ახალი ცნებების გამოგონების ნაც-  
ვლად, 2021 წლის აპრილში საქართველოს მედიატორთა ასო-  
ციაციამ დაამტკიცა „მედიატორთა პროფესიული ეთიკის  
კოდექსი“.<sup>20</sup>

## 2.2. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

ეთიკის კოდექსის განხილვამდე, მნიშვნელოვანია აღი-  
ნიშნოს ის, თუ ვის აქვს კომპეტენცია და უფლება შეაფასოს  
და განსაჯოს მედიატორთა ეთიკური ქცევა, ასევე მოახდინოს  
სტანდარტების რეალურ სივრცეში დანერგვა. აღნიშნული  
ამოცანების უზრუნველსაყოფად, 2019 წელს შეიქმნა საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს მედიატორთა  
ასოციაცია, რომლის არსებობის მიზანია, დაარეგულიროს მე-  
დიატორთა საქმიანობა, განავითაროს პროფესიისადმი სან-  
დობა და ხელმისაწვდომობა, ასევე უზრუნველყოს მედიაცი-  
ის პროცესის მუდმივი განვითარება.<sup>21</sup>

მედიატორთა საქმიანობის რეგულირება თავისთავად მო-  
იცავს მედიატორთა ეთიკური სტანდარტების რეგულირებასა  
და დაცვას, რადგან მედიაციის ეთიკის საკითხების რეგული-  
რება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, რამეთუ ის უნდა  
ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს ეროვნულ, მორალურ  
ღირებულებებსა და სოციალურ ურთიერთობათა კულტურას.<sup>22</sup>  
შესაბამისად, მედიატორთა ასოციაციისთვის ერთგვარ გამონ-  
ვევად იქცა მედიატორთა ეთიკის კოდექსის შექმნა, რომელ-

---

<sup>20</sup> იხ. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდი,  
<<https://mediators.ge/ka/legal-framework>> [19.09.2021].

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> ჩიჭაშვიდი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალ-  
დებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა,  
„სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2016, 29.

მაც უნდა დაამკვიდროს სრულიად ახალი სტანდარტი ქართულ მედიაციაში.

### **2.3. ეთიკური ნორმების დარღვევა, როგორც დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი**

ეთიკურ ვალდებულებათა განმარტება და პრაქტიკაში დაწერგვა მედიაციის ინსტიტუტის და მედიატორთა საქმიანობის ქვაკუთხედეა, შესაბამისად, მედიატორთა ეთიკის კოდექსის არსებობის მიზანია, რომ უზრუნველყოს მედიატორთა წინდახედულობისა და ქცევის სტანდარტებით შებოჭვა.<sup>23</sup>

შესაბამისად, ქცევის სტანდარტები ამკვიდრებს ვალდებულებას მედიატორთათვის, რომ არ დაარღვიონ ის ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც მოცემულია ეთიკის კოდექსებში, ქართულ რეალობაში ასეთ ეთიკურ ნორმებს წარმოადგენს შემდეგი: 1. მედიატორის კომპეტენცია, მისი არჩევის წესი და ანაზღაურება; 2. მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; 3. მედიაციის პროცესი; 4. თვითგამორკვევის ხელშეწყობა; 5. სამედიაციო მორიგება; 6. კონფიდენციალობა; 7. მედიაციის რეკლამირება.<sup>24</sup>

ვალდებულებათა დარღვევა კონკრეტული სტანდარტის შემთხვევაში ითვალისწინებს შესაძლებლობათა ძალიან ფართო სპექტრს, რისი განხილვაც სტატიის ფარგლებში შეუძლებელია და სცდება კვლევის მიზნებს. კვლევის მიზნიდან გამომდინარე კი, ეთიკის ნორმების არსებობის პარალელურად, არსებობს შეკითხვა, რას გულისხმობს დისციპლინური საქმისწარმოება, როგორც პროცესი?

---

<sup>23</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 10.* მითითებულია: ჩიჭაშვიდი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №1, 2016, 10.

<sup>24</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, 24/05/2021.

მარტივი ფორმულის მიხედვით, მედიატორთა დისციპლინური წარმოების არსებობის მიზანია, მედიატორთა ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის ვარაუდის შემთხვევაში, აღნიშნული ვარაუდის მოკვლევა და თუ დგინდება, რომ მედიატორმა დაარღვია ეთიკის ნორმები, მედიატორისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება.

სხვა პროფესიების მსგავსად, მედიაციაშიც არსებობს გამონვევები, რომელთან გამკლავებაც უწევს მედიატორს და ამ პროცესში მედიატორი დგება იმ ეთიკური დილემების წინაშე, რომელიც პრევენციული და სახელმძღვანელო თვალსაზრისით განსაზღვრულია ეთიკის კოდექსებით. პროფესიული გადაცდომის შეფასებისთვის კი სხვადასხვა პროფესიაში არსებობს დისციპლინური საქმისწარმოების დებულებები, რომელთა მაგალითი საქართველოში არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, რომლის მიზანია შექნას დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურა და განსაზღვროს დისციპლინური პასუხისმგებლობის სტანდარტი, მათთვის ვინც დაარღვევს პროფესიულ ეთიკურ ნორმებს.<sup>25</sup>

ანალოგიურად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და უმეტესად საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში დამკვიდრდა მედიატორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სტანდარტი და შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები. აღნიშნულის მიზანია, რომ უზრუნველყოს, ერთი მხრივ, მედიაციის ინსტიტუტის სიმტკიცე, ხოლო, მეორე მხრივ, დისციპლინური წარმოების არსებობით, მედიაციის პროვაიდერ ორგანიზაციებსა და ასოციაციებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ სანქციები იმ მედიატორთა წინააღმდეგ, ვინც დაარღვევს ეთი-

---

<sup>25</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, 11/12/2010.

კურ ნორმებს.<sup>26</sup> სტატიის შემდეგი თავები კი ეძღვნება სწორედ დისციპლინური საქმისწარმოების დებულებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვას.

### **3. მედიატორის დისციპლინური პასუხისმგებლობის ინიცირება, განმხილველი ორგანოები და პროცესში მონაწილე სუბიექტები**

#### **3.1. ეთიკის კომისიის სტრუქტურული სისტემა**

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის<sup>27</sup> მიხედვით, მედიატორმა მედიაციის პროცესი უნდა წარმართოს კანონის მიერ დადგენილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად, რაც თავისთავად გულისხმობს, მედიატორის მხრიდან ეთიკური და პროფესიული ვალდებულებების დაცვას. 2021 წლის აპრილში, საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ მიიღო მედიატორთა „დისციპლინური საქმისწარმოების დებულება“,<sup>28</sup> რომელმაც სრულიად ახალი რეალობა და სტანდარტები უნდა შემოიტანოს ქართული მედიაციის განვითარებაში. სანამ უშუალოდ, აღნიშნული დებულების სტანდარტების განხილვა მოხდება, საყურადღებოა თუ, ზოგადად, როგორი დისციპლინური საქმისწარმოების სტანდარტი არსებობს სამედიაციო პრაქტიკაში.

მედიატორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პროფესიისთვის დამკვიდრებული ქცევის წესები, რომელსაც მედიატორი მიეკუთვნება.<sup>29</sup> ვი-

---

<sup>26</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 740.

<sup>27</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.

<sup>28</sup> იხ. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდი, <<https://mediators.ge/ka/legal-framework>> [19.09.2021].

<sup>29</sup> ცეხცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 185.

ნაიდან, მედიტორის პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ სრულიად ახალი მოვლენაა, სასურველია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და განხილვა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი კონკრეტული შტატების კანონმდებლობის.

დავების ალტერნატიული გადაწყვეტის სხვადასხვა საშუალებას შორის, მედიაცია ყველაზე მეტად ინსტიტუციონალიზებული პროცესია ამერიკულ სასამართლო სისტემაში.<sup>30</sup> ფლორიდის შტატი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ორგანიზებულია სასამართლო მედიაციისა და მედიატორის ვალდებულებების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.<sup>31</sup> შესაბამისად, საინტერესოა, თუ რა მოდელი არსებობს მედიატორის პასუხისმგებლობის ინიცირებისა და მოწესრიგების შესახებ.

ფლორიდის შტატში მოქმედებს „წესები აკრედიტებული და სასამართლოს მიერ დანიშნული მედიატორებისთვის“ რომლის მიხედვითაც,<sup>32</sup> ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ მედიაციის პროცესში მედიატორმა დაარღვია მედიატორის ქცევის წესები, აქვს უფლება წერილობით მიმართოს ეთიკის კომისიას. წერილობითი მიმართვა უნდა შეიცავდეს შესაბამის ფაქტს მედიატორის ქცევის შესახებ. ასევე, მედიაციის პროვაიდერს, მედიატორთა აკრედიციის ცენტრს ან სასამართლო ადმინისტრაციას აქვს უფლება თავად მიმართოს კომისიას საჩივრით მედიატორის წინააღმდეგ.<sup>33</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძირითადად გამოიკვეთა ორი ტიპის ეთიკის კომისიის სტრუქტურა, ერთი მხრივ, როდესაც ეთიკის კომისია გაყოფილია ორ ნაწილად, როცა საჩი-

---

<sup>30</sup> Welsh N. A., *Bringing Transparency and Accountability (with a Dash of Competition) to Court-Connected Dispute Resolution*, *Fordham Law Review*, Vol. 88, 2020, 2452.

<sup>31</sup> იქვე, 2456.

<sup>32</sup> იხ. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>33</sup> იქვე.

ვარს მედიატორის წინააღმდეგ განიხილავს მომკვლევ კოლეგია, ხოლო შემდეგ საქმე გადაეცემა სპეციალურად შექმნილ განმხილველ (საკვალიფიკაციო) კოლეგიას,<sup>34</sup> ხოლო კოლორადოს შტატის მედიაციის ასოციაციის ეთიკის კომისიის საკანონმდებლო რეგულირების მაგალითის მიხედვით,<sup>35</sup> მედიაციის მონაწილე ნებისმიერ მხარეს ან მონაწილეს, შეუძლია შეიტანოს საჩივარი ასოციაციის წევრი მედიატორის წინააღმდეგ, სადაც 3 მომსმენი ოფიცერი დაუკავშირდება საჩივრის ავტორსა და სხვა წევრებს და განიხილავს საჩივარს სრულად, კონკრეტული კოლეგიების გარეშე.<sup>36</sup>

აქედან გამომდინარე, გამოიკვეთება ორი ტიპის სტრუქტურული სისტემა მედიატორთა ეთიკის კომისიის მუშაობაში. პირველი, როდესაც არსებობს ორდონიანი განმხილველი ორგანოები, საჩივრის მომკვლევ და საჩივრის განმხილველი კოლეგიით. მეორე, როდესაც არსებობს მხოლოდ ერთი განმხილველი ორგანო, რომელიც ერთდროულად ახორციელებს საჩივრის მოკვლევასა და გადაწყვეტილების მიღებას. მნიშვნელოვანია, თითოეულის ცალკეული დახასიათება და ფუნქციათა გამიჯვნა.

## **3.2. დისციპლინური საქმის მწარმოებელი ორგანოები**

### **3.2.1. მომკვლევ კოლეგია**

ეთიკის კომისიაში მედიატორის წინააღმდეგ საჩივრის შესვლისთანავე, საჩივარში უნდა დაფიქსირდეს ეთიკური სტანდარტის სავარაუდო დარღვევის ფაქტი და არა რაიმე ფორმის მოთხოვნა საჩივრის ავტორის მხრიდან, ასევე საჩივ-

---

<sup>34</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 41.

<sup>35</sup> Colorado Ethics Committee Policy and Procedure, <<https://coloradomediation.org/ethics/>> [19.09.2021].

<sup>36</sup> იქვე.

რის ავტორს არ მოეთხოვება მიუთითოს კონკრეტულად რა წესი დაარღვია მედიატორმა.<sup>37</sup>

მოკვლევის ეტაპზე, საჩივრის მომკვლევ კოლეგია იკვლევს მედიატორის მიერ კონკრეტული ეთიკური ან სამართლებრივი ნორმების დარღვევას მითითებული ფაქტიდან გამომდინარე.<sup>38</sup> არკანზასის შტატის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განმარტებულია,<sup>39</sup> თუ რას ნიშნავს გამოძიება მოკვლევის ეტაპზე. აღნიშნული წესების მიხედვით, მოკვლევის (გამოძიების ეტაპზე, ეთიკის კომისია ნიშნავს მომკვლევ (საგამოძიებო კომისიას), რომელიც შედგება კომისიის წევრის, კოორდინატორის, კომისიის მიერ მონვეული ადვოკატისა და ასისტენტ კოორდინატორისგან, აღნიშნულ პირებს ეძლევათ უფლება: 1. მოიპოვონ ინფორმაცია საჩივრის საფუძვლიანობის შესახებ; 2. შეაგროვონ მტკიცებულებები; 3. განახორციელონ სხვა, საქმის წარმართვისთვის საჭირო, მოქმედებები.<sup>40</sup> ხოლო კანადაში მოქმედი წესების მიხედვით, კომისიაში შესულ საჩივარს განიხილავს კომისიის თანამშრომელი, ან სხვა პირი, რომელსაც ნიშნავს კომისიის პრეზიდენტი, რომელიც ადგენს სარჩელის საფუძვლიანობას და იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის შემდეგ ეტაპზე გაგზავნის შესახებ.<sup>41</sup>

აღნიშნული მაგალითებით ნათელია მომკვლევ კოლეგიის როლი და ფუნქცია. მომკვლევ კოლეგიის არსებობის მიზანია გამოიძიოს საჩივრის საფუძვლიანობა,<sup>42</sup> ასევე საკუთარი უკმაყოფილების გამოსატვის საშუალება მისცეს მედიაცი-

---

<sup>37</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 145.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იხ. Arkansas Judiciary, Procedures for the Discipline of Mediator, <<https://www.arcourts.gov/adr/complaints-against-mediators>> [19.09.2021].

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> ADR Institute of Canada, Complaints and Discipline Policy, <<https://adric.ca/rules-codes/complaints-discipline-policy/>> [19.09.2021].

<sup>42</sup> იქვე, Definitions and Interpretations.

ითა და მედიატორით უკმაყოფილო მხარეს, და ამასთანავე დაიცვას მედიატორი მის მიმართ უსაფუძვლო საჩივრებისგან.<sup>43</sup>

### 3.2.2. განმხილველი კოლეგია

ფლორიდის შტატის წესების მიხედვით, მომკვლევ კოლეგიის მიერ საკუთარი ფუნქციის შესრულების შემდეგ, საჩივარი გადაინაცვლებს განმხილველი, იგივე მომსმენი კოლეგიის მოსმენის ეტაპზე.<sup>44</sup> მოსმენის ეტაპი არის უფრო ფორმალური პროცესი ვიდრე განხილვის ეტაპი. მოსმენის ეტაპზე, მედიატორს ეძლევა შესაძლებლობა განმხილველი კოლეგიის წინაშე დაიცვას საკუთარი პოზიცია, დაკითხოს მოწმეები, წარმოადგინოს მტკიცებულებები და იყოს წარმოდგენილი წარმომადგენლით.<sup>45</sup>

განმხილველი კომისიის როლი და ფუნქცია, განსაკუთრებით კარგად გამოიხატა კანადის მოქმედ კანონმდებლობაში, კერძოდ, განმხილველი კოლეგიის უმთავრესი ფუნქციაა, მოისმინოს მხარეები, შეაფასოს მტკიცებულებები და დაადგინოს არსებობს თუ არა საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.<sup>46</sup>

---

<sup>43</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 806.

<sup>44</sup> <https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions> [19.09.2021].

<sup>45</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 129-130.

<sup>46</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 811.



### 3.2.3. ფუნქციათა გამიჯვნა კოლეგიებს შორის

ნაშრომის მომდევნო თავში წარმოდგენილი იქნება კონკრეტული საკითხების განხილვა მომკვლევ და განმხილველ კოლეგიებთან დაკავშირებით, თუმცა დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს ის ძირითადი ფუნქციები რაც მიჯნავს აღნიშნულ კოლეგიებს ერთმანეთისგან.

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი კოლეგიებს შორის, გამომდინარეობს მათი ფუნქციური ცნებიდან. კერძოდ, განმხილველი კოლეგიის არსებობის მიზანია გამოიკვლიოს შემოსული საჩივრის საფუძვლიანობა და გადაწყვიტოს არსებობს თუ არა მედიატორის მიერ ქცევის წესების დარღვევის შეფასების აუცილებლობა,<sup>47</sup> ხოლო განმხილველი კოლეგიის ფუნქცია და არსებობის მიზანია მისცეს მედიატორს საშუალება დაიცვას საკუთარი პოზიცია და მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ, ასევე მედიატორის მიმართ გასატარებელ სანქციებთან დაკავშირებით.<sup>48</sup>

ფუნქციური გამიჯვნის მხრივ ლოკალური იურისდიქციები შესაძლებელია კოლეგიებს ანიჭებდეს განსხვავებულ ფუნქციებსაც. მაგალითად, ტეხასის შტატის კანონმდებლობით, მომკვლევ კოლეგიას აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება მედიატორის მიმართ სანქციების დაწესების თაობაზე მოსმენისა და, შესაბამისად, დამატებით განმხილველი კოლეგიის მოწვევის გარეშე, თუ მომკვლევი კოლეგია ჩათვლის, რომ საჩივარი საკმარისად დასაბუთებულია და მოსმენის დაინიშნის საჭიროება არ არსებობს.<sup>49</sup>

---

<sup>47</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 128.

<sup>48</sup> იქვე, 128-129.

<sup>49</sup> The Association of Attorney-Mediators, Grievance Procedure, Art.6. (G), <<https://www.attorney-mediators.org/grievance>> [19.09.2021].

აღნიშნული წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს, ვინაიდან ტეხასის კანონმდებლობა ამ ჩანაწერით აყალიბებს კომბინირებულ სისტემას „ერთდონიან“ და „ორდონიან“ დისციპლინურ კომისიებს შორის.

### 3.3. საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი

მნიშვნელოვანია განისაზღვროს იმ პირთა წრე, ვისაც აქვს უფლება საჩივარი შეიტანოს მედიატორის წინააღმდეგ. ნებისმიერ პირს, ვინც თვლის რომ მედიატორმა დაარღვია ეთიკური ვალდებულებები, შეუძლია მიმართოს ეთიკის კომისიას საჩივრით.<sup>50</sup> შესაბამისად, კითხვა, უნდა განისაზღვროს თუ არა კონკრეტულ პირთა წრე, თუ „ნებისმიერი“ გულისხმობს, ყველა ინდივიდს შეუზღუდავად, მიუხედავად მათი მონაწილეობისა მედიაციის პროცესში - გონივრულია.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხად რამდენიმე მოდელი შეიძლება ჩამოყალიბდეს, პირველ მოდელს აყალიბებს, ვირჯინიისა და ფლორიდის შტატის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც საჩივრის ავტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს ცოდნა, რომ მედიაციის პროცესში მედიატორმა დაარღვია ეთიკური ვალდებულება, აღნიშნულ პირთა წრეში ასევე იგულისხმება თავად ეთიკის კომისია და მისი წევრები.<sup>51</sup> სხვა იშვიათ შემთხვევებში, შესაძლებელია, დაკონკრეტებული იყოს საჩივრის შემტან სუბიექტთა წრე, როგორც ეს მოცემულია კოლორადოს შტატის კანონმდებლობის მაგალითზე, სადაც მედიატორის წინააღმდეგ საჩივრის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ მედიაციის პროცესის ნებისმიერ მხარეს ან მო-

---

<sup>50</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.810, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>51</sup> Virginia Complaints Procedure, Art. 3. “A”, <<http://www.courts.state.va.us/courtadmin/aoc/djs/programs/drs/mediation/home.html>> [19.09.2021].

ნაწილს.<sup>52</sup> თუმცა აღნიშნული მოდელი ავინროებს საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირთა წრეს, რაც შესაძლებლობას მისცემდა, უშუალოდ ეთიკის კომისიის წევრებს ან სხვა მედიატორებს, შეეტანათ საჩივარი კონკრეტული მედიატორის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია ასევე საკითხი, შეუძლია თუ არა მედიაციის პროცესში რომელიმე მხარის წარმომადგენელ ადვოკატს შეიტანოს საჩივარი, როდესაც საჩივრის შეტანის უფლება აქვს „ნებისმიერ პირს“. მაგრამ ვინაიდან აუცილებელია სავარაუდო დარღვევები არ დარჩეს ყურადღების გარეშე და ასევე რთულია წინაწარ განსაზღვრო იმ სავარაუდო პირთა წრე, ვინც მიიღებს სათანადო ინფორმაციას საჩივრის შეტანის საფუძვლებზე, უნდა განისაზღვროს პირთა წრე, განუსაზღვრელად, იმგვარად, რომ ყველას, ვისაც აქვს ინფორმაცია მედიაციის პროცესში მედიატორის მიერ ვალდებულებათა დარღვევის შესახებ, შეეძლოს საჩივრის შეტანა.<sup>53</sup>

### 3.4. ანონიმური საჩივარი

ანონიმური საჩივრის სამედიაციო ინსტიტუტი ქართული სამართლებრივი რეალობისთვის უცხოა. როდესაც საქმე ეხება პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს საქართველოში, საყურადღებოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიდგომა. კერძოდ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, ანონიმური საჩივარი არ შეიძლება იყოს დისციპლინურის საქმისწარმოების დაწყების საფუძველი ადვოკატის წინა-

---

<sup>52</sup> The Mediation Association of Colorado, Ethics Committee Policy and Procedure, Complaints, <<https://coloradomediation.org/ethics/>> [19.09.2021].

<sup>53</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 144.

აღმდეგ.<sup>54</sup> რა თქმა უნდა, ადვოკატთა ასოციაცია განსხვავდება მედიატორთა ასოციაციისგან, თუმცა შინაარსობრივი საკითხი, როდესაც საქმე ეხება რომელიმე კონკრეტული ასოციაციის წევრის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას, ანალოგია და მიღებული პრაქტიკა უმნიშვნელოვანესია. თავისთავად საინტერესოა, თუ რატომ ამბობს უარს ადვოკატთა ასოციაცია ანონიმურ საჩივარზე და რამდენად არის დამკვიდრებული მსგავსი პრაქტიკა მედიატორთა მიმართ სხვადასხვა იურისდიქციაში.

ანონიმური საჩივრისგან დაცვის რამდენიმე მიზეზი შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში, მედიატორის დაცვა ისეთი საჩივრებისგან, რომელსაც არ აქვს რეალური სამართლებრივი საფუძველი,<sup>55</sup> ვინაიდან, ანონიმური საჩივრის შემთხვევაში ნებისმიერ პირს შეეძლება უმიზეზოდ გაგზავნოს საჩივარი მედიატორის წინააღმდეგ, რაც იურისპრუდენციაში მიღებული პრაქტიკით ნიშნავს, რომ უსაფუძვლო საჩივრებმა შეიძლება გადატვირთოს და დააზარალოს სამართლებრივი სისტემის მუშაობის ხარისხი.<sup>56</sup>

მეორე მხრივ, ანონიმური საჩივრები პრობლემური შეიძლება გახდეს დისციპლინური წარმოების ეფექტიანობისთვის, ვინაიდან მომდევნო ქვეთავებში განხილულია დისციპლინური საქმისწარმოების შემდგომი ეტაპები, როცა საჩივრის ავტორი ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს იმ კუთხით, რომ შე-

---

<sup>54</sup> იხ. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, 11/12/2010.

<sup>55</sup> *Williams N. V.*, *Fantastic or Delusional Factual Allegations or Indisputably Meritless Legal Theories Give Rise to a Complaint Lacking an Arguable Basis*, 490 U.S. 319, 1989, 327-328, მითითებულია: *Stone M. P.*, *Miceli T. J.*, *The Impact of Frivolous Lawsuits on Deterrence: Do They Have Some Redeeming Value*, Working papers / University of Connecticut, Department of Economics, 2014, 305.

<sup>56</sup> *Robert S. P.*, *Violating the Inviolable: Caps on Damages and the Right to Trial by Jury*, *Dayton Law Review*, Vol. 31, 2006, მითითებულია: *Stone M. P.*, *Miceli T. J.*, *The Impact of Frivolous Lawsuits on Deterrence: Do They Have Some Redeeming Value*, Working papers / University of Connecticut, Department of Economics, 2014, 304.

საძლებელია იყოს მთავარი მოწმე, მისცეს ახსნა-განმარტებები და დაადასტუროს ან უარყოს მედიატორის ეთიკური სტანდარტების დარღვევა.

შესაბამისად, ანონიმური საჩივრის დაშვებამ შესაძლებელია გამოიწვიოს დისციპლინური წარმოების პროცესის გართულება და არაეფექტურობა, რაც ნიშნავს, რომ ანონიმური საჩივრების დაუშვებლობა სრულიად ლოგიკური და გამართლებული გზაა დისციპლინური წარმოების ეფექტურობის მიზნებისთვის.

### **3.5. დისციპლინური საქმისწარმოების მხარეები**

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მედიაციაში მონაწილე პირები არიან: მედიატორი, მხარეები, მხარეთა წარმომადგენლები და მესამე პირები. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ მედიაციის მონაწილე მხარეს, ასეთი სუბიექტი კანონის მიხედვით არის: ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელიც მეორე მხარესთან დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების მიზნით მონაწილეობს მედიაციის პროცესში.<sup>57</sup>

ნათელია, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში მედიაციის მონაწილე სუბიექტები კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული, ხოლო დისციპლინური საქმისწარმოების დებულების მიერ, განისაზღვრა დისციპლინური წარმოების განსხვავებული მხარეები, კერძოდ, დებულების მიხედვით, საქმისწარმოების მონაწილე მხარეები არიან მედიატორი და ასოციაცია.<sup>58</sup>

#### **3.5.1. მედიატორი და ასოციაცია**

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მედიატორის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვინც

---

<sup>57</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.

<sup>58</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, 11/12/2010, მე-16 მუხლი.

თვლის, რომ მედიაციის პროცესში მედიატორმა დაარღვია ვალდებულებები. საგულისხმოა, თუ ვინ არის დისციპლინური საქმის წარმოების მხარე?

ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში მონაწილე მხარე ნიშნავს, სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროცესში მხარედ აღიარების უფლების მქონე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.<sup>59</sup> ამიტომ, უნდა განისაზღვროს, თუ ვინ არის პროცესში მხარედ მონაწილეობის უფლების მქონე. უმეტესად მედიატორის წინააღმდეგ დისციპლინური წესების შესახებ დებულებები არ აკონკრეტებენ პროცესში მონაწილე მხარეებს, თუმცა აღნიშნული გამომდინარეობს პროცესის შინაარსიდან, ვინაიდან საჩივრის წარმდგენი წარადგენს არა საკუთარ მოთხოვნებს, არამედ საჩივარს, რომელშიც აღწერილია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდეს მედიატორის მიერ საკუთარი ვალდებულებების დარღვევას.<sup>60</sup> ხოლო საჩივრის წარმდგენის შემდეგ ეთიკის კომისია დამოუკიდებლად იკვლევს საჩივარს, ნიშნავს გამომძიებელს, რომელიც იძიებს მედიატორის მიერ შესაძლო ეთიკის ნორმების დარღვევას და შემდეგ გამომძიებელი აცნობებს კომისიას შესაძლო დარღვევების შესახებ.<sup>61</sup> აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისიის დაყოფა მომკვლევ და განმხილველ კოლეგიად ემსახურება იმ მიზანს, რომ მომკვლევმა კოლეგიამ მოიკვლიოს სრული ინფორმაცია დარღვევებზე და განმხილველი კოლეგიის წინაშე წარმოადგინოს აღნიშნული კვლევა, როგორც მედიატორის პასუხიმგებლობის საფუძველი.<sup>62</sup> შესაბამისად, ჩნდება კითხვა,

---

<sup>59</sup> Arkansas Administrative Procedures Act, <<https://www.asbalaid.-arkansas.gov/laws-rules/>> [19.09.2021].

<sup>60</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, *Arbitration Law Review*, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 145.

<sup>61</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 808.

<sup>62</sup> იქვე, 809.

თუ ვინ არის მოსმენის დროს ოპონენტი მხარე, საჩივრის ავტორი თუ მომკვლევ კოლეგია ან მისი წარმომადგენელი?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი გამომდინარეობს პროცესის შინაარსიდან. კერძოდ, ფლორიდის შტატის მოდელი ნათლად განმარტავს დისციპლინური წარმოების მხარეთა როლსა და პოზიციებს. განმხილველ კოლეგიაზე მოსმენის დროს მედიატორს, როგორც მხარეს, ეძლევა უფლება დაიცვას საკუთარი პოზიცია, ხოლო განმხილველი კოლეგია მიანიჭებს უფლებას მომკვლევ კოლეგიას, რომ მოსმენის დროს გამოიკვლიოს მტკიცებულებები და წარმოადგინოს შესაბამისი მონმეები.<sup>63</sup> ამის პარალელურად კი, მედიაციის მონაწილე ნებისმიერი მხარის ან მოწმის ჩვენებას მოისმენს განმხილველი კოლეგია, როგორც მტკიცებულებას.<sup>64</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნულ მოდელში მედიატორის ან/და საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობა მოსმენაზე შესაძლებელია გახდეს საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.<sup>65</sup>

საერთო ჯამში, წინამდებარე მოდელი წარმოადგენს სიტუაციას, როდესაც საჩივრის ავტორის ძირითადი როლი მოიცავს არა საკუთარი მოთხოვნის დაცვას, არამედ განმხილველი კოლეგიის წინაშე ფაქტების კონსტანტაციას, ხოლო მედიატორს კი აქვს უფლება დაიცვას საკუთარი პოზიცია განმხილველი კოლეგიის მიერ შესაბამისი მტკიცებულებებისა და მონმეთა ჩვენებების წინაშე. ხოლო თავად მედიატორთა ასოციაცია, რომელიც წარმოდგენილია ჯერ მომკვლევ კოლეგიის სახით, არა მხოლოდ განიხილავს საჩივარს, არამედ თავად აზუსტებს ფაქტებს, მოთხოვ-

---

<sup>63</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 810.

<sup>64</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.820, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>65</sup> იქვე.

ნის (მედიატორის მიერ დარღვეული ეთიკური ნორმების) ჩამოყალიბებას და მოიაზრება, როგორც მხარე საქმისწარმოებაში.

### 3.5.2. მხარის მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით

დისციპლინურ საქმისწარმოებაში მხარის წარმომადგენლობა ადვოკატის მიერ ქართული რეალობისთვის ცნობილი და დამკვიდრებული პრაქტიკაა. დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „*მედიატორის უფლება აქვს განხილვაში მონაწილეობა მიიღოს წახმომადგენლის მეშვეობით.*“. აღნიშნული დაშვება გაგრძელებაა ქართული პრაქტიკისთვის და პროცესის სრულყოფისთვის უმნიშვნელოვანეს დამატებას წარმოადგენს.

მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულების მსგავსად, 2018 წლიდან ადვოკატების მიმართ დისციპლინურ საქმისწარმოებაში, მხარეებს მიენიჭათ უფლება მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლის მეშვეობით.<sup>66</sup> აღნიშნული ცვლილება თანხვედრაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან, რომელიც გულისხმობს, დისციპლინურ წარმოებაში წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობის შესაძლებლობას.

ადამიანები აფასებენ პროცესს საქმისწარმოებაში. შესაბამისად, ადამიანი ანდობს პროცესს, ადვოკატს ან სხვა პირს, ვისაც შეუძლია აუხსნას, განუმარტოს და იზრუნოს წარმოდგენილი პირისთვის სასურველი შედეგების მისაღებად.<sup>67</sup> წარმომადგენლობის უფლების მინიჭება მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი მხრივ, ადვოკატი ან სხვა წარმომადგენელი არის უფრო გამოცდილი და შეუძლია გულმოდგინედ დაიცვას წარმოდგე-

---

<sup>66</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, 11/12/2010, მე-10 მუხლი.

<sup>67</sup> *Poppe E. S. T., Rachlinski J. J., Do Lawyers Matter? The Effect of Legal Representation in Civil Disputes, Pepperdine Law Review, Vol. 43, Issue 4, 2016, 889.*



ნილი პირის ინტერესები შესაბამის პროცესში და მეორე მხრივ, წარმომადგენელს შეუძლია განსაზღვროს წარმოდგენილი პირისთვის პრიორიტეტული ინტერესები.<sup>68</sup> შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება პირის წინააღმდეგ საქმისწარმოებას, აუცილებელია ამ პირს მიეცეს უფლება თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს ის, ვინც დაიცავს მის უფლებებს და ინტერესებს.

#### **4. დისციპლინური საქმისწარმოების ეტაპები და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება**

დებულების მიხედვით, დისციპლინური საქმისწარმოება შედგება ორი ეტაპისგან, რომელიც მოიცავს მოკვლევისა და განხილვის ეტაპებს. თითოეულ ეტაპს ახასიათებს კონკრეტული თავისებურებები და თითოეული კომისიის მუშაობას აქვს შესაბამისი წესები, რომელთა განხილვაც აუცილებელია.

#### **4.1. მოკვლევის ეტაპი და მომკვლავი კოლეგია**

##### **4.1.1. ცნებათა განმარტება**

მოკვლევის ეტაპისა და მომკვლავი კოლეგიის განმარტება პირველ თავში უკვე მოცემულია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა ტექნიკური დეტალები უკავშირდება აღნიშნული კოლეგიების მუშაობას და როგორ განსაზღვრას დებულება ამ საკითხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეგიათა შემადგენლობა და სხვა ტექნიკური საკითხები, როგორც წესი განსხვავებულია და დამოკიდებულია არა რაიმე ერთგვაროვან პრაქტიკაზე, არამედ კონკრეტული კანონშემოქმედის სურვილზე, ხოლო პროცესის ძირითადი არსი, რა თქმა უნდა, მსგავსია თითქმის ყველა იურისდიქციაში.

---

<sup>68</sup> იხ. *Morgan T. D., Tuttle R. W., Legal Representation in a Pluralist Society*, Wash. Law Review, Vol. 63, 1995, 987.

ზოგადად, ეთიკის კომისიებს მინიჭებული აქვთ უფლება- მოსილება, რომ უზრუნველყონ ეთიკური სტანდარტისა და პროფესიული კვალიფიკაციის დაცვა მათ მიერ, ვინც ემსახურება შესაბამის პროფესიას.<sup>69</sup> ეთიკის კომისიებს ადვოკატთა მიმართ დისციპლინური წარმოების პროცესში აქვთ მთავარი გამოკვეთილი ფუნქცია, რომ დაიცვან პროფესიის ბენეფიციარები პროფესიის წარმომადგენლების მიერ არაეთიკური ქცევისგან.<sup>70</sup> აღნიშნული განმარტებები ძირითადად მიემართება ადვოკატთა ასოციაციებში არსებულ ეთიკის კომისიებს, მაგრამ არსით ეთიკის კომისია ადვოკატის მიმართ იქნება თუ მედიატორის მიმართ, მსგავსია და მოიცავს პროფესიული საქმიანობის შეფასებას.<sup>71</sup>

რაც შეეხება უშუალოდ მედიაციაში დამკვიდრებულ პრაქტიკას, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, არის ფლორიდის შტატი. ფლორიდის შტატმა განავითარა ეთიკის კომისია და დისციპლინური საქმისწარმოება იმ მიზნით, რომ მედიატორის მიმართ წარმოშობილი საჩივრების განხილვა მომხდარიყო დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რათა მედიაციიდან მედიატორის წინააღმდეგ წარმოშობილი საჩივრის გადანყვეტა მომხდარიყო სწრაფად და ხარისხიანად.<sup>72</sup>

---

<sup>69</sup> *Waddoups J. E.*, Narrowing the Scope of Absolute Judicial Immunity from Section 1983 Suits: The Bar Grievance Committee and the Judicial Function, *BYU Law Review*, Issue 3, 1990, 1245.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> ავტორის შენიშვნა: ვინაიდან ეთიკის კომისიების არსებობა ნებისმიერ პროფესიაში მიმართულია კონკრეტული პროფესიების წარმომადგენლების მიერ განეული შრომის ხარისხის შეფასებისა და კონტროლისთვის, თავისუფლად შესაძლებელი, ადვოკატთა ეთიკის კომისიების ძირითადი ცნების განმარტების განზოგადება, ასევე მედიატორთა ეთიკის კომისიის ცნების განმარტების მიზნებისთვის.

<sup>72</sup> *Young P. M.*, Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 806.

ქართულ რეალობაში, დებულებამ დაამკვიდრა „ორდონიანი“ პრინციპი, რომლის მიხედვითაც ეთიკის კომისია შედგება მომკვლევნი და განმხილველი კოლეგიისგან. პირველი კითხვა, რაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს არის ის, თუ რამდენად სწორად ესმის ქართულ კანონმდებლობას მომკვლევნი კოლეგიის შინაარსი და ცნება.

ფუნქციურად, მომკვლევნი კოლეგიის ფუნქციებზე საუბრისას უკვე აღინიშნა, რომ მომკვლევნი კოლეგიის არსებობის ძირითადი მიზანია საქმის მოკვლევა. დებულება სწორედ აღნიშნულ ფუნქციას ანიჭებს მომკვლევ კოლეგიას, „გამოკითხავს საჩივრის წახმდგენ პიხს და მედიატორს, შესთავაზებს მათ დამატებითი მტკიცებულებების წახმდგენას.“<sup>73</sup> ხოლო მოსმენის შემდეგ „მოპოვებუდი მტკიცებულებები, ახსნა-განმარტებები ფოხმდება წეხიდობით და დაეხთვის საქმეს მტკიცებულების სახით.“<sup>74</sup>

აღნიშნული უფლებამოსილებითა და დამატებით უფლებებით, რომ მომკვლევ კოლეგიას მიეცეს უფლება საჩივრის წარმდგენი პირისა და მედიატორის პროცესის მონაწილეთა წერილობითი თანხმობით დამოუკიდებლად მოიპოვებს მტკიცებულებები,<sup>75</sup> მომკვლევნი კოლეგიის როლი ნათლად და ზუსტადაა ჩამოყალიბებული ქართულ სამართალში და დაცულია ის ძირითადი ფუნქციონალი, რაც აქვს მომკვლევ კოლეგიას, რომ განიხილოს საჩივრები, შეაგროვოს ინფორმაცია და მოიკვლიოს საჩივრის ნამდვილობის საფუძვლები.<sup>76</sup>

---

<sup>73</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი.

<sup>74</sup> იქვე, მე-2 ქვეპუნქტი.

<sup>75</sup> იქვე, მე-3 ქვეპუნქტი.

<sup>76</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014 145.

#### 4.1.2. დისციპლინური დევნის დაწყება და საქმის გადაცემა განმხილველი კოლეგიისთვის

დისციპლინური კოლეგიის მეორე ფუნქციაა, მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „თუ წახდგენიდი და მოკვდევური მტკიცებულებების საფუძველზე მომკვდევი კოდეგია მიიჩნევს, ხომ ახსებობს დასაბუთებული ვახაუდი მედიაგოხის მიეხ კოდექსის დახლვევის შესახებ, კოდეგია ილებ გადაწყვეტილებას დისციპლინუხი დევნის დაწყებისა და საქმის განმხილველი კოდეგისათვის გადაცემის თაობაზე.“<sup>77</sup> როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ მედიატორმა დაარღვია მისთვის დაწესებული ვალდებულებები, ეს შეიძლება გახდეს მისი პასუხისმგებლობის საფუძველი.<sup>78</sup> აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს მედიატორის ეთიკურ ვალდებულებათა ჯგუფს, ქართულ რეალობაში ეს გულისხმობს, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაძლო დარღვევის ფაქტის არსებობის ვარაუდს.

ძირითადად არსებობს მომკვლევი კოლეგიის გადაწყვეტილების ორი მოდელი. ერთ შემთხვევაში, მომკვლევი ფუნქციის მქონე ორგანო იკვლევს საჩივრის საფუძვლებს და მტკიცებულებებს, რის შემდეგაც ამზადებს დასკვნას და საჩივარი გაეგზავნება განმხილველ კოლეგიას, ხოლო განმხილველი კოლეგია თავად ილებ გადაწყვეტილებას, თუ რომელი სანქცია შეიძლება იყოს საჭირო მედიატორისთვის, ეს ნიშნავს, რომ მომკვლევი კოლეგია არ მოითხოვს სანქციას და აღნიშნულ კომპეტენციას უტოვებს განმხილველ კოლეგიას.<sup>79</sup>

---

<sup>77</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>78</sup> Buzatu N. E., The Responsibility of the Mediator, AGORA International Journal of Juridical Sciences, Vol. 4, 2013, 10.

<sup>79</sup> დეტალურად იხ. Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 842.

ამის საპასუხო მოდელის მიხედვით, როდესაც მომკვლევნი კოლეგიის ეტაპზე ვერ ხერხდება მედიატორსა და საჩივრის შემტან პირს შორის დავის მოგვარება, მომკვლევნი კოლეგია თავად ადგენს დასკვნას მედიატორის მიერ დარღვეული ვალდებულებების შესახებ და განსაზღვრავს, თუ რა სანქცია უნდა იქნას გამოყენებული მედიატორისა მიმართ. შესაბამისად, სანქციის განსაზღვრის ფუნქცია ფორმალურად ეძლევა მომკვლევ კოლეგიას.<sup>80</sup>

ქართულ რეალობაში, ადგილი დაიმკვიდრა მეორე მოდელმა, მართალია, პირდაპირ არ არის მითითება, თუ ვისი ინიციატივით უნდა დადგინდეს, რა სახის დისციპლინური ზემოქმედების ზომა უნდა გამოიყენოს ეთიკის კომისიამ, მაგრამ დებულების მიხედვით,<sup>81</sup> განმხილველი კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული სანქციის გამოყენების შესახებ. შესაბამისად, პრაქტიკაში სანქციის განსაზღვრისა და შეფარდების კომპეტენცია სრულად გადაცემულია განმხილველ კოლეგიაზე.

## 4.2. განმხილველი კოლეგია

განმხილველი კოლეგიის ცნება უკვე განხილულია წინამდებარე თავში. გასათვალისწინებელია, როგორ განხორციელდა განმხილველი კოლეგიის ცნების ჩამოყალიბება ქართულ სამართალში. მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულების მიხედვით,<sup>82</sup> განმხილველ კოლეგიას მინიჭებული აქვს ორი მთავარი ფუნქცია. კერძოდ, განმხილველი კოლეგია, განიხილავს მომკვლევნი კოლეგიის მიერ გადაცემულ საქმე-

---

<sup>80</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol.6, art.7, 155.

<sup>81</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>82</sup> იქვე.

ებს და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების ან გამოყენებაზე უარი თქმის შესახებ. საერთო ჯამში, აღნიშნული ფუნქცია, ზუსტად შეესაბამება საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკას.

რაც შეეხება განმხილველი კომისიის შემადგენლობის საკითხს, აღნიშნული დამოკიდებულია კანონმდებლის ნებაზე, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია განმხილველი კომისია შედგებოდეს 5, 3 ან უფრო მეტი წევრისგან.<sup>83</sup> საქართველოში, კანონმდებელმა აირჩია უფრო ფართო გზა და განმხილველი კოლეგიის შემადგენლობა დაკომპლექტებული იქნება 9 წევრით. დებულება არ შეიცავს რაიმე დათქმას იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს კოლეგიის წევრი, შესაბამისად, ივარაუდება, რომ განმხილველ კოლეგიაში მოხვდებიან ეთიკის კომისიის წევრები, რომლებიც აირჩევიან მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების მიერ აკრედიტებულ მედიატორთა სიიდან.<sup>84</sup>

#### **4.2.1. განმხილველი კოლეგიის სხდომა და კოლეგიის წევრის აცილების უფლება**

დისციპლინური საქმისწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია განმხილველი კოლეგიის სხდომა და მოს-

---

<sup>83</sup> ფლორიდის შტატის მაგალითი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან საქართველოსგან განსხვავებით, მომსმენი (განმხილველი კომისიის შემადგენლობა შემადგენლობა მოიცავს 5 წევრს, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ კონკრეტულ პროფესიებს, კერძოდ კომისიაში აუცილებლად უნდა იყოს ერთი საოლქო მოსამართლე, სამი აკრედიტებული მედიატორი, რომელთაგან ერთი აკრედიტებულია საჩივრების განხილვის სფეროში და ერთი ადვოკატი, Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.730, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>84</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდება, 24/05/2021, მე-20 მუხლი.

მენა. დისციპლინური საქმისწარმოების დებულების მე-17 მუხლის მიხედვით, „დისციპლინური განხილვა გაჩდება მხაჩეთა ზეპიხი მოსმენით მიუკეხიძობებობის, მხაჩეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით.“. შესაბამისად, დგება საკითხი, თუ რა ფორმით გამოვლინდება შეჯიბრებითობა განმხილველი კოლეგიის წინაშე. სასამართლო საქმისწარმოებისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეჯიბრებითობის პრინციპს განამტკიცებს, როგორც საქმისწარმოების ერთ-ერთ ქვაკუთხედს.<sup>85</sup> ხოლო, მეორე მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში გულისხმობს, „მხაჩეთა აქტიურობას, ხომლის მიხედვით, მტკიცების საგნის განსაზღვრა და ამ საგანში შემავადი ფაქტების დამტკიცების ტვიხითი მთიანად ეკისხება მხაჩეებს... გაჩდა ამისა შეჯიბრებითობა ნიშნავს, მოდავე მხაჩეთა თანაბაჩ შესაძლებლობას განკაჩგონ ფაქტობიხივი გაჩემოებების დადგენის საპროცესო საშუადებები, აგჩეთვე მიუთოთონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებდის დასასაბუთებდად.“<sup>86</sup> უნდა შემონმდეს რამდენად შეიძლება შეჯიბრებითობის სამოქალაქო საპროცესო სამართლისეული განმარტება და შინაარსი შეესაბამებოდეს განმხილველი კოლეგიის ეტაპზე ასოციაციასა და მედიატორს შორის მიმდინარე დისციპლინური წარმოების პროცესის შინაარსს.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, განმხილველი კოლეგიის ფუნქციას, ჩაატაროს მოსმენა, რა დროსაც მხარეებს (ასევე საჩივრის ავტორს) აქვთ უფლება მისცენ ჩვენება და ახსნა-განმარტება მტკიცებულებებთან დაკავშირებით.<sup>87</sup> ხოლო

---

<sup>85</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, მე-4 მუხლი.

<sup>86</sup> დიდუაშვიდი თ., ხიუსგადი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 8.

<sup>87</sup> აღნიშნული პრინციპი დამკვიდრებულია Rules of evidence-ის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ მოსმენის დროს პროცესისთვის ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა უნდა მოხდეს, ხოლო მტკიცებულებების შეფასების კომპეტენცია მოსამართლის (ავტ. ამ შემთხვევაში მოსმენის თავ-

უმთავრესი პრინციპი, რაც თან ახლავს განმხილველი კოლეგიის მუშაობას, არის შესაძლებლობის მიცემა მედიატორისთვის, რომ ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს პოზიცია და დაიცვას აღნიშნული მტკიცება, მის მიმართ წაყენებული ყველა შესაძლო დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით.<sup>88</sup>

დებულებაში მოცემული ჩანაწერი, რომ მოსმენა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, გულისხმობს, რომ საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტებს წარადგენენ მხარეები, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიღება საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილება<sup>89</sup> და მხარეებს უფლება აქვთ ისარგებლონ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომელიც დაკონკრეტებულია დებულების მე-17 მუხლის მე-10 პუნქტში.<sup>90</sup> მომსმენი კოლეგიის ფუნქცია კი გულისხმობს წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვასა და კომისიის სახელით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

დისციპლინური წარმოების მხარეებს წარმოადგენენ ასოციაცია და მედიატორი, შესაბამისად, მათ აქვთ მთელი რიგი საპროცესო უფლებები, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნე-

---

მკდომარის) ხელშია. ხოლო პრინციპის არსი გულისხმობს პროცესის მონაწილე მხარეთათვის თანაბარი, მოქნილი უფლებების მინიჭებას, რათა მათ შეძლონ სამართლიანი პროცესის მიღება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით. იხ. *Mengler T. M., The Theory of Discretion in the Federal Rules of Evidence, IOWA L. Rev., Vol. 74, 1989, 413-415.*

<sup>88</sup> *Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 810.*

<sup>89</sup> *გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 77.*

<sup>90</sup> მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო უფლებების განმარტებას დებულება იძლევა დამატებით, მე-17 მუხლის მე-10 პუნქტში, რითიც კონკრეტდება შეჯიბრებითობის პრინციპის პროცესუალური გამოხატვა მოსმენის ეტაპზე, რაც საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფის მიზნებისთვისა და პრაქტიკაში პროცესის სწორად განვითარებისთვის მყარ საფუძველს წარმოადგენს.



ლოვანესია, კოლეგიის თავმჯდომარისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს, რომ „კოლეგიის თავმჯდომარე განუმაჩტავს მხაჩეებს ეთიკის კომისიის ხომედიმე წევხის ან მთედი კოლეგიის აციღების უფღებას, ასევე შუამდგომღობების და დამაღებითი მგკიცღებუღბების წაღმოდგენის და წაღმოდგენღის ყოღის უფღებას.“<sup>91</sup>

აციღების ინსტიტუტი სამოქალაქო საპროცესო სამართლის განუყოფელი ნაწილია და მისგან გამომდინარე ახასიათებს დისციპლინური წარმოების პროცესსაც, ვინაიდან მას, ვისაც აქვს უფღება განსაჯოს, ასევე აქვს ვალდებუღბა, გადაწყვეტიღბების მიღების პროცესში იყოს ყურადღებით, რათა თავიდან აიციღლოს პირადი ინტერესთა კონფლიქტი რომელიმე მხარესთან პირადი თუ ფინანსური ურთიერთობის, საკუთარი შეხებუღბების ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, რაც დააზარაღბებს განხიღვის პროცესს.<sup>92</sup> სწორედ პროცესის დაცვისა და სამართლიანი განხიღვის ინტერესის გამო დისციპლინური საქმისწარმოებაც ითვალისწინებს ეთიკის კომისიის წევრის აციღების უფღებას.

სამოქალაქო პროცესში აციღება შეიძღბა გამოიხატოს ორი ფორმით, თვითაციღებით, როდესაც მოსამართლე საკუთარი ინიციაცივით გაღის განხიღვის პროცესიდან, რათა ამით დაიცვას დოქტრინა, რომ პროცესი იყოს სამართლიანი და ასევე ის, ვინც განსჯის, უნდა იყოს მიუკერძოებელი მხარეების მიმართ.<sup>93</sup> ხოლო ამის პარალელურად, აციღება შეიძღბა გამომდინარეობღეს მხარის მოთხოვნით.<sup>94</sup>

---

<sup>91</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებუღბა, 24/05/2021, მე-17 მუხლის მე-9 პუნქტი.

<sup>92</sup> *McKeown M. M.*, To Judge or Not to Judge: Transparency and Recusal in the Federal System, *The Review of Litigation*, Vol. 30, 2011, 654.

<sup>93</sup> *Bam D.*, Making Appearances Matter: Recusal and the Appearance of Bias, 2011 *Brigham Young University Law Review*, Issue 4, 2011, 945.

<sup>94</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებუღბა, 24/05/2021, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

თვითაცილება ფართოდ ცნობილი ცნებაა ქართულ და საერთაშორისო სამართლებრივ სისტემებში, თუმცა როცა საქმე ეხება თვითაცილების არსის განმარტებასა და საკანონმდებლო ტექნიკით ჩამოყალიბებას, ორი შესაძლო ფორმულირება შეიძლება გამოიყოს. ერთ შემთხვევაში, კომისიის წევრს აქვს უფლება საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი ინიციატივით უარი თქვას კონკრეტულ დისციპლინურ პროცესში მონაწილეობაზე, რა დროსაც კომისიის წევრი შესაბამისი მოთხოვნით მიმართავს ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ან შესაბამის ორგანოს,<sup>95</sup> ხოლო მეორე შემთხვევაში, საქმისწარმოების დებულება (კონკრეტული საკანონმდებლო აქტი) პირდაპირ იცნობს შესაბამის საფუძვლებს, რა დროსაც კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, როგორც ეს მოწესრიგებულია დებულებაში.<sup>96</sup> ორივე ტიპის თვითაცილების სტრუქტურის არსებობა ემსახურება ერთ მიზანს, რომ თუ კომისიის წევრი თვლის, რომ შესაძლოა მისმა მონაწილეობამ საფრთხე შეუქმნას სამართლიან და მიუკერძოებელ განხილვას, მან უნდა განაცხადოს თვითაცილება და ამით უზრუნველყოს, კეთილსინდისიერი და თავისუფალ კონკურენტულ გარემოზე დამყარებული შეჯიბრებითობა მხარეებს შორის.

თვითაცილების პარალელურად, უმნიშვნელოვანესია მხარისთვის უფლების მინიჭება, რომ მოითხოვოს კომისიის წევ-

---

<sup>95</sup> იხ. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.870, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>96</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „კომისიის წევრი ვადგებულება განაცხადოს თვითაცილება ამ მუხლით აღნიშნული ხომედიმე გახეშობების ახსებობისას. განცხადება თვითაცილების თაობაზე კმაყოფილდება თუ მას დასაბუთებუდად მიიჩნევეს კოლეგიის დანახჩენი ოხი წევხი. განხილვაში ახ მონაწილეობს კოლეგიის წევხი, ხომედმაც განაცხადა აცილება.“.

რის აცილება. აღნიშნულ შემთხვევაშიც, შესაძლებელია, ძირითადად, ორი ტიპის ფორმულირებით არსებობდეს აცილების ინსტიტუტი. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი დებულება იძლევა ზოგად შესაძლებლობას, რომ მხარემ მოითხოვოს აცილება იმ საფუძვლით, რომ კომისიის წევრი რაიმე ფორმით დაინტერესებულია საქმის შედეგით ან მოსმენაში მონაწილე მხარე რაიმე ფორმით კავშირშია კომისიის წევრთან,<sup>97</sup> ხოლო მეორე მოდელი, რომელიც საქართველომ აირჩია, არის შედარებით უფრო კონკრეტული გარემოებების ჩამოთვლა დებულებაში, რა შემთხვევებშიც საქმის მონაწილე მხარეს ეძლევა უფლება მოითხოვოს კომისიის წევრის აცილება. ამის ნათელი მაგალითია, დებულების მე-7 მუხლის მიხედვით აცილების საფუძველი, რაც გულისხმობს, თუ წარმოებაში მონაწილე მხარე კომისიის წევრის ახლო ნათესავია, კერძოდ, მისი კანონისმიერი მემკვიდრეა ან კომისიის წევრს „აქვს მედიატორთან ან მის წახმომადგენელთან ისეთი პირობისიუდი, ეკონომიკური ან /და პიხადი უხითიხითობა, ხომედიც ქმნის დასაბუთებულ ეჭვს მის მიუკეხიძობელობასთან ან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.“<sup>98</sup>

ახლო ნათესავად მხოლოდ კანონისმიერი მემკვიდრის მიჩნევით, დებულებამ აცილების საფუძვლები ქართულ სა-

---

<sup>97</sup> აღნიშნული ტიპის ფორმულირების ნათელია მაგალითია ფლორიდის შტატის საქმისწარმოების წესები, კერძოდ, ნებისმიერ მხარეს, საქმისწარმოების ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს კომისიის წევრის აცილება, თუ მხარე დაასაბუთებს, რომ კომისიის წევრს აქვს პირადი ინტერესი საქმეში, მონაწილე მხარე კომისიის წევრთან რაიმე ფორმითაა დაკავშირებული ან თავად კომისიის წევრი არის მოწმე და, შესაბამისად, მოწმის სტატუსით უნდა იქნას გამოსული საქმის განხილვაში. იხ. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.870, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [30.05.2021].

<sup>98</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი.

მართალში საკმაოდ შეავიწროვა, თუნდაც იმის ფონზე, რომ როდესაც საქმე ეხება აცილების ინსტიტუტის განმარტებას, სამოქალაქო სამართალში, ნათესაობა ნამდვილად არის აცილების საფუძველი, კონკრეტულად, როდესაც საქმე ეხება მოსამართლეებს და ნათესაობა გულისხმობს არა მხოლოდ კანონისმიერ მემკვიდრეს, არამედ ადამიანთა ისეთ ფართო ჯგუფს, როგორცაა: მეუღლე; დანიშნული; პირდაპირი ხაზის ნათესავები; და-ძმა; დისშვილები და ძმისშვილები; მშობლების და-ძმები; დანათესავებულები (მოყვრები), პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.<sup>99</sup>

ნათესაობის აღნიშნულმა ვიწრო განმარტებამ შესაძლოა გამოიწვიოს რიგი პრობლემები პრაქტიკის განვითარებისთვის, და საჭიროა ნათესაობის ცნების ან უფრო მეტად დაკონკრეტება ან შეცვლა იმგვარად, რომ ნათესაობა ცალკე არ გამოიყოფოდეს და აღნიშნული შეითავსოს დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მუხლის შინაარსმა, კერძოდ, პირადი ხასიათის ურთიერთობის შინაარსმა. გარდა აღნიშნული თვითაცილებისა და აცილების საფუძველებისა, დებულებას შესაძლებელია დაემატოს კიდევ ერთი პუნქტი, რომელიც გულისხმობს, რომ თუ კომისიის წევრი რაიმე ფორმით იყო მონაწილე იმ საქმეში, რომლისგან გამომდინარეც მიმდინარეობს დისციპლინური საქმისწარმოება მედიატორის მიმართ, საქმის მხარეებს ჰქონდეთ უფლება, მოითხოვონ აცილება.

აცილება და თვითაცილება არის ის ფუნდამენტური საკითხი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დისციპლინური მოსმენის სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, რაც შეჯიბრებითობის პრინციპის სამედიაციო პრაქტიკაში დანერგვის პირდაპირი წინაპირობა და საფუძველია.

---

<sup>99</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 31-ე მუხლი.

#### 4.2.2. მედიატორის გამოუცხადებლობის შედეგი

დისციპლინური მოსმენის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია მედიატორის უფლება, დაიცვას საკუთარი პოზიცია თავად ან წარმომადგენლის მეშვეობით. საგულისხმოა, რა არის ის სამართლებრივი შედეგი, რაც დგება მაშინ, როდესაც მედიატორი არ გამოცხადდება განხილვაზე.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მედიატორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია განიხილავს საჩივარს მედიატორის (მისი წარმომადგენლის) დაუსწრებლად და მიიღებს გადაწყვეტილებას,<sup>100</sup> მაგრამ მედიატორის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგი შესაძლებელია განსხვავებულადაც მოწესრიგდეს. რაც გულისხმობს, რომ მედიატორს (მის წარმომადგენელს) აქვს უფლება, თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს მოსმენაზე გამოცხადებას, მოითხოვოს ხელახალი მოსმენა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მოდელშიც, პირველივე გამოუცხადებლობაზე კომისია იტოვებს უფლებას განიხილოს საქმე დაუსწრებლად, ხოლო მედიატორს მოგვიანებით ეძლევა უფლება მოითხოვოს განმეორებითი მოსმენა.<sup>101</sup> სწორედ აღნიშნული მოდელი აირჩია ქართულმა კანონმდებლობამ და დებულების მე-17 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, დაუშვა შესაძლებლობა, რომ მედიატორის საპატიო მიზეზით გამოუცხა-

---

<sup>100</sup> აღნიშნული წესი მოქმედებს, კოლორადოს, არკანზასის შტატებისა და კანადის სახელმწიფოში. იხ. Colorado Ethics Committee Policy and Procedure, <<https://coloradomediation.org/ethics/>> [19.09.2021]; ADR Institute Of Canada, Complaints and Discipline Policy, <<https://adric.ca/rules-codes/complaints-discipline-policy/>> [19.09.2021]; Arkansas Judiciary, Complaints Against Mediators, <<https://www.arcourts.gov/adr/complaints-against-mediators>> [19.09.2021].

<sup>101</sup> იხ. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.820 <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

დებლობის შემთხვევაში ჩაინიშნოს მოსმენის ახალი თარიღი, რომელსაც თავად მედიატორი შესთავაზებს კომისიას, ხოლო განმეორებით გამოუცხადებლობა კი არ დააბრკოლებს კოლეგიას მიიღოს გადაწყვეტილება მედიატორის დაუსწრებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლავ ჩნდება კითხვა, კერძოდ, რა შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, არცერთი ნახსენები საკანონმდებლო აქტი აღნიშნულ კითხვას პასუხს არ სცემს, შესაბამისად, პრაქტიკის განვითარებისთვის პარალელი შეიძლება გაივლოს ქართულ მართლმსაჯულებაში საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შინაარსთან.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში ცნობილია რამდენიმე ძირითადი გარემოება, რა დროსაც მხარის გამოუცხადებლობა განხილვის დროს შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მიხედვით, გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, და შესაბამისად, გამოუცხადებლობა ჩაითვლება საპატიოდ თუ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.<sup>102</sup>

აღნიშნული საფუძვლები მნიშვნელოვანია აგრეთვე, მედიატორის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შინაარსის განმარტებისთვის.

დებულების მე-12 მუხლის მიხედვით, საჩივრის განმხილველი კოლეგიისთვის გადაცემის შემდეგ, კოლეგიამ უნდა აცნობოს მედიატორს აღნიშნულის შესახებ და თუ მედიატორს

---

<sup>102</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 233-ე მუხლი.

არ ეცნობა შესაბამისი წესით, რომ მის წინააღმდეგ საჩივარი შევიდა წარმოებაში, ბუნებრივია, მედიატორს არ ექნება შესაძლებლობა მოემზადოს მოსმენისთვის და მიიღოს თანახმობის პროცესი, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, შესაბამისად, თუ დებულებით განმტკიცებული შეტყობინების წესი არ არის დაცული, მედიატორის გამოუცხადებლობა არ იქნება არასაპატიო.

პარალელურად, მეორე საფუძველი გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლისთვის შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც მხარე სათანადო წესით გაფრთხილებულია, მაგრამ ვერ გამოცხადდება განხილვაზე ისეთი დაუძლეველი ძალის (მაგ. სტიქიური მოვლენები) ან ისეთი მიზეზის გამო (ავადმყოფობა, ავტოსაგზაო შემთხვევა და ა.შ.), რომელსაც შეეძლო ობიექტურად ხელი შეეშალა მხარისთვის ან მისი წარმომადგენლისთვის გამოცხადებულები მოსმენაზე,<sup>103</sup> გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ეკისრება მომჩივანს, ხოლო შეფასება, რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა.<sup>104</sup>

გამოუცხადებლობა საპატიო შესაძლებელია ასევე საპატიო იყოს, თუ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. დისციპლინური წარმოების მიზნებისთვის, აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვინაიდან, დებულების მე-12 მუხლის მიხედვით, განმხილველი კოლეგიის ეტაპზე საჩივრის გადასვლის შემთხვევაში, მედიატორს ეგზავნება საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, შესაბამისად, მედიატორის მიერ საკუთარი პოზიციის დაცვა დამოკიდებული ხდება სწორედ იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია მიუ-

---

<sup>103</sup> ჰაგენდოხი უ., ადავიძე ბ., ბაქაქუხი ნ., ბეჩეკაშვილი დ., გასიგაშვილი ე., თოფუა მ., მესხიშვილი ქ., ქათამაძე პ., ძიგეიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბ., 2020, 870.

<sup>104</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის №1440- 1360-2017 გადაწყვეტილება.

ვა მას კოლეგიიდან, თუ ინფორმაცია იქნება არასრული, მედიატორი ვერ შეძლებს სათანადოდ მოემზადოს მოსმენისთვის, რაც ეწინააღმდეგება დისციპლინური წარმოების პრინციპებსა და შეჯიბრებითობის პრინციპს.

აქედან გამომდინარე, დებულების მიზნებისთვის საპატიო გამოუცხადებლობა უნდა შეფასდეს ისე, როგორც ეს დამკვიდრებულია მართლმსაჯულებაში და საბოლოო შეფასების დისკრეცია მიენიჭოს კომისიას ყველა კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით, ხოლო საპატიოა თუ არა გამოუცხადებლობა, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი ეკისრება მედიატორს.

#### 4.2.3. ეთიკის კომისიის გადანყვეტილება

განმხილველი კოლეგია მოსმენის შემდეგ იღებს საბოლოო გადანყვეტილებას კომისიის სახელით. კომისიის გადანყვეტილება შეიძლება იყოს ერთ შემთხვევაში სანქციების გამოყენება, როდესაც კომისია დაადგენს, რომ მედიატორმა დაარღვია ეთიკის ნორმები,<sup>105</sup> ან მეორე შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადანყვეტილებას, რომ დისციპლინური გადაცდომა არ არის ჩადენილი და სანქციის გამოყენების საჭიროება არ არსებობს.

როგორც წესი, სხვადასხვა სამართლის სისტემა კონკრეტულად განსაზღვრავს ეთიკის კომისიის გადანყვეტილების სტრუქტურულ მხარეს, ვინაიდან აღნიშნული სტრუქტურის მიმოხილვა წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს, საჭიროა მხოლოდ რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, მთავარი რაც უნდა ახასიათებდეს დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ გადანყვეტილებას არის, რომ გადანყვეტილებაში ნათ-

---

<sup>105</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 842.



ლად უნდა იყოს წარმოდგენილი ფორმულა, რომ მედიატორმა დაარღვია (კონკრეტული ეთიკის ნორმა ან ნორმები), ხოლო აღნიშნულ ფორმულას წინ უნდა უსწრებდეს ან უნდა აგრძელებდეს იმ ფაქტობრივ გარემოებათა ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც მიიღო გადაწყვეტილება კომისიამ.<sup>106</sup>

მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულების მე-19 მუხლის მიხედვით, „კოდეჯის გადაწყვეტილება შედგება შესავადი, აღწეხილობითი, სამოტივაციო და სახეზოდუციო ნაწილებისაგან“. აღნიშნული წარმოდგენს ქართული სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურის გამეორებას და შესაბამისად, სტრუქტურულად კომისიის გადაწყვეტილებები იქნება სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსი.<sup>107</sup> გადაწყვეტილებამ სამართლიანად, ნათლად და ზუსტად უნდა წარმოადგინოს მნიშვნელოვანი ფაქტები და კანონის შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, მათი ანალიზით დაასაბუთოს დასკვნების სამართლიანობა.<sup>108</sup>

კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა უშუალოდ გადაწყვეტილების სტრუქტურის მოკვლევა, არამედ მასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები.

### 4.3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საჯაროობა

მედიატორის დისციპლინური პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, უკავშირდება საზოგადოების მხრიდან მოთხოვნილ პასუხისმგებლობის ფორმას, რომელიც მოწესრიგებულია შესაბამისი ზედამხედველი ორგანოს მიერ და მიზნად ისახავს,

---

<sup>106</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 155.

<sup>107</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 249-ე მუხლი.

<sup>108</sup> ქოქიაშვილი თ. (ივ.), რეკომენდაციები სასამართლო გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2010, 7.

არაკანონიერი პრაქტიკის ადეკვატურ შეფასებას, რომლის ძალითაც უნდა დადგეს შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი, არაკანონიერი ქმედების გამო.<sup>109</sup> საინტერესოა, რამდენად არის საზოგადოება ადრესატი, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, კერძოდ, რამდენად არის საჭირო გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს საჯაროდ?

გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, მანამდე სანამ მედიატორი აღიარებს და დათანხმდება სანქციებს, მთლიანი პროცესი არის კონფიდენციალური. ხოლო მას შემდეგ რაც მედიატორი აღიარებს ან გავა გასაჩივრების ვადები, კომისიის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ.<sup>110</sup> აღნიშნული ფორმულა შესაძლოა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სხვადასხვაგვარად იყოს წარმოდგენილი, თუმცა მთავარი არის ის, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნება მნიშვნელოვანია, რადგან გადაწყვეტილება შეიცავს არა მხოლოდ მედიატორის მიერ დარღვეული ვალდებულებების განმარტებას, არამედ ასევე აღნიშნული განმარტება და პრაქტიკის დამკვიდრება პირდაპირ კავშირშია საგანმანათლებლო მიზნებთან და ქმნის პრაქტიკას, რომელიც იძლევა მაგალითებს სხვა მედიატორებისთვის.<sup>111</sup> მაგრამ კითხვა, უნდა გახდეს თუ არა ცნობილი მედიატორის სახელი გადაწყვეტილებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ქართულმა სამართალმა აირჩია გზა, რომ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს მედიატორის ვინაობა.<sup>112</sup> აღნიშნული

---

<sup>109</sup> *Buzatu N. E.*, The Responsibility of the Mediator, *AGORA International Journal of Juridical Sciences*, Vol. 4, 2013, 10.

<sup>110</sup> *Young P. M.*, Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 813.

<sup>111</sup> იქვე, 814.

<sup>112</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი.

პრაქტიკა სრულიად მიღებულია, ვინაიდან, მედიაციის მიმართ ნდობას განაპირობებს ინსტიტუტის მდგრადობა, შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან დაკვეთაა, რომ მედიაცია იყოს კომპეტენტური მედიატორის ხელში, ხოლო თუ არსებობს გადაცდომა, ამის შესახებ საზოგადოებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია. მაგრამ საინტერესო დებულებას შეიცავს ფლორიდის შტატის კანონმდებლობა, სადაც შესაძლებელია მედიატორმა და მომკვლევმა კოლეგიამ მიაღწიონ შეთანხმებას, რის მიხედვითაც, საბოლოო გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ისე, რომ გადაწყვეტილებაში არ იქნება მითითებული მედიატორის ვინაობა და სანქცია, არამედ გამოქვეყნდება მხოლოდ საჩივრის საფუძვლები და შეთანხმება მედიატორსა და მომკვლევ კოლეგიას შორის.<sup>113</sup> აღნიშნული შემთხვევა შესაძლებელია ქართული რეალობისთვისაც იყოს საინტერესო, ვინაიდან აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილებაში აისახება საკმარისი ინფორმაცია, რათა გადაწყვეტილების საგანმანათლებლო და საჯარო მიზნები მიღწეული იქნება და ასევე მედიატორის პროფესიული რეპუტაცია მის წინააღმდეგ მიღებული დისციპლინური გადაწყვეტილებით არ შეილახება.

ასევე, შესაძლებელია მოხდეს ფლორიდის შტატის კანონმდებლობიდან ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მუხლის რეცეფცია,<sup>114</sup> კერძოდ, თუკი კონფიდენციალობა რაიმე ფორმით დაირღვევა ეთიკის კომისიის რომელიმე წევრის მიერ საქმის განხილვის რომელიმე ეტაპზე, აღნიშნული უნდა ითვალისწინებდეს კომისიის წევრისთვის წევრობის სტატუსის ჩამორთმევას ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ან ასოციაციის მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა მაქსიმალურად მაღალი სტანდარტით.

---

<sup>113</sup> იხ. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.850, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>114</sup> იქვე.

## 5. მტკიცების სტანდარტი დისციპლინურ საქმისწარმოებაში

მტკიცებულებები ნებისმიერი სამართლებრივი პროცესის ცენტრალური საკითხია, ვინაიდან მათ გააჩნიათ შინაარსი, რაც გულისხმობს სასარჩელო ფაქტების შესახებ ინფორმაციას,<sup>115</sup> ამასთანავე, მტკიცებულებას გააჩნია მოკვლევისა და მტკიცების პროცესუალური როლი.<sup>116</sup> აღნიშნული განმარტება მიემართება სამოქალაქო საპროცესო სამართალში დამკვიდრებულ მტკიცებულებათა განმარტების პრინციპს, ამიტომ, შესაფასებელია საკითხი - რა არის მტკიცებულება და რას გულისხმობს მტკიცების სტანდარტი დისციპლინურ საქმისწარმოებაში?

მტკიცებულების არსის განმარტებას დებულება არ შეიცავს, თუმცა შესაძლებელია მისი განმარტება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, კერძოდ, მტკიცებულება ეს არის მტკიცების საშუალებათა სახეები, რომელიც გამოიყენება სასამართლოში საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად.<sup>117</sup> დისციპლინურ წარმოებაში დაშვებულია კონკრეტული სახის მტკიცებულებების არსებობა, რომელთა შინაარსის მიმოხილვა მნიშვნელოვანია.

### 5.1. მტკიცებულებათა სახეები

#### 5.1.1. მოწმეთა ჩვენება

დისციპლინური დებულებები, როგორც წესი არ შეიცავს მოწმის დეფინიციას, აღნიშნული გამომდინარეობს ზოგადი განმარტებიდან. სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული

---

<sup>115</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 11.

<sup>116</sup> იქვე.

<sup>117</sup> დიდუაშვიდი თ., ხეუსგაღი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 207.

ზოგადი პრინციპის თანახმად, მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია მიაწოდოს სასამართლოს ცნობები საქმის გარემოებების შესახებ.<sup>118</sup> განმარტება გასაზიარებელია დისციპლინურ წარმოებაშიც, რადგან დისციპლინურ წარმოებაში გამოიყენება დამკვიდრებული, ზოგადი მტკიცებულებათა წესი,<sup>119</sup> რაც გულისხმობს შესაბამისი იურისდიქციისთვის დამახასიათებელი მტკიცებულებათა წესის გამოყენებას, კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით.

მოწმე დისციპლინურ წარმოებაში უნდა განიმარტოს, როგორც ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს საჭირო ინფორმაცია, ხოლო აღნიშნულ პირებს განსაზღვრავს ერთი მხრივ, საჩივრის ავტორი,<sup>120</sup> ხოლო, მეორე მხრივ, საჩივრის წარმდგენი პირისა და მედიაციის მხარეთა თანხმობით, მომკვლევ კოლეგიას ასევე აქვს კომპეტენცია თავად მოიპოვოს ყველა სახის მტკიცებულება, მათ შორის მოიწვიოს მოწმეები.<sup>121</sup>

მნიშვნელოვანია, რომ დებულება არ იცნობს მოწმის ფიცის ცნებას, რაც გავრცელებული პრაქტიკაა, რომ მოწმემ, ჩვენების მიცემისას, დაიფიცოს რომ იტყვის სიმართლეს, და დამატებით, არ გასცემს კონფიდენციალურ ინფორმაციას მანამდე, სანამ მოსმენას არ მიენიჭება არაკონფიდენციალური ხასიათი.<sup>122</sup>

---

<sup>118</sup> იქვე, 256.

<sup>119</sup> *Young P. M.*, Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 810.

<sup>120</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი.

<sup>121</sup> იქვე, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი.

<sup>122</sup> იხ. *Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators*, Rules 10.850 (b), <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

## 5.1.2. მხარეთა ახსნა განმარტება და წერილობითი მტკიცებულებები

მხარე - ეს არის პირი, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილეა. ამიტომ მან ყველაზე კარგად უნდა იცოდეს იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც მხარეთა ახსნა განმარტებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებად თვლის.<sup>123</sup> დისციპლინურ წარმოებაში აღნიშნული პრინციპი გათვალისწინებულია და ახსნა-განმარტების მიცემის უფლება, პირველ რიგში, მედიატორისთვისაა, მნიშვნელოვანია მტკიცებისთვის, კერძოდ, მედიატორის წერილობითი ახსნა-განმარტება,<sup>124</sup> რათა გააქარწყლოს მის წინააღმდეგ არსებული საჩივარი.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებითი ძალის მქონე ახსნა-განმარტებად. აღნიშნული გულისხმობს, რომ მტკიცებულებას წარმოადგენს ახსნა-განმარტების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა/არ არსებობას ადასტურებს.<sup>125</sup>

მხარეთა ახსნა-განმარტების გვერდით არსებობს ასევე წერილობითი მტკიცებულებები. ქართულ სამართალში, „წეხილობით მტკიცებულებებს წახმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პიხადი ხასიათის წეხილები, ხომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გახეშობათა შესახებ.“<sup>126</sup> რაც გულისხმობს, მტკიცებულებას, რომელსაც აქვს ძალა კონკრეტუ-

---

<sup>123</sup> დიდუაშვიდი თ., ხეუსგადი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 234.

<sup>124</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>125</sup> დიდუაშვიდი თ., ხეუსგადი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 235.

<sup>126</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 134-ე მუხლი.

ლი ფაქტის სავარაუდო რეალურობის დადასტურების ან უარყოფის.<sup>127</sup>

დისციპლინურ საქმისწარმოებაში წერილობითი მტკიცებულებები მნიშვნელოვანია. როგორც წესი, დისციპლინური წარმოების წესები არ შეიცავს განმარტებას თუ რა შეიძლება იყოს წერილობითი მტკიცებულება, შესაბამისად, გასაზიარებელია წინამდებარე დოკუმენტური მტკიცებულების განსაზღვრება, ხოლო დოკუმენტის შეფასება დამოკიდებულია ინდივიდუალურ პროცესზე. ამასთანავე, ზოგადი პრინციპის მიხედვით, რომელიც დამკვიდრებულია ქართულ სამართალში, წერილობით მტკიცებულებებს თავად წარადგენენ მხარეები და ეკისრებათ აღნიშნული მტკიცებულების სარგებლიანობის მტკიცების ტვირთი.<sup>128</sup>

### 5.1.3. სხვა სახის მტკიცებულებები

გარდა მოწმისა და წერილობითი მტკიცებულებებისა, დისციპლინური წარმოების პროცესში, მიღებულია მტკიცებულებების ზოგადი სტანდარტი, რაც გულისხმობს, რომ პროცესში შესაძლებელია ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, როგორებიცაა: ექსპერტის მოწვევა,<sup>129</sup> და მედიაციის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის დასაშვებობა.

ექსპერტიზის დასკვნა, როგორც მტკიცებულება გავრცელებული პრაქტიკაა სასამართლო წარმოებაში, რაც გულისხმობს, რომ თუ სასამართლოს წინაშეა ისეთი გარემოებები, რომელთა გარკვევა ჩვეულებრივი მეთოდებით შეუძლებელია, სასამართლოს დიდი დახმარება შეიძლება გაუწიოს შესა-

---

<sup>127</sup> Timothy A. R., *Introducing Documentary Evidence*, Army Law, Vol. 30, 1985, 30.

<sup>128</sup> დიდუაშვიდი თ., ხუხუგაძე ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 246.

<sup>129</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი.

ბამისი დარგის ექსპერტმა.<sup>130</sup> დასახელებული სახის მტკიცებულება ნაკლებად რელევანტური და გავრცელებულია დისციპლინურ საქმისწარმოებაში, შესაბამისად, ნაკლებად შეესაბამება კვლევის მიზნებისთვის დეტალურ განხილვას. რაც შეეხება მედიაციის პროცესის ჩანაწერის დასაშვებობას, აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილული იქნება ამავე თავის მე-4 ქვეთავში.

## 5.2. მომკვლევ კოლეგიის მიერ მტკიცებულებათა შეგროვება

მომკვლევ კოლეგიის ერთ-ერთი ფუნქციაა, განახორციელოს საკუთარი გამოძიება და ამ გამოძიების პროცესში თავად შეაგროვოს მტკიცებულებები.<sup>131</sup> თავისთავად, ყალიბდება კითხვა, თუ რას გულისხმობს მომკვლევ კოლეგიის მიერ მტკიცებულებების შეგროვება?

მომკვლევ კოლეგიის მიერ მტკიცებულებათა შეგროვება სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. პირველ რიგში, ეს შეიძლება იყოს მომკვლევ კოლეგიის მიერ პერსონალური შეხვედრა მედიატორთან და მისი ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ, საქმეზე გადაწყვეტილების მიღება.<sup>132</sup> პრაქტიკაში ასევე დამკვიდრებულია სატელეფონო ან სხვა სახის დისტანციური კომუნიკაციის გამოყენება მედიატორისგან ახსნა-განმარტების მოსმენისთვის.<sup>133</sup> რაც პირდაპირ არ არის

---

<sup>130</sup> დიდუაშვიდი თ., ხუსგადი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 284.

<sup>131</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.740, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>132</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 146.

<sup>133</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 840.



გათვალისწინებული ქართულ რეალობაში, მაგრამ პროცესის გამარტივებისა და ეფექტურობის მიზნებისთვის, შესაძლებელია აღნიშნული წესის სამომავლოდ დამკვიდრება.

მეორე მხრივ, მომკვლევ კოლეგიას შესაძლებელია მინიჭებული ჰქონდეს ფუნქცია, რომ თავად განსაზღვროს იმ პირთა წრე, ვისაც უფლება აქვს ჰქონდეს დამატებითი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით და დაუკავშირდეს მათ, ასევე მოიწვიოს ასეთი პირები მოწმეებად ან გამოითხოვოს მათგან წერილობითი მტკიცებულებები.<sup>134</sup>

ქართულ რეალობაში მომკვლევმა კოლეგიამ შეითავსა ორივე ფუნქცია, რაც გულისხმობს, რომ, ერთი მხრივ, მომკვლევ კოლეგიას აქვს უფლება გამოიკითხოს მედიატორი და საჩივრის ავტორი, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი ინიციატივითა და მხარეთა წერილობითი თანხმობით, შეაგროვოს მტკიცებულებები.<sup>135</sup> მომკვლევმა კოლეგიამ უნდა დაუშვას ყველა ის მტკიცებულება, რომელსაც თვლის, რომ საჭიროა სხვა მტკიცებულებების დასაშვებობისთვისაც.<sup>136</sup>

### **5.3. მედიაციის პროცესში მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის მტკიცებულების სახით გამოყენების შესაძლებლობა**

მნიშვნელოვანი საკითხია განისაზღვროს, თუ რამდენად დასაშვებია მედიაციის პროცესში კონფიდენციალური ინ-

---

<sup>134</sup> Rules of the Dispute Resolution Commission, Supreme Court of North Carolina, Rule 9. d(1), <<https://www.nccourts.gov/courts/supreme-court/court-rules/rules-of-the-dispute-resolution-commission>> [19.09.2021].

<sup>135</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები.

<sup>136</sup> *Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 859.*

ფორმაციის, დისციპლინურ წარმოებაში მტკიცებულებად გამოყენება. დამკვიდრებული სტანდარტის მიხედვით, მედიაციის დროს შემდგარი კომუნიკაციის შინაარსი არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე მხარეებისთვის, გარდა დისციპლინური განხილვის ორგანოსი.<sup>137</sup> თუმცა არსებობს კონკრეტული გამონაკლისები და წესები, რომელთა განხილვაც მნიშვნელოვანია.

კონფიდენციალობის დაცვის სხვადასხვა მოდელს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ფლორიდის შტატის მაგალითი, სადაც არსებობს სპეციალური კანონი მედიაციის კონფიდენციალობის შესახებ.<sup>138</sup> ეს კანონი ადგენს ერთ მნიშვნელოვან სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, მხარეებსა და მედიატორს უფლება აქვთ უარი თქვან და უარი ათქმევიწინონ ყველა პირს სამედიაციო კომუნიკაციის შინაარსის გამჟღავნებისგან.<sup>139</sup> სტანდარტი მნიშვნელოვანი და საინტერესოა ქართული რეალობისთვისაც, ვინაიდან, დებულების მიხედვით, მედიატორს უფლება აქვს გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია დაეხმარება მას საკუთარი პოზიციის დაცვაში დისციპლინურ საქმისწარმოებაში.<sup>140</sup>

მედიატორს აქვს უფლება დაამტკიცოს, რომ მის მიერ არ მომხდარა პროფესიული გადაცდომა და ამის მტკიცებისთვის გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია დისციპლინური წარმოების პროცესში.<sup>141</sup>

---

<sup>137</sup> *Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 145.*

<sup>138</sup> *იხ. The 2020 Florida Statutes, Chapter 44, Mediation Alternatives To Judicial Action, <[http://www.leg.state.fl.us/statutes/index.cfm?App\\_mode=Display\\_Statute&URL=0000-0099/0044/0044.html](http://www.leg.state.fl.us/statutes/index.cfm?App_mode=Display_Statute&URL=0000-0099/0044/0044.html)> [19.09.2021].*

<sup>139</sup> იქვე.

<sup>140</sup> *სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.*

<sup>141</sup> *Tetunic F. L., Act Deux: Confidentiality After the Florida Mediation Confidentiality and Privacy Act, Nova Law Review, Vol. 1, Art. 4, 2011, 84.*

რა თქმა უნდა, არსებობს მოსაზრება, აღნიშნული უფლება მედიატორისთვის არის გარანტირებული, თუ ინფორმაციის გამჟღავნებისთვის მას სჭირდება დამატებითი თანხმობა, მისგან, ვისაც შეეხება გასამჟღავნებელი ინფორმაცია. კითხვაზე პასუხი უნდა იყოს მედიატორისთვის სასარგებლო, რაც გულისხმობს, რომ ერთი მხრივ, საჩივრის ავტორს, ხოლო, მეორე მხრივ, მედიატორს უნდა მიეცეთ უფლება გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ ეს საჭიროა მათი პოზიციების დასაბუთებისთვის.<sup>142</sup> გასათვალისწინებელია, რომ მოცემული პრინციპი, ქართულ სამართალში მოიცავს მხოლოდ მედიატორისთვის მინიჭებულ უფლებას გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია საკუთარი პოზიციის დასაბუთებისთვის. შესაბამისად, დებულებაში ბუნდოვანია საკითხი, აქვთ თუ არა უფლება მედიატორში მონაწილე სხვა პირებს, მედიატორის მსგავსად, დისციპლინური წარმოების პროცესის მიზნებისთვის, საკუთარი ინიციატივით გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია.<sup>143</sup>

#### **5.4. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა**

ქართულ სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულია პრინციპი, რომ „კანონის დაზღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იუხიდიუდი ძადა ახა აქვთ.“<sup>144</sup> აღნიშნული პრინციპი ასევე ასახულია დებულებაში, რომელიც ასევე კრძალავს მომკვლევ კოლეგიის მიერ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებას დისციპლინურ წარმოებაში.<sup>145</sup> რას გულისხმობს აღნიშნული ტიპის მტკიცებულებები და რამდე-

---

<sup>142</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 820.

<sup>143</sup> იქვე, 860.

<sup>144</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997, 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>145</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი.

ნად შეესაბამება აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი საერთაშორისო სტანდარტებს?

როგორც წესი, საპროცესო კოდექსები არ განსაზღვრავს იმას, თუ რა ტიპის მტკიცებულებებია კანონის დარღვევით მოპოვებული, არამედ საპროცესო სამართალში დამკვიდრებულია ზოგადი, განმარტება, რომ კანონის დარღვევითაა მოპოვებული მტკიცებულება, თუ მისი მოპოვებისას დაირღვა ამა თუ იმ კანონის წესები ან მისი მოპოვებით ილახება მხარეთა ან მესამე პირთა უფლებები.<sup>146</sup>

მაგალითად, სასამართლო წარმოებისას, თუ მოწმეს დაკითხავს დაინტერესებული პირი და არა სასამართლო, მოწმის ჩვენება იქნება უკანონო და დაუშვებელი მტკიცებულება.<sup>147</sup> აღნიშნული პრინციპის გამოყენება დისციპლინურ წარმოებაში სრულიად დასაშვებია, ვინაიდან დებულება თავად არ განმარტავს, თუ რა ტიპის მტკიცებულებებს მოიცავს კანონით დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, შესაბამისად, პრაქტიკაში მნიშვნელოვანია ქართულ სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენება და შესაბამისი განმარტებების გაკეთება. როდესაც საქმე ეხება მტკიცებულებათა ზოგადი სტანდარტის გავრცელებას დისციპლინურ წარმოებაში, გასათვალისწინებელია, რომ რიგი დისციპლინური დებულებები შეიცავს მითითებას აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც ეს არის მოცემული ფლორიდის შტატის კანონმდებლობის მაგალითზე, სადაც დისციპლინური წარმოების დებულება შეიცავს დათქმას, რომ დისციპლინური წარმოების პროცესში მტკიცებულებათა სტანდარტი შეიძლება დადგინდეს იმ პრინციპებით, როგორც ეს დგინდება სამოქალაქო სასამართლო საქმისწარმოებაში.<sup>148</sup>

---

<sup>146</sup> *ჭანგუჩია დ. (ივდ.)*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 450.

<sup>147</sup> *დიდუაშვილი თ., ხუსტაძე ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 205.

<sup>148</sup> *nb. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.820, d(3)*, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

დისციპლინურ წარმოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება მიიღოს სამართლიანი პროცესი მის წინააღმდეგ.<sup>149</sup>

სამართლიანობის პრინციპის განმარტება საკმაოდ რთულია და საჭიროა ბალანსის პოვნა პრეიუდიციასა და ფაქტებს შორის.<sup>150</sup> ქართულ რეალობაში აღნიშნული ბალანსი დაამკვიდრა უზენაესმა სასამართლომ. ერთ-ერთ საქმეში, სადაც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო წარმოადგენს თუ არა ორი ფიზიკური პირის პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებას აღნიშნულ პირთა შორის სამოქალაქო დავის პროცესში, საქართველოს საკასაციომ სასამართლომ აღნიშნული ჩანაწერი არ დაუშვა მტკიცებულებად და განმარტა, რომ „პიხადი საუბრის ფაქური ჩაწეხა, ხორღ შემდეგ სასამაიხთდოში მტკიცებუდების სახით წაიგგენა, ეწინააღმდეგება საქაიხთვედროს კონსტიტუციის მე-20 მუხდით გაიხანტიხებუდ პიხადი ცხოვხებისა და პიხადი კომუნიკაციის ხედშეუვადობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხდს.“<sup>151</sup> იმავე საქმეში, სასამართლომ განმარტა, რომ „ვინაიდან საუბაიხი, მეოიხე მხაიის ნებაიხთვის გაიხეშე, ფაიხუდად აიხის ჩაწეიიდი, ამიგომ იგი კანონდაილვევითაა მოპოვებუდი.“ შესაბამისად, „სადავო გაიხემოების დასადგენად ფაიხუდი აუდიო-ჩანაწეიი, ხოგოიხც კანონის დაილვევით მოპოვებუდი მტკიცებუდება, აი შეიდიდება იქნეს გამოყენებუდი.“<sup>152</sup>

---

<sup>149</sup> European Convention on Human Rights, Protocol: 6.2, <<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=basictexts&c>> [19.09.2021].

<sup>150</sup> Samuels A., Illegally Obtained Evidence: In or Out, 67 J. CRIM. L. 411, 2003, 412.

<sup>151</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის №2ას-1155-1101-2014 გადაწყვეტილება.

<sup>152</sup> იქვე.

მედიაცია კონფიდენციალური პროცესია, სადაც მხარეებს აქვთ ცოდნა, რომ მათი კომუნიკაცია არ გახდება საჯარო.<sup>153</sup> აღნიშნული გამომდინარეობს კონფიდენციალობის პრინციპისა და მედიაციის, როგორც ხარისხიანი პროცესის დაცვის პრინციპებიდან, რაც გულისხმობს, რომ მედიაციის პროცესში, საჯარო არ გახდება მონაწილეთა ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია.<sup>154</sup> ეს კი თავისთავად ადგენს სტანდარტს, რომ მედიაციის პროცესის ფარულად ჩაწერა არღვევს მედიაციის კონფიდენციალობის პრინციპს. რაც შეეხება მედიაციის პროცესის ჩაწერა წინასწარი შეთანხმებით, აღნიშნული, როგორც წესი, პირდაპირ არ არის აკრძალული, მაგრამ კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ არ არსებობდეს მედიაციის ჩანაწერი, ვინაიდან თუ არ არსებობს ჩანაწერი,<sup>155</sup> არ არსებობს სესიის გასაჯაროების საფრთხე. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია მედიაციის წესები პირდაპირ ითვალისწინებდეს სესიის ჩაწერას რაიმე ფორმით.<sup>156</sup>

მნიშვნელოვანია ფორმულა, რომ მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, მედიაციის პროცესის ჩაწერა არ არის მიზანშეწონილი.<sup>157</sup> ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ სამართალში დამკვიდრებული კონსტიტუციური სტანდარტის მიხედვით, რომელსაც ასევე იმეორებს დებულება, დისციპლინურ საქმისწარმოებაში, ფარული ჩანაწერი არ დაიშვება მტკიცებულებად.

---

<sup>153</sup> Kovach K., *Mediation In a Nutshell*, 2<sup>nd</sup> ed., South Texas College of Law, West, a Thompson Business, 2010, 40.

<sup>154</sup> იქვე, 202.

<sup>155</sup> Oregon State Agency, *Mediation Confidentiality Bulletin*, Oregon Department of Justice, 2017, 4, <<https://www.doj.state.or.us/oregon-department-of-justice/client-resources/appropriate-dispute-resolution/mediation-confidentiality/>> [19.09.2021].

<sup>156</sup> Oklahoma Human Services, *Procedure for Mediation, Confidentiality: (F)*, <<https://oklahoma.gov/okdhs/library/policy/current/okdhs/chapter-2/subchapter-1/parts-4/procedure-for-mediation.html>> [19.09.2021].

<sup>157</sup> Florida Department of Education (FLDOE) Bureau of Exceptional Education and Student Services, *Mediation - Parents and School Districts Working Together*. <[www.fldoe.org](http://www.fldoe.org/core/fileparse.php?url=MediationFactSheet)> core > fileparse.php > url > MediationFactSheet > [19.09.2021].

## 6. დისციპლინური საქმის წარმოების შედეგი და სანქციები

### 6.1. სანქციის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

განმხილველი კოლეგია გამოიტანს სანქციის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებას მას შემდეგ, რაც დაადგენს რომ მედიატორმა დაარღვია ეთიკური ნორმები.<sup>158</sup> ზოგადად, არსებობს სხვადასხვა ტიპის სახდელი, მათ შორის ძირითადია:

1. მედიაციის პროცესის ხარჯის დაკისრება მედიატორისთვის;
2. ზეპირი და წერილობითი გაფრთხილება;
3. მედიატორის სავალდებულო გადამზადება (ტრენინგი);
4. კონკრეტული ტიპის სამედიაციო დავების განხილვის შეზღუდვა;

5. საქმიანობის უფლების შეჩერება ან აკრძალვა კონკრეტული დროით ან უვადოდ;

6. სხვა ტიპის სანქციები მედიატორთან შეთანხმებით.<sup>159</sup>

დებულება ითვალისწინებს ოთხი სახის სახდელის ზომას:

1. გაფრთხილება; 2. ასოციაციის წევრობის შეჩერება 1 (ერთი) წლამდე ვადით; 3. ასოციაციიდან გარიცხვა 3 წლის შემდეგ ხელახლა მიმართვის უფლებით; 4. ასოციაციიდან გარიცხვა ხელახლა მიმართვის უფლების გარეშე.<sup>160</sup>

---

<sup>158</sup> იხ. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.820. (m), <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>159</sup> *Young P. M.*, Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 811.

<sup>160</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-20 მუხლი.

## 6.2. სანქციის სახეები

### 6.2.1. ფულადი სახდელი

ფულად სახდელს, როგორც წესი, არ ითვალისწინებს დისციპლინური წარმოების პრაქტიკა, ერთ-ერთი გამონაკლისია ფლორიდის შტატი, რომელიც ითვალისწინებს მედიატორისთვის სანქციის სახით პროცესის ხარჯების დაკისრებას (*Imposition of costs of the proceeding*).<sup>161</sup>

აღნიშნული სანქცია განიმარტა ერთ-ერთ საქმეში, სადაც მედიატორს დაეკისრა ფულადი სახდელი, კერძოდ, მას დაეკისრა არა მედიაციის პროცესში წარმოშობილი ხარჯების, არამედ დისციპლინურ საქმისწარმოებაში, მომკვლევისა და კომისიის წევრების მოგზაურობის ხარჯები.<sup>162</sup> ამ ტიპის სანქციას არ იცნობს ქართული კანონმდებლობა, რადგან თუ ხარჯი არ ეხება თარჯიმნის სპეციალისტის ან მოწმის მოწვევას, ასოციაცია თავად ფარავს ხარჯებს.<sup>163</sup>

ფულადი სანქციის გათვალისწინება ქართულ რეალობაში შესაძლებელია, რაც ასოციაციას თავიდან ააცილებს გაუთვალისწინებელ ხარჯებს და დაამკვიდრებს დისციპლინური სახდელის კიდევ ერთ სტანდარტს.

### 6.2.2. ზეპირი ან წერილობითი გაფრთხილება

საჯარო გაფრთხილება გულისხმობს, რომ პირმა ჩაიდინა პროფესიული გადაცდომა, მაგრამ ამის გამო მას არ ეზღუდება

---

<sup>161</sup> იხ. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.830. a (1), <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>162</sup> იხ. Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, *Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation*, Vol. 6, 2014, 159.

<sup>163</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი.



საქმიანობა.<sup>164</sup> აღნიშნული ტიპის გაფრთხილება შეიძლება იყოს, როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმით.<sup>165</sup> ქართულ რეალობაში დებულება არ აკონკრეტებს რა ფორმით უნდა გაიცეს გაფრთხილება მედიატორის მიმართ. ამიტომ, დასაზუსტებელია გაფრთხილების გაცემის ფორმა.

### 6.2.3. მედიატორის დამატებითი გადამზადება

საკითხი, როდესაც დისციპლინური დარღვევა ჩადენილია პროფესიული არაკომპეტენტურობის გამო განმხილველმა კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება რესპოდენტისთვის დამატებითი ტრენინგების საჭიროების შესახებ.<sup>166</sup> რაც პრაქტიკულად გულისხმობს, პირის სპეციალურად იმ სფეროში გადამზადებას, რომელშიც მან ჩაიდინა გადაცდომა.

მაგალითად, ფლორიდის დისციპლინურმა კომისიამ ერთ-ერთ საქმეში, მედიატორი დაავალდებულა დამატებით 6 საათიანი ტრენინგის გავლა მედიაციის რეკლამირებასა ანაზღაურების მიღების ეთიკურ სტანდარტში, ვინაიდან, მედიატორმა დაარღვია რეკლამირებისა და ანაზღაურების მიღების პრინციპი.<sup>167</sup>

ხოლო სხვა საქმეში ეთიკის კომისიამ მედიატორი დაავალდებულა გაეწყო დამატებითი ტრენინგები გენდერულ, კულტურულ განსხვავებებსა და პროფესიული საუბრის სფე-

---

<sup>164</sup> State Bar of Georgia, Discipline Definitions, <<https://www.gabar.org/disciplinedefinitions.cfm>> [19.09.2021].

<sup>165</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.830. a (2), (3), <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

<sup>166</sup> Haynsworth H. J. IV, Disciplinary Actions by the South Carolina Supreme Court and the Board of Commissioners on Grievances and Discipline: Lawyers Beware, South Carolina Law Review, Vol. 36, Issue 3, 1985, 392.

<sup>167</sup> Florida Mediator Qualifications and Discipline Review Board, Case N9QCC 2012-037, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions/Sanctions-Imposed>> [19.06.2021].

როში, რადგან მედიატორმა მედიაციის პროცესში ერთ-ერთ მხარეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მიმართა დისკრიმინაციულად გენდერის ნიშნით.<sup>168</sup>

აღნიშნული ტიპის სანქციას არ ითვალისწინებს ქართული რეალობა, მაგრამ ვინაიდან სანქციის არსებობის მიზანია მედიატორთა პროფესიული გადამზადების ეფექტურობა, სასურველია აღნიშნული ტიპის სანქცია დამკვიდრდეს ქართულ რეალობაში და მედიატორთა გადამზადებას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი.

#### 6.2.4. კონკრეტული ვადით საქმიანობის შეზღუდვა

დროებით საქმიანობის შეზღუდვა ორი ფორმით შეიძლება არსებობდეს. ერთი მხრივ, მედიატორს შეიძლება შეეზღუდოს განსაზღვრული ვადით კონკრეტული დავის კატეგორიის შესახებ მედიაციაში ჩართვა და მეორე მხრივ, კონკრეტული ვადით შეეზღუდოს მთლიანად სამედიაციო საქმიანობა.<sup>169</sup>

ქართულ რეალობაში მხოლოდ მეორე ვარიანტი დამკვიდრდა. დებულება ითვალისწინებს ასოციაციის წევრობის შეჩერებას 1 წლამდე ვადით, შესაბამისად, აღნიშნული უნდა მოიცავდეს, მედიატორის ჩამოშორებას ყველა ტიპის სამედიაციო საქმიანობისგან და არ იძლევა საშუალებას, რომ მედიატორს აეკრძალოს მხოლოდ ერთი კონკრეტული დავის კატეგორიის საქმეში ჩართვა.

---

<sup>168</sup> Florida Mediator Qualifications and Discipline Review Board, Case N2MBQ 2005-004 მითითებულია: Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation, Vol. 6, 2014, 156.

<sup>169</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.830. a. (5), (6), <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

### 6.2.5. მედიატორის ასოციაციიდან გარიცხვა

ყველაზე მძიმე სანქცია, რაც მედიატორს შეიძლება დაეკისროს, არის მედიატორის ასოციაციიდან გარიცხვა. აღნიშნული შეიძლება ორი ძირითადი ფორმით გამოვლინდეს, კერძოდ, მედიატორს შეუწყდეს საქმიანობის უფლება სამუდამოდ ან შეუჩერდეს საქმიანობის უფლება დროებით, სამომავლოდ აღდგენის უფლებით.<sup>170</sup>

მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულებამ გაითვალისწინა ორივე შესაძლებლობა,<sup>171</sup> თუმცა დებულებაში არ არის განსაზღვრული, რა მექანიზმით ხდება საქმიანობის უფლების აღდგენა. აღნიშნული საკითხი კი მნიშვნელოვანია პრაქტიკის სრულყოფისთვის. პროცედურულად, როგორც წესი, ასოციაცია არ ითხოვს მედიატორისგან, ახლიდან გაიაროს მედიატორის სასერტიფიკაციო სრული კურსი, მაგრამ, როდესაც მედიატორი მიმართავს კომისიას საქმიანობის უფლების აღდგენისთვის, მედიატორმა უნდა წარადგინოს მოთხოვნა აღდგენის თაობაზე და დასტური რომ გაიარა დამატებით საჭირო ტრენინგები იმ მიზეზების გათვალისწინებით, რის გამოც შეუჩერდა საქმიანობის უფლება.<sup>172</sup>

### 6.2.6. სხვა სახის სანქციები

კომისიის შეხედულებისამებრ, მედიატორის წინააღმდეგ შესაძლებელია განხილულის გარდა, სხვა სახის თანაზომიე-

---

<sup>170</sup> Rules of the Dispute Resolution Commission, Supreme Court of North Carolina, Rule 13. b(3), (6), <<https://www.nccourts.gov/courts/supreme-court/court-rules/rules-of-the-dispute-resolution-commission>> [19.09.2021].

<sup>171</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-20 მუხლი.

<sup>172</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Rules 10.830. 2 (i), 4, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

რი სანქციის გამოყენება.<sup>173</sup> აღნიშნული ტიპის სანქცია არაერთხელ გამოიყენეს ფლორიდის დისციპლინური წარმოების პრაქტიკაში, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში, ეთიკის კომისიამ თავად შესთავაზა მედიატორს დამატებითი ტრენინგების გავლა, რომელიც არ ჩაეთვლებოდა სავალდებულო სასერტიფიკაციო ტრენინგებში და მიიღებდა სპეციალურ ცოდნას მედიატორის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რასაც მედიატორი დათანხმდა.<sup>174</sup> დასახელებული სანქცია გულისხმობს მედიატორსა და კომისიას შორის განსხვავებული დისციპლინური სახდელის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან კომისიას ეძლევა საშუალება, ინდივიდუალურად შეარჩიოს სახდელის ის ფორმა, რომლითაც მიიღწევა კომისიის მთავარი მიზანი, რაც არის მედიატორთა უფლებებისა და ინსტიტუტის რეაბილიტაცია მედიატორის მიერ პროფესიული ვალდებულების დარღვევის შემდეგ.<sup>175</sup>

## 7. დასკვნა

კვლევის შედეგები რამდენიმე ასპექტს მოიცავს. პირველ რიგში, აუცილებელია სტატიაში წარმოდგენილი დასკვნების სამართლებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა, რადგან მედიაციის განვითარება საქართველოში აუცილებლად მოითხოვს მედიატორთა მიერ ეთიკური სტანდარტების ზედმიწევნით დაცვას, ხოლო დისციპლინური საქმისწარმოების ინსტიტუტის

---

<sup>173</sup> Rules of the Dispute Resolution Commission, Supreme Court of North Carolina, Rule 13. b, <<https://www.nccourts.gov/courts/supreme-court/court-rules/rules-of-the-dispute-resolution-commission>> [19.09.2021].

<sup>174</sup> Florida Dispute Resolution Center, Sanctions - Consensual Agreements, N9MQB 2018-006, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions/Sanctions-Consensual-Agreements>> [19.09.2021].

<sup>175</sup> Press S., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, *Arbitration Law Review, Yearbook on Arbitration and Mediation*, Vol. 6, 2014, 117.

არსებობა სწორედ ეთიკური სტანდარტების განუხრელი დაცვის უზრუნველყოფითაა ნაკარნახევი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოება ეს არის სისტემა, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, მედიატორთა ქცევის ეთიკური ნორმების ერთობლიობას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული ნორმების დარღვევის შეფასებით მედიატორისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესაძლებლობის განხილვას. შესაბამისად, დისციპლინური საქმისწარმოება არის ორსაფეხურიანი პროცესი, რომელშიც პირველ ეტაპზე უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ მედიატორმა დაარღვია ეთიკის კოდექსი, ხოლო მეორე ეტაპზე აღნიშნული ვარაუდი უნდა შეფასდეს ფაქტების ერთობლიობით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ნამდვილად დისციპლინური გადაცდომა.

აუცილებელია, დისციპლინური წარმოება დაიყოს სტრუქტურულ ქვეჯგუფებად, რაც გულისხმობს, რომ პირველი ქვეჯგუფი, ეს არის ეთიკური ვალდებულებების ჯგუფი, რომელიც მოიცავს მედიაციის ეთიკურ პრინციპებს, როგორცაა: მიუკერძოებლობა, კომპეტენცია, ანაზღაურება, თვითგამორკვევის ხელშეწყობა და სხვ. რომლებიც აისახება საკანონმდებლო დონეზე, ხოლო პრობლემის არსი არის ის, თუ რამდენად სწორად ხდება შეფასება და განმარტება აღნიშნული ეთიკური ნორმებისა, რადგან არასწორად გაგებულმა სამართლის ნორმებმა შესაძლებელია დაამკვიდროს დისციპლინური წარმოების მანიერი პრაქტიკა და მედიაციის განვითარება შეფერხდეს.

საქართველოს რეალობისთვის, მედიატორთა დისციპლინური წარმოების, როგორც პროცესის, არსის განსაზღვრისთვის ცენტრალური ადგილი უჭირავს, მედიატორთა ეთიკის ნორმების სწორი და ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის გააზრებას, უპირატესად, ეს გულისხმობს, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და დიდი ბრიტანეთის არსებული პრაქტიკის მიხედვით, ეთიკურ ნორმათა შინაარსის გააზრებას ქართულ რეალობაში, რათა მედიატორთა ეთიკის კო-

დექსმა შეიძინოს ძალა, რათა მედიაცია დამკვიდრდეს, როგორც თანამედროვე ეთიკურად გამართული პროცესი.

დისციპლინური წარმოების პროცესის მიზნებისთვის ეთიკური ვალდებულებების ქვეჯგუფშივე უნდა მოიაზრებოდეს დისციპლინური წარმოების ისეთი ცენტრალური საკითხი, როგორცაა ეთიკური ვალდებულების დარღვევა, რაც წარმოადგენს მედიატორის წინააღმდეგ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველს. მთავარი საკითხი, რაც უნდა შეფასდეს, არის ის, თუ რას ნიშნავს ეთიკური ვალდებულების დარღვევა? აღნიშნულ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს ორი სუბიექტის პრიზმიდან.

ერთი მხრივ, მედიატორის კონკრეტულ ქცევას, ეთიკური ვალდებულების დარღვევად შეიძლება აფასებდეს მედიაციის მონაწილე ან მასთან დაკავშირებული მხარე, ან მედიატორის წინააღმდეგ საჩივრის ავტორი, რომელიც თვლის, რომ ეთიკური ვალდებულება დაირღვა, თუმცა აღნიშნული მხოლოდ დისციპლინური პროცესის პირველი საფეხურია და შემდეგ საფეხურებზე დგას ეთიკის ნორმის დარღვევის დამდგენილი ეთიკის კომისია. ეთიკის ნორმის დარღვევა სახეზე იქნება მაშინ, როდესაც კომპეტენტური დისციპლინური საქმისწარმოებელი ორგანო განაცხადებს, რომ ეთიკური გადაცდომა არსებობს და მედიატორმა დაარღვია ეთიკის ნორმა.

მედიატორის წინააღმდეგ საჩივრის შეტანის შემდეგ სრულდება დისციპლინური პროცესის პირველი ეტაპი და იწყება მეორე, ცენტრალური ეტაპი, რომელიც მოიცავს მედიატორის მიერ შესაძლო ეთიკური გადაცდომის შეფასებას. მეორე ეტაპიც მოიცავს რამდენიმე ქვეჯგუფს. ესენია: ეთიკის კომისიის მიერ დარღვევის შეფასება, მტკიცების სტანდარტის შეუერხებლად გამოყენების უფლება წარმოების მხარეებისთვის და სწორი და თანაზომიერი სანქციის გამოყენებას, თუ არსებობს ეთიკური გადაცდომა.

საჩივრის შეტანის შემდეგ, მედიატორის შეფასებაში ერთვება ისეთი ორგანო, როგორცაა ეთიკის კომისია, რომელიც ასევე ორ ეტაპად, მოკვლევისა და განხილვის ეტაპზე, მიუკერ-

ძობლად და კეთილისნდისიერად უნდა განიხილავდეს საჩივარს და ადგენდეს დისციპლინური გადაცდომის არსებობა-/არ არსებობას.<sup>176</sup> ვინაიდან, საქართველოს სამედიაციო პრაქტიკაში დისციპლინური საქმისწარმოება სრულიად ახალი ფურცელია, მნიშვნელოვანია, ნაშრომში წარმოდგენილი პრინციპებისა და სისტემების გააზრება და დანერგვა, ერთი მხრივ, მომკვლევია, ხოლო, მეორე მხრივ, განმხილველი კოლეგიების მუშაობაში, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს კოლეგიებს შორის ფუნქციონირებას მკაფიო გამიჯვნას და როლების განაწილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მედიატორისთვის სათანადო შესაძლებლობის შექმნას, რომ ამ უკანასკნელმა დაიცვას საკუთარი პოზიცია წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. აღნიშნული გასათვალისწინებელია, როგორც უმთავრესი პრინციპი არა მხოლოდ მედიატორთა ასოციაციის საქმიანობისთვის, არამედ, მომავალში დამოუკიდებლად განვითარებული სამედიაციო პრაქტიკის პროვაიდერებისთვისაც, ვისაც სურს თანამედროვე სამედიაციო სისტემის შექმნა და შეთავაზება.

კვლევის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა, რაც უკავშირდება განმხილველი კოლეგიის როლს და, შესაბამისად, განხილვის ეტაპზე შეჯიბრობითობის უზრუნველყოფას. ერთი მხრივ საკითხი, რაც ბუნდოვანია მედიატორთა დისციპლინური დებულების ქართულ ვარიანტში, არის ის, რომ ეთიკის კომისიის წევრი, დისციპლინურ წარმოებაში ვერ ჩაერთვება, თუ ის დისციპლინური „წახმობების მონაწილე პიჩის ახლო ნათესავია.“<sup>177</sup> ხოლო ახლო ნათესავის დეფინიცია გულისხმობს, მხოლოდ კომისიის წევრის მემკვიდრეს, რაც გაუმართლებელია, რადგან ახლო ნათესა-

---

<sup>176</sup> Young P. M., Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 21, 2006, 783.

<sup>177</sup> სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი.

ვის დეფინიცია ქართულ რეალობაში მოიცავს პირთა ბევრად დიდ წრეს, და აუცილებელია, რათა აღნიშნული საკითხი შეიცვალოს იმგვარად, რომ განივრცოს ახლო ნათესავის დეფინიცია და ამით აცილების ინსტიტუტი შესაბამისი სტანდარტებით დამკვიდრდეს დისციპლინურ საქმისწარმოებაში. გარდა აცილების ინსტიტუტისა, არსებობს შედარებით ზოგადი პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა. ვინაიდან, დისციპლინური წარმოების ქართულ რეალობაში მხარეებს წარმოადგენენ თავად ასოციაცია და მედიატორი, აუცილებელია ბალანსის პოვნა, რათა მედიატორი არ აღმოჩნდეს ისეთ სიტუაციაში, სადაც სუბორდინაციულად მაღალ საფეხურზე მდგომი ორგანიზაცია, რომელიც, ერთი მხრივ, მხარეა ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ მის წიაღში არსებული დამოუკიდებელი ორგანო, ეთიკის კომისიაა შემფასებელი, დაჩაგრავს სუბორდინაციულად გარკვეულ საფეხურზე მდგომ მედიატორს, კერძოდ კი, არ მისცემს საშუალებას ისარგებლოს თანასწორი შეჯიბრებითობის პრინციპით.

აღნიშნული უთანასწორობის პრევენციის საშუალება კი უნდა მოიაზრებოდეს დისციპლინური წარმოების დებულებაში. კვლევის ფარგლებში, რამდენიმე მექანიზმი გამოიკვეთა, რამაც უნდა უზრუნველყოს თანასწორობა დისციპლინური წარმოების პროცესში. პირველ რიგში, ეს არის მტკიცების ისეთი სტანდარტის დამკვიდრება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მედიატორს, შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება და დაცვა. მტკიცების სტანდარტის დამკვიდრება კი გულისხმობს, მედიატორისთვის უფლებას, წარმოადგინოს ის მტკიცებულებები, რომელსაც თვლის, რომ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის მნიშვნელობა აქვს ისე, როგორც მეორე მხარეს, მედიატორსაც უნდა ჰქონდეს უფლება გამოიძახოს მონმეები და მიიღოს მათგან ინფორმაცია, იყოს წარმოდგენილი წარმომადგენლის მეშვეობით. თუ აღნიშნული უფლებები გარანტირებული იქნება, მედიატორს შეეძლება მიიღოს შესაბამისი ხარისხის დისციპლინური განხილვის პროცესი.



სტატიის განხილვისას, გამოიკვეთა, რომ მტკიცების სტანდარტი არა მხოლოდ მხარეთა უფლებების გარანტირების კუთხითაა მნიშვნელოვანი, არამედ წარმოადგენს დამოუკიდებელ ქვეჯგუფს კონკრეტული თავისებურებით.

კერძოდ, დისციპლინური საქმისწარმოება ვერ იქნება ეფექტური თუ ნათლად არ იქნება განსაზღვრული რა არის მტკიცებულებები, რა პირობებითაა ისინი დასაშვები და რა არის დაუშვებელი მტკიცებულებები, ასევე, ნათლად გამოჩინდა, რომ აღნიშნული საკითხის რეგულირებისთვის, მიმდინარე პრაქტიკაში იყენებენ კონკრეტული ქვეყნის იურისდიქციაში მოქმედ ზოგად სტანდარტებს, რაც ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ ბუნდოვანია, მაგრამ შესაძლებელია ქართული სამოქალაქო საპროცესო სტანდარტების მრავალწლიანი პრაქტიკა კარგი გზამკვლევი გამოდგეს დისციპლინური წარმოების მტკიცების სტანდარტის დადგენისა და პრაქტიკაში რეალიზებისთვის.

კვლევაში განხილული დისციპლინური დებულებების არცერთი ვერსია არ აწესრიგებს მტკიცებულებათა სტანდარტს ყველა დეტალის გათვალისწინებით, მოწესრიგებისთვის იყენებენ კონკრეტულ ქვეყანაში (აშშ-ის შემთხვევაში კონკრეტულ შტატში) მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზოგად სტანდარტს. შესაბამისად, მედიატორთა დისციპლინურ საქმისწარმოებაში, მტკიცების სტანდარტის განსაზღვრა უნდა მოიცავდეს სწორედ აღნიშნულ ფორმულას, თუ რა არის მტკიცებულებები, რა პირობებითაა ისინი დასაშვები და რა არის დაუშვებელი მტკიცებულებები, აღნიშნულ კითხვებზე პასუხები უკვე არსებობს ქართულ რეალობაში და ყველა იმ კატეგორიის მტკიცებულებების ბუნებას, რომლებიც წარმოდგენილია დისციპლინური წარმოების დებულებაში, შინაარსობრივად განმარტავს და მათი დაშვება/არ დაშვების წესს ადგენს ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რაც უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობა დისციპლინური წარმოების ფარგლებში მტკიცებულებათა სტანდარტის განვითარებისთვის.

მტკიცებულებათა სტანდარტისა და, ზოგადად, დისციპლინური საქმისწარმოების ბოლო ეტაპს წარმოადგენს დისციპლინური სახდელების საკითხი, კერძოდ, სახდელები არ უნდა ემსახურობდეს მხოლოდ მედიატორის „დასჯის“ მიზანს, არამედ, ნაშრომში განხილული საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ სახდელების ორი ჯგუფი არსებობს, ერთი, რომლის მიზანია მედიატორის „დასჯა“ და ამით სოციალური პასუხისმგებლობის, პროფესიის ხარისხის მკაცრი კონტროლი, ხოლო მეორე ჯგუფის სანქციათა მიზანია მედიატორისთვის საკუთარი შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა გადამზადების გზით. ქართული პრაქტიკისთვის აუცილებელია დაინერგოს ორივე ჯგუფის სანქციათა სახეები და ეთიკის ნორმების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ მედიატორის მიმართ შეარჩიოს ყველაზე მისაღები „დასჯის“ ან „რეაბილიტაციის“ სახდელის სახე. მედიატორის სტატუსის შემაჩერებელი სახდელის სახეების გვერდით, უნდა არსებობდეს ისეთი სახდელები, როგორცაა მედიატორის სავალდებულო გადამზადება და ტრენინგები კონკრეტულ სფეროში.

მედიაცია მუდმივად ვითარდება, ხოლო დისციპლინური საქმისწარმოება ამ განვითარების ვექტორის კონტროლის საშუალებაა, რომელსაც შეუძლია მედიატორს მისცეს საკმარისი საფუძველი, რათა მას გააზრებული ჰქონდეს საკუთარი ეთიკური ვალდებულებები კლიენტთა და პროცესის წინაშე. ქართული რეალობისთვის კი, დისციპლინური საქმისწარმოების სწორი და თანამედროვე გაგებით დანერგვას შეუძლია მედიაციის ინსტიტუტის განვითარების პროცესის მშენებლობაში ერთ-ერთი ფუნდამენტური როლის შესრულება.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 14/11/1997.

3. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
4. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, 24/05/2021.
5. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, 24/05/2021.
6. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 24/05/2021.
7. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდება, 24/05/2021.
8. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“, 11/12/2010.
9. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 11, 77.
10. დიდუაშვილი თ., ხუსტგარი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 8, 205, 207, 234-235, 246, 256, 284.
11. ქოქიაშვილი თ. (ხედ.), რეკომენდაციები სასამართლო გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2010, 7.
12. ჩიგაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №1, 2016, 10.
13. ჩიგაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №2, 2016, 29.
14. ცეხცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 185.
15. წუდაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 2016, 30.
16. ჰაგენდოხი უ., ადავიძე ბ., ბაქაეუხი ნ., ბეჟეკაშვილი დ., გასიგაშვილი ე., თოდუა მ., მესხიშვილი ქ., ქათამაძე პ., ძღიეხიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბ., 2020, 870.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის №ას-1155-1101-2014 გადაწყვეტილება.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის №1440-1360-2017 გადაწყვეტილება.
19. ADR Institute of Canada, Complaints and Discipline Policy, <<https://adric.ca/rules-codes/complaints-discipline-policy/>> [19.09.2021].
20. American Bar Association (ABA), Model Standards of Conduct for Mediators, <[https://www.americanbar.org/groups/dispute\\_resolution/policy\\_standards/](https://www.americanbar.org/groups/dispute_resolution/policy_standards/)> [19.09.2021].
21. American Arbitration Association, Model Standards of Conduct for Mediators, <<https://digitalcommons.pepperdine.edu/naalj/vol17/iss2/9/>> [19.09.2021].
22. Arkansas Judiciary Procedures for the Discipline of Mediator <<https://www.arcourts.gov/adr/complaints-against-mediators>> [19.09.2021].
23. Arkansas Administrative Procedures Act, <<https://www.asbala-id.arkansas.gov/laws-rules/>> [19.09.2021].
24. Colorado Ethics Committee Policy and Procedure, <<https://coloradomediation.org/ethics/>> [19.09.2021].
25. European Code of Conduct for Mediators, <<https://www.euromed-justice.eu/en/document/eu-european-code-conduct-mediators>> [19.09.2021].
26. European Code of Conduct for Mediation Providers, <<https://rm.-coe.int/cepej-2018-24-en-mediation-development-toolkit-european-code-of-conduc/1680901dc6>> [19.09.2021].
27. European Convention on Human Rights, <<https://www.echr.coe.-int/Pages/home.aspx?p=basictexts&c>> [19.09.2021].
28. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions>> [19.09.2021].

29. Model Standards of Conduct for Mediators, <[https://www.american-bar.org/groups/dispute\\_resolution/policy\\_standards/](https://www.american-bar.org/groups/dispute_resolution/policy_standards/)> [19.09.2021].
30. Oklahoma Human Services, Procedure for mediation, Confidentiality, <<https://oklahoma.gov/okdhs/library/policy/current/okdhs/chapter-2/subchapter-1/parts-4/procedure-for-mediation.html>> [19.09.2021].
31. Rules of the Dispute Resolution Commission, Supreme Court of North Carolina, <<https://www.nccourts.gov/courts/supreme-court/court-rules/rules-of-the-dispute-resolution-commission>> [19.09.2021].
32. Tennessee Supreme Court Rules, <<https://casetext.com/rule/tennessee-court-rules/tennessee-rules-of-the-supreme-court/rule-31-alternative-dispute-resolution-mediation/appendix-a-standards-of-professional-conduct-for-covered-neutrals/section-5-self-determination>> [19.09.2021].
33. The Association of Attorney-Mediators, Grievance procedure, <<https://www.attorney-mediators.org/grievance>> [19.09.2021].
34. The 2020 Florida Statutes, Chapter 44, Mediation Alternatives to Judicial Action, <[http://www.leg.state.fl.us/statutes/index.cfm?App\\_mode=Display\\_Statute&URL=0000-0099/0044/0044.html](http://www.leg.state.fl.us/statutes/index.cfm?App_mode=Display_Statute&URL=0000-0099/0044/0044.html)> [19.09.2021].
35. Virginia Complaints Procedure, <<http://www.courts.state.va.us/-courtadmin/aoc/djs/programs/drs/mediation/home.html>> [19.09.2021].
36. *Anderson T., Schum D., Twining W., Analysis of Evidence*, 2<sup>nd</sup> ed., Cambridge University Press, 2005, 290.
37. *Bam D., Making Appearances Matter: Recusal and the Appearance of Bias*, 2011 Brigham Young University Law Review, Issue 4, 2011, 945.
38. *Buzatu N. E., The Responsibility of the Mediator*, AGORA International Journal of Juridical Sciences, Vol. 4, 2013, 10.
39. *Crowe J., Two Models of Mediation Ethics*, Sydney Law Review, Vol. 39, Issue 2, 2017, 149.
40. *Cooks L. M., Hale C. L., The Construction of Ethics in Mediation*, Conflict Resolution Quarterly, Vol. 12, 1994, 61.

41. *Haynsworth H. J. IV*, Disciplinary Actions by the South Carolina Supreme Court and the Board of Commissioners on Grievances and Discipline: Lawyers Beware, *South Carolina Law Review*, Vol. 36, Issue 3, 1985, 392.
42. *Imwinkelried E. J.*, The Importance of the Memory Factor in Analyzing the Reliability of Hearsay Testimony: A Lesson Slowly Learnt--And Quickly Forgotten, *Florida Law Review*, Vol. 41, 1989, 254.
43. *Kallipetis M.*, Mediation Ethics in Europe, *The Dovenschmidt Quarterly*, 2014, 65-66.
44. *Kovach K.*, *Mediation In a Nutshell*, 2<sup>nd</sup> ed., South Texas College of Law, West, a Thompson Business, 2010, 40, 202.
45. *Koo A. K. C.*, Exploring Mediator Liability in Negligence, *Common Law World Review*, Vol. 45, 2016, 165-166.
46. *Laflin M. E.*, Preserving the Integrity of Mediation through the Adoption of Ethical Rules for Lawyer-Mediators, *Notre Dame Journal of Law*, Vol. 14, Issue 1, 2000, 479.
47. *MacLean L., McNiven J.*, The Complaint Resolution Project, *Alberta Law Review*, Vol. 34, 1995, 55.
48. *McKeown M. M.*, To Judge or Not to Judge: Transparency and Recusal in the Federal System, *The Review of Litigation*, Vol. 30, 2011, 654.
49. *Mengler T. M.*, The Theory of Discretion in the Federal Rules of Evidence, *IOWA L. Rev.*, Vol. 74, 1989, 413-415.
50. *Morgan T. D., Tuttle R. W.*, Legal Representation in a Pluralist Society, *Wash. Law Review*, Vol. 63, 1995, 987.
51. *Poppe E. S. T., Rachlinski J. J.*, Do Lawyers Matter? The Effect of Legal Representation in Civil Disputes, *Pepperdine Law Review*, Vol. 43, Issue 4, 2016, 889.
52. *Press S.*, Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, *Arbitration Law Review*, *Yearbook on Arbitration and Mediation*, Vol. 6, 2014, 41, 117, 128-130, 144-146, 155-156, 159.
53. *Robert S. P.*, Violating the Inviolable: Caps on Damages and the Right to Trial by Jury, *Dayton Law Review*, Vol. 31, 2006.
54. *Samuels A.*, Illegally Obtained Evidence: In or Out, 67 *J. CRIM. L.* 411, 2003, 412.
55. *Schulz J. L.*, Mediator Liability in Canada: An Examination of Emerging American and Canadian Jurisprudence, *Ottawa Law Review*, Vol. 32, No. 2, 2001, 273.

56. *Stone M. P., Miceli T. J.*, The Impact of Frivolous Lawsuits on Deterrence: Do They Have Some Redeeming Value, Working papers / University of Connecticut, Department of Economics, 2014, 304-305.
57. *Tetunic F. L.*, Act Deux: Confidentiality After the Florida Mediation Confidentiality and Privacy Act, *Nova Law Review*, Vol. 1, Art. 4, 2011, 84.
58. *Tetunic F. L.*, Demystifying Florida Mediator Ethics: The Good, the Bad, and the Unseemly, *Nova Law Review*, Vol. 32, 2007, 207.
59. *Timothy A. R.*, Introducing Documentary Evidence, *Army Law*, Vol. 30, 1985, 30.
60. *Waddoups J. E.*, Narrowing the Scope of Absolute Judicial Immunity from Section 1983 Suits: The Bar Grievance Committee and the Judicial Function, *BYU Law Review*, Issue 3, 1990, 1245.
61. *Waldman E.*, *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 10, 339.
62. *Welsh N. A.*, Bringing Transparency and Accountability (with a Dash of Competition) to Court-Connected Dispute Resolution, *Fordham Law Review*, Vol. 88, 2020, 2452, 2456.
63. *Williams N. V.*, Fantastic or Delusional Factual Allegations or Indisputably Meritless Legal Theories Give Rise to a Complaint Lacking an Arguable Basis, 490 U.S. 319, 1989, 327-328.
64. *Young P. M.*, Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 21, 2006, 740-741, 783, 806, 808-811, 813-814, 820, 840, 842, 859-860.
65. Florida Mediator Qualifications and Discipline Review Board, Case N<sup>o</sup>QCC 2012-037, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions/Sanctions-Imposed>> [19.06.2021].
66. Florida Dispute Resolution Center, Sanctions - Consensual Agreements, N<sup>o</sup>MQB 2018-006, <<https://www.flcourts.org/Resources-Services/Alternative-Dispute-Resolution/Mediation-in-Florida/Discipline-Proceedings-Sanctions/Sanctions-Consensual-Agreements>> [19.09.2021].

67. Florida Department of Education (FLDOE) Bureau of Exceptional Education and Student Services, Mediation - Parents and School Districts Working Together. <www.fl DOE.org > core > fileparse.php > urlt > MediationFactSheet>, 3, [19.09.2021].<https://matsne.gov.ge/> [19.09.2021].
- 68.<https://mediators.ge/ka/legal-framework> [19.09.2021].
- 69.<https://gba.ge/ka> [19.09.2021].
- 70.<https://www.doj.state.or.us/oregon-department-of-justice/client-resources/appropriate-dispute-resolution/mediation-confidentiality/> [19.09.2021].
- 71.<https://oklahoma.gov/okdhs/library/policy/current/okdhs/chapter-2/subchapter-1/parts-4/procedure-for-mediation.html> [19.09.2021].
- 72.<https://www.gabar.org/disciplinedefinitions.cfm> [19.09.2021].



სარედაქციო ჯგუფის წევრები:

თინათინ კირთაძე

ანა ადამია

თამარ გობეჯიშვილი

ნინო ხუბულია





